


# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

23 ივნისი 2006

№13



ვის რა ჰქვია

აშორდიას აზნაურები

გზა გვირაბითა შემოვა

ანდრე მორუას რჩევები

გოფრედო პარიზეს „ბურძგლა“

დეტექტივი გალაკტიონ ტაბიძეზე

რელიკვია სახელმწიფო კანცელარიასთან

საქართველოს ისტორია ტელეფონის ნომრებად

## შინაარსი

<b>რედაქტორის გვირგვინი</b>	2	<b>უამისოდ ვერ დანიშნავოდა</b> (უფლისციხე და „მითრიდატე“)
<b>ექსპრეს-ინტერვიუ</b>	3	<b>აი დროვა აშორდია</b> (საუბარი ელგუჯა თავბერძენსთან)
<b>რეპლიკა</b>	5	<b>ღია მეტრეველი ვის რა ჰქვია?</b>
<b>პროზა</b>	6	<b>ჯემალ მონიავა მუხიბული</b>
	10	<b>მარიანა ნანობაშვილი ჩრდილუბის როკვა</b>
<b>პოეზია</b>	15	<b>ვანო ჩხიკვაძე იანსამანი და სხვა ლექსები</b>
	18	<b>ეკა ქევანიშვილი ჩემი ნახევარი საათი</b>
<b>უსმოთის სსოვრებიდან</b>	20	<b>ანდრე მორუა საუბარი</b>
<b>როგორ ვკითხვოდით ქლასიკას</b>	28	<b>ზაზა შათირიშვილი ვაჟა-ფშაველა და პოეზიის სანყისი</b>
<b>ნიგონი კულტურა</b>	31	<b>შორენა ლებანიძე ფოტოხელოვანის „რისკიანი ავანტიურა“ თუ ლიტერატურული თამაშები</b>
<b>რეპორტაჟი</b>	35	<b>საბა სულხანიშვილი გზა გვირაბითა შემოვა</b>
<b>მოგონებათა სივრცეები</b>	36	<b>თამარ მიქაძე ხუროთმოძღვარი</b> (დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავლობა)
<b>ენისტოლა</b>	39	<b>ერეკლე ხატისკაცი</b> <b>ცხოვრებამ თარგმანში თუ თარგმანმა ცხოვრებაში</b>
<b>კრიტიკა</b>	40	<b>როსტომ ჩხეიძე „ბალაკტიონოლოგიის“ ორი გამომქანილი</b>
	45	<b>ხვთისო მამისიმედიშვილი მზის სხივი – სულ ერთი ნუთით</b>
<b>გამოსაქვეყნება</b>	46	<b>ნესტან მყავანაძე უბრალო ჭრახვი</b>
<b>ლიტერატურული სსოვრება</b>	47	<b>თამარ ბლიაძე ლიტერატურული პროფესიონალიზმის შესახებ</b>
<b>პოეზიის ვარიანტები</b>	49	<b>ღვთის საღიდაულები</b>
<b>გამოსაქვეყნება</b>	52	<b>ნინო ვახანია საგვარეულო გერბის ერთგულება</b>
<b>პერსონაჟი და პროტოტიპი</b>	53	<b>გუმბარანგი</b>
<b>დაუნიშარი სხელები</b>	54	<b>ცისანა კვინტრაძე-გოძიაშვილი</b> <b>„ჩემო კედლებო, ისევ მიყვარხართ...“</b>
<b>უსმოური ნოველა</b>	56	<b>გოფრედო პარიზე ორი ნოველა</b>
<b>ნაქვეყნები</b>	61	<b>მასვილსიტყვაობის ნიმუშები</b>
<b>მოზაიკა</b>	63	<b>ინგლისი კუნძულ სკიროსზე</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ვალიკო არჩუაძე, „უფლისციხე – კერპი უფლისა“  
ირაკლი ბატონიშვილი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 7 ივლისს

# უამისოდ ვერ დაინერგება

\*

## უფლისციხე და „მითრიდატე“

ეს სიმბოლური სურათი თუ რეალისტური ხატი – სახება უფლისა, ციხე-ქალაქ უფლისციხის მფარველისა – „ბორიაცი“ მხატვრული ქარგის ქვაკუთხედი უნდა ყოფილიყო.

არადა:

„მითრიდატეს“ მხატვრული ქარგის ქვაკუთხედი.

ნაცვლად ოთარ ჩხეიძის რომანისა ლევან გოთუას რომანში დავანებულა.

არა, არავითარი უხერხულობა არ მომხდარა, ლევან გოთუა არც არაფერს ისესხებდა სხვისას, არც არაფერს მიითვისებდა, სტილიც ორიგინალური და თვითმყოფადი გამოქვეყნდა, სიუჟეტებისთვისაც თვითონვე მიეგნო, ხასიათებიც თავისთავადი ეპოვნა, სიმბოლო-მეტაფორებსაც თავის სულიერ ქურაში ადნობდა და ასე ქმნიდა იმ დიდებულ სამყაროს, მისი რომანების, მოთხრობების, პიესების, პუბლიცისტური სტატიების, მემუარული ჩანაწერების, დღიურების ხერხემალზე რომ დგას და მძაფრად შეგვაგრძობინებს ჩვენს ვინაობას, უსასრულობიდან გამოვლილ გზას უსასრულობისაკენ – და არა რუსული ოკეანის მიერ შთანთქმულს.

სულიერი ძარღვი ისე ფეთქავს მის ყოველ სტრიქონში, ისე მოგანდომებს ნანგრევებიდან „მითრიდატეს საქართველოს“ აღდგენას, იოლად ირწმუნებ, რომ ლევან გოთუაც ერთ-ერთი სანდო მეგზურია აღთქმული ქვეყნისაკენ.

და გენანება, ძალიან გენანება, რომ ისერიგად არ გახმაურებულა ეს სახელი, რისი ღირსიცაა.

ისე ხელიდან ხელში აღარ გადადის მისი „გმირთა ვარამი“, როგორც ერთ დროს ყოფილა.

და მაინც: ღმერთი არ გასწირავს წუთისოფლისაგან განწირულს, 22 ნელინადს ციხე-კატორღაში ნათრევ-ნაგვემს.

კვლავაც დაბრუნდება მისი სახება, კიდევ უფრო ამაღლებული, კიდევ უფრო შთამბეჭდავი.

მაგრამ „ბორიაცი“ ნაცვლად „მითრიდატეში“ რატომ დავანებულა უფლისციხის მფარველი ღვთაების სიმბოლური ხატი? თუ იქ უნდა ყოფილიყო, აქ საიდან მოხვდა, და თუ „მითრიდატეში“ მისი გამოჩენა სავსებით ბუნებრივია – ამ თვითმყოფადი მწერლის მიერ მიგნებული და ღრმად გააზრებული, „ბორიაცი“ რატომღა უნდა გაგვხსენებოდა?

ბიძგი რაც გამოდგა ამ სიმბოლური ხატისა და რომანის კომპოზიციური ღერძისათვის, უკვე მაქვს აღნიშნული ლიტერატურულ ნარკვევში „სახება რწმენისა და „მითრიდატე“, სტატიის ქარგა სულაც ამ იდეაზე ამოშენებული, ოღონდ მაშინ „ბორიაცი“ კვალს აღარ გავყოლივარ.

კმაროდ ბიძგის გამორკვევაც ლევან გოთუას შთაგონებისათვის, „მითრიდატე“ მთლიანად რომ მოეფიქრებინა და ისე ავსებელიყო განცდებით, ისე ეწეოდა თავისკენ ამ ტრაგიკული მეფის აწრდილი, სადაცაა სანერად უნდა დამჯდარიყო და ერთიანად მიწოდებოდა წარმოსახვებს, მაგრამ რაღაც აკლდა ჩანაფიქრს, მთავარი „რაღაც“ კომპოზიციის ძარღვს ვერ პოულობდა. ის, რისი ოსტატიც გახლდა – კომპოზიციური სისრულე – აქ ხელიდან უსხლტებოდა და უამისოდ კი გაურკვეველობაში შებეჯება ეძლეოდა.

მაინც არაფერი გამოვიდოდა.

მხატვრული აზროვნება ვერა ჰგეობს ძალდატანებას.

და, აი, ამ სულიერი ჭიდილისას მწერალთა გაზეთის ფურცლებზე ქვეყნდება ოთარ ჩხეიძის სტატია „კერპი უფლისა“,

რომელსაც დაერთვის გორელი მხატვრის ვალიკო არჩუაძის ნახატი – კლდეში გამოკვეთილი გიგანტური პროფილი.

სწორედ ასე გამოიყურებოდა უფლისციხის ის კლდე საგანგებოდ შერჩეული ადგილიდან და ოთარ ჩხეიძე ნახატს რომ გაეცნობოდა და მერე იმ ადგილიდან დააკვირდებოდა კლდეკაცს, ვარაუდს გამოთქვამდა: ეს წარმართული ღვთაების კერპი ხომ არ არის, ამ ძველთაძველი ქალაქის მფარველისაო.

ლევან გოთუას წარმოსახვას ეს ვარაუდი და სტატია აღანთებდა, ეს ნახატი და მერე კი იმ ადგილიდან დიდხანს თვალიერება კლდეკაცისა – მითრიდატეს რწმენის სათავე მიგნებულიყო, იდუმალი ხელშესახები შექმნილიყო, ნიშანსევეტად აღმართულიყო და გონებაში მზამზარეულად ჩამოყალიბებული სურათები ძალდაუტანებლად მიეწყობოდა ერთმანეთს, დაწყებასა და დასრულებას წინ აღარაფერი ედგა და „მითრიდატეს საქართველო“ რომანში გაიფინებოდა მომავლის იდეალად.

ჯერ კი გიგანტურ სახებას მისჩერებოდა აღტაცებული და: აი, მითრიდატე, აი, რწმენა მითრიდატესიო, – იმეორებდა, როგორც მოლანდებას ქართველი ტომების დიდი გავსლისა მსოფლიო ასპარეზზე.

მამ „ბორიაცი“ რა შუაში უნდა იყოს?!

არქეოლოგები არ დაადასტურებდნენ ოთარ ჩხეიძის ვარაუდს, მოიძიებდნენ უფლისციხის ადრინდელ ფოტოსურათებს, XIX საუკუნის მინურულს გადაღებულს, და თვალსაჩინოებისათვის გამოაქვეყნებდნენ იმავე სამწერლო გახატვით. ფოტოზე გიგანტური პროფილი აღარსად ილანდებოდა, კლდე მთლიანი გახლდათ, ისე გამოდიოდა, მერე ჩამომტვრეულა თანდათანობით და უნებლიეთ დამგვანებია კერპს მიმსგავსებულ კონტურს.

შემთხვევითობით?

იქნებ რაღაც ღრმა კანონზომიერებით?

არქეოლოგებს ამის ძიება აღარ მოეთხოვებოდათ, მათ ფოტო მოიშველიეს და უფლისციხის მფარველი ღვთაების კერპის არსებობა ამ ადგილას არ დაადასტურეს, მეცნიერული ვალი მოიხადეს, მაგრამ მხატვრული წარმოსახვებისათვის ამას უკვე რა მნიშვნელობა ჰქონდა – მწერლის ფანტაზიას უკვე მიეგნო მისაგნებლისათვის. ბოლოსდაბოლოს, არარსებული „მოკვეთილი მარჯვენა“ თუ შეიძლებოდა რომანის შთამაგონებელი ყოფილიყო, რა დაშავდებოდა, არარსებული გიგანტური კლდეკაციც მთავარ ძარღვად და სიმბოლოდ ქცეულიყო ეპიკური ქმნილებისათვის.

მამ „ბორიაცი“?

ოთარ ჩხეიძე სტატიას რომ შეადგენდა მეგობარი მხატვრის ნახატზე დასართავად, კლდეკაცის სახება უკვე განვზრახა სიმბოლოდ და რწმენის სათავედ ამ რომანისათვის, სწორედ იმხანად რომ ჩაჯდომოდა. უფლისციხე უნდა მოქცეულიყო „ბორიაცი“ დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების – 1924 წლის ავგისტო-სექტემბრის – შუაგულში და ეტვირთა ამაღლება დაცემული იმედოვნებისა. და გიგანტური სახება თითქოს სივრცეს მიაპობდა, მიცურავდა ხან მზის მხურვალეობასა და ხანაც ჭახჭახა ვარსკვლავებში – იქამდე ასვტილი.

ლევან გოთუამ ეს, აბა, რა იცოდა, ეგონა, რომ სტატიაშივე მოთავსებულიყო ვარაუდი, თუნდაც მიგნება – ოღონდ მეცნიერული და არა მხატვრული. და ოთარ ჩხეიძე არც გაუმხელდა



## რედაქტორის გვირდი

თავის განზრახვას, როდესაც „გმირთა ვარამის“ ავტორი გამოუტყდებოდა, „მითრიდატესათვის“ კომპოზიციური ძარღვი და სიმბოლო შენმა წერილმა მაპოვნინა, და ხელს აღარაფერი მიშლის, რომანი ერთი ჩაჯდომით მოვათავოო.

ხმის ამოუღებლად დაუთმოდა და „ბორიაციის“ კომპოზიციური აგებულებისათვის სხვა სიუჟეტურ რგოლს გამოძებნიდა, სხვა სიმბოლიკას მოიშველიებდა.

დაე უფლისციხე და პირველად ვალიკო არჩუაძის თვალთ დაწახული გიგანტური სახეა „მითრიდატესი“ ყოფილიყო, მისი მხატვრული ქარგის ქვაკუთხედად ჩაშენებული.

\*\*\*

– აი, მითრიდატე... აი, რწმენა მითრიდატესი, – ბუტბუტება ლევან გოთუა, დიდი სულიერი ფორიაქისაგან თავდას-

სნილი, შვებით რომ შესცქეროდა კლდეზე ნაკვეთ პროფილს. ბინდი ეფინებოდა უფლისციხესა და მის შემოგარენს.

მალე ვარსკვლავებიც აჭახჭახდებოდნენ.

და გაცურდებოდა მათ შორის კლდეკაცი, სივრცეს გააპობდა, უსაზღვროებას შეერწყმოდა, მაგრამ კვალსაც დატოვებდა დედადინაზე, ხილულსაც და სულის ღრმა ხვეულებშიც ჩაბეჭდილს.

დაე დარჩენოდა ეს სახეა „მითრიდატესი“.

„ბორიაცი“ თავის გზას იპოვნდა.

\*\*\*

– ის ფოტოსურათი ნაყალბევი თუა, თორემ ის კლდე თავიდანვე უფლის კერპად აღმართულაო, – სიცოცხლის ბოლომდე ვერ გადაარწმუნებდი ვალიკო არჩუაძეს.

## ქსპრან-ინტერვიუ

# აი დროა აშორდია

\*

სასუბარი  
ელგუჯა თავგარიქისთან

– ბატონო ელგუჯა, ამ ხანებში ერთი-ორჯერ მომიწია ჩამოსვლა ქუთაისში და აქაურ ლიტერატორებს რომ შევხვდი, არაერთხელ ახსენეს თქვენი მომავალი წიგნი, რომელიც ცნობილ თაღლითსა და ავანტიურისტს სოლომონ აშორდიას ეძღვნება. ძალიან მესიამოვნა ასეთი ცნობისნადილი და მოლოდინი, რაც ნამდვილ ლიტერატურულ გარემოს შეეფერება. განსაკუთრებით დიდხანს მესაუბრა თქვენს ამ მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაზე თემურ ამყოლაძე, თქვენი სხვა წიგნების უცვლელი რედაქტორი და გემოვნებიანი კრიტიკოსი, ვის მოსაზრებებსაც ყველა ანგარიშს უწევს – თბილისში არანაკლებ, ვიდრე ქუთაისში. ხელნაწერშივე ნაგვიკითხვით და უკვე მკაფიო აზრი ჰქონდა შემუშავებული. მასთან გასაუბრებამ ძალაუფლებურად მიბიძგა თქვენთან საგანგებოდ მოვსულიყავი და ზოგიერთი რამ უკვე შემეტყო, რას აუფორიაქებია ასე ქუთაისი და რატომ მოელიან ასეთი ინტერესით ამ წიგნის გამოსვლას მზის სინათლეზე. უპირველესად, ბუნებრივია, ეს შეკითხვა მეზადება: როდის და რატომ დაინტერესდით სოლომონ აშორდიას პიროვნებით?

– ადრე, ალბათ სტუდენტობის დროს, გალაკტიონ ტაბიძის პალინდრომი „აირევი ივერია“ რომ წავიკითხე, სოლომონ აშორდიამ, განსაკუთრებით მისმა გვარმა საოცრად მომხიბლა: უკეთესი რა უნდა იყოს-მეთქი, ვფიქრობდი, გვარს შეაბრუნებ და აი დროშა-დ იკითხება. თუმცა ვერ ვხვდებოდი ივერია უკუღმა და ეს გვარი რა კავშირში უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან. მრჩებოდა რაღაც ბუნდოვანი, გაურკვეველი განცდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ცისფერყანწლები აღფრთოვანებულნი იყვნენ აშორდიათი, ლექსებს უძღვნიდნენ, ესეებში ახსენებდნენ, როგორც თავიანთი მსოფლმხედველობის გამჟღავნების საუკეთესო ნიმუშს. თუ ცისფერი ორდენის წევრები ეთავყვანებოდნენ, გალაკტიონმა აირევი ივერიას რატომ დაუკავშირა ეს გვარი-მეთქი, ვფიქრობდი. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაბუნდოვანდა ჩემი აზრი აშორდიაზე, მიხეილ ჯავახიშვილს „კვაჭი კვაჭანტირაძე“-ში იგი პერსონაჟად ჰყავს გამოყვანილი, აღწერილია „იჩიჩი“ სილიბისტრო კვაჭანტირაძე ყალ-

ბი საბუთებით როგორ გაააზნაურა, როგორ დალოცა, სამი დღე იქეიფა, ასაღები აიღო და გაუდგა გზას, უფრო სწორად, „აჩქარდა“ სხვათა გასათავადებლად და გასააზნაურებლად მიმავალი.

ერთი სიტყვით, ერთგან სხვანაირად, მეორეგან კიდევ სხვანაირად იყო მოხსენიებული ეს პიროვნება. გალაკტიონისა და ჯავახიშვილის შეხედულებანი ერთმანეთს ემთხვეოდა, ცისფერყანწელთა – არა. მერე იმასაც ჩავხვდი, რატომ იყვნენ ეს უკანასკნელნი აღფრთოვანებულნი ამ კაცით, იგი ხომ სხვადასხვა გვარსახელით ჩადიოდა დანაშაულს, იყო სოლომონ აშორდია, მაგრამ ამავე დროს გრიგოლ შვანიაც, საროლ ჯამბატოვიც, კონსტანტინე ზახაროვიც... ესენიც თვითონ შექმნა, საბუთების თვითონვე შეადგინა სხვადაცვლელი საკუთარი თავისა და ორეულის ესთეტიკით გატაცებულ ცისფერყანწლებს რატომ არ მოხიბლავდა...

– აქედან გაჩენილა ინტერესი.

– აქედან... მერე ქუთაისის ცენტრალურ არქივში აშორდიათა საქმის რვა ტომი რომ აღმოვაჩინე, კიდევ უფრო გამიღრმავდა სურვილი, გამეგო ვინ იყო ეს კაცი, თაღლითი თუ რაინდი, სიკეთის მქნელი თუ შემბლაღველი ძველი სიგელ-გუჯრებისა, ვეძებე, ვიკითხე, ამოვწერე, საბუთების ასაღები გადავიღე და აღმოჩნდა, ნიჭიერი, საოცრად ნიჭიერი, ნაწერის მიმგვანების უზადლო უნარით გამორჩეული პიროვნება, ვინც აყალბებდა ძველ საბუთებს და გლეხს ააზნაურებდა, ან თავადად აქცევდა. გააჩნია რა თანხას გადაიხდიდა მსურველი. თუმცა ამ სასამართლო ანალებში ბევრი ისეთი ამბავი ამოვიკითხე, რომლებმაც მომხიბლა და გადავწყვიტე სხვებისთვისაც მომეთხრო ისინი.

– თქვენი ბიოგრაფიული ნარკვევი გიორგი შარვაშიძეზე და ცალკეული ესეები მოწმობს, რომ მიდრეკილება გაქვთ ბელეტრიზებისა და მხატვრულ-დოკუმენტური პროზისაკენ. აპირებთ თუ არა ამ მიმართულებით მოღვაწეობის გაგრძელებას? იქნება თუ არა აშორდიას ცხოვრების ქრონიკა ბიოგრაფიული რომანი? მითუმეტეს, ამ ჟანრის ქმნილებანი დღესდღეობით ძალიან პოპულარულია მთელ მსოფლიოში.

– ვაპირებ და მალე წიგნად გამოვეცემ ბიოგრაფიულ ნარკვევს ლავრენტი არდაზიანზე. ცალკეულ ესეებსაც ხშირად ვწერ. განზრახული მაქვს XIX საუკუნის ქუთაისთან ასე თუ ისე დაკავშირებულ გამოჩენილ მოღვაწეებს მივუძღვნა ასეთი სახის თხზულებანი. ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს ამბავით გამხელილი პიროვნების მსოფლმხედველობა, მრწამსი... საერ-



თოდ, რა ამბები ხდებოდა ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინანდელ ქუთაისში, ვინ იყო ვინ და ა.შ. დაგვანახებს, როგორ გადავრჩით, რით ვსულდგმულობდით და უნდა ვისულდგმულოთ მომავალში. ამ პიროვნებათა შეხედულების ამოცნობისათვის ორიენტირად აკაკის და კიდევ რამდენიმე (ძალიან ცოტა და საქართველოს ბულბულივით სანდო) ადამიანის დამოკიდებულებას მოვიშველიებ. აკაკის გამორჩეულად...

ამორდიას ცხოვრების ქრონიკა, ცხადია, ბიოგრაფიულ რომანადაა განზრახული.

**– მწერლები თავიანთი ბიოგრაფიული რომანების გმირად ხშირად ირჩევენ ღირსეულ პიროვნებას და მათ ცხოვრებას იდეალად, მაგალითად უსახვევ ახალგაზრდობას. თქვენ სხვა გზა აირჩიეთ, საპირისპირო – თვალსაჩინო ნიმუში იმისა, როგორ არ უნდა იცხოვროს ადამიანი?**

– მართალი ბრძანდებით. სხვათაშორის ეს კითხვა მეც გამიჩნდა – საკუთარ თავს შევეკითხე – რატომ გამიტაცა სოლომონ ამორდიას ცხოვრებამ და შეხედულებებმა ესოდენ-მეთქი. მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკებიც საგანგებოდ გადავიკითხე ამ თვალსაზრისით, მინდოდა, გამეგო, რით მოხიბლა კვაჭი კვაჭანტირაძემ, მაგრამ პასუხი ვერსად ვიპოვე. ერთი რამ ცხადია, იმაზეც ხშირად უნდა ინერებოდეს, როგორ არ უნდა იცხოვრო, როგორ არ უნდა დახარჯო და გაფლანგო ღვთისგან ბოძებული ნიჭი სიყალბეთა ქმნაში. ამ მხრივ ამორდიას ცხოვრება მართლაც სანიშნოა – მწერალი თუ არა, დიდებული მხატვარი მაინც გახდებოდა, მან კიდევ ორივეს საბუთების გაყალბება და ბევრი ფული არჩია. ერთი სიტყვით, ყოვლისშემძლე სურდა ყოფილიყო და ზღაპრით, უპოვარსა და უქონელს – მდიდრად, უფრო უმდიდრესად, გლეხს კიდევ თავადად ან აზნაურად აქცევდა.

ერთ ამბავს გავიხსენებ, თუკი ზედმეტი არ იქნება.

**– არამცთუ ზედმეტი, მკითხველი ალბათ მოუთმენლად მოელის რაიმე ეპიზოდის მოხმობას მისი ბიოგრაფიიდან.**

– ხატვის, ხაზვის, რაც გინდათ ის დავარქვათ, განსაცვიფრებელი უნარი ჰქონდა. ერთს დაინახავდა და მორჩა, გონებაში ახსოვდა მისი ყოველი წვრილმანი, უმცირესი ნიუანსი, ჩაუჯდებოდა და დახატავდა ზუსტად ისეთს, შესაშურად მიმგვანებულს ნანახისა.

დაინახავდა, გონებაში ჩაიხატავდა, მერე გონებიდან გადმოიხატავდა თითქმის იგივეს. ნამდვილს და გადმოხატულს ძნელად გაარჩევდი...

სხვებიც იხატავდნენ, ბაძავდნენ, ექიშებ-ეჯობებოდნენ, სურდათ მიმგვანებოდნენ, მაგრამ მათი ყალბი იყო, აშკარად ნახელავი, ამისი ნამდვილისაგან ძნელად გასარჩევი.

გაკვეთილზე შეისწრო მასწავლებელმა, ნიკოლოზის მანეთიანებს ხატავდა, ჩაყურყუმალავებულყოფი ამ საქმეში, ირგვლივ ვერაფერს ხედავდა, ვერ ამჩნევდა, უსწრაფესად ხატავდა, ხელის ერთი მოსმა და მანეთიანი მზად იყო.

უცქირა, უყურა გაოგნებულმა მოძღვარმა – რამდენიმე წუთში რამდენიმე მანეთიანი დახატა, კიდევ მიუმატა, არც ორიგინალი ედო წინ, არც რაიმე ნიმუში, ხატავდა და ხატავდა. ისიც, მასწავლებელმა რომ დედნად მიიჩნია, სულ პირველად დახატა, მერხზე საფულდაგულოდ მოკალათებულმა გვაჯის (სოლომონის მამის სახელია) ბჭმა.

ხატავდა, უფრო ჭრიდა, სერიულად უშვებდა მანეთიანებს. მასწავლებელი ხედავდა, ის – ვერა, საკუთარ საქმეში ჩაფლულიყო, გაეტაცა ხატვას. ბოლოს მოძღვარმა ჯიბიდან მანეთიანი ამოიღო, დახედა, მერე დახატულისკენ გააპარა მზერა, ის ჯობდა, სოლომონის შექმნილი უკეთესი იყო, ახალი, ცინცხალი, ნამდვილი, ამისი დაწონილი, შებღალული.

განცვიფრდა მოძღვარი...

ბარე ასს გადასცდებოდა მანეთიანების რაოდენობა. ხატავდა და ხატავდა სწრაფად, ხელგანაფულად...

გაშტერდა თავმდგმური, ჯერ შევირდის ხელის სისწრაფემ შეაკართო და შეაშფოთა, მერე იმან, რომ დახატული ნამდვილი

იყო, ბუნებრივი, ქალღმერთი ზუსტად იმნაირი მოეძებნა, ფულის ქალღმერთი საიდანდაც და ხატავდა, ხატავდა...

– შენ ყალბი ფულების მჭრელი გამოხვალ – მკლავში მოჰკიდა და საქმით გართულ შევირდის ხელი.

ნამოდგა, დაირცხვინა „მხატვარმა“.

– ყალბი ფულების მჭრელი გამოხვალ – გაუმეორა.

სოლომონი დუმდა, სახეზე აღმურგადაკრული იატაკს ჩამტერებოდა.

– საიდან ისწავლე ასე ოსტატურად მანეთიანების ხატვა?

ისევ დუმდა.

ეკითხებოდა, ის პასუხს არ სცემდა, იდგა დარცხვინილი, დანაშაულში წასწრებული. უკანა მერხზე მოკალათდა საგანგებოდ, რომ არავის დაენახა, არ შეემჩნია, უკვირდა, როდის დაადგა მასწავლებელი თავზე.

მოძღვარს სხვა რამ უკვირდა, შევირდის – სხვა.

**– ფულს მის მერეც ხატავდა?**

– არა, მას შემდეგ სოლომონ ამორდიას ფული არასდროს დაუხატავს, ყოველ შემთხვევაში სასამართლო საქმეში ამაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ისეთი რამის გაყალბებას მიჰყო ხელი, დახატული და ნამდვილისაგან ძნელად გასარჩევი მანეთიანები კი არა, ოქროს თუმინანები ცვიოდა ხომკაკალასავით. ფულს აღარ ხატავდა, სამემკვიდრეო და სხვა საბუთებს აყალბებდა და ამით შოულობდა იმდენს, რამდენიც სურდა. ადრე პირდაპირ მანეთიანს ხატავდა, უფრო სწორად, აყალბებდა, ახლა საბუთს ამგვანებდა ნამდვილს, გლეხს აზნაურად ან თავადად აქცევდა, ერთი სიტყვით, რალაც დოკუმენტს „გააიმასქნებდა“ (მიხილ ჯავახიშვილის სიტყვაა) და ამით იჯიბავდა ნამდვილ ფულებს, ნიკოლოზისდროინდელს.

მანეთიანების ხატვა სარისკო იყო, დაიჭერდნენ და მორჩა, ვინმეს რაიმე ნაკლი რომ აღმოეჩინა მის შექმნილში, დაიღუპებოდა, საბუთების გაყალბება, ბუნებრივია, ნაკლებ სარისკო გახლდათ, საბუთი საბუთს ჰგავდა, თანაც ვინ იყო მათი ძირისძირამდე ჩამდევი და გულისმყოფელი.

მანეთიანების ხატვას, სერიულად გამოშვებას თავი მიანება, ანდა რატომ უნდა ეხატა და ევაგლახა, ბანკი აგერ არ იყო!.. თუმცა მანამდე სამემკვიდრეო საბუთების წარმოებას მიჰყო ხელი. უჭკუოდ აქაც არ იქცეოდა. იცოდა, რასაც აკეთებდა, ამიტომ, სწრაფად იცლიდა ხელს, კლიენტს მოძებნიდა, უფრო სწორად, მოუძებნიდნენ და მერე შეუდგებოდა საქმეს. ერთი სიტყვით, ბავშვიც და დიდიც ერთნაირი იყო – გამყალბებელი, ადრე მანეთიანების, მერე საბუთების. ყოყმანად ნამდვილს, გაყალბებდა, ჩანერდა და ყიდა, როგორც ნამდვილს.

**– დოკუმენტური მასალების მოძიებას, სასამართლო ოქმების შესწავლა-დამუშავებას ალბათ დიდი დრო დასჭირდა და თქვენი ნებისყოფის, ენერჯისა და მუყაითობის კაცი თუ არ აიღვნიდა ხელს განზრახვაზე...**

– მართლაც ძალიან გამანაამა. გაითვალისწინეთ, სოლომონ ამორდიას საქმის ძიება ათ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. მიეჩვევი ერთი მორუსულე კაცის კალიგრაფიას, უცებ მეორე ტომში სხვა ხელით ნაწერი შეგხვდება, მიეჩვევი იმას, გადაიკითხავ მესამეს ნახევარს და ისევ შეიცვლება ოქმის შემდგენი...ასე, რომ ამ საბუთის ნაკითხვას, ამონერას უფრო დიდხანს მოვუნდი, ვიდრე დამუშავებას და დაწერას. მერე კიდევ გააზნაურებულთა ან გათავადებულთა სიებს არ იკითხავთ! ორიათასამდე იყო ასეთი, ზოგიერთის გვარი და სახელი ამორდიამ და მისმა მიმდევრებმა ძველ სიგელში ჩანერეს, გადაფხიკეს იქ რაც ენერა, მიაგვანეს ხელნაწერს, მერე გასავლის წიგნებში ფურცელი ან მისი ნახევარი ჩაანებეს და ა.შ.

ერთი სიტყვით, მოფიქრებული ჰქონდათ მთელი სისტემა, როგორ აემალლებინათ მავანი და მავანი წოდებრივად, ამ სიებს სიგელ-გუჯრებსა და გასავლის წიგნებში უნდოდა დაძებნა, შემონებდა და მისთანანი.

იყვნენ ისეთებიც მართლა თავადი ან აზნაური რომ იყო, არავის რომ არ აეჭვებდა მათი კეთილშობილური წარმომავლობა, მაგრამ საბუთები ვერ მოეძებნათ, სადაც ისინი ამგვარად იქნებოდნენ მოხსენიებულნი. სოლომონ ამორდია ასეთებსაც უწვდიდა დახმარების ხელს, მოუძებნიდა საჭირო დოკუმენტს, მერე იმასაც სათავისოდ გამოიყენებდა, ვინმეს გვარს ჩაწერდა, გააყალბებდა, როგორც მიხეილ ჯავახიშვილი წერს „ისტორიულ სამართლიანობას აღადგენდა“ და აიღებდა ფულს.

უყვარდა ბევრი ფული, იყო მხარჯველი. ქუთაისში რომ უნდა აეყვანათ, ბათუმიდან გაიპარა, მართლმსაჯულებას დაემალა, ამის მერე ბაქოში დაიჭირეს, საკუთარი გათავისუფლების ცნობა თვითონვე დაწერა სხვათა ანალოგიით და შორეულ აღმოსავლეთს შეაფარა თავი, ვლადივოსტოკში რომ გაკოჭეს ბანკიდან ყალბი ჩეკებით თვითმმართველობის თანხების გამოტანის გამო, გაპარვასთან დაკავშირებით თხოვნა მოწერა ქუთაისელ აღმსრულებლებს მართლმსაჯულებისა – ბათუმიდან კი არ გაეპარულვარ, ზღვაში დასახრჩობად შევედი, რაც შეიძლება ღრმად მინდოდა შევჭრილიყავი, ტალღებს რომ არ გამოერიყა ჩემი გვაში და ჩემით ისედაც გამწარებული მშობლები კიდევ არ დატანჯულიყვნენო, მაგრამ რომ შევეტოპე, უცებ გაიღვიძა ჩემში სიცოცხლის წყურვილმა, ბედად ნავი დავლანდე, შემამჩნიეს, ამომათრიეს. ხომ გინახავთ, კაცი დასახრჩობად მდინარეში რომ ჩახტება და ცივ წყალში მოადენს თუ არა ზღართანს,

ყვირილს ატეხს, არიქა მიშველეთ, გადამარჩინეთო. ერთი სიტყვით, დახრჩობა მინდოდა, მიმაღვა გამომივიდაო.

ასეთი ამბავი ბევრია სოლომონ ამორდიას და ძმათა მისთა სასამართლო საქმეში.

და კიდევ ერთი – ამ დოკუმენტების გაცნობის მერე დავრწმუნდი, რომ სოლომონ ამორდიას საქმიანობა დამპყრობლისათვის იყო სასარგებლო, ნამდვილ თავადაზნაურობაში ვიგინდარებიც შეერეოდა, აირევ-აიდღვიბებოდა ყველაფერი, ქვეყნის ჭირისუფალს ვითომ ჭირისუფალი გაუტოლდებოდა და რუსისათვის ჯობდა არეულ და ჭრელ მასასთან ჰქონოდა საქმე, ვიდრე მამულის ჭირვარამით გულგასერილ თავადაზნაურობასთან.

**– ის დოკუმენტები, რომლებიც სოლომონ ამორდიამ და მისმა მიმდევრებმა გააყალბეს, თავისთავადაც მრავალმხრივია საინტერესო, ხომ არ ფიქრობთ, მთელი ეს კორპუსი ხელმისაწვდომი გახადოთ მკითხველისათვის?**

– არ ვიცი, ამორდიას საქმით კიდევ ვინმე თუ დაინტერესდება. ან როდის გაუჩნდება სურვილი ხელახლა ჩაეძიოს ამ მტკვრნაყრილ საბუთებს. ამიტომ მერაბ კეზევაძესთან ერთად გადაწყვეტილი მაქვს ამ სასამართლო საქმეზე თანდართული ყველა მამხილებელი დოკუმენტი ცალკე წიგნად გამოვცე, რა თქმა უნდა, სათანადო კომენტარებითა და შენიშვნებით.

ესაუბრა  
ზიბინა ვაჩნაძე

რეკლიმა

ვის რა  
ჰქვია?

ფაქტებზე, რომლებზეც მინდა მკითხველის ყურადღება მივაპყრო, ერთხელ უკვე გამოვაქვეყნე მცირე რეპლიკა გაზეთ „ქართული კულტურის“ 2005 წლის მაისის ნომერში. მაშინ თბილისის წიგნის VII საერთაშორისო ბაზრობაზე გამოტანილი ნათარგმნი ლიტერატურის ირგვლივ შექმნილ სიტუაციაზე ვამახვილებდი ყურადღებას.

მე, რა თქმა უნდა, მთარგმნელი არ ვარ და ჩემი შენიშვნაც მკითხველის, საგამომცემლო საქმით დაინტერესებული პირის აზრს გამოხატავდა მხოლოდ. ამ რეპლიკის გამოქვეყნებიდან აგერ უკვე ერთი წელი გავიდა, თბილისის წიგნის VIII საერთაშორისო ბაზრობაც გაიმართა, მაგრამ პრობლემები, რომელიც თვალსაჩინო იყო მაშინ, თავლსაჩინოა დღესაც, არ შეცვლილა.

მაინც რას ვსაყვედურობდი და ვსაყვედურობ მთარგმნელებს, მთარგმნელობით კოლეგიას (თუკი ასეთი კიდევ არსებობს. იმედს ვიტოვებ, რომ რაღაც ფორმით კოლეგია კვლავ ფუნქციონირებს). დამეთანხმებით ალბათ, ადამიანები არ ვართ ვალდებულნი ვიცოდეთ ყველა ენა, საიდანაც, თუნდაც ისეთი ცნობილი ნაწარმოები, როგორიც კოლოდის „პინოქიოს თავგადასავალია“, ითარგმნა.

პირადად ჩემთვის გამაოგნებელი აღმოჩნდა, რომ წიგნის მალაზიის დახლებზე, ფესტივალზე გამოჩნდა წიგნი – „პინოკიო თოჯინების თეატრში“ (ავტორი ლია გუნავა, გამომც. „ინტელექტი“, 2004 წელი) საქართველოში ყველა მშობელი და ყველა ბავშვი პინოქიოს აქამდე პინოქიოდ იცნობდა. მოგესხენებათ კოლოდის „პინოქიოს თავგადასავალი“ რამდენჯერმე გამოიცა (1984 წელს გამომც. „ნაკადული“, მთარგმნელი ლეილა ერაძე, განმეორებით დაისტამბა 2004 წელს, მთარგმნელი იგივე).

ასევე გამოჩნდა დახლებზე ნანა ტონიასა და ქეთი ნადარეიშვილის „პენელოპე“ (გამომც. „ლოგოსი“, გამოცემის წელი 2003),

რომელშიც ანტიკური სამყაროს პოეტი ქალი საფო გადაიქცა საპოეტი; და ბაოლო კოელიოს რამდენიმე წიგნი („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გამოიცა 2003-2005 წლებში), სადაც მთარგმნელები (აკრიანი, გელაშვილი) სხვადასხვაგვარად თარგმნიან მწერლის გვარს: ერთი – კოელოდ მოიხსენიებს, მეორე – კოელიოდ.

სულ ახლახან კი ყველას უსაყვარლესი წიგნი (მის გახსენებაზე მე სამყაროს მხოლოდ მზის სხივებით უსაზღვროდ გათანაგულსა და მშვიდს ვხედავ), – სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ (პირველი გამოცემების მთარგმნელი ცნობილი მწერალი ვახტანგ ჭელიძეა) ახალი სათაურით მოგვევლინა. „კლდის პირას, ჭვავის ყანაში“ (გამომც. „დიოგენე“, 2006 წელი, მთარგმნელი გია ჭუმბურიძე. წიგნზე მითითებულია, რომ გამოიცა პირველად).

არსად, არცერთ გამოცემაში არანაირი განმარტება ცვლილებების შესახებ!

ალბათ დიდ სიბრძნედ არ ჩამეთვლება, თუკი ვიტყვი, რომ ადამიანები ვალდებულნი ვართ დავიცვათ ეთიკის უბრალო ნორმები, მწერლების, ცნობილი ადამიანების გვარები და სახელები, ცნობილი ნაწარმოებების სათაურები ვნეროთ სწორად, გამოვთქვათ სწორად. და თუკი მივიჩნიეთ, რომ საჭიროა შესწორება, აქამდე არ გამოვთქვამდით, არ ვწერდით სწორად, ვცეთ პატივი მკითხველს, გამოვიჩინოთ ელემენტარული ზრდილობა და დავურთოთ მცირე დასატოთებელი განმარტება ცვლილებების შესახებ.

პირადად მე წიგნის ფესტივალზე კიდევ ერთხელ გამიჩნდა გრძნობა, რომ ყველაფრისადმი უგულვისყურო, აგდებული დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანაში უკვე ნესად იქცა. რა მოხდა, ნახევარი საქართველო ვერ გაიგებს კოელიოა თუ კოელო. ზოგმა ისე გამოთქვას და დაწეროს, ზოგმა ასე. არჩევანი თავისუფალია! შეცვალე, დაამახინჯე. თავის მართლება მაინც არავისთან დაგჭირდება, ამის არც აუცილებლობაა და არც მოთხოვნილება.

ლია მეტრეველი

P.S. ისე მაინც... როგორაა სწორი – პინოქიო თუ პინოკიო, კოელიო თუ კოელო, საფო თუ საპოეტი?..

ვინც ცნობილ მსახიობს ჯემალ მონიავას პირადად იცნობს, თავის დროზე ალბათ არ გაუკვირდებოდა არტისტის დებიუტი პროზაში. ჯემალ მონიავა თანამედროვე მსახიობთა იმ არცთუ მრავალრიცხოვან ამქარს მიეკუთვნება, რომლებიც ზედმინეწიოთ კარგად იცნობენ ქართულ პოეზიას, მშობლიურ ლიტერატურას. მთელი ცხოვრება დიდი სიყვარულითა და გატაცებით ემსახურებიან ამ სიტყვის პროპაგანდას.

წარმოშობით კოლხი კაცისათვის უჩვეულოდ ორგანული და ბუნებრივი აღმოჩნდა ქართლური სიტყვის მადლი. გარდა იმ მნიშვნელოვანი სათქმელისა, რის გამოც დაინერა „მუხიგული“ – ამ მოთხრობასაც თავიდან ბოლომდე გასდევს ქართული ლიტერატურისათვის ასე ახლობელი და მშობლიური აღმოსავლური დიალექტის სურნელი.

ჯემალ მონიავა

# მუხიგული

გაუსაძლისი გვალვისაგან დაოსებული სოფელი მიბნედილ-მიყურებულა. თაკარა მზეს შუკა-ეზოები გამოუშამრავს, არაქათი გამოუცლია. უსასოო ტოტებზე ხეებს ფოთლები ჩამოძენიათ.

ირგვლივ სულიერი არსად ჭაჭანებს, მხოლოდ საბძლის ქვეშ შეხიზნული ძალი არაქათგამოცლილი ქასქასებს. დასერილი ენით სინოტივეს ჰაერში ამოად დაეძებს. ფეხებაპლაკული ქათმები მტვერში იგუნგლებიან, თავზეით კორიანტელს იყენებენ, მაგრამ ამოად. ღორიც ამოად აბრუნებს ანაკვერჩხლებულ გორმახებს, მზის სხივებს იქაც აუკრეფიათ სისველე. ცხელი ქარაშოტისაგან მოხვეტილი მტვერი, ფანჯრის ჭურჭურტანებში შემძვრალა და რაფებზე ფაფუკ ფქვილად დაფენილა.

მუხიგული მტვერს ხელისგულებით მოხვეტს, მოაგროვებს და გარეთ მოაბნევს. თვალს ეკლესიისაკენ აკლაკნილ ბილიკს ააყოლებს და ისევ რომ აეზმანება ასხმარტალებული, დაგორგლილი უხსენებლები, თავს გაბეზრებულად გადააქნევს. უსიამო მოგონებებს გაერიდება და ახლა თვალეზრადამებულ ეკლესიას მიაჩერდება. უპეებზე მომდგარ ცრემლს ბებრულ თითებს შეაგებებს და წამოფარფატებულ მოგონებებს აედევნება.

ამ ბილიკიდან იწყება მისი გზა, დასალიერს რომ მისდგომია. ბავშვობა, სიყმანვილე, კაცობაც და აგერ, ჭირ-ვარამით მიღწეული დროულობაც.

ბუნდოვნად ახსოვს წითელ არმიას შემოყოლილი აქტივისტები სოფელ-ქვეყანას რომ მოედვენ. მამამისიც ერთერთი იმათგანი იყო, იმათი რიგის გამწყობი და წინამძღოლი. პატარა მუხიგულიც, ყურებამდე ჩამოფხატული წონოლა „ბუდიონოვკით“ გაფუყული, აღტაცებული დასდევდა უკან გამორჩეულ მშობელს და დედის მუდარას თავს არიდებდა. თვალეზრადაყეტილი შესციცინებდა ეკლესიის გუმბათზე აბლოტებულ მამას, თმაგაჩეჩილი რომ ჩამოზხარხარებდა გაოგნებულ, ენაჩავარდნილ სოფლელებს და მოგლეჯილ ჯვარს თავზევით ალაპლაპებდა.

იმ დღიდან ბზარი გაუჩნდა მუხიგულების ოჯახს, აიმღვრა, გაიხლიჩა. ბიჭს ვერაფრით აეხსნა რად ბუზღუნებდა პაპა. ბებო მალულად რად ეფერებოდა და რად დასდიოდა დედას მოპარული ცრემლი. თავად, ყველასაგან გამორჩეული მამა ხომ ეამაყებოდა და ეამაყებოდა, იმის ზორბა ტანზე მომდგარი „გიმნასტიური“ და ბრჭყვიალა „ეპოლეტები“ მოსვენებას უკარგავდნენ.

მერე კი, მოგვიანებით შეცბა, შეეჭვდა, დარდმა დარია ხელი. ვერაფრით აეხსნა რად ერიდებოდნენ სკოლაშიც,

სოფელშიც და ახლობელ-ნათესაობაშიც. ერთ დღესაც მეხი დაეცა: ღამით მამა გაბანრული წაიყვანეს და მალე დედამაც სიკვდილამდე გაუხდელი თალხი ჩაიცვა.

მერე კი, მერე მთლად აიძენდა წუთისოფელი. ვერც ინსტიტუტში გრძნობდა სულიერ სიმშვიდეს, ვერც ასპირანტურაში, ვერც პარტსკოლაში და ვერც რაიკომის მდივნობისას. გაუთავებლად აქეთ-იქით გადაყვან-გადანანილებამი რომ გაილია ნახევარი სიცოცხლე, დაგროვილი ცოდნის წყალობით, ათეიზმის კათედრა ჩააბარეს უნივერსიტეტში. დაბეჯითებით აფხიზლებდა ახალგაზრდებს, რომ ღმერთი მღვდლების მოგონილია და ამ სიბუცისაგან თავი შორს უნდა დაეჭირათ. მერე ისევ შეიცვალა დროება, ამოპირქვევდა ქვეყნიერება და ახლა თავდაც შეიცვალა ცოდნა: ყოფილი ათეისტი, რელიგიის ისტორიის კურსის ლექტორი გახდა. და ბოლოს, რომ ეგონა – სხვების ნებაზე განვლილი ცხოვრება ახლა მაინც მშვიდად ჩაინურება და უზრუნველ სიბერეს ველირსებო – აფხაზეთიდან ერთადერთი უშვილძირო, ბერბიჭა შვილი ჩამოუსვენეს და გათავდა, აზრი დაკარგა ყველაფერმა!

ცოლმა ხსნა ეკლესიასა და მხურვალე ლოცვაში ჰპოვა. თავად კი ვერ უერთგულა მეუღლეს. ბავშვობიდან ადევნებული მამის ცოდვა, აღსარებისა და განწმენდის საშველს არ აძლევდა. ბოლოს ისევ სოფელში არჩია დაბრუნება. თუმც არც აქ შეხვედრიან მკლავგადაშლილები. მაინც ერიდებოდნენ პაპისეულ გადაფერებულ სახლ-კარს. ვერც აქ ჰპოვა სიმშვიდე, წამოფარფატებული მოგონებანი საშველს არ აძლევდა და აფორიაქებდა.


– სუნთქვაც შეუძლებელი გახდა, – გაბეზრებული ინია-ვებდა ცოლი მკერდს.

„ქარნი ხორშაკნი და მავნებელნი“, – საიდანღაც წამოუფრიალდა ოდესღაც ნახეპირევი ფრაზა, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა „შუმანიკიდან“ იყო თუ „ხანძთელიდან“.

– წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ... – უჯვრო ეკლესიისაკენ პირმიქცეული ბუტბუტებდა მეუღლე. მუხიგული კი ისევ შესცქეროდა აკლაკნილ ბილიკს და ზედ ისევ ეგორგლებოდა უხსენებლები. ისევ უსაშველოდ ენეოდა ბავშვობა.

– რას ასჩერებხარ, მუხიგულ, ამ ბილიკს? – თავს წამოსდგომოდა ესტატე. სიბერემდე მოყოლილი გარებიძამვილი და თანაკლასელი.

მუხიგული გამოერკვა. ესტატემ სკამი მოინია, დაიხარა და შიშველი კორტოხი ლამის ყბაში ამოსცხო ზიძაშვილს.



– ეს რა დაგმართნია, სახლიკაცო, როგორ გადაგქუც-  
ვნია თავი? – ჩაიციხა მუხიგულმა.

– ეგრეა, ძმაო, ატმის ხესავით ეგრე ზევიდანა ვხმები, –  
აჰყვა ესტატეც, – თუმცა რა, შენც ეგრე ხარ რა, გარშოკის  
ყვავილივითა?

– არ იშლი არა? არ იქნა შენი გამოსწორება, – მხარზე  
ხელი მოუთათუნა მუხიგულმა.

– მე რალა გამასწორებს იმის მეტი, შენ რომ იცი.

– ვის რას უშლი, იყავი ეგრე უსწორმასწორო.

– ეგ ხო ეგრეა, მაგრამა რას დასჩერებხარ-მეთქი ამ  
ბილიკს?

– ეჰ, ამ ბილიკიდან ინყება, ესტატე, ჩემი მესხიერება,  
დღემდე რომ არ მასვენებს.

– მაინც როგორ?

– აბა, პაპაჩემი ხომ გახსოვს, გიგო?

– ჰო, გიგო, გიგო, მამ არ მახსოვს, კაცო?

– შენ რალა დაგიმალე, ბიძაშვილო, ერთი დილაც არის  
და... ვიქნები ექვსი, შვიდი წლისა, მანჯღრევს, მაფხიზლებს:

– „ადე, პაპა გენაცვალოს, ნახე როგორ უჩუმრად ჩამობარ-  
დნილა. ახალი წელია, წამოფრინდი და ვიდრე ამ სინმინდეს  
ვინმე უჯიათი ფინთ კვალს დააჩნევდეს, გადი, გაკვალე ეკ-  
ლესიამდე უმანკო ბილიკიო. მეც ფხლაკაფხლუკით ჩავიცვი,  
მოვითბუნე და ის იყო უნდა გავარდნილიყავი, დამქაჩა ფან-  
ჯარას მიჩერებულმა პაპამ: – „სწორედ ამისი მეშინოდა, აგე,  
მამაშენი მთარღვევს თოვლსა, ცუდი წელიწადი გვექნება  
წელსაო“. „რათა, პაპავ, რათა-მეთქი“. „იმათა, შვილო, რო,  
შეხედე, ავრგნილი გველები ნახსმარტალებს მიუგავს ნა-  
ვალიო“. მამას უკვე მოგლეჯილი ჰქონდა ეკლესიის ჯვარი,  
მაგრამ პაპას მაინც ვერ მივუხვდი ნათქვამს. თუმცა მერე და  
მერე სულ ის სახება მიცხადდება ამ ბილიკის შემხედავს, აგ-  
რგნილი გველები. სწორედ იმ წელს გააკულაკეს გიგო და  
რომ მოუფრიალეს ბაკისა და გომურის კარი, ბაღსა და ბოს-  
ტანში ღობე რომ აუშალეს და მინდორ-ყანაში სულაც დაი-  
ტაცეს, მობრუნდა გამტკნარებული სახლში და ბებიას ეკით-  
ხება: „სადა გყავ ის შენი ქვეყნის ამშენებელი ბიჭიო?“ „ზევი-  
თა წვეს აივანზეო“, – თავი ჩაუხარა განაცრებულმა ბებომ.

„ეგ ყოფილა ბრძენიო, – პაპამ, – მე წლებზე ფეხს ვიდგამ-  
დი, ჩემს ყანაში გადმოსულ მეზობლის ძროხას ჩლიქებიდან  
ჩემს მინას ვაცლიდი, რო არ გაეტანა და მაგან ეს ჩემი ნაოფ-  
ლარი თავის მთავრობას, სულაც ხონჩით მთართვა. მიდი,  
ფეხებქვეშაც ამოულაგე ბალიშები, ეგა ჩემზე ჭკვიანი ყო-  
ფილა, მაგრამ იმასაც ვნახავ, ის თავის მთავრობა როგორ  
დაუფასებს ამავსაო“. „რას ამბობ, კაცო, ეგრე იოლადა რო  
გადავრჩით, ღმერთს მადლობა შესწირეო“, – ბებომ. „რო-  
მელ საყდარში შევწირო, მაგისაგან ჯვარმონგრეულშიო?“ –  
პაპამ და მწარედ დააყოლა: – „რალა ჩემი სიცოცხლეო“...

დიდხანს აღარც გაჰყოლია ტანჯული სული, იმავე  
წელს მიებარა თავის ნალოლიავებ მინას. მამაჩემი კი სულ  
ზევით-ზევით მიინევდა და იმ სიმაღლეზე ავიდა, მისმა აღ-  
მზეველებმა რომ გადმოაპირქვევეს, – სულიც აღარ დაჰ-  
ყოლია მინამდე. ათი წლის ვიყავი საბრალო დედამეშვენი უც-  
რემლოდ რომ ჩაიცვა შავი. ამ ბილიკის მაცქერაღს კი პაპის  
სიტყვები მახსენდება და იმ უხსენებლებისაგან საშველი  
აღარა მაქვს.

– რას იზამ მუხიგულო, – მხარზე წაეტანა ესტატე, –  
დრო იყო ეგეთი. დრო აბრუნებდა ადამიანს.

– ე, სახლიკაცო, იმ ბრუნვის ცოდვა დღემდე მოსდევს  
ჩემს ოჯახს. აი, ამ ბილიკიდან წამოკლანილი გველები  
დღემდე არ მესხნებიან. სხეულზე მაცოცდებიან, მგესლა-

ვენ და სისხლსა მწოვენ. აღარც მკლავენ და აღარც მესხნე-  
ბიან. იმათი შიშით, იმ ბილიკზე ფეხი ვერ დამიდგამს, ეკლე-  
სიამდე ვერ მიმიღწევია.

– ხო გახსოვს სტალინმა რო თქვა: – მამის ცოდვა შეი-  
ლებზე არ გადადისო?

– აბა, თუ არ გადმოვიდა. რანი ვართ, რას დავემსგავ-  
სეთ...  
– რა არი კაცო, იცი? აი, ისტორიას ხო ვასწავლიდი სკო-  
ლაში, არა? თვალს რო გადავაველებ წარსულს, სუ მემამაყე-  
ბიან ჩვენი წინაპრები. ჰოდა, იცი რას ვფიქრობ ხოლმე?  
ჩვენ რო ვილაცების სისხლი არ შეგვრეოდა, ბოროტი სის-  
ხლი, ჩვენნიარი ხალხი დედამინაზე არ მოიძიებოდა.

მუხიგულმა თავი უნდოდ გადააქნია.

– ჰო, ჰო... – განაგრძო ესტატემ, – აბა, უცქირე: – ჯერ  
კიდევ იქა, სიღრმეშია, სარკინოზებმა ხო გვაბურთავეს თა-  
ვის ნებაზე. მერე არაბებმა სჯული და ადითი შეგვირყვენეს.

მერე იყო და ყიზილბაშებმა ნითელი ქუდებით ჩამოგვაც-  
ვეს ამპარტავნება. ოსმალომ კიდევა ლიქნსა და ცბიერება-  
ში გაგვწვრთნა. მონღოლებმა ჯოგში აგვზილეს, სომხებმა  
ფულის ხატს გვაზიარეს...

– ჩემო ესტატე, უბედურებაც ეგ იყო, ჩვენს სისუსტე-  
ებს სულ სხვებს რომ ვაბრალებდით ხოლმე.

– რა, ეგრე არ იყო?! აბა, უყურე: – რუსეთში რო „მკვდა-  
რი სულები“ და „რევიზორი“ ინერებოდა, ჩვენში თამასუ-  
ქიც არ იცოდნენ. გამოიძრობდა კაცი უღვაშის ბენვს და  
თუ ვალი არ დაგიბრუნო, ამას დააფურთხეო, იტყოდა. მემ-  
რე ისე გაგვწვრთნეს იმ ჩვენმა გამთახსირებლებმა, ლამის  
გადავაჭარბოთ კიდევცა.

– ეგ ყველაფერი უღმერთობის ბრალია, – პირჯვარი  
ისახა მუხიგულის ცოლმა.

– ეგ უღმერთობაც მაგათგან არ მოდის, ჩემო რძალო?  
– ახლა იმას მიუბრუნდა ესტატე, – ეკლესიები მაგათ არ  
გადაგვითეთრეს და შეგვიბღალეს? ეგ ზარბოხიც მაგათ არ  
წამოგვასვენეს?

– ჩვენ ჩვენი ცოდვები ვზლოთ.

– ღმერთმა არ იცის სად რა ფათერაკია ჩასაფრებული  
და კაცმა როგორ გაიგოს? აგე, ორი თვეა მინას ნამი არ  
დაპკურებია, დახეთქილი ნაპრალებიდან ოხმივარი ამოდის  
და რა ვქნათ?

– ეგეც ურწმუნოების ბრალია, – მაინც თავისაზე იდგა  
ქალი.

– გამოდით, ხალხო, გამოიხედეთ!.. მარტია მწყემსმა  
ნახირი მეღუპება და ჩამომეშველენითო!.. – გარედან გან-  
წირული ხმა შემოიჭრა და სოფელი აფუთფუთდა, დაფეთე-  
ბული გზაზე გამოიფინა. ბარდანთ იმედო ლაშებზე დუჟ-  
მორეულ ცხენს ძლივს აოკებდა და ქვებზე ნაპერწკლებს  
აყრევინებდა.

– რა ხდება?

– რომელი უზნის ნახირიო?

– იქნებ ჩვენი არ არის?

– ავტობუსის მძღოლისთვინ დაუბარებია მარტიას,  
ჩვენია, ჩვენი! – გახლებულ ცხენს თავს ველარ უჭერდა  
იმედო.

– ვაი, ცოლ-შვილო!..

– ესლა გვაკლდა, ხალხო!..

უცებ ავიშვიშდა სოფელი და მინდვრისაკენ გაიჭრა. წინ  
იმედო – უკან მთელი სოფელი. ვინ ფეხით, ვინ სახედრით,  
ვინ კიდევ ველოსიპედით გამოენთო ცხენს. გაიბნენ, გაიწე-  
ლენ შარაზე და უკან დროულებიც აჩანჩალდნენ.



– მოიცათ, ხალხო, დამელოდენით! – ყურსასმენი აპარატის წუთით გამოვბოდა არჩილა და შინდის ჯოხს გამწვანებული იქნევა.

– დავუცადოთ, ცოდოა, – შედგა მუხიგული.

– რალა დაცდა უნდა, ძლივ მივფხარკალეოთ, – მინდვრისაკენ იწევა ესტატე.

გადახრიოკებულ მინაზე ფეხის დადგმაზევე ღრუბლის ქულასავით იფუტკნებოდა მტვერი და მერე ნება-ნება ეფინებოდა გამომშრალ ქვიშას. გუნდად აჭრილი კალია გალოპილ ბურქნარს აწყდებოდა.

– ე, კალიებოდა გვაკლდა, – ნაინუნუნა ვილაცამ.

– სიმინდსა და ლობიოს რიკებილა შეანარჩუნეს ამ ამოსაგდებებმა ამათა...

– დავივინყეთ მამა-პაპის ადათი და იმიტომ, – დაოვლილ შუბლზე ცხვირსახოცი გადაისვა მუხიგულმა, – თქვენ მაინც გეხსომებათ, გვალვის დროს ციკანს სწირავდნენ ელიას.

– ხბოსაცა, ზოგჯერ ხარსაც კი ჰკლამდნენ.

– რას ითხოვთ ამ გაძვალტყავებული ხალხისაგან, წინილასაც ვერ გამოამეტებინებ, – ესტატე მაინც გულიანი ჩანდა.

გულამოვარდნილები მიჩანჩალებდნენ მოხუცები. მობოშებულ კისრებზე ძარღვები დასკდომამდე დაბერვოდათ. უცებ წინ მტვერი აბუქდა, აიფშიკა. მოხუცები უნებურად შეფგუფდნენ. ორი უზარმაზარი მცურავი თავდავიწყებული იგრაგნებოდა. ეკლკნებოდა, ემარყუჟებოდა ერთიმეორეს და ნეტარად ეგლისებოდა.

– არჩილ, გამორთე ეგ წულია და ჯოხი მომანოდე, – ხელი უკან გაიშვირა მუხიგულმა.

– ჯოხით მოერევი მაგათა? ქვა უნდა ან გორმახი, – ანრილა ესტატე.

როგორც კი ყურსასმენი გამორთო არჩილამ, უცებ დაიძაგრა ორივე უხსენებელი. მამალი გამოეხლართა დედალს, თავი წამოაყელყავა და ორკაპი ენა საზარლად გაასავსავა. მერე აიზიდა, კუდი წამოსწია და გავარვარებულ მინას ბუქი აადინა.

თითქოს მინიდან ამოძვრაო, გველებს უკნიდან ამხედრებული იმედო მოადგა.

– შესდექ, შვილო! – ესლა მოასწრო მუხიგულმა და იმედოს ცხენი აიკუზა, მთელი სხეული აიქნია და ოთხივე ფეხით ტყუპად დააცხრა მოხუცებისაკენ მიქცეულ გველებს. მერე ისევ ახტა, განზე გადგა და ბრაზიანად დაუნყო ლაგამს ჭერა.

თავგაჩეხილ დედალს გააჟრჟოლა და მიყურდა. ნელში განყვეტილ მამალს კი თავგანწირული სივილი აღმოხდა. ჩასისხლიანებული თვალებით გაინია მოხუცებისაკენ, მაგრამ სხეული რომ ვედარ აითრია, შებრუნდა, განყვეტილ ნაჭრილობებს კბილებით ჩააფრინდა, ერთიც გააკანკალა და თავი გულისსწორზე დაუვარდა.

– აგე, შენი მოლანდება, მუხიგულო, ნახე სად დაგხვდა? – მხარი წაკრა ესტატემ.

– ეს რა ჰქენ, ბალო?! – იმედოს შეაჩერდა მუხიგული.

– მე ვქენ, როო?.. – ცხენს მოუალერსა იმედომ.

– რომ დაეგესლე?

– ქალებმა დამაბარეს, გამოიჩქარეთ. მაჯლაჯუნა დაყრილ ძროხებს ხოცავს და ატყავებსო, – იმედოს სხვა სადარდებელი გასჩენოდა.

– ვისებს ხოცავსო?

– თავისებს მორჩა. ესლა ჭია-გოგიასას ამთავრებს და მერე თქვენსას ეპირება, – მუხიგულს მიაჩერდა იმედო.

– ჰაი, დედასა, – ახმაურდა ესტატე, – ავიჩქაროთ თორემ გაიჯეჯილებს მაჯლაჯუნაი.

– აბა, სოფელი რო კაცს მაჯლაჯუნას შეარქმევს, იმისაგან რას უნდა ელოდო, – ისევ აანივლა არჩილამ აპარატი.

– ნეტა შენ, თუ მაგ წივილში რამედა გესმის, – ხელი აიქნია ესტატემ და მოხუცები გათოხარიკდნენ.

– აგე, ბიძაშვილო, ესლაც არ დაგეხსნებიან ის ამოსანყვეტები?! – მუხიგულის გვერდით მიჩიკრიკებდა ესტატე.

ხრიოკზე, საცოდავად დაყრილ, მუცელდაბერილ საქონელს მარტია მწყემსი დაჰქოთქოთებდა. ვის ყურებს უსრესდა, ვის კულზე ეტანებოდა და დაარბენინებდა, დაწოლის საშუალებას არ აძლევდა. პატრონებიც თავ-თავიანთ ძროხებს კისერზე ხელგადახვეულები დაჰფოფინებდნენ.

მაჯლაჯუნა უკვე დაკლულ, ენაგადმოგდებულ ძროხას ატყავებდა. სამი უკვე გაემზადებინა. მინაზე, ქათქათა ზენრებივით დაფენილ ტყავებზე, ფეხებაფშეკილი ძროხები წამოპლაკულიყვნენ. საცოდავი შესახედავები იყვნენ შიშველი, ტყავემომარცვული ძროხები. უსიცოცხლო სხეულზე ცისფერი ძარღვები რუს დამშრალ ნანრეტს მიუგავდათ.

– რასა შვრები შენა? – მაჯლაჯუნას მიეჭრა ესტატე.

– რა გინდა, კაცო? – არ შეეპუა მაჯლაჯუნა.

– ვისებსა ხოცამ?

– ჩემებსა. ესეც ჭია-გოგიასია. ახლა მუხიგულაანთსაც გავამზადებ, – სულთმობრძავ ძროხას ყელი გადაუნია მაჯლაჯუნამ და ის იყო დანა უნდა გამოეცვა, მუხიგულმა ხელი დაუჭირა.

– არ დაკლა.

– ვა, მადლობის მაგიერია? შენ ამის დამკვლელი ხარ? – გაიკრიჭა მაჯლაჯუნა.

– ხელი არ ახლო-მეთქი.

– ტყუილად უნდა ნახდეს, კაცო?!

– ეგ შენ არ გეკითხება.

– მა, რა უნდა უყო.

– მე ვიცი.

– მაინც?



მხატვარი ვაჟა ქურხული

– შენ რა უნდა უყო? – კითხვა შეუბრუნა მუხიგულმა.  
 – რა უნდა ვუყო? – გაიკვირა მაჯლაჯუნამ, – ტყავი ტყავად დაგვრჩება, ხორცს ბაზარში წავიღებ, შენ შენსას მოგცემ და მე ჩემსას დავინარჩუნებ.  
 – მონამლულ ძროხის ხორცსა, კაცო?!  
 – ვინ იცის რო მონამლულია?  
 – მე ვიცი, ამათაცა, – შექუჩებული ხალხისკენ გაიშვირა ხელი მუხიგულმა.  
 – მაგათებსაც წავიღებ.  
 – ვერ წაიღებ.  
 – ვინ დამიშლის?  
 – ჩვენა, – მუხიგულს გვერდით ამოუდგა ესტატე. ხალხიც მათკენ დაიძრა.  
 – მაშ, ეგრე ტყუილად უნდა წახდეს, კაცო? – შეცბა მაჯლაჯუნა.  
 – წახდეს, შენ ვერ წაიღებ.  
 – არ გინდათ, ნუ გინდათ, ჩემებს წავიღებ.  
 – ვერც შენებს წაიღებ, – მოხუცებს გამოეყო მუხიგული.  
 – ვინ დამიშლის?  
 – მე.  
 – როგორა?  
 – როგორაც.  
 – ფეხებსაც ვერ მომჭამთ, – თვალეები დააკვესა მაჯლაჯუნამ.  
 – ხალხო, სოფელი ვინ და ერთი კაციო, – ხმა გაიმკაცრა მუხიგულმა, – ამან რომ ეს ხორცი ბაზარში წაიღოს, სოფელს სახელი გაუტყდება, – ესტატე აღტაცებული შესცქეროდა ბიძაშვილს. ამასობაში იმედომ მუხიგულის ძროხა წამოაგდო და გააძუწულა.  
 – ჩემებს წავიღებ-მეთქი, ჩემებსა! – გავეშმა მაჯლაჯუნა.  
 – ვერც შენებს-მეთქი, ხომ გითხარი?  
 – შენა, რასა კამანდრობ აქა, ძველი დრო ხო არა გგონია? – ჩაიხითხითა მაჯლაჯუნამ.  
 – სწორეს გეუბნება, მაჯლაჯუნ, ვერ წაიღებ, – ბიძაშვილს მხარი მისცა ესტატემ.  
 – ჰოდა, ველარც შენ იპარპაშებ, – ყურსასმენი ააწვილა არჩილამ.  
 – გაიძურნე აქედან! – დაუტატანა მაჯლაჯუნამ, მაგრამ ხალხი ნელა შემოენყო მუხიგულს. მაშინ კი იცვალა ნიერი მაჯლაჯუნამ, – ვის ემხრობით, თქვენა, ვისა?! დაგავინყდათ რაც სოფელს მაგათმა გვარმა დამართა? კიდე გეშინიათ მაგათი, კიდეა?! ნულარ გეშინიათ. ესლა ეგენი მიწაზე ამოყრილი ღლაგებივით არიან, უილაჯონი, – დანის ლაპლაპით ტრიალებდა მაჯლაჯუნა.  
 ავარდნილი მტვრიდან „კოლხოზნიკი“ გამოიჭრა და ჯერ გაჩერებულიც არ იყო, ჭია-გოგია და ვეტექიმი ზაურა რომ გადმოცვივდნენ.  
 – ატარეთ, ხალხო, არ გააჩეროთ, არბენინეთ საქონელი, – მაშინვე საქმეში ჩაერთო ზაური, – როგორმე სოფლამდე აიყვანეთ. თბილი, სოდიანი წყალი ასვით, ერთნახადი არაყიც უხდება, ოღონდ არ დაწვინოთ, არ დაგივარდეთ.  
 – ვინ გვიყო ესა, ჭია-გოგია? ვინ დაგვღუპა, ვინ ამოგვაგდო? – ხალხი გარს შემოერტყა გამგებელს.  
 – ჯერ საქონელს მივხედოთ, მაგას გავარკვევთ.  
 – მინებთ მოგვინამლა ვიღაცამ, – აკრიახდნენ ქალები.  
 – შეიძლება სულაც გაფიცებულმა შალგმა უყო, ხალხო. მაგას მერე გამოვარკვევთ, ჯერ საქონელს მივხედოთ,

– გადარჩენილი ძროხები ბავშვებმა სოფლისკენ გაირეკეს. დავარდნილ საქონელში მაჯლაჯუნა დააბოტებდა.  
 – აბა, კიდე ვის გინდათ დაგიკლათ, გაგიტყაოთ, სარფინად გაგიყიდოთ.  
 – ვერ წაიღებ-მეთქი, ვერა! – ისევ წინ აესვეტა მუხიგული.  
 – ემანდ გული არ ამიფრიალო.  
 – ვნახოთ თუ წაიღებ.  
 – მაშ, მემუქრები კიდეცაა?!  
 – ხალხო, სოფლელებო, – კაცებს მიუბრუნდა მუხიგული, – მე არავის ვემუქრები, ანდა რალა ძალი შემწევს, მალე თქვენს ჭირსაც წავიღებ, მაგრამ სირცხვილს ნუ მომადვენებთ უკან, სოფლის სირცხვილს. ცოდოს ნუ დაიდებთ, მე-ზობლებო... ვინ ვინ და მე ხომ ვიცი, როგორი სატარებელია ცოდვა. გამოფხიზლდით, ნუ გაიმაჯლაჯუნებთ სულს...  
 – დამშვიდდით, ბატონო მიხეილ, – დაუყვავა ჭია-გოგია, – ესლა „ბელარუსი“ მოვა და ყველაფერს მოვევლება.  
 – ე, „ბელარუსი“ რალა ოხრობად გინდათ?! – წარბები შეყარა მაჯლაჯუნამ.  
 – დახოცილი საქონელი უნდა დაიფლას, – მაჯები გაიშვილა ზაურა ექიმმა, – მა, ეგრე ხო არ დავყრიო?  
 – ჩემებს ხელს ვერ ახლებთ! – დაიქანდა მაჯლაჯუნამ.  
 – ვახლებთ, – ნელში გაიმართა ესტატეც.  
 – ვინ ახლებს, თქვენა?  
 – სოფელი, – ისევ ააწვილა აპარატი არჩილამ.  
 – აბა, მოდით, – დანა მომიზადყოფნა მაჯლაჯუნამ, – ვის ჭკუაზე დაინხართ, ამ პროფესორისა?  
 – შენს შვილებს რომ მავედრებდი, მაშინ ხომ მოგწონდა ჩემი პროფესორობა? იმათზე ამაგს მაინც ნუ დამიკარგავ, – ჩაიღიმა მუხიგულმა.  
 – ამაგსა თორე, ვერ მოგართვი დაკროლილი კაკალი?  
 – რა კაკალი?! – შეცბა მუხიგული.  
 – რა კაკალი, – გამოაჯავრა მაჯლაჯუნამ, – დაგავინყდათ, ჩემმა ცოლმა რო ორი ვედრო კაკალი გადმოგიტანათ სახლში?  
 – რომელი, კერკეტი? – სული მოითქვა მუხიგულმა, – ის კაკალი კერკეტი იყო, ეგრევე გადაეყარეთ.  
 – რო გადაყარეთ, დაინახა ვინმე?  
 – ვის უნდა დაენახა?  
 – ჰოოო... – გახალისდა მაჯლაჯუნა, – ჩემმა დედაკაცმა რო ორი კარგა თავმობული ვედრო გადმოგიტანათ, ხო მთელმა სოფელმა დაინახა და თქვენ თუ გადაყარეთ, დაინახა ვინმემა?  
 დაბღვერილი ხალხი მაჯლაჯუნასკენ დაიძრა.  
 – არ მომეკაროთ, თორემა დაგაყრევივინებთ წელეებსა, – გაფაცვიცდა მაჯლაჯუნა.  
 – მაგ ხორცის ცნობას მაინც ვერ მოგცემ, საცინო საქმეა, – ზაურა ექიმი შეეცადა შეფხიზლებას.  
 – უშენოდაც კარგა დამქონდა, რად მინდა ცნობა?  
 – ესლა ვერ წაიღებ, სოფლის სახელს ვერ გაგასვრევივინებთ, – ჭია-გოგიაც გამოეცალა მაჯლაჯუნას. „ბელარუსმა“ კი თავდაღმართი ჩამოიხრიალა და დახოცილ ძროხებს წაადგა.  
 – მოიცათ, მოიცათ, თქვენი! – დაბზრიალდა მაჯლაჯუნა, – მე მოვუვლი ჩემს საქონელსა, მე ვიზარალებ, მევე დავეკუნავ, თქვენი... – გაგულისებულმა მოიქნია ალაპლაპებული დანა და მუცელგამობერილ ძროხას გამეტებულად ჩასცხო. „ბუჰო“, – იფეთქა გადოლისპირებულმა ფაშვმა და სკორე და წვირი ზედ შეაფრქვია პირდაღებულ პატრონს.  
 – ფუ, თქვენი დედაცა!.. – დანა მოისროლა მაჯლაჯუნამ და გინებ-ფურთხებით სოფლისაკენ გაენთო.

– იქამდე ხო შეგახმება კიდეც, მაჯლაჯუნ!.. – დაადევნეს უკან.

– მაგას ეგრე ადვილად გარეცხავ, ხალხო?

– ჯერ შიგნიდან უნდა გამოხანხალდეს და მემრე გარედანა, – ხარხარებდა სოფელი.

„ბელარუსმა“ ერთიც გადაიარა ნამობორცვებულ მინაზე და „კოვშის“ რწევა-ბარტყუნით სოფლისაკენ გასწავა. როდის-როდის ბერიკაცებიც შეჩლახუნდნენ ორლობეში და ჩამობნელდა უცებ, ჩამოლუსკუმდა. იქუხა ერთი მძლავრად და საიდანღაც მოვარდნილმა ალფერმა ცა ჩამოაშავა. აქოთქოთდა ზეცა, გადაიხსნა გული და ცერის სისხო წვიმის წვეთებმა მტვრის ბუშტულები ააბუყბუყა.

თავალერილი მუხიგული ეკლესიის ბილიკს აუყვავა. წვიმა ღვარად დასდიოდა თავ-კისერზე და ცრემლს უმაღავდა.

ეკლესიის კართან მიტანებული შედგა, შებარბაცდა და ის იყო უნდა ნაქცეულიყო, იმედო შეუდგა წელში.

– წვიმა მოვიდა, პაპავ, ნახე რა მადლიანი წვიმა! – ყურში ჩასძახოდა ბიჭი, მაგრამ მუხიგული ჩაჟანგებული ბოქლომისაკენ მიინევდა. ბოლოს როგორც იქნა მისწვდა, ხელი მოუფათურა და ღიმილმეყინული ჩაუცურდა იმედოს, ლოყა ეკლესიის კარზე მიგლესოდა.

– ეხლა მართლა აღარ არიან მუხიგულები საშიშნი, – თავზე დასდგომოდა ესტატე და ღვარად წამოსულ ცრემლს ვერ იკავებდა.

– გაჭრა, ხალხო, შეწირულმა მადლმა გასჭრა. ჩემი შეწირული საქონლის მადლმა გასჭრა!.. – სხვებზე მალლა ხტოდა მაჯლაჯუნა და სიბინძურეში ამოგანგლულ-წვირიან თავ-სხეულს, ახარხარებული ირეცხდა.

მარიანა ნანობაშვილის დებიუტი თავის დროზე გაზეთ „ჩვენს მწერლობაში“ შედგა და, უნდა ითქვას, რომ იმთავითვე მიიქცია მკითხველი საზოგადოების ყურადღება.

მარიანასათვის, როგორც მწერლისთვის, დამახასიათებელია ძლიერი ანალიტიკური გონება, რომლითაც ზედმიწევნით ზუსტი ფსიქოლოგიური სახეები იხატება. მაგრამ უმთავრესი, რითაც მარიანას ხელწერა აშკარად გამორჩეულია მისი თაობის პროზაიკოსთა შორის, არის უჩვეულო ინტიმი, სიცოცხლის დამამკვიდრებელი ის ჯიუტი და ერთდროულად ფაქიზი ენერგია, რაც ასეთი დეფიციტია დღეს უკვე არა მხოლოდ ხელოვნებაში, არამედ ცხოვრებაში.

რაც შეეხება ხერხს, რომელიც ამ ახალ ნოველაში გამოიყენა ავტორმა, ლიტერატურისათვის ცნობილია, კერძოდ მას აქტიურად იყენებს მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი. მაგრამ მიუხედავად ამისა, მარიანა ნანობაშვილის მიერ დახატული ასმათი მაინც კოლორიტული და საინტერესო სახეა.

მარიანა ნანობაშვილი

# ჩრდილების როკვა

...თუ მასეა...

...რადგან მასე ყოფილა ამბავი...

...კარგი, დამშვიდდი, კეთილო კაცო...

...მეც დავმშვიდდები... როგორ შემამინე თავიდან... ერთი წამით გავალ, სახეზე წყალს შევისხამ... სულს მოვიბრუნებ...

შენი მოულოდნელი სტუმრობით ჩაძინებული იარები გადამიხსენი. იმდენს ვინახავ გულში, გასკდა ოხერი... რადგან კარზე ხარ მომდგარი... რადგან შენმა სატროფომ თუ ბედისწერამ ამ მიყრუებულ ადგილას გამოგზავნა... მ ა ს თუ არ ჩავთვლით, პირველი ადამიანი ხარ, ვისაც ვხედავ დიდი, დიდი ხნის მანძილზე... კარგი კაცი ჩანხარ... შენმა ნაამბობმა გული ამიჩვილა... შენმა ცრემლებმა... მე კი... აღარ შემიძლია ამდენის ტარება, მოგიყვები ყველაფერს დაუფარავად, და მერე ჯანდაბამდის გზა მქონია!

ასმათი მქვია.

...მკითხავ, როგორ ვატარებ დღეებს? არ მკითხავ? შენი ცნობისმოყვარეობა მხოლოდ მ ა ს ეხება? არა, არ გინდა თვალთმაქცობა, ვიცი, რომ ასეა.

მკითხავ, ვინა ვართ ერთმანეთის? რატომ ვცხოვრობთ ერთად ამ მიყრუებულ გამოქვაბულში? დაიჯერებ, რომ გითხრა, მეგობრები ვართ-მეთქი? ყველაფერს დაიჯერებ?

დღეებს კი ასე ვატარებ.

დილაობით მას სანადიროდ ვაცილებ. ყორნისფერ ცხენს შევუკაზმავ, მარგალიტებიან უნაგირს გავუპრიალებ... ხელნაჭედ მკლავისსისხო მათრახს მივართმევ. მერე აქ ვბრუნდები და...

და არაფერი. წუთი წუთს მისდევს, ფიქრი – ფიქრს. წარსული სულ უფრო უცნაურ იერს იღებს ამდენი ხარშვით, სულ დაკარგა სიმკვრივე, ჩაფლავდა, ჩაიდლილია. უგემურ უსარგებლო საკვებად იქცა განამებული გაონებისათვის. პლატონი სანამ ცხოვრებას მზის შუქზე ჩრდილების როკვას მიამსგავსებდა, – რას გაცოცდი, მეფის კარზე განათლება მაქვს მიღებული – ისიც, ალბათ, კარგა ხანს ცხოვრობდა რალაც თავის გამოქვაბულში... ზურგით გამოსასვლელისკენ... თუ გამოსავალისკენ...

გავალ, გამოვალ...

ველოდები, როდის დაბრუნდება...

ველოდები იმის შემდეგაც, როცა დაბრუნდება...

...წლებია, ტყუილუბრალოდ ველოდები.

ერთად შეგვყარა ბედმა, საერთო კი არაფერი გვაქვს, ერთი ადამიანის გარდა, ვის ძებნაშიც ვართ ამდენი ხანია, ვისი პოვნის იმედიც გვაბამს ერთმანეთთან ჩვევის თუ ვალდებულების მყარი თოკებით. თორემ, საერთო კი არა, სალაპარაკოც არ გვექონია არასდროს თურმე მე და მ ა ს. როცა ვნება გონებას გიბინდავს, ეს არ განუხებებს, შეიძლება, ვერც შეამჩნიო. მაგრამ მერე... თუ ერთ გამოქვაბულში მოხ-



ვდით... თანაც მყარი, ჩვევის თუ ვალდებულებების თოკებით დაბმულები...

უკვე კარგა ხანია მინდა ყველაფერი გადაწყდეს... განწყდეს – იქ, სადაც წერილია... ნეტავ ვიპოვოთ, ვისაც ვეძებთ, ვისი პოვნაც ასე მეშინოდა წლების წინ... დავისვენებთ მეც და ისიც. იმ სიკვდილმისჯილს ვგავარ, დღიდან დღემდე რომ გადაუვადებენ სასჯელს, და ისიც დღიდან დღემდე ყოველდღე ემზადება სიკვდილისთვის...

...ახლა მზის შესახებ მოგიყვები.

მზე მე შევარქვი.

პირველად რომ დავინახე – ბავშვები ვიყავით, – ალტაცებით ნაშოვიძახე, რა ლამაზია, მზესავით ბრდღვიალამეთქი.

ყველას გაეცინა, მეფე კი მომიბრუნდა და მკითხა, გინდა, მისი სეფე-ქალი გახდეთ?

გამიხარდა. ერთი შეხედვით შემიყვარდა, ისეთი უცნაური სილამაზისა იყო.

გარემომყოფთა მთავარი დანიშნულება მისით ალტაცება და მასზე ზრუნვა იყო. მეც მის ალტაცებაში და მასზე ზრუნვაში ვიზრდებოდი, თავიც კი იმიტომ მიყვარდა, მგონია, პატივი რომ მეღირსა, მისთვის შემსახურა. ხშირად მიწოდებდა დას, და ეს ყველაზე ბედნიერი წუთები იყო ჩემს ბავშვობაში. ჩემს მოვალეობას მისი სურვილების ხმადალა გაცხადება წარმოადგენდა, იმიტომ, რომ მზე სამყაროს განმორბეობით არსებობდა და პირდაპირ არ ეხებოდა მას. ამისთვის მე ვყავდი, პატარა დაუღალავი სხივი, უსაზღვროდ ამაყი ამით. იცოდა მზემ, რომ მზე იყო, რომ მის გარშემო ბრუნავდა კაცობრიობა...

მეფემ მზეს ულამაზესი კოშკი აუგო, ტახტი იაგუნდებით და ლალებით გააწყობინა. ეზოში შადრევნები ჩქეფდა, საბანად ვარდის წყალი გვექონდა. დილა-სალამოს ბაღში სეირნობა გვიყვარდა. ზოგჯერ მზე ცერად გადმოხედავდა და მეც ყურს ვუმარჯვებდი ჩასაჩურჩულებლად. „მზეს ხილი ნებავს“, – ვიტყვოდი წლობით ათვისებული ღირსეული სიღიწივით. მებღაღებო ეცემოდნენ ხოლმე ნაირნაირ ხეებსა და ბუჩქებს ახალი ნაყოფის მოსაწყვეტად. ჩუმად მდგარი მზე მშვიდად ალივილებდა გასაოცარ მელნისფერ თვალებს, მერე ჩუმადვე დააგემოვნებდა ოქროს ლარნაკზე მორთმეულ ხილს და მეტყველად გადმოხედავდა. „მზე კოშკში ბრუნდება“, წარბს ვწევდი მე და მონას ვანიშნებდი, ლარნაკი თან წამოელო. კოშკის კიბეზე მონებს ოქროს საკაციით ავყავდით, გვერდიგვერდ ვისხედით, თანასწორებით, დებივით...

...თანასწორებით, დებივით გვერდიგვერდ გვეძინა, ვჭამდით, ვთამაშობდით, ვქარგავდით. მერე მეფემ მზე თავის ქვირთ დას მიაბარა, რათა მას ერთადერთი ძმისწულისთვის სიბრძნე ესწავლებინა.

დავარის ძალიან მეშინოდა. ნიღაბით უმეტყველო სახე ჰქონდა, თხელი ტუჩებიდან ძუნწად ცრიდა სიტყვებს. გასაოცარი ის იყო, რომ, სრულიად განსხვავებული გარეგნობის მიუხედავად, რაღაცით მზეს მაგონებდა. ერთნაირი გამოხედვა ჰქონდათ, მზეს გადაშლილ და მუქ, დავარს – გაქუცულ წარბქვეშიდან, იდუმალი, გულის სიღრმეში მოფათურე გამოხედვა, ორივე აქვავებდა – ერთი აღფრთოვანებით, მეორე შეძრწუნებით. არც იყო გასაკვირი, დავარს მთელი ცხოვრება ქაჯეთში ჰქონდა გატარებული. დაქვრივების შემდეგაც იქ განაგრძობდა ცხოვრებას, მიუხედავად უშვი-

ლობისა. დარწმუნებული ვარ, მეფეს დის შიშნარევი რიდი გააჩნდა, – მის სიბრძნეზე არაკები დადიოდა. ამიტომაც მიაბარა ალსაზრდელად ტახტის ერთადერთი მემკვიდრე.

ახლა იმდენ დროს ველარ ვატარებდით მე და მზე ერთად. მამიდა თითქმის მთელი დღე თან იახლებდა, მხოლოდ ორი ერთგული მონა ემსახურებოდათ. შორიდან გეგონებოდა, თითქოს არც ლაპარაკობდნენ, მხოლოდ დავარი დროდადრო ძუნწად ცრიდა სიტყვებს სადღაც სივრცეში, მზეს არ უყურებდა, ისე. მზე კი დუმდა, დუმდა, დუმდა მელნისფერი თვალების მშვიდი ლივილივით. ვერ გაიგებდი, უსმენს, თუ არ უსმენს... დღე დღეს ისე დაემსგავსა, თვე – თვეს, როგორც ცაზე ვარსკვლავები ზაფხულის ცხელ ღამეში... მერე, როგორც იქნა, სასახლეში დაგვებრუნეს... და სწორედ მაშინ დაიწყო ეს ამბავი.

ერთხელ მეფემ ნადირობის შემდეგ მოგინახულა, თან ნანადირევიც მოგვართვა. ბაღში მოწყობილ კარავში ვისვენებდით მზე და მე, ორი მონა უძრავად გარინდულიყო ფარდაგს იქით. მზეს გაეხარდა მამის დანახვა – მელნისფერი თვალის კრიალზე შევატყე, მიუახლოვდა, შუბლი მიუშვირა საკოცნელად. მე თავდახრით ვეცი თავყვანი. მეფე კარგ გუნებაზე გახლდათ, დაბრძანდა და თავისი ქალი მოიკითხა. მზე მშვიდად სცემდა პასუხს. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემს მოვალეობას ვერ ვასრულებდი, მაგრამ მეფე მამასთან მზე უბრალო საყვარელი მოკვდავი იყო.

უეცრად მეფე მომიბრუნდა და გარეთ მომლოდინე ამირბარისთვის ნანადირევი დურაჯების გამორთმევა მიბრძანა. მზეს გავხედე მალულად, თვითონაც თვალი მიყო – ამირბარზე ბევრი გვექონდა გაგონილი და დიდი ხანია მისი ნახვა გვინდოდა. ფარდა გადავნიე და გავიხედე.

ველოდი, ერთი ძალიან ლამაზი ყმანგილი დამხვდებოდა...

ეს სხვა იყო... ლამაზი კი არა... ვაჟკაცი კი არა... უფრო სწორად, როგორ არა, სწორედაც რომ იყო, მაგრამ... ათასიდან გამოარჩევდა თვალი. აი, რაღაც აუხსნელი ქალური გუმანი... ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს პირველ მამაკაცს ვხედავდი, მინიდან ახლად გამოძირნილს, სუფთას და სრულყოფილს. მის გვერდით ყველაფერი მამრობითი ხუნდებოდა. ვუცქერდი ასე, მონინებით და გაოგნებით, თვითონაც დაძაბული მიყურებდა. უცებ კარვიდან მეფის ხმა შემომესმა. გამოვერკვიე, ამ ღმერთკაცს მიუახლოვდი და დურაჯები გამოვართვი. უეცრად მან ჩემს თვალწინ ფერი დაკარგა და ჩაიკეცა...

ატყდა ერთი ამბავი. მეფე არასდროს მინახავს ასე შეშინებული. უყვარდა ძალიან, შვილივით ზრდიდა ამ ყმანგილს. ხან წყალი ასხეს, ხან ქახემი ურტყეს. მერე სასახლეში გადაიყვანეს, და ჩვენს, ქალების, პატარა სამფლობელოში ისევ სინყნარე ჩამოწვა.

მზეს მუხლებთან მოვიკალათე, შემფოთებით ჩახვედე საოცარ თვალებში. და მრავალი წლის მანძილზე პირველად არ დავინახე მელნისფრად მოლივივი განურჩეველი სიმშვიდე. იქ ახლა მოუსვენარი შფოთიანი ტალღები დარბოდა. შეხედე-მეთქი, მზეო, ამირბარს? გაელიმა. იმნაირად, როცა გაახსენდებოდა, რომ მზეა და მის გარშემო ბრუნავდა მინამრგვალი. მანაც დამინახა, შენ რომ ფარდა გადასნიე, – იმიტომ დაემართა გულყრაო, მიჩურჩულა. გამწინკნა გულში, გამწინკნა. მზესთვის აღარაფერი მიკითხავს მელნისფერში აყალყულ ტალღებზე.

სამი დღე სიკვდილს ებრძოდა ამირბარი. ამბობდნენ, ემ-მაკი შეუჩნდაო. მერე გონს მოვიდა, და მთელმა სასახლემ შვეებით ამოისუნთქა.

სწორედ მაშინ მიბრძანა მზემ იმ წერილის დაწერა.

მთელი დღე ვინვალე. სასიყვარულო წერილი ცხოვრებაში არ დამეწერა, მით უმეტეს, ღმერთკაცისათვის, რომელსაც ნებისმიერი ქალის მინიერი სიყვარული შეურაცხყოფდა თითქოს... ალბათ, მზეს სიყვარულის გარდა... ცხადია, უბრალოდ ისე არ მიბრძანებდა ამ წერილის დაწერას... ბოლოს თავი მზედ წარმოვიდგინე. ეს არ გამჭირვებია – ბავშვობაში ხშირად ვთამაშობდი მალულად, ვითომ მზე ვიყავი მე და ის – ასმათი. ბოლო-ბოლო, რაღაცა გამოვიდა, მზემ რომ წაიკითხა, კმაყოფილი დარჩა.

იმ ღამეს სიზმარი ვნახე.

ღმერთკაცს თავი ჩემს მუხლებზე ედო, მე თმაზე ვეაღვრებოდი.

გეფიცებით, არც ცხადში, არც სიზმარში, არც მანამდე, არც მას შემდეგ მსგავსი ნეტარება არ განმიცდია. არც არსებობს ბუნებაში, ალბათ. უეცრად ღმერთკაცმა თავი ასწია და მაკოცა...

...შეხება ისეთი ცხადი იყო, გამოვფხიზლდი. ტუჩი მიხურდა. მაშინ ჯერ ვერ ვხვდებოდი, რომ სიზმრის დამწვრობა მივიღე – უდრტივნივლად ჩავიძინე და შეყვარებულს გამოვლევდი.

რას არ ნახავ სიზმარში-მეთქი, არეულმა გავიფიქრე. გამოყოლილი განცდა ისეთი ძლიერი იყო, კარგა ხნით წამართვა თავი. თუმცა მოგვიანებით, როცა მზესთან ერთად ვსაუზმობდი, ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდა – მე, ჩემი სათაყვანებელი მბრძანებელის დამ და მოახლემ, ღრმად გულში ჩავიჩურთე კადნიერი სიზმარი. ერთადერთი, რაც ახლა მინდოდა, საუკეთესოდ შემესრულებინა მზის ჩანაფიქრი.

წერილი მონას გავატანე, თან გული საგულეს არა მქონდა – ის ხომ ჩემი სახელით მიუვიდოდა. ღმერთკაცს რაღაც დროის მანძილზე ეგონებოდა, რომ მიყვარს...

ეგონებოდა თუ ეცოდინებოდა...

მონამ პასუხი მომიტანა – იგი თანახმა იყო შეხვედრახე.

მზეს უნებური ფარული ნიშნისგებით გავხვედე და თავი შემძაგდა. მან მშვიდად შემომალივლივა მელნისფერი თვალები და თავისი დაწერილი წერილი ამოაცურა უბიდან. უხმოდ გამოვართვი და ჩემს ოთახში შევედი გასამზადებლად.

მარტოდ დარჩენილმა ერთხანს ვათვალიერე თავი სარკეში. რა სახის კანი მაქვს, რა თმა, რა თვალები! კარგი ვარ, ძალიან კარგი, ოღონდ... როცა თავზე დამდგარი მზე არ მჩრდილავს...

აკანკალებული ხელებით წავისვი ფერუმარული, მოვიწერე თმა და, მზეს რომ ჩემი განსაკუთრებული მზადება თვალში არ მოხვედროდა, შინვე ჩავიფუთე პირბადეში.

...მონა წინ გაუშვი. მე სასახლის ერთ მოფარებულ კუთხეში დაველოდე. დარბაზში ნადიმი გაემართათ, ნაავადმყოფარი ამირბარიც იქ იყო. მონა მალევე დაბრუნდა და ღმერთკაცის საძინებელში აღმოვჩნდი მისივე ბრძანებით. იქ როგორ შევედი, არ მახსოვს. შუა ოთახამდე მივედი და გავხვედი. გავიდა რაღაც დრო. ალბათ, საკმაოდ ცოტა ხანი, თუმცა მე საუკუნედ მეჩვენა. მერე გარედან ნაბიჯების ხმა შემომესმა და თავი მოვიყოჩაღე. ნელა შემოვიდა, დაკვირვებით შემომხედა. როგორც იქნა, გახევებული სხეული და-

ვიმორჩილე და თავიანი ვეცი. შევატყე, გაუკვირდა. თუ ჩემი სურვილი გკლავს, რატომ დგახარ მოშორებითო, გამეთამაშა თამამი ღიმილით და ჩემკენ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა. ამ სიტყვებმა გამომაფხიზლა, როგორღაც მეწყინა, პირბადე მოვიხსენი. თავიდან ფეხებამდე მყისიერი მზერა მესროლა, აღფრთოვანება შევატყე... კარგი ვიყავი, ძალიან კარგი, მზე რომ არ მადგა თავზე...

ცივად ვუთხარი, რომ მხოლოდ ჩემი ქალბატონის ბრძანებით მოვედი მისთვის წერილის გადასაცემად. გაფითრდა. შეცვლილი სახით გამომართვა წერილი და ტკივილით შევამჩნიე, რომ მისთვის უცებ გავექრი. სულმოუთქმელად ჩაიკითხა, იქვე დაწერა პასუხი და მერეღა მომხედა.

– ქალბატონმა გადაწყვიტა, უმჯობესია, ყველას ეგონოს, რომ შენ... და მე... რომ...

– გასაგებია, – მითხრა. მერე ძვირფასეულობით სავსე ზარდახმა გამოიტანა და გამოიმინოდა. გაოცებით შევხვედე. როგორღაც დარცხვენილი ჩანდა, ალბათ წელანდელი გაუგებრობის გამო, და საერთოდ ვერ ხვდებოდა, რომ სწორედ ახლა მატკინა გული.

– მადლობა, თავზე საყრელად მაქვს ესენი, – დავხარე თვალები, მათში ჩემი გული რომ არ წაეკითხა. სხვადასხვა თვლებით განწყობილი ოქროს სამკაულები მზესავით ანათებდა სანთლების სუსტ ციალში. ღმერთკაცმა ამ ერთგვაროვანი გროვიდან ბეჭედი ამოიღო და უხმოდ გამოიმინოდა. სიზმარეულოვით გამოვართვი და თითზე ჩამოვიცვი. ცალკე ის ულამაზესი და ნატიფი აღმოჩნდა... როცა ზარდახმის ბრდღვიალში არ იკარგებოდა... და მე საჩუქარი მივიღე.

მზემ მისწერა, რომ იცის – მისი სიყვარულის გამო გახდა ავად ამირბარი, ისიც თანაუგრძობს, მაგრამ უნდა, თავისი რჩეული ბრძოლის ველზე გამოსცადოს, და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ...

მზე უნდა იყო, რომ ასეთი წერილი გაუბედო ღმერთკაცს.

ორიოდე დღის შემდეგ თავისთან დაიბარა.

ბაღში მე შევეგებე, მანამდე ერთი სიკვდილი გავათავე, სანამ ყველა

მონის და მსახურის იქიდან მოცილება მოვახერხე.

შორიდანვე რომ დავინახე, თითქოს მკერდში რაღაც ჩამწყდა. მაშინ ვუთხარი პირველად ჩემს თავს, მიყვარს-მეთქი.

არ ვიცი, როგორ შევძელი მხიარული სიცილ-კისკისით მიგებება, საერთოდ ლაპარაკი. როგორ არ გამისკდა გული, მზესთან რომ შევიყვანე კარავში. ერთმანეთს როცა უყურებდნენ... ისე უყურებდნენ...

მერე მზემ ცერად გადმომხედა, მეც მივუახლოვდი და ჩვეულებისამებრ ყური მივუმარჯვე ჩასაჩურჩულებლად.

– ახლა ვერაფერს გეტყვის, სჯობს ნახვიდე, – გაუზბედე ღმერთკაცს.

ისიც ნავიდა.

...სასახლეში ომის სამზადისი დაიწყო. ამირბარმა ხატაელებს თავხედური წერილი მისწერა და სულ მალე თავხედური პასუხიც მიიღო. დაიწყო ენით აუნერელი ქაოსი, ჯარის შეგროვება, გეგმების შედგენა. კაციშვილი არ ეჭვობდა, რომ ამ ყველაფრის წამომწყები, სასახლის ამოებას მშვენიერ ბაღში გარიდებული, მელნისფერი თვალების დაკვირვებული ლივლივით მშვიდად იჯდა და ახალ სუფრას ქარგავდა.



მთელი ის დრო, ვიდრე ლაშქარი გამარჯვებით დაბრუნდებოდა, თავაულებლივ იმუშავა.

მერე ისევ გამგზავნა წერილით.

ღმერთკაცი რომ დავინახე, სუნთქვა შემეკრა. თუკი შეიძლებოდა სრულყოფილების სრულყოფა, არ მეგონა. ბრძოლის უინმა და გამარჯვების სიამაყემ რალაც სხვა კვალი დააჩნია მთელ მის არსებას. თაყვანი მინდოდა მეცა, მაგრამ დამასწრო და შუბლზე მაკოცა. უხაროდა ხოლმე ჩემი დანახვა, ჩრდილი ყოველთვის გულისხმობს მზეს.

მზემ მასთან ძვირფასი სამკლავური გამატანა საჩუქრად, და როცა ღმერთკაცმა ის რუდუნებით მოირგო, მივხვდი, რომ მთელი მისი ვაება შეფასებული და დაფასებულია, რომ იგი ათას ხატაეთს აიღებს ერთი ასეთი, მზის ნაქონი სამკლავურისთვის.

...ნეტა, როდის დამეკიდა ეს მძიმე ლოდი გულზე, მოძრაობები რომ დამიბრკოლა, ცხოვრების ხალისის ნატამალი არ დამიტოვა?

მზე ჩემთვის მოიღრუბლა. მზე, რომელსაც ყველაზე მეტად ვეთაყვანებოდი ამქვეყნად. ორივე დავიძაბეთ, ორივე თითქოს პირველად ვხედავდით ერთმანეთს, მაგრამ მზე მაინც მშვიდი, ძალიან მშვიდი იყო...

...ვიდრე თავზარდამცემ ამბავს შევიტყობდით – მას ხვარაზმას ვაუზე ათხოვებენ.

მზემ მხოლოდ ერთი იკითხა – ამირსპასალარმა თუ იცისო. ამით შევატყე მხოლოდ, რომ მრისხანებისგან თავგზა ჰქონდა არეული. სხვა შემთხვევაში ასეთ კითხვას გარეშებთან არ დასვამდა.

კიო. ისიც იყო თათბირზეო.

მზეს რალაც გაბმული დაბალი კენესა აღმოხდა. რომ შევხედე, გამაცვივა, ისეთი სახე ჰქონდა. ამირბარის მოსაყვანად გამგზავნა.

ვიდრე იგი მოვიდოდა, მზე ტახტზე წამოწვა, სადღაც, ჭერის მიღმა რალაცას დაკვირვებით ათვალიერებდა, ალბათ, თავის ფიქრებს. მერე ჩვეულებრივი ქალივით მწარედ ამოიხრა. გული დამენვა, მივვარდი და ვაკოცე მშვენიერ შუბლზე. მოდისო, მანიშნა და რბილად მომიცილა, ტახტზე კეკლუცად წამოინია, ტანისამოსზე დაიხედა, შეისწორა. მერე მრისხანე იერი მიიღო.

ამირბარი ისედაც ნირნამხდარი ჩანდა, მძვინვარე ვეფხვივით წამოწოლილი ქალის დანახვაზე სულ მოიღვენთა.

საუბარი მძიმე იყო. მზემ მოლალატე უწოდა, ამირბარი თავს იმართლებდა, მეფის გადანყვეტილების წინააღმდეგ წასვლის ნება არ მქონდაო. კუთხეში მიმჯდარი ჩუმად ვუსმენდი. გული საგულეს არა მქონდა, თვითონაც აღარ ვიცოდი, რა მინდოდა, რასა ვგრძნობდი. ეს ქორწინება იყო ისეთი უბედურება, და ამავდროულად – ო, ღმერთო, ისეთი ბედნიერება... საკუთარი თავი მეზარებოდა, მაგრამ ვგრძნობდი, – საერთოდ ველარ ვუმკლავდებოდი თავსდამტყდარ

გრძნობათა მორევს, ამიტომ აკანკალებულმა, სუმთლად სველმა და მისუსტებულმა თვალები დავხუჭე და თავი კედელს მივყარდენე.

– ...მაშინ სასიძო უნდა მოკლა, სხვა გზა არ არის, – შემომესმა რალაც ბურანიდან მზის ხმა. ფეთიანივით წამოვჯექი. მე უწინდებურად არავინ მაქცევდა ყურადღებას.

შემომესმა თუ ეს მზემ მართლა თქვა... არა, არ შემომესმა... მზე არიგებდა ამირბარს, როგორ უნდა მოეკლა ხვარაზმას ძე მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დათანხმდა მამამისის შემოთავაზებას, შეერთო მზე ცოლად... არიგებდა, როგორ უნდა ემართლა თავი ხელისუფლების წყურვილით და როგორ არ უნდა შეემჩნია მზის მიმართ სიყვარული. მელნისფერი თვალების მშვიდი ლივილივით არიგებდა...

ამირბარი მორჩილად უსმენდა, ყველაფრისათვის მზადყოფნის გამომეტყველებით...

...მზე საბოლოოდ ჩამიქრა.

...ყოველთვის ყველაფერი ისე ნათელი იყო ჩემს ცხოვრებაში, ფეხი არსად მიცდებოდა. ახლა კი თითქოს სიბნელეში ხელის ცეცებით მივყვებოდი ჩემი განცდების მოულოდნელ ლაბირინთებს... როგორც უეცრად თვალებილი ბრმას, ისე მიკვირდა ჩამოწოლილ ბნელში ნაცნობი საგნების და სახეების ახლებური წარმონაქმნები, ათროლოებული თითებით რომ ვსინჯავდი... ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ სადღაც ჩემი თავი დავკარგე. დავკარგე თუ რატომღაც დამემალა, შეიძლება მოვებზრდი ასეთი ჩრდილი... ზედმეტად ფერხითი განოლილი, ზედმეტად კუდში მდევნელი, ზედმეტად განადებულნი... და მეც რატომღაც აღარ მქონდა სურვილი მეძებნა ის, ჩემი თავი...

– ასეთი განრისხებული მეფე მანამდე არ მენახა... რაც ხელში მოხვდა,

ყველაფერი მილენ-მოლენა. მე თავჩაქინდრული ვიდექი და მხოლოდ იმას ვნანობდი, რომ ასე დავაგვიანე. ვხვდებოდი, რომ უკვე მეც ვძულდი, მხოლოდ მისი თავიდანვე მოცემული სიტყვა მიცავდა ახლა შუაზე გაგლეჯისაგან. მოკლულ უფლისწულს ვილაცა რომ შეენიერებოდა, ცხადი იყო. ამირბარმა თავს უშველა, მზე ხელშეუხებელი იყო, და მეფეს უცებ თავისი და გაახსენდა. თითქოს მწარე შვება იგრძნო, როცა ჯავრის ამოსაყრელი ნახა. ნამდვილად კუდიანობა შესანავლა ჩემს შვილსო და დაიფიცა, ცოცხალს არ დავტოვებო.

...მეფე ყოველთვის ასრულებდა ფიცს...

...სალამომდე სასახლიდან ვერ გამოვალნივ. მერე როგორღაც გამოვიპარე. მივბრბოდი, რაც შემეძლო. ფეხებში აბრეშუმი მეტლანდებოდა. არ ვიცოდი, უკვე მიაღწია თუ არა დავარის ყურამდე მეფის ფიცმა, ასეთ შემთხვევაში კი, კაცმა არ იცის, რას იმოქმედებდა. ძალიან, ძალიან მეშინო-



მხატვარი მალხაზ იაშვილი

და მისი... დარბაზებში არავინ დამხვდა. შორიდან მზის კივილი გავიგონე. გული ყელში მიცემდა, ფრთხილად მივუახლოვდი მის საძინებელს და გამაცივა. გაგიჟებული დავარი მთელი ძალით ათრევდა თმებით მზეს, ნიხლებს ურტყამდა „შე ბოზოს“ ძახილით. ფეხები დამიძიმდა და თითქოს იატაკს შემეზარდა. ქალმა მზე ძირს დაანარცხა. სახე მოღრეცოდა და მძიმედ სუნთქავდა. „ახლა წაათრიეთ, როგორც გითხარით,“ – უბრძანა მონებს, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ მონინებით გვემსახურებოდნენ. ისინი უცნაური სიხარულით მიუახლოვდნენ დამხობილ მზეს, მკლავებით ასწიეს.

ორნი იყვნენ. ჯერ ერთმა მკრა ხელი, მერე მეორემ და თვალის დახამხამებაში აღმოჩნდი უშველებელ ზურგებს უკან. შევკვივლე, მუშტებიც ავაბრაგუნე მორებივით ხერხემლებსა და სქელკანიან ოფლიან ბეჭებზე. ყურადღებას არავინ მაქცევდა, არც გრძობდნენ მაინცდამაინც ჩემს დარტყმებს, მაშინ იყო, ერთ-ერთს იდაყვთან რომ ვუკბინე. ერთი სამინელი ხმით იბლავლა, მოქნულმა გაპლილმა მკლავმა კარგა მანძილზე მომისროლა, თავის გაუსადღისი ტკივილი ვიგრძენი... ძლივს წამოვჯექი და ტკივილისა და უძლეულებისგან ავტირდი. გატეხილი თავიდან თქრიალით მდიოდა სისხლი, ამის დანახვაზე უფრო შემინუხდა გული. მერე რა ხდებოდა, ბუნდოვნად მახსოვს. ერთს ვხვდებოდი, ნაცემ-ნაბეგვი მზე წაიყვანეს, მე კი ცოცხალ-მკვდარი ვეგდე და ვერაფერს ვშეგლოდი.

...შარას მთვრალივით მივუყვებოდი, ბანცალით... რამდენ ხანს მივდიოდი, არ მახსოვს. თვალწინ დავარის ბოლო გამომეტყველება მედგა – ავად და ნიშნისგებით შემომხედდა, ვიდრე მთელი ძალით დაიცემდა დანას მომჩვარულ ძუძუსქვეშ. ყურში მზის კივილი მესმოდა ისევ. თავზე ჭრილობა მტკიოდა, გულამოსკვნივით ვტიროდი. ნეტა სულ არაფერი მეთქვა მეფისთვის. უცებ ამირბარი დავინახე. ისე მზრუნველად და შეშფოთებით მომვარდა, გული ამიჩვილდა, ფეხებში ჩაუფვარდი და ქვითინით დავიწყე პატიების თხოვნა. კინალამ ყველაფერში გამოვუტყდი, ჩემი გული მუჭში მოგროვილი ჩაფშვნილი ბროლივით გადმოვუშალე, მაგრამ უცებ მან მზეზე მკითხა, და ვიგრძენი, როგორ გაიფანტა ბროლის ნატეხები მისი ხელნაკრავი ჩემი მუჭიდან.

უცებ დავმშვიდდი, წამომაყენა, და მე თითქმის დალაგებით მოვუყევი დავართან მომხდარის შესახებ.

ამოიოხრა.

მაგრად ჩაფიქრდა.

ბოლოს, ხომ დამეხმარებო, მომიბრუნდა.

...და თუმცა თავი და გული ძალიან მტკიოდა, მაინც ვიგრძენი, რომ სამყარო ისევ გამინათდა...

შემდეგი დღეები, როცა უკანმოუხედავად მივყვებოდი თავის მონებთან ერთად, მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რომ ბედმა ერთი ცდა მომცა ჩემი სიყვარულის მოსაპოვებლად, და დანარჩენზე თვითონ უნდა მეფიქრა.

და ფასიც მე უნდა დამედო.

და მევე უნდა მეყიდა...

და გამეყიდა...

...მზე მენატრებოდა.

და მძულდა.

მომენატრებოდა, აბა, რა იქნებოდა, რაც თავი მახსოვს, მზეც მახსოვს, და ერთი დღითაც არ დავცილებივართ არასდროს.

შემძულდებოდა, აბა რა იქნებოდა, ერთი კაცი გვიყვარდა, რომელიც მხოლოდ მისთვის სუნთქავდა.

თუმცა ზოგჯერ, საღამოობით, როცა მზის ძებნით ქანცალეულები, ღმერთკაცის ნანადირევით ვვახშობდით, ისე ამომხედავდა შუბლქვეშიდან... თითქოს რალაც ძალიან ნაცნობს და სულელურად დავიწყებულს იხსენებდა... თითქოს მაშინ მამჩნევდა მე, ქალს, ასმათს, და არა უკვე ჩვეულ ჩრდილს, მზისგან მის ფეხქვეშ გაგებულს...

შეიცვალა ძალიან. ხვარაზმმას ვაჟის მოკვლის შემდეგ ნელ-ნელა შფოთიანი, ავი გახდა, სახიდან უკვალოდ გაუქრა მიმდობი ახალგაზრდული სიალაღე, და მე ახლა უკვე მეშინოდა მისი. თუმცა ამის გამო უფრო თავდავინყებით მიყვარდა, უფრო მონური მორჩილებით. აღარ იყო უწინდებურად მონინებული და ალერსიანი, მუდმივად გაღიზიანებული და უხეში დადიოდა.

ერთხელ თავის მიერ მოკლული ვეფხვის ტყავისგან სამოსი დამამზადებინა და მას შემდეგ სულ ზედ ეცვა...

საღამოობით სულ უფრო რალაც გაბოროტებით ამომხედავდა ხოლმე შუბლქვეშიდან, შიშით ვიბუზებოდი და თვალს ვარიდებდი... ზოგჯერ მეჩვენებოდა, ისიც იცოდა, რომ მეფეს მე ვუთხარი უფლისწულის მკვლელობის შესახებ.

ერთხელ კი, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ველოდი, გვერდზე მომიჯდა, აკანკალებული ხელებით სახეზე ჩამოვარდნილი კულუღი გადამინია და: რა ლამაზი ხარო, მითხრა სხვანაირი ხმით.

მე ჯერ კიდევ ჩვენი ხეტიალის დასანყისშივე მქონდა მიღებული გადაწყვეტილება. ვიცოდი, რომ ეს იყო ერთადერთი კაცი ჩემს ცხოვრებაში, ათასი სხვაც რომ გამოჩენილიყო, და ათასს მზესაც რომ ვერ ეპატიებინა ჩემთვის ეს.

ისიც ვიცოდი, რომ მზეს ორ დღეში ვერ ვიპოვნიდით.

და ისიც, რომ ერთხელაც იქნებოდა, გვერდზე მომიჯდებოდა ღმერთკაცი, აკანკალებული ხელით თმას გამისწორებდა და – რა ლამაზი ხარო, მეტყოდა სხვანაირი ხმით...

მაშინ, ატატებული რომ წამიყვანა ტყის სიღრმეში, როცა ყურთან მისი მძიმე სუნთქვა მესმოდა, როცა გადარეული პირველად მეფერებოდა გაშიშვლებულ აყალყულ კანზე, მე მივხვდი, რა არის ედემი. როცა მოგვიანებით დამნაშავე და დაბნეული სახით თვალის არიდებას ცდილობდა კოცონთან, მონების მოქილიკე გამოხედვათა უარეს ცეცხლქვეშ, ბოლოს უწინდებურად ჩემს შორიახლოს დანვა და ეგრევე დაეძინა, მივხვდი, რა არის ჯოჯოხეთი.

...დროთა განმავლობაში მონები დაიხოცნენ, და ჩვენ ორნი დავრჩით.

...მაშინ იყო, ამ გამოქვაბულს რომ მივაგენით და აქ დავიდეთ ბინა.

ვცხოვრობთ ასე, სხვადასხვა მოლოდინში... მას მზის ნაჩუქარი სამკლავური უკეთია ისევ მკლავზე, მე თითზე – მისი ნაჩუქარი ბეჭედი...

კეთილო მოყმეო, სულ ესაა ჩემი ამბავი... და-ძმობას, ნუ ეტყვი ჩემს მონათხრობზე ნურაფერს ღმერთკაცს...

არ შემეძლო, არ მომეყოლა, გასკდა გული, ოხერი...

დაგმალავ, და როცა დაბრუნდება, შევპარებ შენს აქ ყოფნას... ძალიანაა გაველურებული, არც ის ვიცი, რას იმოქმედებს... თუ არ მოგკლა და მიგილო, ხომ თვითონვე მოგიყვება თავის ამბავს...

თავისი გამოქვაბულის ჩრდილების როკვაზე...



ვანო ჩხიკვაძის პოეტური დებიუტი რამდენიმე ათეული წლის წინათ უკვე საკმაოდ წარმატებული გახლდათ, მრავლისაღმტყმელი, და მისი ყოველი ახალი ლირიკული კრებული ადასტურებდა ავტორის გამორჩეულობას საერთო მდინარეებში. განსაკუთრებით ბოლო წლების პოეტური ნიმუშები აღიბეჭდა იმ სიღრმითა და დრამატიზმით, იმ ენობრივი სისავსითა და ექსპრესიით, რაც ჭეშმარიტი პოეზიის თვისებაა. ვანო ჩხიკვაძის დიდტანიანი კრებული, რომელიც მალე გამოიცემა და თავს მოიყრის მისი საუკეთესო ლირიკული ნიმუშები, უთუოდ არაორდინარული მოვლენა იქნება ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში, მანამდე კი მკითხველს ვთვაზობთ მის ახალ პოეტურ რკალს.

**ვანო ჩხიკვაძე**

ისე მოვიდა,  
ისე წავიდა,  
იყო თუ არა, ვერვინ გაიგო.

**საღვთა**

ვიცი, რომ საღვთა რტო აყვავილდა,  
მთვარე ბულრაობს თეთრი ეშვებით,  
მე კი დამჩხავის ხიდან ყვავი და  
თვითმკვლელობაზე ფიქრებს ვერჩევი.

რა ვუყვოთ, მინა მიიღებს ყველას,  
ვინც წუთისოფლის შესვა სამსალა –  
ჭკვიანს და სულელს,  
სარდალს და ბელადს,  
უგვანოს, მეძავს თუ მანანალას.

ამ გაზაფხულზეც ლურჯად ნანვეთი,  
მაფხიზლებს იის თვალის ახელა.  
რა ვქნა, სხვებივით ზურგს შეგაქცევიდი,  
სამშობლო რომ არ გერქვას სახელად.

გარეთ თავკვერი ჩაჰკვრია ჭიგოს,  
შიგნით ნაყავენ ქინძსა და ნიგოზს.  
– გიყვარდა ძილი, – ჩურჩულებს ცოლი, –  
რამდენიც გინდა იძინე, გიგო!

**იასამანი**

ფუტკრის სკებთან ფუსფუსებენ წმინდა მამანი,  
მაყვლიანში თაფლისფერი იწვის საღამო.  
ლობესთან დგას მოწყენილი იასამანი,  
ავგიანებ აყვავებას, იასამანო.

სასაფლაოზე ხრჭიალებს ბარი,  
გადამსკდარია ხრიოკი ბზარით,  
და საცოდავი გიგოს მისვლამდე  
ცივი სამარე ივსება მთვარით.

**წარწერები საფლავის ქვაზე**

სულში წვეთავს შორეული რეკვა ზარების,  
რომ ცოდვები სინანულის ცრემლმა დანამოს.  
ვიყავ. გნახე.  
გულნატკენი მივემგზავრები.  
ჭირისუფლად ხომ დადგები, იასამანო!

1.  
იქიდან აქეთ მოდიან,  
აქედან იქით – ველარ.  
მარმარილოზე ყინულის  
თეთრი პირბადე დენბა.

ანყვეტილი ბილიკები ცისკენ მიდიან,  
ხელგამლილი მელოდება შემწე ობოლთა.  
მაცხოვარო, რა სიჩუმე, რა სიმშვიდეა,  
თითქოს უკვე გავიარე ჩემი გოლგოთა.

2.  
რომ გიყვარდა, ფეხი ისე,  
ფეხზე ველარ გადაიდე.  
ცივი მინა წაიფარე,  
თავქვეშ რიყის ქვა დაიდე.

ფუტკრის სკებთან ფუსფუსებენ წმინდა მამანი,  
მაყვლიანში თაფლისფერი იწვის საღამო.  
თავდახრილა მგლოვიარე იასამანი –  
მწუხარებაც როგორ გშენის, იასამანო!

და ისე ღრმად ჩაიძინე,  
სადაც სველი ტინები,  
დაქანცულმა,  
თითქოს დღემდე  
არასოდეს გძინებია.

\* \* \*

3.  
აქ რანაირად იღვიძებს  
სოფელი უმამლებოდ.

უხმოდ ნაყავენ ქინძსა და ნიგოზს –  
დღეს დაკრძალავენ საცოდავ გიგოს.

მონყენილი რად მიყურებს  
მუხლმოკეცილი ბებო.

სულ გამუდმებით ჩიოდა –  
ვაშლია გასაჩირი –  
იმქვეყნად თან გაჰყოლია  
ამ ქვეყნის გასაჭირი.

\* \* \*

ზამთრის საღამოვ,  
მუნჯო ფერმწერო,  
შეაშრიალე ალვის კენწერო.

ერთი შეხედე, რა ფერებია, –  
უცხო სინათლით ნაფერებია.  
აგორებული ტალღად ღრუბლები  
გაქვავებული ნამქერებია.

ზამთრის საღამოვ,  
დადექი,  
ხატე,  
ცაზე მბრწყინავი მნათობთა ბადე.

მიშალ-მოშალე ვარსკვლავთ სიმაგრე,  
რომ შეაცვიფრეთ მთვარის ციალი,  
მხოლოდ ის ერთი არ დამიჩაგრო –  
ის ჩემი ბედის ვარსკვლავი არი.

### ჭიკარტი

(ექსპერიმენტი)

საწერი მაგიდა. სასანთლე. კალამი.  
კალამქვეშ ფურცელი. ფურცელზე მრავალი  
სიტყვაა. სიტყვები თბილები, მკაცრები,  
გაბმულ-გამობმული ვით მრავალმარღვები  
მომფერებლები და ჩუმად კეთილები,  
მსუბუქი მძიმეებით, მძიმე წერტილებით.  
როგორც ჭიანჭველებს ფიქრები მიაქვთ და  
უხმოდ მიჰყვებიან სტრიქონთა ლიანდაგს.  
ორთქმავლის ყელიდან მხდალი და მშიშარა  
ზოგჯერ დაიკვილებს ძახილის ნიშანი.  
დეფიზის პაუზა და ტირეს ტიხარი  
და შორისდებულიც – სამივე იქ არის.  
შორიდან თავს გიქნევს დამყოლი აბზაცი.  
აილე კალამი. სტრიქონი დავარცხნე ...  
ნიგნები აქეთაც. ნიგნები იქითაც,  
მეციხოვნესავით გოდოლის კიბიდან,  
დავყურებ ბრძოლის ველს. ჭრილებს მაგიდა.  
ველი ამოფრინდეს სინათლე ქაფიდან.  
სიტყვებო, ყოჩაღად! აქ ჭიკარტს რა უნდა? –  
მოფრინდა რითმა და უკანვე გაბრუნდა.

პატარა. ჩხვლეტია. ვინ დადო ჭიკარტი?  
რატომ მომაგონდი? არ მახსოვს. მიყვარდი?  
უკვე არაფერი ხსოვნაშიც არ ყრია.  
მორჩა. დაიცალა. ბოთლია თაველია.  
არაყი. გრადუსი. განყალდა გრძნობები.  
არც თანამგრძნობელი, არც ცრემლის მომწმენდი.  
სიჩუმე. მაგიდა. დუმისის ბოქლომი.  
ძარღვებში თავისთვის მღერის ალკოჰოლი.  
ვაგონი. ვაგონი. ნაცნობ ჩიხს მიადგა,  
გველივით გასწივლა ბუფერმა ლიანდაგს.  
სად არის ვინც ერთხელ შენთვის რომ ილოცა.  
ცრემლების მარილი უპეებს მილოკავს.  
ვერ შველის სტრიქონი უმწეო ჭრილობას.  
ვლალატობ. ვივინყებ საყვარელ კილოკავს.  
ვინ დადო ჭიკარტი? – თვალებმა იავდრა.  
გახვედა სტრიქონი. ნაცნობ ჩიხს მიადგა.  
პატარა. სამკუთხა. ჩხვლეტია ჭიკარტი.  
რა სისულელეა. მიყვარდი? მიყვარდი!

### ღილა ცაფში

საბალახოდ მიქანაობს  
დაჩუტული ძროხის ცური.  
შორიახლო რეკავს შაშვი –  
ფიჭვიანის მობილური.

შორს „კუკუშკა“ დაიკვილებს –  
გავხედავ და მოსდევს კორდებს –  
ლიანდაგზე გამურული  
შავი ხოჭო მოქოთქოთებს.

აქეთ – მზეა,  
იქეთ – მთვარე,  
წინ ყოფილი ბანაკია.  
ველზე მინას უხბათქუნებს  
თოხს აბე თუ მალაქია.

გავუყვები – უღრანებში  
დღეებს დავყოფ შვიდიოდეს –  
არ იქნება ეს ბილიკი  
სადმე რომ არ მიდიოდეს.

### ქალო

გარეთ თოვს. ზამთრის ბალებში  
გაჰკვივის მიკიოტი.  
ქოთანში მღერის ლობიო  
ძველ და საყვარელ მოტივს.

ტკაცუნობს შეშის ნაპობი,  
ტკარცალებს, ფეთქავს, იწვის.  
კირკაჟს მოხარშულს, დაბერილს  
ჩაზელს, ჩაბუსკნის ციცხვი.

დაგვისხამს, გაგვილიცლიცებს  
მადაზე მოსულ სტუმრებს,  
ჩამოარიგებს მათლაფით  
ნივრის და ქინძის სურნელს.

– კეთილო, ბედისწერაზე  
გულნატკენო და მწყრალო,  
ლობიოს მუჟავე უხდება, –  
მწნილიც მოიტა, ძალო!

ჩქარა, არაყიც შემოდგი –  
არც თითო ჭიქა გვანყენს,  
თუ გინდა ერთი მარხილი  
შეშაც მოგართვათ ამ წელს.

აბა, სიმწარე გვაშოროს,  
გასძელ გულო და მუხლო.  
სამი ან ხუთი „სტაქანი“ –  
კენტი არაყი ვხუხოთ.

იქნება ერთი მარხილიც,  
ნუ შეეჭმევი ნალველს,  
ნითელი ღვინის ჩუხჩუხი  
თუკი დაუვლის ძარღვებს.

– კეთილო, ბედისწერაზე  
გულნატკენო და მწყრალო,  
ლობიოს ღვინო უხდება,  
დოქიც შემოდგი, ძალო!

ჩვენო ღარიბო სასახლევე,  
მაინც ნაღდო და უხვო,  
გამრავლდი, ერთი კვერცხიც კი  
არ გაგილაყდეს კრუხო.

„შენ ბიჭო, ანაგურელო“,  
ან შენ იყავი, ან მე, –  
ფეხარეული სიმღერა  
მიჰყეფს თოვლიან ღამეს...

ჩვეულებრივი ქალია,  
მაინც არავის არ ჰგავს.  
ჩამოსთვლემს, ძალუაჩემი,  
კედელზე გაკრულ ფარდაგს,

მიეხუტება დაღლილი,  
ჩამოეშლება მხოლოდ,  
როგორც ძახილის ნიშანი,  
შავი თავსაფრის ბოლო.

ანათებს ოთახს, ქოთანში  
ჩაყირავებულ ჩამჩას,  
ღამფა, ცალ ფეხზე შემდგარი –  
როგორც დაღლილი ყანჩა...

დაღმა დაქანდა მარხილი,  
ველი უარეს ამინდს.  
მოკვდები, იქაც გამათბობს  
ცეცხლი იმ ერთი ღამის.

## სიმღერა

როგორ ლამაზად დაბერდი,  
თოვლის კარავი, კაკალო,  
მინაზე დაიზვინება  
მხრები რომ შეაკანკალო.

თოვლო ითოვლე, ითოვლე,  
ზეცის მინდვრებში მომკილო.  
ყინვავე, ფანჯრები მოხატე, –  
საწყალო კაცის ბორკილო.

აღზევანს გადავვარდები,  
თუკი არ მეტყევი, ძმა ხარო.  
არც ისე მელამაზები  
თავი რომ კედელს ვახალო.

ამაღამ თოვლთან დავწვები,  
ეს არის ჩემი ქალიო,  
დავწვები, ველარ ავდგები,  
ვაიმე, თქვენი ბრალო.

ვაიმე, თმების წვიმებო  
მკერდზე ცრემლებად დაღვრილო.  
თავს საით მიმალრეჯინებ  
წუთისოფელის ალვირო.

გვათოვს ორივეს, კაკალო –  
არ დარჩე გულდანყვეტილი,  
მწარე ფიქრების ბოლოში  
ჩამოჯდა ყვავის წერტილი.

## მაგალი

შენი ხმა ზამთრის სოფელში  
აენთო, როგორც იმედი.  
ღმერთმანი, აღარ მეგონა,  
თუ კიდევ დაიყვილებდი.

ამ გზებით მისთვის მოვედი,  
უნდა ვილოცო იმ გზისთვის.  
ჩქარა, ერდოზე შემოდექ,  
ცეცხლივით ამოგიზგიზდი.

როდემდე უნდა ვწვავლოთ,  
რომ ჭირმა თავი დამალოს.  
გადაყრუებულ ქვეყანას  
ერთიც დაჰყვივლე, მამალო!





ოცდაშვიდი წლის, ჟურნალისტი.  
მუშაობდა გაზეთებში:  
„რეზონანსი“ და „ახალი ვერსია“.

ამჟამად რადიო „მწვანე ტალღის“  
ლიტერატურული გადაცემის  
წამყვანია.

მისი თქმით: „წერს აი, ასეთ  
რაღაცეებს. არქმევს ლექსებს  
და მერე სხვებს აკითხებს.

დანარჩენი ლექსებში წერია...“

### ეკა ქევანიშვილი

\* \* \*

თოვს.  
რამდენმა ვინმემ დაიწყო ასე.  
მაგრამ ჩემს ამბავშიც თოვლი მოვიდა.  
პროვინციულ სასტუმროში,  
ნომერ ათში  
ჩამოწყდა ფარდა  
ჩემი და შენი სიყვარულისგან.  
და დილამდე  
სირცხვილისაგან განითლებული მთვარე  
ოფლს ინმენდდა ჩვენს ყურებაში...

\* \* \*

ვაიმევე,  
რა დროს დამალობანაა ამ სიბერეში, ადამიანო!  
რა დროს მაგიდის ქვეშ შექრომაა  
და კარადიდან ჭვრიტინი.  
ძლივს გიპოვე და  
რა დროს მასხარაობაა მეთქი, ადამიანო!  
ვაიმევე,  
სად გამიქრი ლექსებიდან  
რა ცათამბჯენებს მე ვაგებდი, რო ჩამომვარდნოდი?

\* \* \*

არ გვინდა შპალერი.  
მოდი, დავწეროთ ამ სახლის ყველა კედელზე დღეები.  
შენ შენი,  
მე ჩემი.  
საერთო დღეების მოკლე შინაარსებიც.  
და თუ ერთ დღეს ვინმე გაგვძარცვავს,  
მოიკიდებს ამ სამეულს,  
კომპიუტერს...  
კიდევ რა გვაქვს?  
ერთი სიტყვით, რასაც აარჩევს,  
ჩვენ მაინც არ გავღარიბდებით.  
ჩემს და შენს ზღაპარს  
ერთი ასოც არ მოაკლდება.

### ჩემი ნახევარი საათი

ოოოოო,  
არც ისე მარტივია მოხვედ ამ ნახევარ საათში.  
ის ხომ დღეში ერთხელ დგება –  
ლამის ათიდან,  
როცა ჩემი გოგო იძინებს.  
როგორ დავკრავ ხოლმე ფეხს  
და მივქრი შატალოზე,  
კენჭებს გიყრი ფანჯარაში,  
ვძვრები აივნიდან,  
როცა დედაჩემს (ოლონდ ეს ადრე)  
ჰგონია, რომ  
მისი 13 წლის გოგოსაც სძინავს.  
მას კი პირველად აკოცეს გუშინ.  
ამ ნახევარ საათში უნდა მოვასწრო და გავიმეორო  
ეი, ბი, სი, დი,  
ქვეშმინერით მიმატება-გამოკლება.  
მოვირჩინო მუხლისთავი,  
შეგხვდე,  
სისხლის ლაქა ამოვრეცხო მერე ზენრიდან.  
ამ ნახევარ საათში  
ანუ თითქმის, თითქმის სიზმარში,  
მეზობლებს არ შურთ  
ჩემი ქათქათა თეთრეულის  
და არ მართმევენ ფულს  
ჩემთვის უცნობი მკვდრის ყვავილისთვის.  
ეს უწმინდესი წამებია  
და მათში რომ მოხვდე,  
ფეხსაცმელები  
შემოსასვლელში უნდა დატოვო.

### სხვა დანარჩენი გოგოებისთვის

იმიტომ არა,  
რომ გაჩუმდნენ სირცხვილით, როცა შენ იყვირე.  
და არც იმიტომ, რომ  
მათი სხეულები მთელი ღამით გერგო.  
იმიტომ არა, რომ აფრინდნენ პეპლები მათი კაბებიდან  
და მხარზე დამასხდნენ,  
მათი სვიტრების ფანტელებმა  
კი ჩემს ეზოში დაიწყეს ბარდნა...

პირიქით,  
მე მათ ჩამოვრჩები, იცი,  
ლოცვაში,  
ერთგულებაში მოვიკოჭლებ,  
მონყვეტილ ღილს ვეღარ ვაკერებ თავის ადგილზე...

არც იმიტომ, რომ  
ისინი ზუსტად მოდიოდნენ დათქმულ დროზე,  
მე კი ხუთ წუთს  
თავპირისმტვრევით ვაგვიანებდი  
მაღალ ქუსლებზე,  
მათ სულაც არ უჭირდათ ტანგო,  
მე კი დაბლებზეც სულ ფეხები მიბრუნდებოდა.

მაგიტომ არა,  
მაგიტომ არა,  
მაგიტომ არა.  
ჩვენ გვაქვს მინიმუმ ოცი წელი მიზეზების  
გამოსაცნობად.

**ფრაგმენტები**

მე ხო ვიცი,  
ჩემს ეზოში გაირბინა ახლა ძალღმა,  
ჭიშკრის ხმაზე გაელვია მამაჩემს,  
სანადიროდ ინათხოვრეს მეძებარი,  
დალიეს.  
მე ხო ვხედავ,  
გადაუღებლად ინვიმა სამ დღეს,  
მარანთან შეწვეს განუწული ნანადირევი,  
ჭურთან ცოტა დაექცათ ღვინო,  
დალიეს.  
მე ხომ მახსოვს,  
ლამის ოთხზე მომიკვდა ბაბუ,  
თავხოტორა ჩემი თავი დამრჩა ბაღში,  
და მეორე მსოფლიო ომიც,  
მისი ომი, მაშინ დამთავრდა –  
მოუწიათ მაინც დალევა.  
მე ხომ მინდა,  
თებერვლის ბოლოს,  
ავირბინო მოყინული კიბეები  
სიბნელეში,  
მიცნოს ძალღმა,  
სახურავიდან ცვიოდეს თოვლი,  
და ლამფის შუქზე,  
ფანჯარაში დავინახო  
როგორ ცვლიან დედა და მამა  
ერთი კვირის წინანდელ გაზეთს...  
როგორ დავლევდიიით.....

\* \* \*

მაპატიე,  
12 წლისამ რომ შევადე უნებართვოდ  
სტუმრებისთვის განკუთვნილი საძინებელი  
და სახტად დავრჩი.  
მაპატიე,  
რომ მოვპარე ჩემს თავს ფული  
18 წლამდე გასაკვები ყულაბიდან.  
მაპატიე,  
ასე მოხდა: შუალამისას  
მე სულ სხვასთან გავიპარე პაემანზე.  
ისე დავბრუნდი გამთენიისას  
ჩემს ძალღს არც კი დაუყეფია.  
მაპატიე,  
„ამის პატრონმა რა ქნაში“  
რომ გაგარტყი სილა,  
ჭიანჭველების ქორწილი რომ დავმდულრე, ისიც,

მერხზე ჩვენი სახელები რომ გადავაბი  
და ტოლობით განაჩენი გამოვუტანე,  
მაპატიო, ეგეც, იქნება.  
მაპატიე,  
სასაფლაოდან წამოღებული გვირილები რომ  
ჩავრგე ეზოში  
და ტირის თოფით მოკლული შაშვი  
მივუსაფლავე იქვე, მახლობლად.  
ახლა გიმხელ, მაპატიე,  
ის თოფი და ჩემი თოფინა  
დავმალე სხვენში...  
(ნეტა, თუ მოკლა ერთმა მეორე?)  
მაპატიე,  
რომ მალე უნდა დაბერდეს ჩემი ტუჩები,  
სამ, ჰა, ოთხ წელიწადში  
უნდა დამეწვას ყველა ნამცხვარი,  
ჩამეძინოს ტელევიზორთან (შეიძლება კიდევაც ვქსოვდე),  
მეცვას ორი ზომით დიდი შარვალი,  
თავის ტკივილი მოვიმიზეზო,  
ჩემს საწოლზე რომ ჩამოვდები...  
მაპატიე,  
რომ მე ვარ,  
ვინც უნდა მოგიკვდეს,  
(ჯერ არ ვიცი, როდის)  
და,  
ვინც უნდა დამარხო.

**ჭორია**

ჭორია ჩვენი ამბავი.  
მეზობელმა მოაყოლა მოსაკითხად გადმოტანილ  
თონის ლობიანს  
და დაგვიყარა ხმები ბუხართან.  
მე სასწრაფოდ შევყარე ცეცხლში.  
ჭორია,  
აბა, ვინ დაგვინახა ლამის თორმეტზე  
ან დილას, შვიდზე,  
ვინ დაგვინახა,  
როგორ მანვდი ქრიზანთემებს  
შუა ზამთარში?  
ჭორია, იცი, თითქოს  
მკოცნი ბოლო სურათზე,  
თითქოს მიზრდი მუცელს ტყუპებად,  
და თან დედობის უფლებას მართმევ.  
ჭორია, თითქოს მიხეხდე ქუსლებს,  
მზანდე ფეხებს,  
რა ხანია, ის საპნიანი წყალი დამექცა.  
ვერ ვიხსენებ,  
თუ ოდესმე მიმიჭედე სახლში ლურსმანი,  
ან ბაზრიდან დაბრუნებულს კიბეებზე შემომეშველე.  
ყურით მოთრეული ამბავია,  
ვითომ მატირე შუა ქუჩაში  
და მოწყენილ გამყიდველებს უსახსოვრე სანახაობა.  
ვერ ვიტანდი აქამდე ჭორებს –  
შევიყვარებ,  
ერთი მაინც თუ გამართლდება.

## ზოგიერთი ცნობა ანდრე მორუას შესახებ

\*

„ზრანგულანოვან მწერალთა ლექსიკონის“ მიხედვით  
(ლარუსი, 2001)

ანდრე მორუა ემილ ერზოგის (1885-1967) ფსევდონიმია, შემდეგ პატრონიმი.

დაიბადა ელბეფში, ელზასური წარმოშობის მეწარმეთა ოჯახში. განათლება მიიღო რუანის ლიცეუმში და გახლდათ ფილოსოფოს ალენის ბრწყინვალე მოწაფე. ა. მორუა მონაწილეობდა ოჯახური სანარმოს მართვაში, შემდეგ, ომის დროს, მსახურობდა მეკავშირე ოფიცრად ინგლისურ სამხედრო ძალებთან.

მისი ლიტერატურული კარიერა იწყება 1918 წელს „პოლკოვნიკ ბრამლის დუმილით“, \* რასაც 1922 წელს მოჰყვება „დოქტორ ო'გრადის სიტყვები“. პერსონაჟს – მთარგმნელ ორელს ბევრი აქვს საერთო ავტორთან, რომელიც ბრიტანული ხასიათის (ფლეგმის, ცივი იუმორის...) ცოდნა-გამოცდილებას ისეთი ელევანტურობითა და კლასიკური თავშეკავებით გადმოსცემს, რომელიც ანატოლ ფრანსთან აახლოებს. ამ სასიამოვნო და დახვეწილი მოთხრობების წარმატება საბოლოოდ მიატოვებინებს საოჯახო ბიზნესს და ამიერიდან ა. მორუა თავს მთლიანად მწერლობას მიუძღვნის.

მორუა-რომანისტი ძალებს ცდის ისტორიული ფიქციის უანრში ნაწარმოებით „არც ანგელოზი, არც მხეცი“ (1919), მაგრამ ეს დიდ ბედნიერებას ვერ ანიჭებს. 1926 წელს „ბერნარ კესნეს“ გამოქვეყნებით იგი პოულობს საკუთარ გზას ზნე-ჩვეულებათა აღწერასა და ფსიქოლოგიურ რომანში და ამიერიდან ამ გზას მკვიდრად დაადგება.

„კლიმატები“ (1929) საყოველთაოდ აღიარებულია ა. მორუას შედევრად. ბედნიერი წონასწორობის მიღწევის შეუძლებლობა, ჰარმონიის ფატალური არარსებობა პერსონაჟთა გრძნობებში – ტრაგიკულ ელფერს სძენს ბურჟუაზიული ყოფის ამ სურათს.

„ოჯახური წრე“ (1932), „ბედნიერების ინსტინქტი“ (1934) და „სექტემბრის ვარდები“ (1956) უფრო ტრადიციული კონსტრუქციის ნაწარმოებებია, სადაც ფსიქოლოგიური რეალიზმი და საზოგადოებრივი ფენების აღწერა ორგანულად ერწყმის გრძნობათა გამოსახვას.

ამ ქმნილებებში ავტორი წარმოჩინდება უფრო მეტად როგორც მორალისტ-დამკვირვებელი, სოციალურად კონსერვატორი, ვიდრე ახალ სამყაროთა შემქმნელი და ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ესეისტმა, კრიტიკოსმა და ისტორიკოსმა მასში თითქოს დასჯაბნა კიდევ რომანისტი. ესეისტურ-კრიტიკული თხზულებების („დიალოგი მართვის შესახებ“, 1925; „აი ჩემი ოცნებები“, 1932; „ინგლისური ეტიუდები“, 1928; „ბიოგრაფიის

ასპექტები“, 1929; „სიყვარულის ხუთი სახე“, 1942; „ალენი“, 1949;) პარალელურად იქმნებოდა პოპულარული ისტორიული ნიგნები („ედუარდ VII და მისი ეპოქა“, 1933; „ინგლისის ისტორია“, 1937; „შეერთებული შტატების ისტორია“, 1943-44; „საფრანგეთის ისტორია“, 1947;), ძალზე ზუსტნი და საჭირონი, მაგრამ ისინი ანგარიშს არ უწევდნენ ისტორიოგრაფიის მუტაციებს, რაც გადააფასებს ხოლმე ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ა. მორუას ბიოგრაფიები:

„არიელი ანუ შელის ცხოვრება“, 1923;

„დიზრელის ცხოვრება“, 1927;

„ბაირონი“, 1930;

„ტურგენევი“, 1931.

ეს თხზულებები გვხიბლავს ანალიზის ინტუიტიური დახვეწილობითა და თხრობის ფორმალური სინატიფით. ანალიზის რომანისტული ხერხები კი ზოგჯერ ნამდვილ რომანებად აქცევს ამ ბიოგრაფიებს.

შემდგომში მწერლის მანერა მეტ სისადავეს იძენს ისე, რომ მას არც ხიბლი აკლდება და არც ზემოქმედების ძალა. ასე გვევლინება ა. მორუას შემდეგი ქმნილებები:

„მატობრიანი“, 1939;

„მარსელ პრუსტის ძიებაში“, 1949;

„ლეღია ანუ ჟორჟ სანდის ცხოვრება“, 1952;

„ოლიმპი ანუ ვიქტორ ჰიუგოს ცხოვრება“, 1954;

„ადრეინი ანუ ქ-ნ დე ლა ფაიეტის ცხოვრება“, 1961;

„პრომეთე ანუ ბალზაკის ცხოვრება“, 1965.

„დიზრელის“ გარდა, ზემოთჩამოთვლილი ნიგნები მწერალთა ცხოვრებას ასახავდა. არა მწერალთაგან ა. მორუამ დაგვიტოვა აგრეთვე ლიოტეს, ალექსანდრე ფლემინგისა და სხვათა ბიოგრაფიები.

1938 წ. ანდრე მორუა აირჩიეს „საფრანგეთის აკადემიის“ წევრად. ქალთა პუბლიკის ნებიერი, საერთაშორისო მასშტაბის მომხსენებელი, გონებამახვილი და მომღიმარი, მრავალრიცხოვანი ჟურნალის ხშირი სტუმარი, ა. მორუა რჩებოდა ალენისეული რაციონალიზმის ერთგულად და არ აპყობდა მოდერნიზმის ამა თუ იმ გამოვლინებას (ბერგსონიზმს, ფსიქონალიზს, ეგზისტენციალიზმს...). მისი აზროვნება და ხელოვნება მთლიანად აპოლინერიულია და თავის თავში მოიცავს გარკვეულ საზღვრებს – საფასურს, რომელიც უნდა გაიღოს ყოველგვარმა აზრმა თუ ფორმამ, რათა თავი დააღწიოს ორაზროვნების მორევს, რამაც არაერთი რომანისტი და ბიოგრაფი აცდუნა.

\* ა. მორუას იმ ნაწარმოებთა სათაურების თარგმანი, რაც ქართულად ჯერ არ გამოქვეყნებულა, სამუშაო ხასიათისაა (მთარგმ.)

ანდრე მორუა

# საუბარი

## გრძნობათა საუბრის შესახებ

ის, რასაც ხიბლს უწოდებენ, კეკლუცობისა და ბუნებრიობის ნაზავია, რომელიც ერთდროულად გაშფოთებს და გამშვიდებს კიდევ. ეს არის გრძნობათა სილაღე, ისევე, როგორც გრაციაა მოძრაობათა სილაღე.

ქალი მისი ნაუბარის გამო როდი უყვარდებათ. ქალი რომ უყვართ, ამიტომ უყვართ მისი ნაუბარიც.

არსებობს მეგობრობა და სიყვარული, რომელთა ტონიც მეტისმეტად მაღალფარდოვანია. ადამიანები ასეთ შემთხვევაში არასოდეს არიან ბედნიერები. ბედნიერების შენარჩუნება მხოლოდ ბუნებრიობით შეიძლება.

კარგი ცოლ-ქმრის საუბარი შინაურულია, ბანალური და გემრიელი, როგორც ის კერძი, უბრალო პროდუქტებისაგან რომ ამზადებენ, მაგრამ დელიკატესებს ურჩევენიათ.

მეუღლეებს დიდი მოთმინება სჭირდებათ, ერთიმეორე რომ აიტანონ საზოგადოებაში. იქ ერთმანეთი არაბუნებრივები, ყალბები ეჩვენებათ. სიტყვები და გრძნობები თითქოს მახინჯდება თავის მოწონების სურვილითა თუ ვისიმე შოკირების შიშით. პიროვნება საზოგადოებაში სავსებით განსხვავებული აღმოჩნდება ხოლმე ინტიმური არსებისაგან, შინაური პერსონაჟისაგან. მოუთმენელ სიყვარულს აღიზიანებს ეს შეუთავსებლობა და პასუხს ითხოვს. ნამდვილი სიყვარულიც აღიარებს, რომ სურათები არ ემთხვევა, მაგრამ ესმის, იღიმება და კიდევ მეტად უყვარს.

ზოგიერთი ბუნებით სიცოცხლით სავსე და მომხიბლავი ქალი ცუდი ქმრის ხელში რამდენიმე თვეში ფერმკრთალდება. მათ აზრებს იმგვარი ათვალწუნებითა და ქედმაღლობით ეკიდებიან, რომ მალე საკუთარი თავის რწმენასაც კარგავენ. მაშინ ეს ქალები ხდებიან მორცხვები, უნდონი; მოწყენილ, ნაცემ ძალს ემსგავსებიან. რა დიდი ტაქტი დასჭირდება პირველ საყვარელს, რომ ასეთ ქალს რწმენა დაუბრუნოს.

როდესაც შეყვარებული ქალი და მამაკაცი დიდი ხნის განშორების შემდეგ პირველად ხვდებიან ერთმანეთს, ძალზე უჭირთ ხოლმე წინანდელ ურთიერთობათა ტონის მოძებნა. გარკვეული ტემპერატურაა საჭირო, გრძნობათა შეხამება რომ მოხდეს. ამ განახლებულმა საუბარმა რამდენიმე წუთში მათი სიყვარულის წინა სტადიები ისევე უნდა გაიაროს, როგორც ჩანასახი ახერხებს, რამდენიმე დღეში გაიმეოროს ცოცხალ არსებათა მთელი ისტორია.

ზოგიერთ მამაკაცს და, განსაკუთრებით, ზოგიერთ ქმარს, სჩვევია, თავი აარიდოს ქალების საუბარს, რასაც ქალები ძნელად ეგუებიან. ქალები მართლმაც არიან. მართალია, ლექსიკონის მოუქნელობა მათ ყველაზე ღრმა აზრებსაც სულელურად და ბანალურად აქცევს, მაგრამ ძნელი არაა, თავს ძალა დაატანო და ისინი ადამიანურ ენაზე თარგმნონ.

კაცები ბუნებრივად ვერ იტყუებიან. ქალებს, რომლებიც დახელოვნებული გახლავან ამ საქმეში, საყვარელი ადამიანის იოტისოდენა სიცრუეც არ გამოეპარებათ ხოლმე. დამნაშავე კაცის ტონში იგრძნობა ერთგვარი წინასწარგანზრახულობა, რაც არაბუნებრიობას სწორედ ბუნებრიობის სიჭარბით ააშკარავებს.



ყველაზე გასაოცარი მეხსიერება შეყვარებული ქალის მეხსიერებაა.

მამაკაცისა და ქალის საუბარში ხუმრობის ტონი ხშირად სხვა არაფერია, თუ არა სურვილის სიმძაფრის შენიღბვა. მშვენივრად ესმით, რა ძალა სჯაბნით, რა საფრთხე ემუქრებათ და თავის დაცვას საუბრის მოჩვენებითი გულგრილობით ცდილობენ. ამ დროს ყოველი სიტყვა გადაკრულია, ყოველი ფრაზა დაზვერვაა, ყოველი ქათინაური ალერსია. ამ დროს სიტყვები და გრძნობები ორ ფენად ლაგდება. ზედა ფენა, რომელიც სიტყვებს აერთიანებს, არის მხოლოდ მინიშნება და სიმბოლო ქვედა ფენისა, სადაც ბუნდოვანი სურათები დარიალებს.

სიყვარულის აღმართზე მიჯნურნი მომავალზე ლაპარაკობენ, დაღმართზე კი საუბრის თემა წარსული ხდება.

რა ლალი მშვენიერებითაა მოსილი საუბარი, როცა მას სიყვარული ასაზრდოებს. სრულიად ჩვეულებრივი სიტყვებიც კი უცერად ცოცხალ ელვარებას იძენენ. ხილი და ბოსტნეული ვენეციური შუმის ბზინვარებაში.

მე მიყვარს სტივენსონის ეს გამონათქვამი: „საუბრისათვის მხოლოდ სამი თემა არსებობს: მე მე ვარ, თქვენ თქვენა ხართ, დანარჩენები კი უცხონი არიან“.

ყოველი არსება გარემოცულია საიდუმლოებრივი ნისლის რამდენიმე ფარდით. ინტიმურობა გაძლევს უდიდესი სიამოვნების შანსს – დანახო, თუ როგორ ქრება ზედიზედ ეს ნისლის ფთილები და მათ მიღმა სულის ჭეშმარიტი კონტურები ამოიციანო. სიყვარული მოითხოვს, რომ საიდუმლო გაიფანტოს. ამავდროულად მის შენარჩუნებასაც მოითხოვს. კაშკაშა მზე გაძინებს, მონყენილობას გგვრის.

რწმენა, რომ იგი უყვართ, ადამიანს დიდ წყალობას ანიჭებს. ამით ის ბუნებრიობას ინარჩუნებს.

## საიდუმლოს განდობის შესახებ

სურვილს ბადებს ორი ეპიდემიის, ხოლო გულახდილობას – ორი მგრძობელობის უცარი კონტაქტი. პირველი არ კმარა სიყვარულის, მეორე კი – ინტიმურობის წარმოსაშობად.

სანამ თანამოსაუბრენი მოგონებათა მთვლემარე სივრცეს ვერ აგნებენ, მათი საუბარი გაჭიანურებული და დუნია. როგორც კი მოახერხებენ, მოგონებათა საბურველს კი-

დე ახადონ, გულახდილობის წყაროც აჩქეფდება. არაფერია უფრო სასიამოვნო, ვიდრე ამოიცილო ამ გამოცოცხლების ჯერ კიდევ უხილავი აღმოცენება აქამდე უნაყოფო საუბარში.

ყველაზე ჩაკეტილი ადამიანები გულახდილები არიან, როცა საუბარი განზოგადებულია. ამ ნიღბის მიღმა თავშესაფარში გრძნობენ თავს. მეც ასე ვარ, ამ სიტყვების ავტორი...

რჩევა ყოველთვის აღსარებაა.

საიდუმლოს გამჟღავნება გაძულებს ან გაყვარებს მას, ვისაც გაენდე. მერე აღმოაჩენ, იყო თუ არა ამის ღირსი, კარგად შეგინახა თუ ავად.

ოვიდიუსი<sup>1</sup> ცდება, მეგობართა სიმრავლეს უბედურების უამს დაითვლიო, როცა ამბობს. ბედნიერების გაზიარება უფრო იშვიათ ღირსებებს მოითხოვს.

„ავადმყოფობის ერთი უბედურება ისიცაა, – ამბობდა ქალბატონ დიუ დეფანი,<sup>2</sup> ლიტერატურული სალონის დიასახლისი) – რომ ყველა სულელის მსხვერპლი ხდები, რომელსაც თავის მობეზრების მეტი არაფერი ეხერხება და ამას გულმონყალებას ეძახის“.

სიკეთის დიდი ნიშანია, კაცს რომ სხვათა მოგონებების დავინწყება შეუძლია.

გულახდილობას აუცილებლად მივყავართ უბედურებამდე. ის ფარდასა ხდის სულთა ნათესაობას, რაც აქამდე უცნობი რჩებოდა.

ზოგი ქალი მხოლოდ იმიტომ სთხოვს მეგობარს, საიდუმლო შემინახო, რომ ამბავი უკეთ გაავრცელოს.

რომანისტი ერთადერთი ადამიანია, რომელსაც შეუძლია, თავშეკავებული იყოს და არც იტანჯოს: მისი საიდუმლოებები გარეთ სამასკარადო ტანსაცმლით შემოსილნი გამოდიან.

ერთი სიამოვნებაა, როცა შენთან თავს იყრის რამდენიმე აღსარება ერთსა და იმავე თემაზე. ურთიერთგადამკვეთი აზრები სხვადასხვა წახნაგს გინათებს. განსაკუთრებით მაშინ განიცდი ნამდვილ კმაყოფილებას, როცა ერთი აღსარება მეორის ღრუ ნაწილში შეაღწევს და სურათს სრულყოფილად დაასრულებს.

ადამიანის ხმა, როცა ის კითხულობს, მის პიროვნებას კი არა ხსნის, არამედ იმისას, რომელიც სურს, რომ იყოს. ეს იმ პერსონაჟის ხმაა, რომელსაც მისი ფიქრი წარმოსახავს.

**ავსიტყვაოვის შესახებ**

ადამიანები ვერ ბედავენ, კეთილმოსურნენი იყვნენ იმის შიშით, რომ მომავლებზე არ გახდნენ, მაგრამ ეს შეცდომაა. ისინი ორიგინალურები იქნებოდნენ.

<sup>1</sup> იგულისხმება სტრიქონები ოვიდიუსის „მწუხარე ელეგიებიდან“  
<sup>2</sup> მარკიზა დიუ დეფანი – ფრანგი მწერალი (1697-1720)

ყოველი თვლის, რომ მისი განსჯისას სხვები ცდებიან, თვითონ კი არ ცდება, როცა სხვას განსჯის.

სხვებს რომ ისევე ვიცნობდეთ, როგორც საკუთარ თავს, მათი ყველაზე დასაგმობი საქციელიც კი ჩვენს შეწყნარებას დაიმსახურებდა.

პროვინციელი და მკაცრი ოჯახის შვილი პარიზში მოსმენილმა პირველივე საუბრებმა შემადრწუნა. სადილად მოწვეული სტუმრები შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ ქალი თუ კაცი დამცინავი, სკანდალური ამბების პერსონაჟად ექციათ. ამით ერთობოდნენ. მე კი მეჩვენებოდა, რომ ამ ადამიანებს უსაბუთოდ, ბოროტად სდებდნენ ბრალს. რა უნდა იყოს მეტი საშინელება, ვფიქრობდი – ვიდრე ამგვარი საუბრების საგნად გახდომა.

სიბერისას ამჩნევ, რომ უნივერსალობა ამ ავსიტყვაობებს ძალას უკარგავს. თუ ცილისნამება საფუძველს მოკლებულია, მალე ივინყებენ კიდევ და ჭეშმარიტი ხასიათი თავს მაინც იმკვიდრებს. თუ ავსიტყვაობა უმიზეზო არაა, მაინც არაფერი იცვლება. საზოგადოება ისევე ხვდება ავსიტყვაობის ობიექტს, მასთან ისევე მეგობრობენ, როგორც წინათ. საზოგადოება არ ინდობს მხოლოდ ისეთ ბინიერებას, რომელიც მას დანგრევით ემუქრება. სამყარო, რომელიც საუბრებით საზრდოობს, არაფერს ერჩის თავის მარჩენალთ.

წესად უნდა შემოიღო: ავისმოსურნე სიტყვები არასოდეს გაიმეორო, სანამ მათ მართებულებას არ შეამონებ. მაგრამ სალაპარაკო რომ აღარაფერი გვექნება?

A..., რომელიც ბუნებით კეთილმოსურნე და მიმტევებელია, გასაოცრად იოლად ეგუება, როცა B...-ს ახსენებენ ავად. საქმე ის გახლავთ, რომ ორივე ერთი სკამისაკენ ისწრაფის.

არიან ადამიანები, რომლებიც პატივმოყვარეობის გამო აქებენ თავიანთ მეგობრებს, ავეჯს, ცოლებს. „გულითალობა, – ამბობდა პრუსტი, – ისეთივე გადამეტებით აქებს, როგორც ავმოსურნეობა აძაგებს“.

ყველაზე გვიან ადამიანები იმ სიავეს გაპატიებენ, რომელიც თვითონ უთქვამთ თქვენზე.

თითქმის ყოველთვის, როცა ვიტანჯებით ცილისნამების გამო და მის სიყალბეს ვუმტკიცებთ ადამიანებს, რომელთაც არასოდეს სმენიათ იგი, თვითვე ვუნყოფთ ხელს ამ ცილისნამების გავრცელებას.

ზოგ ქალში პატივმოყვარეობა იმდენად სჭარბობს მოკრძალებას, რომ იმ შეცდომებსაც მიიწერს ხოლმე, რაც არ ჩაუდენია.

თუ ძალიან ჩაეძიები, ყოველთვის შეიძლება, მდაბალი მოტივები აღმოაჩინო თვით ყველაზე საქებ საქციელშიც, ისევე, როგორც ყველაზე სუფთა ჰაერშიც კი პოულობენ მავნე გაზების მცირე ნაკვალევს, მაგრამ მნიშვნელოვანი მხოლოდ ნაზავია.

მასპინძლის ავი მისი სახლიდან გამოსულმა ასი მეტრის რადიუსის ფარგლებში მაინც არ უნდა თქვა.

არ შეიძლება, არ გაოცდე, როცა ახლოს მიხვალ იმ არსებებთან, რომელთაც საზოგადოება საკმაოდ შავბნელ საქმე-



ებს მიაწერს. ძალზე ხშირად „გამოცდა“ „ბოროტმოქმედის“ სასარგებლოდ სრულდება. შესაძლოა, ეს იმიტომ მოხდეს, რომ საზოგადოება ცდებოდეს და ვარაუდს იოლად აქცევდეს მტკიცებად, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ აუცილებელი არ ჯდება მისი ჩამდენის ხასიათში. ბოროტება ჩადენილია: დამნაშავე თავად კიცხავს მას და არ ესმის, ეს როგორ დაემართა. დანაშაული მისთვის ისევე უცხოა, როგორც გარშემომყოფთათვის. ან კიდევ, იგი ისე ნათლად ხედავს გარემოებათა ჯაჭვს, რამაც უჩვეულო მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ ამ მდგომარეობას ბუნებრივად მიიჩნევს და შენც იმავეს გაფიქრებინებს ძალდაუტანებლად. ამგვარად, ძალზე ხშირად, ადამიანთან შეხვედრა გკურნავს პერსონაჟის წინააღმდეგ წინასწარ აკვირებული შეხედულებებისაგან.

მეგობრისთვის მასზე მონაწირობის მიტანა ყალბი კეთილმოსურნეობის მიღმა შეფარებული შურიანობაა.

უტაქტობის გამოსასწორებლად მიმართული ძალისხმევა უტაქტობის ობიექტს მეტად ტანჯავს, ვიდრე მის ჩამდენს.

ადამიანებს ისე უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა, რომ მათ ნაკლებ ლაპარაკიც კი ხიბლავთ.

ყოველ ადამიანს აქვს მგრძობიარე ნერტილები, რომელთა არსებობა ზოგჯერ თვითონაც არ იცის. თუ ვინმე ასეთ ნერტილებს გაუღიზიანებს, ღრმა სიძულვილი არ ასცდება.

ხშირად მტკიცებულები ადგილები მეორად ნერვულ ცენტრებს უკავშირდება. გასაოცარ ემოციას იწვევს ზოგჯერ ესა თუ ის ბანალური ფრაზა. საქმე ის გახლავთ, რომ იგი რაიმე ფარული გზით ადამიანის რომელიღაც ავადმყოფურ ნაწილს შეეხო.

### გულწრფელობის შესახებ

ბუნების ვრცელი პეიზაჟი ხელს უწყობს გულახდილობას. ადამიანთა თვით ყველაზე უცნაური ფიქრებიც აქ ისე პატარა მოჩანს, რომ მათი აღიარება გვიადვილდება.

ადამიანი რომ ამბობდეს ყველაფერს, რასაც ფიქრობს, არ დაუჯერებდნენ. მართლებიც იქნებოდნენ, რომელი ადამიანი უფიქრდება ყველაფერს, რაც კი ფიქრად მოსდის?

მომხდარა ისე, რომ ზოგიერთი ადამიანის წინაშე თამაში დაგვიწყია და რალაც პერსონაჟი შეგვიქმნია ჩვენი თავისაგან. როგორც კი ეს ადამიანები გვხვდებიან, მაშინვე ზანტ გულგრობობას მივცემთ ხოლმე თავს და ვაგრძელებთ შემთხვევით წამოწყებულ თამაშს. ისინი არ ცდებიან, როცა სავსებით განსხვავებული ვგონივართ, ვიდრე ვართ.

ცინიზმი იმითაა საშიში, რომ მას შეუძლია ბოროტება ღირსებად აქციოს.

გულახდილობა არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ თქვა ყველაფერი, რასაც ფიქრობ. მთავარია, არასოდეს თქვა ის, რასაც მოცემულ მომენტში არ ფიქრობ.

ყოველი აღსარება ისწრაფის სიმწყობრისაკენ, ეს კი მას აყალბებს. ადამიანი უფრო რთული რამაა, ვიდრე მისი ლოგიკა. საუბარში, ისევე როგორც ქირურგიაში, მხოლოდ სიფრთხილით უნდა ჩაერიო. პროფესიონალი გულწრფელები ჯანსაღ მეგობრულ და სასიყვარულო ურთიერთობებს სკალპელით მიაღებებიან ხოლმე და კლავენ კიდევ.

გულწრფელობას გააჩნია სახიფათო შტრიხი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ იგი აყალბებს თავის ობიექტს. თუ შენ იტყვი: მე ამბიციური ვარ, შურიანი ვარო, თავი უფლებამოსილად მიგაჩნია, ასეთი იყო და გულახდილობის პრესტიჟით მორთული ნაკლი გამარჯვებას ზეიმობს.

გულახდილობას ზომიერება სჭირდება. სჭირდება ყველაზე ახლოებულ ადამიანებთან ურთიერთობაშიც. თუ ყველაფერზე ილაპარაკებ, აზრის ხარისხში შეიძლება აიყვანო ისიც, რაც მხოლოდ გუნება-განწყობის მოძრაობაა; ასე შეიძლება, მეგობრის დაკარგვის საფრთხეც კი გაჩნდეს მოუწელებელი კერძის, თავის ტკივილის ანდა ცუდი ამინდის გამო.

კარგი საუბრისათვის აუცილებელია, მოსაუბრენი დარწმუნებულები იყვნენ ურთიერთპატივისცემის გრძობაში. თითოეულს სურს, უერთგულოს იმ ხატს, რაც მეორემ შექმნა მისგან და ცდილობს, საკუთარ თავზე მაღლა დადგეს.

მაგრამ არ დაგვავიწყდეს ზომიერება. საკუთარ თავს ზემოთ აყინჩავ მომქანცველ აკრობატიკად იქცევა.

ჩვენ მოგვწონს მათი გულგლობა, ვისაც ვუყვარვართ. დანარჩენების გულგლობას კი კადნიერება ჰქვია.

არიან ადამიანები, რომელთა გამოჩენაც ერთბაშად გვაკარგინებს ზომიერებასა და გონების სიზუსტეს. ვგრძობთ, რომ ისინი მტრულად არიან განწყობილნი ჩვენს მიმართ და ამიტომ აზრების დალაგებას ვეღარ ვახერხებთ. ამის გამო საკუთარ თავზე ვბრაზობთ და როცა კვლავ ვხვდებით ამ ადამიანებს, ძველი სიბრაზე თავს გვახსენებს და ახალი მრისხანების მიზეზად იქცევა. ან სულ უნდა მოვერიდოთ ასეთ ადამიანებს, ანდა მათ შესახვედრად მტკიცე მედიტაციით მოვემზადოთ.

ბუნებრივი რომ იყო, მხოლოდ საყვარელ არსებებს უნდა ხედავდე.

საკუთარ ნაკლებ გულგობა ლაპარაკი მხოლოდ იმ ადამიანებთან შეგვიძლია, ვინც ჩვენს ღირსებებს ცნობს.

ცხოვრებაში საკმაოდ გვიან დგება მომენტი, როცა უკვე ვაღიარებთ, რომ არ ვიცით ის, რაც არ ვიცით, რომ არ წაგვიკითხავს ის წიგნები, რაც არ წაგვიკითხავს. მაგრამ როგორც კი ამ გადწყვეტილებას მივიღებთ, საოცარი სიზუსტით ამოვიცნობთ.

არსებობს შეწინააღმდეგების ისეთი ხელოვნება, რომელიც ყველაზე მოქნილი მამამებლობაა.

აღიარებ თუ არა, მორცხვი ვარო, უკვე აღარა ხარ მორცხვი.

როცა სხვას შენს თავს აცნობ და უხასიათებ, მაშინდა აღმოაჩენ, რა ცოტა გცოდნია საკუთარი თავის შესახებ. მნახველს უნდა დაათვალიერებინო შენობა, რომელსაც ახლა აგებ ოთახ-ოთახ.

სიცრუის თქმაში ხშირად გულგრილობის ნილი მეტია, ვიდრე ფარისევლობისა.

სცენები საუბრის ცხოვრებაში

საუბარი ისე არ წარმართა, როგორც მათ სურდათ. და აი, აღარც ერთს ძალუძს, შეაჩეროს იგი და აღარც მეორეს. ფრაზებს ფრაზები მოჰყვება და მათ წინ რიხინ-რიხინით მირბიან. გვიან გამოფიზილებული მისრეები შესცქერიან, როგორ მიჰქრის გზასამცდარი ეშელონი გარდაუვალი კატასტროფისაკენ.

მას ისე ეშინია, მარტო მე არ ვილაპარაკო, რომ როცა წუთით შეწყვეტს ლაპარაკს, ხელს ისე იშვერს, როგორც ავტონაპეტორი მანქანებისაკენ და საპატო მწკრივში აჩერებს ფრაზებს, რომელთა წარმოთქმასაც სხვები აპირებდნენ.

ქალბატონი ზის სახელგანთქმული ადამიანის გვერდით, რომლის ყველა წიგნი წაუკითხავს და ცდილობს, ალაპარაკოს იგი, მაგრამ ამოდ. მას არ შეუძენია ახალგაზრდა უცნობი მამაკაცი, რომელიც მარცხნივ უჯდა ცნობილ პიროვნებას და მშვენიერ ამბებს უყვებოდა.

ახალგაზრდა მხოლოდ იმიტომ ეძიებდა ვრცელი საუბრის შესაძლებლობას, რომ შუამდგომლობა სჭირდებოდა. მაგრამ უნდოდა, სათხოვარი ისე შეეპარებინა, სხვათა შორის, ვითომ შემთხვევით, და თავს აჩვენებდა, რომ სიამოვნებას ანიჭებდა სხვა დანარჩენი. მაგრამ ტონმა გასცა და ეს იგრძნო; საბედისწერო ფრაზას დუმილი მოჰყვა. სახეგამკაცრებულმა სტუმარმა უკვე იცის, რომ მის წინ მხოლოდდამხოლოდ მთხოვნელია.

„სპინოზა, – ამბობს M..., მე მას გამუდმებით ვკითხულობ“. და მას მოჰყავს მშვენიერი ციტატა. სტუმრებს ხიზლავთ მისი მეხსიერება, მისი კულტურა. მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქნას, M...-ს ხშირად შეხვდეთ. თქვენ აღმოაჩენთ, რომ ის ცხოვრობს ამ ციტატით, კიდევ რამდენიმე ფრაზით კონფუციდან და ნეტარი ავგუსტინეს ერთი ნაწყვეტით. ადამიანთა გაცემა ხომ ადვილია.

არიან ადამიანები, რომელთა საუბრის ხელოვნება ისევე დამოკიდებული გარშემომყოფნზე, როგორც ქიმიური რეაქცია ამა თუ იმ ნივთიერებაზე, რომლის გარეშეც ის არ განხორციელდება. P... მხოლოდ მაშინ ვაჟკაცობს, როცა იქვე თვალყურმადევარი ცოლი ეგულება; B... კი მხოლოდ ცოლისაგან მოშორებით ბრწყინავს: ის ეჭვიანია.

ტელეფონით ლაპარაკისას თხოვნაც უფრო ადვილია და უარის თქმაც. როცა ადამიანის სახე არ გიდგას თვალწინ, წარმოსახვას ყოველგვარი საყრდენი ეცლება.

სატელეფონო საუბარი ხელოვნებისა და ცხოვრების გასაყარზე იმყოფება. ამ დროს მსმენელის ხატს ელაპარაკებიან.

რჩევი ახალგაზრდას

მე გაკვირდებოდი მთელი საღამო. შენ მოწყენილი და საკუთარი თავით უკმაყოფილო იყავი. იმ ქალის გვერდით რომ

იჯექი, რომელიც მოგწონს, სიტყვაც არ დაგიძრავს. ქალი შეეცადა, გაემხნეებინე, მერე, გაკვირვებული, ადგა და ნაიბუტბუტა, წასასვლელი ვარო. ერთი საათის შემდეგ იგი სხვის გვერდით დაინახე, გამოცოცხლებული და მხიარული.

ნახვედი და პოლიტიკოსთა ჯგუფს შეუერთდი. შენთვის კარგად ნაცნობ თემებზე საუბრობდნენ: ომი, გადასახადები, ეკონომიკური კრიზისი. ისეთს არაფერს ამბობდნენ, რაც ყოველ დილას გაზეთებში არ იბეჭდება, და მაინც, მათი საუბარი ცხოველი და მახვილგონივრული ჩანდა. საუბარში ჩართვა მოინდომე. ისე გაცეხლებული მოგიბრუნდნენ, როგორც კარგი ორკესტრი შეხედავდა ახალ მევიოლინეს, რომელმაც ყალბი ნოტები გამოსცა. შენ რაღაცის თხრობას შეუდექი. ორიოდე წინადადების შემდეგ ერთმა ბოხხიანმა კაცმა შეგანწყვეტინა და აღარავის უთხოვია, გააგრძელო.

შენ ვერ გაბედე, პირველს დაგეტოვებინა იქაურობა, მაგრამ როგორც კი ვილაც წამოგდა, უკან გაჰყვივი. ნელა მიდიოდი, თავჩაქინდრული; მიწოდდა, ახლოს მოვსულიყავი შენთან და მეთქვა: „ნუ ღელავ... ამ საღამოს ამბავი?... ეს ყველამ გამოვიარეთ. არ იფიქრო, ვინმეს შეემჩნია შენი დუმილი. ადამიანები მეტისმეტად არიან დაკავებულიები საკუთარი თავით და დიდხანს შენზე საფიქრად არ სცალიათ“.

შენ გშურს მათი ავტორიტეტის. ის მოვა. ავტორიტეტს ბადებს ფუნქციის ქონა და კრიტიკული განწყობის არარსებობა. მდგომარეობას ასაკი მოგიტანს. შენ ისწავლი მტკიცებას, ალიჭურვები რაიმე დოქტრინით, მტკიცე ჯავშნით. ჯავშანს შეფარებული მამაცი გახდები. მაგრამ წინასწარი სიფრთხილის რამდენიმე წესი დაიცავი. არასოდეს წამოიწყო ლაპარაკი, როცა პირველად შეაღწე უცხო საზოგადოებაში. უსმინე, შენი სიღრმე მოიძიე. პარიზში ერთდროულად საუბრის სამზე მეტი შესაძლო თემა არ არსებობს. ისე შეისწავლე სამივე, თითქოს ისტორიის საკითხებს ამზადებდე საგამოცდოდ. შემდეგ დაუდარაჯდი, როდის მოგეცემა შანსი. როცა საქმე ფაქტებსა და მოვლენებს ეხება, კომპეტენტურობა უფლებას გაძლევს, საუბარში ჩაერთო. იყავ თეოლოგი, ფსიქოლოგი, იურისტი. მოიხმე რიტუალური ტერმინები, ციტატები სამოქალაქო კოდექსიდან. ხალხი პატივსა სცემს სპეციალისტებს.

ქალებთან უბრალო და გაბედული იყავი. მათ უყვართ ბუნებრიობა და კიდევ ის, რომ მათზე ელაპარაკები. არც შენი პროფესიის აღწერას მოერიდო. მამაკაცის საქმიანობაში რაღაცა მოუხეშავი აღერსის მსგავსია, რაც ქალებზე ქათინაურით მოქმედებს. ნურც ბუნდოვანება შეგამინებს. ქალები იტყვიან: „ეს ის ახალგაზრდა კაცია, ლამაზი თვალები რომ აქვს და აინშტაინზე რომ მესაუბრებოდა“.

ხალხმრავალ თავყრილობაზე ქალს შეუძლია, ერთი შეხედვით გაამხნევოს მგრძობიარე და აფორიაქებული მეგობარი. თვალბში გაეღვებული ღიმილი ფრთას აიქნევს და დამცხრალ სულზე გადაინაცვლებს.

საუბარ-თამაშის შესახებ

საუბრის სიამოვნებას აზრები არ ბადებს. უფრო მძლავრი აზრები კარგ წიგნებში შეიძლება მოვიძიოთ. სიამოვნებას ქმნის თვითგამოხატვისა და ურთიერთგაგების სისწრაფე, მოსაუბრეთა ემოციური და გონებრივი ტოლფარდობა, როცა ერთდროულად გატკობს სხვისი გაბრწყინებაცა და შენი საკუთარიც; საერთო გემოვნება, ზუსტი ნიუანსები, რომლებიც

კიდევ უფრო დახვეწილი ნიუანსების მოძიებისაკენ გიბიძგებს და მათი პოვნა.

საუბარი-თამაში ხელოვნების ნიმუშია. იგი აზრის მსხვერპლმწიფრვას მოითხოვს. ფანატიკოსი ყოველთვის აფუჭებს საუბარ-თამაშს. ის მთელი სერიოზულობით აბათილებს მსუბუქ არგუმენტებს, განაგრცობს მიტოვებულ თემებს. წესი კი მოითხოვს, ბურთის ყოველი მოძრაობა მიიღო და დაუნანებლად მიჰყვე მას.

ზოგჯერ მგზნებარებასაც შეუძლია გაგვართოს, მაგრამ ეს მაშინ, როცა მისი სიმძაფრე მოჩვენებითია. ასეთი გზნება ისე იფეთქებს ზოგჯერ გაცხოველებული საუბრისას, როგორც ორკესტრში დიდი დოლი და თეფშები დაიგრგვინებს ხოლმე. შემდეგ კარგი ინსტრუმენტალისტი ქუხილს შეაჩერებს და მშვიდად ჩააცქერდება პარტიტურას.

არსებობენ ოპონენტებად დაბადებული ადამიანები, რომლებიც სულ შეცდომებს ეძებენ, რაც არ უნდა იყოს ნათქვამი. ასეთი მიდგომა აუტანელია. საუბარი შენობაა, რომელსაც კოლექტიურად აგებენ. თანამოსაუბრეებმა ერთობლივ შედეგზე უნდა იფიქრონ და ფრაზები ისე დაალაგონ, როგორც კალატოზები აწყობენ ქვებს. პედანტები უნდა გავინაპიროთ ხოლმე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი პადოქსამდე მალდებიან.

საუბარ-თამაშში გონების საუკეთესო თვისებები – მსჯელობის შეკავებულობა, ზომიერება, თავმდაბლობა – დაბრკოლებად იქცევა. ასეთ საუბარს ცოტათი შლეგური გაბედულება და მკაფიოდ გამოკვეთილი პერსონაჟები სჭირდება. საუბარი მოითხოვს, რომ მთლიანად ეკუთვნოდე მას, ადამიანთა უმრავლესობა კი საკუთარ თავსაც არ ეკუთვნის.

თუ მავანი ორმოცი წლის ასაკშიც კამათობს, მას სიმართლე არასოდეს ჰყვარებია.

საუბარს, მითოლოგიური გოლიათის მსგავსად, გამუდმებით სჭირდება მიწასთან შეხება. აბსტრაქტულ გამონათქვამს მაგალითები უნდა მოჰყვეოდეს. ამიტომაცაა, რომ დიალოგი სასიამოვნოა მხოლოდ მაშინ, როცა თანამოსაუბრენი ერთსა და იმავე ხალხს, ერთსა და იმავე წიგნებს იცნობენ. რაც უფრო ხშირად ხვდებიან ერთი ჯგუფის წევრები ერთმანეთს, მით მეტ სიამოვნებას პოულობენ. აქედან მოდის სკოლის, ყაზარმისა თუ ვერდურენის<sup>1</sup> სალონის ხიზლი.

თუ შენს წრეში არ იმყოფები და არ იცნობ იქაურ საიდუმლოებს, საუბარი მეტაფიზიკური მწვერვალებისაკენ წარმართე. მაშინ, სანდო წერაყინმომარჯვებული მეგზური, უფროსად მოევიწიები იმ ამაყ უცხოებს, რომელთაც თავმოყვარეობა არასოდეს მისცემს ნებას, ქვემოთ დაშვება მოითხოვონ.

პარიზში მოკლე თხრობაა მიღებული. მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურებს, მინისტრებს, ადმირალებს, გენერლებს, ელჩებს, წარმატებულ ლიტერატორებსა და ორიოდე პროფესიონალ მოსაუბრეს აქვთ უფლება, ხუთ წუთზე მეტი ილაპარაკონ. პროვინციაში – „მინისტრები, გენერლები“ შეცვალეთ „პროფექტებითა და პოლკოვნიკებით“. საზღვარგარეთ დროის არავითარი შეზღუდვა არ არსებობს.

<sup>1</sup> მარსელ პრუსტის „დაკარგული დროის ძიებაში“-ს ერთ-ერთი გმირი, ლიტერატურის კრიტიკოსი, რომლის სახლშიც მუდმივად იკრიბებოდნენ მეგობარი ლიტერატორები.

<sup>2</sup> მარკიზა დე სევინიე (1626-1696), ფრანგი მწერალი

დიდებული მოსაუბრე ხმამაღლა ფიქრობს, საკუთარ თავთან უშუალო კონტაქტშია. იგი შინაგან მორევს დაჰყურებს და აღწერს, რაც იქ ხდება.

პოლიტიკოსს, კონფერანსიეს, მჭევრმეტყველური ტონი ყოფით ცხოვრებაშიც არა ტოვებს.

„ჩემს სალონში, ამბობს S..., ყოველთვის დგას სამი კაცი-სათვის განკუთვნილი სავარძლები. ორადგილიანი სახიფათოა. ის უბედური, რომელიც შემთხვევამ მოსაწყენი ქალის გვერდით დასვა, საუბარს ვეღარ მიატოვებს. ხოლო მშვიდი განმარტოების მოსურნე წყვილი ყოველთვის მონახავს ენერგიას, რათა მესამე თავიდან მოიცილოს“.

დიდხანს მჯეროდა, რომ როგორც ერთ სპეციალისტთან საუბარმა გამათვითცნობიერა ბირჟის საკითხებში, მეორესთან ლაპარაკმა – პოლიტიკაში, მესამემ კიდევ ქიმიში გამანათლა, ერთ მშვენიერ დღეს ვინმე ფილოსოფოსის სიტყვები ცხოვრებას გამაგებინებდა.

სალონი საკმაოდ დიდი უნდა იყოს, რათა ორმა ჯგუფმა ისე შეძლოს ერთი-მეორეზე ლაპარაკი, რომ შიში არ ჰქონდეს, გაიგებენო.

მე მომწონს ის, რასაც ქ-ნი დე სევინიე<sup>2</sup> „უსასრულო“ საუბრებს უწოდებდა, როცა ლაპარაკობენ საკუთარ თავზე, სხვებზე, უმნიშვნელო თავგადასავლებზე, არაფერზე; კონტურების გარეშე, სიმკვეთრის გარეშე, ნდობით, ძალდაუტანებლად.

ჩემი სერიოზულობისაკენ მიდრეკილების გამო განსაკუთრებით მსიამოვნებს ბავშვებთან საუბარი.

### საუბარ-ძეგლის შესახებ

არ იფიქროთ, რომ საქმეებს ისე უდგებოდნენ, როგორც მათემატიკურ ოპერაციებს. საშუალო ნიჭის, მაგრამ ძლიერი ნების მქონე ადამიანს შეუძლია, სახიფათო საქმეზე მოანერჩინოს ხელი ჭკვიან, მაგრამ სუსტ ადამიანს, რომელმაც იცის, რომ თავს ილუპავს და მაინც აწერს ხელს.

საუბარში, ისევე როგორც ბრძოლაში, საკმარისია, გქონდეს თხუთმეტი წუთის უპირატესობა მეტოქესთან შედარებით. დაჟინება ამარცხებს გონიერულობას, მჭევრმეტყველებას, ცოდნას. დაჟინება-თავგაბეზრება მოწინააღმდეგეს დუმლამდე მიიყვანს.

სწორი მსჯელობა გაუთავებელი გამოვრებისას სუსტდება. როგორცა ჩანს, გონება სისხლივით გამოიმუშავებს შხამსანინააღმდეგო ნივთიერებას და შეიძლება, მითრიდატესავით მედეგი გახდეს, ოღონდ სანამლავის კი არა – თვით უცხადესი აზრის წინააღმდეგ.

საუბარში, რომელიც მიზნად გადანყვეტილების მიღებას ისახავს, არგუმენტების ნონა ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე მათივე თანამიმდევრულობა. მოულოდნელობა კი ისევე საჭიროა, როგორც ბრძოლის ველზე.

ადამიანთა უმრავლესობა უფრო მეტად ზარმაცია, ვიდრე ამბიციური. ბრიყვთა წარმატების სათავე სწორედ აქ უნდა ვეძიოთ.

კამათისას სირთულე საკუთარი აზრის დაცვა კი არ არის, არამედ მისი ცოდნა.

სპეციალისტის ბანალურ ნათქვამს ისეთი ხიბლი აქვს, რასაც სხვებთან ვერ წააწყდები: ჩვენ მოთმინებით ვუსმენთ, თუ როგორ გადმოგვცემს იგი ანბანურ ქეშმარიტებებს. არადა, იგივე ჩვენ რომ გვეთქვა, ერთი წამითაც ვერ დავიმსახურებდით მსმენელის კეთილგანწყობას.

რამდენადაც მტკიცეა გადანყვეტილება, იმდენად ტკბილი უნდა იყოს ხმა, ღიმილი კი, საბედნიეროდ, ტყუილის მხილების სიმძაფრეს არბილებს.

თუ კამათს დაინყებ მონინალმდევის თვალსაზრისის საფუძვლიანი გადმოცემით, მას უკვე დიდ ძალას წაართმევ.

გამოცდილებას არავითარი სიამოვნება არ მოაქვს, გარდა ერთისა: ესაა გამოცდილების გადაცემის სიამოვნება.

დიპლომატიურ საუბარში მნიშვნელოვანია, თავად მონინალმდევის პრინციპებით შემოიჯავნო, რათა ადგილი არ დაუტოვო სოფისტიკას.

საუბარში, ისევე როგორც ფარიკაობაში, შესაძლებელია ფინტების გამოყენება და აუღელვებელი ბუნების ადამიანს უშიშრად შეუძლია, წამიერად გაიხსნას და ამით მონინალმდევე აიძულოს, თავისი თამამის წესები გამოააშკარავოს.

მე ისეთი ადვილი დასარწმუნებელი ვარ, რომ ვერავითარი მსჯელობა ველარ მარწმუნებს.

ზოგიერთის სჯასა და გადანყვეტილებას შორის თითქოს არავითარი კავშირი არ არსებობს. ასეთი ადამიანები თმობენ ყველა პუნქტს, ყველაფერზე თანახმანი არიან. „მართალი ბრძანდებით“, – ამბობენ და საქმეც მოგვარებული გვგონია. მერე შევამჩნევთ, უკანასკნელ მომენტში, რომ მათ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ და ყველაფერი ისევ თავიდან დასაწყებაა.

შესაძლებელია, შევადგინოთ ასეთი ტოლობა: ასაკი + ხმის მოცულობა = კონსტანტას. მაისურებით მორბენალი ბავშვები და ახალგაზრდა წინასწარმეტყველები მთელი ძალით ღრიალებენ, მსმენელი რომ მოიპოვონ; მოხუცებს ხმა აღარა აქვთ, მაგრამ მათ უსმენენ.

**გონებისა და გონებათმცოდნეობის შესახებ**

არ კმარა, გონება გაგაჩნდეს. გონება საკმარისი უნდა გქონდეს იმისათვის, რომ მისი სიჭარბე აიცილო თავიდან.

1 რობერტ უოლპოლი (1676-1745) – ინგლისელი მინისტრი, ფინანსისტი და პოლიტიკოსი  
2 არმან დე რიშელიე (1696-1788) – ფრანგი მარშალი, კარდინალი და რიშელიეს არაპირდაპირი შთამომავალი  
3 ანტუან დე რივაროლი (1753-1801) – ფრანგი მწერალი და ჟურნალისტი  
4 ემილ ოლივიე (1825-1913) – ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე

კომიკური კონტრასტის პირმშოა. ადვილია, ოხუნჯი იყო, როცა სერიოზულის რეპუტაცია გაქვს. მღვდელს, მინისტრს, მეცნიერს გონებათმცოდნეობა იაფი უჯდებათ; მათი გამოზოგილი და იძულებითი გონებათმცოდნეობა საკმარისია, რომ აუდიტორიამ ქულები დაუნეროს.

არაფერია იმაზე გასაოცარი და არც უფრო სასიამოვნო ახალგაზრდა კაცისათვის, ვიდრე მოხუცებულში გონების სრულყოფილი სიჭაბუკის აღმოჩენა.

ექვს წლამდე თუ სამოცდაათს გადაბიჯების შემდეგ ადამიანს უფლება აქვს, ბუნებრივი იყოს; მცხოვრებთა ცინიზმი ისეთივე დახვეწილია, როგორც ყრმათა გულწრფელობა.

ადვილია, დასცინო საკუთარ თავს წვრილმანების გამო მაშინ, როცა მსხვილმანით აღფრთოვანებული ხარ. აქედან მოდის ინგლისელთა საუცხოო იუმორი.

უაილდიდან მოყოლებული, ინგლისელებმა აღმოაჩინეს საიდუმლო, რომლის ძალითაც პარადოქსი ბანალობად იქცევა.

გონებათმცოდნეობის საკუთარი თავის წინააღმდეგ მიმართვა სხვათა მოხიბვლის სანდო მეთოდია. მაგრამ არის კი ეს ხერხი მართლაც პატიოსანი? ყველაზე თავმდაბალი ადამიანი, რომელსაც როდესმე ვიცნობდი, ამავდროულად ყველაზე პატივმოყვარეც იყო.

„ის სულ ცრუობს, – ამბობდა მავანზე F..., მაგრამ მე ეს არ მალეულებს, ის ხომ სუფრას ართობს“.

უოლპოლს<sup>1</sup> უთქვამს მარშალ დე რიშელიეს<sup>2</sup> შესახებ: „ყველა იცინის, სანამ იგი რამეს იტყოდეს და მართლებიც არიან, ვინაიდან, საჭეჭოა, მერე გაეცინოთ“. ფრაზა, რომელიც პროფესიონალ გონებათმცოდნეთა უმრავლესობას მიესადაგება.

„არაფერი ადასტურებს ადამიანის გონებასუსტობას იმაზე უკეთ, ვიდრე მისი სიყვარული ანეკდოტებისადმი“. მესხიერებადაკარგული კაცის მაქსიმა.

სახალისო ამბავი ისეთ დროს უნდა ჩართო საუბარში, როცა ის წინათქმულს დაასურათებს. უმისამართო ანეკდოტი შეურაცხმყოფელია.

რივაროლი<sup>3</sup> სადამოსათვის განკუთვნილი იმპროვიზაციის მომზადებას დილას, ჯერ კიდევ სანოლში მყოფი იწყებდა. ეპიგრამებს ბარათებზე ჩაიწერდა ხოლმე და სარკის ჩარჩოში ამავრებდა. თან წვერს იპარსავდა, თან იხეპირებდა.

ამ ქვეყნად მხოლოდ სამი იმპროვიზატორი არსებობდა, – ამბობდა ბატონი ემილ ოლივიე<sup>4</sup> ლამარტინი, ტიერი და მე. არც ერთი ამ სამთაგან არ იმპროვიზირებდა.

გონიერების უადგილო გამოვლენა მისი სრული არქონის ტოლფასია.

ბრიყვთა გონება უხეშობაა, წინააღმდეგობრიობა კი – სინატიფე.

აზრის წარმოქმნა ძნელი საქმეა, სიტყვებისა კი – ადვილი; ფილოსოფოსთა წარმატების სათავეც ამაშია.

არამც და არამც არ დაასრულოთ ამბავი თუ მსჯელობა, რომელიც ვისიმე მოსვლამ ან წასვლამ შეგანწყვეტინათ. გაბნეული აზრების წამოკრეფა გონების სიძუნწის ნიშანია.

დუმილის შესახებ

ხშირად მოსაუბრეთა გონებაში ერთდროულად გაიღვებებს ერთი და იგივე საიდუმლო და სახიფათო ფიქრი. ორივემ იცის, რას ფიქრობს თანამოსაუბრე, მაგრამ ამაზე არ ლაპარაკობენ და აბეზარი ფიქრიც ნელ-ნელა უკან იხევს იმ ჰანგის მსგავსად, რომელიც გვიახლოვდება, გვშორდება და მერე ისე ქრება, რომ მუსიკოსებს თვალსაც ვერ შევავლებთ. მოლაპარაკე სიჩუმეც არსებობს.

საუბარი, რომელსაც თან პაუზები არა სდევს, არაპროდუქტიულია. ნაყოფის მომნიფებას დრო სჭირდება.

დიდებულ დიასახლისს სიჩუმე არ შეანუხებს. დუმილის დარღვევას კი არ დაემურება, არამედ მიიღებს და სასიამოვნოს გახდის მას.

ის, რასაც მამაკაცები ქალების „ლაქლქს“ უწოდებენ, ხშირად მხოლოდ სიმორცხეა.

ადამიანებს ისევე ეშინიათ დუმილის, როგორც მარტოობისა. ერთიცა და მეორეც ცხოვრების არარაობას დაგვანახებს და ძრწოლას იწვევს.

შუმანს უთქვამს გამომშვიდობებისას ქალბატონისათვის, რომელიც ნავით ასეირნა ისე, რომ ორი საათის განმავლობაში სიტყვაც არ წარმოუთქვამს: „რა კარგად გავუგეთ ერთმანეთს ამ საღამოს, არა?“

ახალგაზრდა კაცს შეუძლია, მთელი საღამო მდუმარედეს და სასაცილოც არ გამოჩნდეს, თუკი ერთადერთ ფრაზას იტყვის, ოღონდ ბრწყინვალეს, ანდა დელიკატურს.

ბარესი<sup>1</sup> ამბობდა: „იმ საღამოს, როცა ვერ გამომდის ჭკვიანი ვიყო, თავს ვიკატუნებ, თითქოს მოწყენილობა მკლავს“.

რა მომხიბლავია, როცა ორი დუმილი პარალელურად მიაბიჯებს ჩრდილში, მერე კი, უეცრად, ორი სული მხარდამხარ გამოვა დღის სინათლეზე ერთი და იმავე ფრაზით. ასე ხდება ხანდახან, გრძელი მუსიკალური პაუზის დროს, როცა ძლიერი რიტმი მდუმარედ უღერს მსმენელის ყურში; და თუ რეპრიზა ერთდროულად ამოიჭრება მსმენელის წარმოსახვასა და ორკესტრის სილრმეში, შეუდარებელი სიამოვნებაა.

ფრანგულიდან თარგმანში ციმაკურიჩა

<sup>1</sup> მორის ბარესი (1862-1923) – ფრანგი მწერალი, ფსიქოლოგიური ანალიზის ოსტატი

მთარგმნელისაგან

ქართველი მკითხველისათვის დიდი ხანია ნაცნობია ანდრე მორუას შემოქმედება თუ სრულად არა, ნაწილობრივ მაინც, ქართულ ენაზე შესანიშნავად ნათარგმნი ესეებისა და ნოველების წყალობით. მაგრამ ამ უნივერსალური ლიტერატორის მეტი სისავსით წარმოდგენა ჩვენს მშობლიურ ენაზე ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. სამწუხაროდ, ანდრე მორუას რანგისა და გავლენა, ვთქვა, უფრო დიდი შემოქმედების, დიდი ხანია კლასიკოსთა ოქროს დამლით აღბეჭდილი უცხოელი მწერლების თხზულებათა მეტ-ნაკლებად სრული გამოცემები, ე.წ. „ტომეულები“ არ გავაჩნია. ქართველ მთარგმნელთა ღირსეული, მაგრამ მცირერიცხოვანი კოჰორტა ფიზიკურად ვერა სწვდებოდა ამ საქმეს და რუსული ენის მეშვეობით თუ ვახერხებდით მსოფლიო ლიტერატურის გუშინდელი და დღევანდელი პროცესისათვის თვალი მიგვევენებინა. მთარგმნელობითი საქმისადმი დიდი ინტერესი და ახალგაზრდა ძალების აქტიური გამოჩენა ამ რთულ და მეტად შრომატევად, მაგრამ უდიდესი ბედნიერების მომგვრელ ლიტერატურულ ასპარეზზე, სამწუხაროდ, ჯერაც არ იკვეთება. და ამიტომაც კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთარგმნელის არჩევანს, უზარმაზარი ლიტერატურული ოკეანიდან ყველაზე ღირებული ნიმუშების გამოკრებისა და გადმოქართულების მცდელობას. რამდენიმე წლის წინ, როდესაც აღმანახ „საუნჯის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ანდრე მორუას ქალმედილის – მიშელ მორუას ერთი ნოველის ჩვენეული თარგმანი, ერთმა კოლეგამ თარგმანი მომიწონა, მაგრამ არჩევანი დამინუნა. ეს ჩემი თარგმანის პირველი მცდელობა

იყო და გამოგიტყდებით, დიდ რჩევას მართლაც არ შევდგომივარ. თავად ფაქტი, რომ ცნობილი მწერლის ქალიშვილიც მწერალი გახლდათ და ამ ინფორმაციის მიტანა ქართველ მკითხველამდე – ერთგვარი, ძალზე მოკრძალებული კულტურტრეგერული მისია – უფრო მაინტერესებდა, ვიდრე ნოველის მხატვრული ღირსებები. მეტად მკაცრი გემოვნების პატრონი, შესაძლოა, ახლაც არ მომიწონებენ არჩევანს, რომ აღარაფერი ვთქვათ ლიტერატურულ სწობებზე, რომელთაც მხოლოდ უახლესი, ძალზე გახმაურებული, ამა თუ იმ პრესტიჟული პრემიით აღნიშნული ან კიდევ, სკანდალური ბედის მქონე ქმნილებები აინტერესებთ, მაგრამ ლიტერატურას მხოლოდ გენიოსები ანდა „ხულიგნები“ როდი ქმნიან. ანდრე მორუას დარი, გავიმეორებ ამ ეპითეტს, უნივერსალური, ღირსეული, მაინტერესო მწერლები არანაკლებ ქმნიან ამინდს და მეტიც, ეპოქის სურათს. რაც შეეხება „საუნჯის“, ამ მახვილგონივრული, ცხოვრების ღრმა ცოდნითა და დახვეწილი ფრანგული იუმორით შობილი გამონათქვამების, მაქსიმებისა თუ სიტუაციების კრებულს, იგი ქართველი მკითხველის წინაშე მცირე და უნებლიე კუპიურებით წარდგება. გამოცემა, რომლითაც ჩვენ ვისარგებლეთ, არ გახლავთ სრული და, ჯერჯერობით, ვერ მოვახერხეთ სხვა პუბლიკაციის მოძიება. რასაკვირველია, შეგვეძლო ნაკლები ნაწყვეტები რუსულიდან გვეთარგმნა, მაგრამ ჯერ ერთი, ეს ჩვენი პრინციპებისათვის მიუღებელია და მერე, იმედი გვაქვს, „საუბარი“ მკითხველის ინტერესს ამ, ოდნავ შემოკლებული, ვერსიითაც დაიმსახურებს.

ზაზა შათირიშვილი

# ვაჟა-ფშაველა და პოეზიის სანყისი

**სტუმარ-მასპინძლისა და ალუდა ქეთელაურის** ინტერპრეტაციათა საერთო ადგილია, რომ ორივე პოემის თემა პიროვნებისა და საზოგადოების კონფლიქტია.

მაგრამ საქმე ისაა, რომ, მაგალითად, **სტუმარ-მასპინძელში** ერთმანეთს უპირისპირდება არა „კოლექტიური“ და „ინდივიდუალური“, არა პიროვნება და საზოგადოება (თემი), არამედ ორი კანონი – სტუმარ-მასპინძლობის „ნესი“ (ოჯახის კანონი) და „ნესი“ სისხლის აღებისა (თემის კანონი). ჯოყოლა და ალაზა იცავენ ერთ ნესს, ხოლო თემი – მეორეს და, ცხადია, რომ (როგორც ჭეშმარიტ ტრაგედიაში), ორივე მხარე მართალია.

ვაჟა-ფშაველას „ჰუმანისტური“ ინტერპრეტაცია კი (რომ ვაჟა გმობს ერთა შორის შულსა და ამკვიდრებს „გლობალურ ღირებულებებს“; რომ „ინდივიდუალიზმი“ აქ „ტოტალიტარიზმსა“ და „კოლექტივიზმს“ უპირისპირდება) ქრონოლოგიური პროვინციალიზმის გამოვლინებაა. ვაჟა-ფშაველას გააზრება მხოლოდ მარადიულ კონტექსტში შეიძლება. ხოლო „მარადიული“ კი აქ მეტისმეტად მარტივ რამეს აღნიშნავს – უწყვეტ კლასიკურ პოეტურ ტრადიციას.

## პოლისი და ოჯახი

ტრაგედია, ჰეგელის **ესთეტიკის** თანახმად, ესაა, როცა ზეცა მინას უპირისპირდება, ოჯახი – ქალაქს, ოლიმპოს ღმერთები – ქვესკნელის ღმერთებს, ოჯახის კანონი – პოლისის კანონს და როცა ორივე მხარე მართალია. მიცვალებულის დამარხვა, ისევე როგორც სტუმარ-მასპინძლობის „ნესის“ დაცვა, ოჯახის საქმეა, ხოლო მოლაღატის დასჯა თუ სისხლის აღება – პოლისმა (თემმა) უნდა აღასრულოს. ამიტომაც, ჰეგელის აზრით, საუკეთესო ტრაგედიაა არა სოფოკლეს **ოიდიპოს მეფე** (როგორც ამას არისტოტელე ფიქრობს), არამედ – სოფოკლეს **ანტიგონე**.

**ანტიგონეს** კონფლიქტი ისაა, რომ ანტიგონეს ძმა – პოლინიკე – ერთ-ერთი იმ შეიდაგან, რომელიც თებეს წინააღმდეგ იბრძოდა – თებეს მეფემ, კრეონმა, დაუმარხავი დატოვა როგორც მშობლიური ქალაქის მოლაღატე. ამიტომაც დაირღვა დამარხვის რიტუალი – პოლინიკე ჰადესის მიღმა დარჩა, რის გამოც ქვესკნელის ღმერთები შეურაცხყოფილნი

და განრისხებულნი არიან. მათი რისხვა, ცხადია, ოჯახს დაატყდება, რადგან დამარხვის რიტუალი ოჯახმა უნდა აღასრულოს, მაგრამ, მეორე მხრივ, მოლაღატე უნდა დაისაჯოს, მისი დასჯა კი – პოლისის საქმეა. მაშასადამე, ერთმანეთს უპირისპირდება ორი კანონი – პოლისის კანონი, რომელსაც ოლიმპიელი (ზეციური) ღმერთები მფარველობენ, და ოჯახის კანონი – რომელსაც ქვესკნელის (ხთონური) ღმერთები განაგებენ.

**სტუმარ-მასპინძელში** სამი კონფლიქტია: ჯოყოლა უპირისპირდება თემს, ანუ სტუმარმასპინძლობა უპირისპირდება სისხლის აღებას, ალაზასაგან ზვიადურის დატირება, ასევე, უპირისპირდება თემის კანონს, ხოლო სულ ბოლოს – ჯოყოლა ისევე უპირისპირდება თემს, რადგან „მარტო ბრძოლა“ სახლის, ოჯახის ანუ – საკუთარი ღირსების დაცვაა, ხოლო თემი, ცხადია, სხვაგვარად ფიქრობს. სამივე შემთხვევაში მართალია ორივე მხარე, რადგან ორივე მხარე ოდენ ერთ „ნესს“, ერთ კანონს იცავს და აღასრულებს.

**სტუმარ-მასპინძელი** ტრაგიკული ნაწარმოებია, მაგრამ არ არის ტრაგედია, ესაა – ეპოსი.

## ზღვა და მთა

**თავდაპირველად იყო ზღვა და იყო ქალაქი – ტროა. ამის შემდეგ კი იყო დიდი ომი. ტროას ომიდან ნაწილებად და ნაწილებად მობრუნებულ ვეტერანებს მოჰქონდათ არა ოდენ სახელი და დიდება. მათ მოჰქონდათ ამბები, ლექსად ნათქვამი ამბები, რადგანაც სალექსო საზომი ესაა – მეხსიერებისა და ენის ბუნებრივი ყალიბი.**

მაგრამ ბუნებას სჭირდება საკუთარი თავი – სტიქია, რათა ამბავი ლექსად იქცეს, ხოლო სიტყვა შეუნყოფელი – შენყობილ სიტყვად. როცა ტროას ომის ვეტერანები იონიის ზღვაზე მოცურავდნენ, ისინი ნიჩბებს რიტმულად უსვამდნენ – მოსმა / პაუზა / მოსმა / პაუზა / მოსმა – ასეთი იყო დაბრუნების რიტმი. ტროას ომის ამბებიდან და ზღვის ამ რიტმიდან დაიბადა ტროას ომის ლექსები და სიმღერები.

როგორც მინიდან იზრდება ბალახი, ისე იზრდება ენიდან ლექსი – პოეტური ნაწარმოები. როცა ტროას ომის ვეტერანები იკრიბებოდნენ, უბრალოდ ამბებს როდი ყვებოდნენ ხოლმე – ისინი მღეროდნენ ტროას ომის სიმღერებს: „ფეხმარდო აქილევაო...“, „ტკბილმოუბარსა ნესტორსა...“, „იმღერე, ქალაგ-ღმერთაო, სიცოფე აქილევისა...“ – ეს იყო ტროას ფოლკლორი.

გამოხდა ხანი. გამოჩნდა პოეტი, რომელმაც ეს ამბები შეაწყო და დაამღერა როგორც ილიადა და ოდისეა. ომის ამბებიდან ამოიზარდა ქალაქის დანგრევისა და კაცის დაბრუნების ორი დიდი ამბავი. ენიდან ამოიზარდა ლექსი – დაიბადა პოეზია და პოეტური ტრადიცია. დაიბადა ისევე ერთბაშად, როგორც ათენა – ზევსის თავიდან. პოეტს, რომელმაც ეს მოიმოქმედა, უბრალოდ ჰომეროსი უწოდეს.



თავდაპირველად იყო მთა და იყო სოფელი. იყო დიდი ომი. მაგრამ მეხსიერებამ დაკარგა ამ ომის ხსოვნა – სამაგიეროდ, შეინარჩუნა ცალკეულ ბრძოლათა ამბები. გავიდა არანაკლებ დიდი დრო. გამოჩნდა პოეტი, რომელიც გუმანით მიხვდა, რომ მისი იონიის ზღვა სწორედ ეს მთა იყო. რადგანაც, თუ ზღვის რიტმს მოსმა/პაუზა ქმნის, მთის რიტმს ასვლა/ჩამოსვლა ქსოვს. ამ პოეტმა მთის ამბები შეაწყო და დაამღერა როგორც სტუმარ-მასპინძელი, გველისმჭამელი, ალუდა ქეთელაური...

არისტოტელე პოეტიკაში აღნიშნავს, რომ ქმნა (ანუ ზრდა) – პოიესის-ი (პოეზია) – ესაა ამბების (მითების) შეწყობა. პოეზია – ესაა ეპოსი და ტრაგედია, პაროდოსი და კომედია. როგორც ცნობილია, არისტოტელე ოდენ პირველ ორზე გვესაუბრება.

### სტუმარი

**„მე გთხოვ გაუშვა, მუსაო, ნუ სტანჯავ უდიერადა, როცა გასცდება ჩემს ოჯახს, იქ მოეპყარით ავადა.“**

– ჯოყოლას ამ ფრაზის აზრი ძალიან მარტივია: არ შეიძლება სახლში, ოჯახში სტუმრის შეურაცხყოფა და მოკვლა. სტუმარ-მასპინძლობის წესი მოქმედებს სწორედ ამ („სახლკარისა“ და „ოჯახის“) ქრონოტოპოსში. მაგრამ სად მთავრდება სტუმარ-მასპინძლობის ქრონოტოპოსი და სად იწყება მეორე – თემის ქრონოტოპოსი? –

**„შენ და შენს სტუმარს, ორივეს ერთად გადგისვრით ბეჭითა. თემს რაც სწაღიან, მას იზამს თავის თემობის წესითა.“**

სწორედ იქ და მაშინ, სადაც და როცა ამ ორ ქრონოტოპოსს შორის ჩნდება სიცარიელე, პაუზა, „მინა არავისი“ – იბადება ტრაგიკული სიტუაცია.

### ანტიგონე

ანტიგონემ აღასრულა დამარხვის რიტუალი – მიწა წააყარა და დაიტირა ძმა, რითიც მოიმწყალობა საიქიო და ქვესკნელის ღმერთები, თუმცა სააქაოსა და პოლისის, მეფე კრეონის რისხვა გამოიწვია.

ალაზამ დაიტირა ზვიადური როგორც „ჯოყოლას მეგობარი“: „ცრემლები შემინირია / იმ შენი მეგობრისადა.“ მაგრამ პირიქით კი მოხდა – საიქიო (ისევე როგორც სააქაო) მას სამღურავს ეუბნება და წყრომას გამოხატავს – მკვდრები საფლავებიდან დგებიან. საფლავიდან დგება ალაზას სისხლისმიერი ძმა, რომელიც, ასევე, მრისხანებს.

მაგრამ ზვიადური ჯოყოლას ოდენ „ძმობილი და მეგობარი“ არ არის:

**ივანშემეს. თვისი სტუმარი მასპინძელს მოსწონს გულითა. ... .. „ეს ერთი ცნობა, ხვალ ძმობა, ერთად შევთვისდეთ სულითა“ ...**

ზვიადური ჯოყოლასთვის და ალაზასთვის უკვე ძმაა. მოსისხლე, რომელიც მსხვერპლად შენიერეს, სტუმარმასპინძლობის ქრონოტოპოსში არის ძმა, რომელიც მოკლეს. მოკლული და დაუმარხავი ძმა არ შეიძლება დაუტირებელი დარჩეს. წესი არ არის. სწორედ ამიტომ სტუმარ-მასპინძლობა და ძმადნაფიცობა საიქიოსაც ჰყოფს.

ქვესკნელის ღმერთები კი ჩუმად არიან. ისინი უკვე აღარ არიან ღმერთები.

### არისტოტელის აგავი

როდესაც პატროკლეს ცხედრისათვის ბრძოლას დაიწყებენ, ერთი ქისტი გადაწყვეტს, რომ „მარტოკამ უნდა იომოს“. მარტოკამ უნდა იომოს, რადგან მისი სტუმარი და ძმა დაუმარხავია, ხოლო მისი ღირსება შელახულია. ის უნდა შეებრძოლოს მტერს, რადგან უნდა დაიცვას უკვე არა მთლიანად თემი, არამედ – ოდენ საკუთარი სახლ-კარი, ოჯახი, ოჯახის წესი – ანუ ღირსება.

ჰეროდოტე თავის *ისტორიაში* გვიყვება ვინმე სპარტელი არისტოტელის ამბავს: როცა მან შეატყო, რომ სპარტელები მარცხდებოდნენ, გამოვიდა ფალანგიდან, სხვა მხრიდან შეუტია მტერს, მარტომ იბრძოლა და სპარტელებს გამარჯვებაში დაეხმარა. სპარტელთა კანონის თანახმად, ფალანგიდან გამოსვლა არ შეიძლებოდა. ამიტომაც არისტოტელის ქალაქის კედლების გარეთ დაუმარხავი დატოვეს.

არისტოტელის შემთხვევაში ერთმანეთს დაუპირისპირდა პოლისის სიყვარული და პოლისის კანონი.

### ჯანლი და პირიმზა

ჯოყოლა და ზვიადური, ცხადია, საიქიოშიც ძმადნაფიცები არიან. ასევე, ზვიადური და ალაზა და-ძმა საიქიოშიც. უფრო ზუსტად, სწორედ საიქიოს ეს ვიზიონი („სურათი“) ამტკიცებს, რომ სტუმარ-მასპინძლობა, ძმადნაფიცობა, დის მიერ ძმის დატირება ნამდვილად მოხდა. ეს ყოველივე ჭეშმარიტია. ყველაფერი სწორია. ყოველივე ის, რაც მოხდა, სტუმარ-მასპინძლობის წესის მიხედვით მოხდა.

ამიტომაც, ვიზიონი ლოკალიზებულია სივრცეში – ჩნდება სწორედ იმ ადგილას, სადაც ჯოყოლა მოკლეს.

მაგრამ ვიზიონს ჯანლი ეფარება –

**მაგრამ გაჩნდება ჯანლი რამ კურუმად შავის ფერთა, დაეფარება სანახავს ნერა-მწერალის წერითა. ზედ აწევს ჯადოსავითა, არ დაიმტკრევა კვერითა, ვერ შეულოცავს მლოცავი, არ აიხდება ხელითა. მხოლოდ მდინარის ხმა ისმის, დაბლა მიქანავს ხველითა და უფსკრულს დასცქერს პირიმზე მოღერებულის ყელითა...**



რა არის ეს ჯანლი? რალა თქმა უნდა, ეს არაა ის „შავი ნისლი“, რომელიც პომეის დასაწყისში როგორც „სტუმარი ცოტა ხანისა, / ხვალ სხვაგან წავა აქითა.“

მაშ, რა არის ეს ჯანლი? საქმე ისაა, რომ როგორც არსებობს თემის წესი და სტუმარ-მასპინძლობის წესი, ასევე არსებობს ჯანლი და პირიმზე „მოღერებულის ყელითა.“ ჯანლი და პირიმზე ბუნების ორ „წესზე“ მიგვიტოვებს. მაგრამ იმისათვის, რათა **სტუმარ-მასპინძლის** ფინალი და ბუნების ეს ორი წესი გავიგოთ, საჭიროა ვაჟას სხვა ტექსტის მოხმობა:

**ბუნება მბრძანებელია,  
იგივ მონაა თავისა,  
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს  
ზოგჯერ მქმნელია ავისა,  
ერთფერად მტვირთველი არის  
საქმის თეთრის და შავისა;  
საცა პირიმზეს ახარებს,  
იქვე მოხრელია ზვავისა...**

ბუნების ამ ორი წესის „დიალექტიკური სინთეზი“ ვაჟასთან არ ხდება, რადგანაც ეს შეუძლებელია. შესაძლებელია ოდენ შერიგება.

### ვაჟა-ფშაველა და კლასიკური პოეტური ტრადიცია

**ალუდა-ქეთელაური, გველისმჭამელი** და **სტუმარ-მასპინძელი** შერიგების გარეშე მთავრდება. ბუნების ორი წესი ყველაგან უპირისპირდება ერთმანეთს. ოღონდ, თუ **სტუმარ-მასპინძელში** ამ ორ კანონს სტუმარ-მასპინძლობის წესი და თემის წესი ენოდება, **გველისმჭამელში** ესაა – ქაჯუბის წესი და კაცთა წესი, **ალუდა ქეთელაურში** – „მტეობა“ და „კაი-ყმობა“.

ესქილეს **ორესტეა** ნარმოვიდგენს და გვიჩვენებს, რომ შერიგება შესაძლებელია – ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ ოლიმპოსა და ქვესკნელის ღმერთები შეთანხმებას მიაღწევენ. მხოლოდ ამის შემდეგ დაეხსნებიან შურისმაძიებელი ერინიები დედისმკვლელ ორესტეს. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს შერიგება დროებითია. ეს უფრო მორიგებაა, ვიდრე – შერიგება.

კითხვაზე, თუ როგორაა შესაძლებელი შერიგება, ანტიკურ პოეზიას პასუხი არ გააჩნია. მაგრამ ანტიკურ პოეზიას აქვს ის ყალიბი, რომელმაც ეს შერიგება შეიძლება გამოხატოს – ესაა ვერგილიუსის **ენეიდა**. როგორც კლასიკოსი ფილოლოგი რუდოლფ ბორხარდტი აღნიშნავს, **ენეიდა** – „ესაა მთელი ლათინური დასავლეთის ძველი ალთქმა“ ისევე, როგორც „ელინური აღმოსავლეთის ძველი ალთქმა პლატონია – ორივე [ვერგილიუსი და პლატონი] ახალი ალთქმისკენ მონიშნავს გზას, ორივეს ძალუძს მისი მიღება და ათვისება“ – დასძენს ერნსტ რობერტ კურციუსი.

თუკი ჰომეროსი ქალაქის დანგრევისა და შინდარუნების ამბავს გვაუწყებს, ვერგილიუსი ქალაქის დანგრევის, ადამიანის ხსნისა და ახალი ქალაქის დაარსების ამბავს მოგვითხრობს. ვერგილიუსი მოგვითხრობს, თუ როგორ აღდგა ძველი ტროა ახალი ქალაქის სახით. ამიტომაც ეს ახალი ქალაქი – რომი – არის მარადიული ქალაქი-ფენიქსი. როცა ენეასი ჰადესში ჩადის, ის ოდენ, ოდისეუსის მსგავსად, საკუთარ მომავალს როდი უჭერტეს, ამავე დროს, ხედავს საკუთარი ქალაქის, იმ ქალაქის, რომელიც უნდა დააარსოს – მარადიულ მომავალს. ენეასი უჭერტეს საკუთარ შთამომავლობას, ხედავს **pax Romana**-ს და მის შემოქმედს – ავგუსტუსს. გასაკვირი არაა, რომ სწორედ ვერგილიუსი გახდა ლათინური შუა საუკუნეების მოძღვარი და მეგზური, დანტეს მეგზური საიქიოს გზაზე – ჯოჯოხეთიდან სამოთხის კარიბჭემდე.

მაგრამ დავუბრუნდეთ კითხვას – როგორაა შესაძლებელი ეს შერიგება? ეს შესაძლებელია ოდენ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ ღმერთი საკუთარი თავის მსხვერპლშენივით შეარიგებს მინასა და ზეცას, პოლისსა და ოჯახს, მონასა და მბრძანებელს, პირიმზესა და ჯანლს, ელინსა და იუდეველს, საეროსა და სასულიეროს – შეარიგებს ერთხელ და სამუდამოდ, შემრიგებელი რიტუალით, რომელიც იქნება მის მიერ, მასთან ერთად და მასში.

ვაჟას ერთადერთი პომეა, რომელიც შერიგებით მთავრდება, **ბახტრიონია**:

**დაფიქრდა გველი ძლიერად,  
გული ევსება ბრალითა.  
ბევრის ცოდვების მოქმედსა  
გადაუბრუნდა გუნება:  
რა სიბრალულით იმსჯეალვის  
მისი გველური ბუნება!**  
... ..  
**მთელს ერთ თვეს ასე უვლიდა  
ადამის ტომის მტერია,  
ბოროტების გზა გაუშვაგ,  
კეთილი დაუჭერია!**

როგორც ზურაბ კიკნაძე შენიშნავს თავის დიდებულ წერილში **„ბახტრიონის“ დასასრული** –

„ბოროტმა მიიღო ის სახელი – „კეთილი გველი“ – როგორც ქრისტეს მოიხსენიებდნენ, ტერტულიანეს ცნობით, ადრეული ქრისტიანები. გველმა გამოისყიდა საუკუნეთა უწინარეს ჩადენილი ცოდვა. ნამოაყენა ფეხზე უფლის მხედარი და თავადაც ზეალიმართა. განკურნებულ ლუხუმთან ერთად მკითხველნი იმ დროში ვართ, როცა „უკანასკნელი მტერი იგი განქარდა სიკუდილი“ (1 კორ 15, 26).“

დროთა აღდგენის ეს ყალიბი, ასევე, ვერგილიუსთან გვხვდება, ოღონდ არა **ენეიდაში**, არამედ **ბუკოლიკების IV ეკლოგაში**:

Ultima Cumaei venit iam carminis aetas; magnus ab integro saeculorum nascitur ordo. iam redit et Virgo, redeunt Saturnia regna, iam nova progenies caelo demittitur alto. tu modo nascenti puero, quo ferrea primum desinet ac toto surget gens aurea mundo, casta fave Lucina; tuus iam regnat Apollo.

**იკვრება, სიბილას სიტყვიით, ჟამთასვლის მარადი რკალი, თავიდან იწყება დროის დიდებულ წყობათა სრბოლა. გვახარებს ქალწული კვლავაც სატურნის საუფლოს მოსლვას,**

**ახალი თაობა ზეცით ეშვება ისევე მალლით. ო, ამ ახალშობილ პირმშოს – სასწაულს – ნიშანს, რომ რკინის თაობას ოქროსით შეცვლის, მეოხად ეყავ და შემენდ, ქალწულო ლუცინავ! უფალ აპოლოს სუფევის დროა.**

შორენა ლებანიძე

# ფოტოხელოვანის „რისკიანი ავანტიურა“ თუ ლიტერატურული თამაშები



გურამ ნიბახაშვილი

ფერდობზე, ზამთრისპირის უსხვიო ცის ქვეშ მდგარი შენობა ყორედქვეულ ნასახლარს ან ქობმახს კი არა, ძველი სამარხის მიტოვებულ სამლოცველოს ჰგავდა. საფლავები, მომცრო ფილებზე ამოტიფრული წარწერებით, ქვის ანგელოზებით, არ ჩანდა. არც ქარისგან ნელში მოხრილი, მხრებანურული ჭირისუფლები ქმნიდნენ შაოსანთა მწყობრ პროცესიას. კამერას, სახეების ნაცვლად, თითქოს საგანგებოდ ზურგმიქცეულთა თაღბი სილუეტები აღებეჭდა. ობიექტივისკენ შემობრუნებულ ერთადერთ პროფილს პალტოს აფრიალებული საყელო ფარავდა, რაც, პირუკუ, ხაზს უსვამდა განწყობილებას. „ნიბები“ ზუსტ სახელდებაზე მეტად ამძაფრებდნენ სიკვდილთან მიახლოების განცდას. ნაცრისფერი ლანდშაფტის დეტალები – მინის დამაშრული, ხმელი გორახები, დაგვალულ-გაძარცვული ბუჩქები, მიტოვებულ ბაზილიკასთან შეწყვეტილი გაუქმებული სამანქანო გზა – საკუთარ დასასრულზე, წარმავლობაზე მეტყველებდნენ. . .

თბილისში სტუმრად მყოფმა ბერძენმა რეჟისორმა მიხაილ მარმარინოსმა გურამ ნიბახაშვილის არქივიდან ხუთი ერთგვაროვანი ფოტო ამოარჩია. მეოთხეს ნახვისას, თითქოს თვითონაც შემოდგომის მიწურულის ქარიან ამინდში, ხრიოკ ფერდზე გაფანტულ ადამიანებს შორის მიაბიჯებდა.

„ნაიღეთ“, – მიუხვდა გურამი, – „ნივთი იმისია, ვისაც მოსწონს.“

„შინაურული“ სურათები იყო. ლაქები, ნაკანრები აჩნდა.

„მეგონა, არავის დაინტერესებდა და ხარისხზე არ მიზრუნია. თურმე, არ შევმცდარვარ, როცა მივხვდი, რომ უნდა გადამელო. როცა მივხვდი, რომ უნდა დამებეჭდა.“

ზუსტად ნახევარი წლის შემდეგ ნიბახას საბერძენეთიდან სქელტანიან, მაღალპოლიგრაფიულ ნიგნად გამოცემული, მომავალში წარმატებული პიესა (პერფორმანსის ტიპის სპექტაკლისათვის), მარმარინოსის „ნაციონალური ჰიმნი“ გამოუგზავნეს. მისი ფოტოსერიის სრული ვარიანტებითა და ცალკეული დეტალებით გაფორმებულ ტექსტს მოკლე შესავალი უძლოდა. მარმარინოსი ნიბახას სურათების აღმოჩენის შესახებ გვიამბობს:

„სადღაც, თბილისის ჩრდილოეთ გარეუბანში, გურამ ნიბახაშვილის ბინაში. . .“

\*\*\*

სადღაც, თბილისის ერთ-ერთ უბანში, გურამ ნიბახაშვილის სტუდიაში, ინგლისელმა ფოტომცოდნემ იენ ჯეფრიმ „მკვდარი ქალაქის“ პატარა, უფერული ფრაგმენტები აღმოაჩინა: გზის გასწვრივ ჩარიგებული ბოძები, რომლებიც „სხვადასხვა ამბებს გვიყვებიან“; ცალბორბლიანი, გვერდჩაჭეჭილი ტრაილერი, რომელზეც „შემთხვევითობამ ან ისტორიამ კვალი დატოვა“; ქარხნის რვაფანჯრიანი, კვადრატული ბლოკებისა და ბეტონის მოაჯირთან გაჩერებული მანქანების „თეატრალური ნყოფა“; მიზანდაკარგული ისრის ფონზე, წრეწირში ჩახაზული სამკუთხედი – „ყოფითი გეომეტრიის ნიმუში“; უკაცრიელ სივრცეში გაფანტული ნანგრევების „ნესრიგი“; საფეხურებად განფენილი პეიზაჟი; კადრს მიღმა

დარჩენილი ლამპიონიდან არეკლილი შუქი, როგორც სიმბოლო და კონცეფცია. . .

ცამეტივე სურათზე მწერალ ზურაბ ქარუმიძის მიერ აღმოჩენილი „ნიბახასეული მდგრადი გარემოს დინამიკა“ ჩანდა და მოქმედების შეჩერების ფოტოგრაფიული პრინციპი იყო დარღვეული. დროის მდორე, მაგრამ უწყვეტ სვლას განელილი ჩრდილები, გაჩახჩახებული ფარების სინათლის ზოლი. . . ადასტურებდნენ.

„ვფიქრობ, ყველაზე მარტივი საფრონტო ეპიზოდების გადაღება – ემოციების ძიება არ გჭირდება. გაცილებით რთულია სიცოცხლის დანახვა იქ, სადაც შიშველი ნერვი არ ჩანს და ფოთოლი არ ტოკავს,“ – ამბობს გურამი.

იენ ჯეფრიმ „მკვდარ ქალაქში“ სიცოცხლე დაინახა და, „ყურადღების მიქცევის“ ხელოვნების შესახებ შეიღბრანძის ციტატასთან ერთად, ეუენ ატყუეს რიყის ქვები, ფანჯრის ჩარჩოები, ყვავილის ქოთნები, გაჩერებული ურიკები გაისხენა. მისთვის გურამ ნიბახაშვილი, ფოტოხელოვანის გარდა, კარტოგრაფი, გეომეტრი, ტოპოგრაფი, სასამართლო ექსპერტიცი კი არის, ხოლო შერჩეული სურათები – ინვენტარიზაციის ნიმუში, მოდერნისტული კოლაჟი, საგნების აღმწერსხავი, დამხარისხებელი ტაბულა, ნივთმტკიცება.

„გურამს შემთხვევითობა და მცირე მოვლენები იტაცებს. . . მის სურათებს განმეორება და მელოდიის შექმნა შეუძლიათ. . . აქეთ განწყობა, რიტმი და, მუსიკალური ანალოგიით, ბანის გასაღებს ჰგვანან. . . ასახავენ ფაქტს და მოქმედებას, რომელიც ანმყოში ხდება, ან მომავალში უნდა მოხდეს. . . აღწერენ ყოველდღიურ ცხოვრებას, რომელსაც, ჩვეულებრივ, უკან მოუხედავად ვუვლით ხოლმე გვერდს. . . განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენენ კლასიფიკაციისადმი,“ – წერს ინგლისელი ექსპერტი ცამეტი სურათის აღწერილობისა და ანალიზის მომცველ გამოკვლევაში „გურამ ნიბახაშვილის ფოტოგრაფიები.“

\*\*\*

ნიბახას ფოტოგრაფია მონიშნულ არეალს „ჩარჩოთი“ საზღვრავს. ხაზგასასმელი, მისათითებელი მოვლენების შე-

მოფარგვლა ნაწილის მთელისაგან გამიჯვნის ცდაა. ნაწილის, ანუ დეტალის გამხატვრულებას „ყურადღების მიქცევის“ ხელოვნება ემსახურება. ყოფით გარემოში დეტალი, ვთქვათ, სატივრო მანქანის ძარაზე დაყრილი შიშველი მანეკენები, კონკრეტული საქმის შესრულების, ვიტრინების გაფორმების, სამუალებათა. ურთიერთგადამკვეთი შვერილებისგან შექმნილი კონსტრუქციები მშენებლობაზე გამოიყენება. „ჩარჩოში“ ჩასმის შემდეგ გაძარცული, უსულო სხეულები – სიურეალისტურ ფოტოტიპაჟებს, ბეტონის ბოძები კი ნაქცეულ თეთრ ჯვრებს ემსგავსებიან.

მხოლოდ ეთნოგრაფიულ-არქიტექტურულ ჭრილში დასაწახი მოვლენები თავისუფლდებიან პოსტმოდერნისტული „საკაზმისგან“. ისტორიის ფოტონერა დახვეწილ სტილს მოითხოვს. მსგავსი სისადავით ხასიათდება ძველთბილისური სადარბაზოების ნიგნად გამოცემული სერია, რომელსაც მხატვრულობა დიზაინისა და პოლიგრაფიის მაღალმა დონემ შესძინა. ეკა ჯაფარიძის პროექტი გასული საუკუნეების არტ დეკოს სტილის ასახვას ითვალისწინებდა, დოკუმენტური ილუსტრაციების შექმნას მომავალი თაობებისთვის – ისტორიის არქივების გასამდიდრებლად. და ნიბახას ობიექტივში გასაქრობად, წასაშლელად განწირული ჩუქურთმები, ორნამენტები, ფსევდოფრესკები, მოზაიკური პანოები, ჭედურობის ნიმუშები მოექცა.

აქ საძიებელი, ვიზუალური ეფექტებისა და ფოტოგრაფიული ილეთების გამოსაყენებელი არაფერი იყო. ნიბახას კონკრეტულ მისამართებზე მისვლა და კონკრეტული ინტერიერ-ექსტერიერების ხარისხიანად, თანმიმდევრულად გადაღება ევალებოდა.

**„ვიჯექი საგანგებოდ დაქირავებულ ამწეზე. ვეუბნებოდი მემანქანეს: „გააჩერე.“ აჩერებდა. მესამე-მეოთხე სართულების სიმაღლიდან დავყურებდი თუნუქის დაჟანგულ სახურავებს, დაბზარულ კედლებს. ფარდებსმიღმა ვხედავდი გაოცებულ სახეებს. მესმოდა: „დენის კაცი, დენის კაცი,“ ან: „მანტიორ, ერთი ძმურად, დაგვეხმარე. შუქი არ გვაქვს,“ – იცინის გურამი.**

ნიგნს ვფურცლავ. მოყვითალო ფონზე ორნამენტის ხაზი, ჩუქურთმის ხვეულიც კი ჩანს და რკინის პრიალა სახელურების სიგლუვე, ხის ზედაპირის ხორკლი იგრძნობა. ასეთ შენობებს თალიან-კოლონებიანი ფასადი და სტილიზებული სადარბაზო შესასვლელები აქვს. მათი კარი მძიმედ, ჭრილით იღება, ხოლო კედლებმოხატული, ოვალური ჰოლის კიბეს მარმარილოს საფეხურებით მაღლა და წრიულად აპყავხართ ჭერშემიწული დერეფნისაკენ. აქ არის რაღაც უცნაური, ძველი სახლის სითბო. ამ სითბოს ნიგნში



მიხაილ მარმარილოს „ნაციონალური ჰიმნის“ ფოტოილუსტრაცია

მქრქალი ქალაქის ყვითელი ფერი გამოსახულების სიმკვეთრესთან ერთად გაგრძნობინებო.

**„პროექტმა, მთავარი მიზეზის გამო, გაამართლა. კონცეფციიდან და იდეიდან დაწყებული, დიზაინითა და სტამბით დამთავრებული, ნიგნის გამოცემასთან დაკავშირებული ყველა რგოლი თავიდანვე სწორად შეირჩა. საერთოდ, მსგავსი სამუშაოს შემოთავაზებისას, აუცილებლად ვარკვევ, ვინ არის დამკვეთი და პატრონი, ვინ – შემსრულებელი, ვინ – შემფასებელი. ვინ წერს ტექსტს, ვინ აფორმებს. როგორ იქმნება „შიგთავსი“ და მერე როგორ იფუთება. საკმარისია, ჩამოთვლილი რგოლებიდან რომელიმე ამოვარდეს, ჯაჭვი გან-**

**ყდება. თუ, ვთქვათ, კარგი ფოტო ნიგნში ცუდად დაიბეჭდება (შავისა და თეთრის კონტრასტები არ გამოიკვეთება და ა. შ.), ჩემი შრომა აზრს დაკარგავს. დიზაინერმა უნდა იცოდეს: ფოტო არის რაღაც გარკვეული ინფორმაციის მომცველი მასალა, რომელსაც, უბრალოდ, კარგად დანახვა და გამოყენება სჭირდება,“ – მიაჩნია გურამს.**

\*\*\*

სწორედ მასალის ინფორმაციულობა განსაზღვრავს ნიბახას ნამუშევრების ადგილს არა მხოლოდ საგამოყენო და მედიასივრცეებში, ლიტერატურაშიც.

გურამის ფოტოები გასაფორმებელი ნაწარმოების სამშენისები არ არის. ისინი მხატვრული ტექსტის გაგრძელებაა.

გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ ზურაბ რთველიაშვილის პოეტური კრებული „ანარქი“, რომლის შედგენისას ორი ავტორი, ნაწარმოებებისა და ილუსტრაციების შინაარსობრივ-ემოციურმა ან ასოციაციურმა მსგავსებამ კი არა, ექსპერიმენტულმა კონცეფციამ გააერთიანა.

ზურასა და გურამის „შემოქმედებით ტანდემს“ საინტერესო პრესტორია აქვს. წლების წინ ნიბახამ რთველიაშვილის პირველი ნიგნი გააფორმა. „ირექციად“ წოდებული გამოცემის ყდაზე ავტორის ოთხი მოძრავი სილუეტი იყო აღბეჭდილი. სწორად შერჩეულმა ფოტონიკამ, ანუ ფრაგმენტების რიტმულმა თანმიმდევრობამ, მოძრაობა ცეკვას დაამსგავსა.

ახალი კრებულის ფოკუსში „ანარქის“ სახე მოექცა. ავტორის ექვსივე პორტრეტი გასული საუკუნის დასაწყისის რევოლუციურ პოეტს გვაგონებს. ეს მაიაკოვსკი ხომ არ არის სანახევროდ ჩაფერფლილი სიგარით და შავი შლაპით, ჯარისკაცულ კამუფლაჟზე გადაჭერილი ტყავის სალტეებით და ნითელარმიელის ნაწვეტებული, ვარსკვლავიანი ქუდით, მტკიცე, ენერგიულ მზერაში ჩაქსოვილი ანარქისტული პათოსით და მრწამსით?



ზურაბ რთველიაშვილის პორტრეტი კრებულიდან „ანარქი“

რთველიაშვილი ანალოგიებს არ გაურბის. მეტიც, მიაიკოვსკისეული მანერის, გამომეტყველების, თუნდაც თავგადაპარსულობის საგანგებო დემონსტრირებით ხაზს უსვამს სახელდებას, რომ... გადაარწმუნოს საზოგადოება:

„მე მე ვარ. ანუ პატივს ვცემ წარსულს. არ ვემიჯნები თანამედროვე ხელოვნების ტრადიციებს. ვაღიარებ ლიტერატურული პროცესების უწყვეტობას. ვიყენებ დანატოვარ მასალას, ვიღებ ფორმას და მას წერის საკუთარ მანერას, საკუთარ კონცეფციას, პოეტურ ხედვას ვარგებ. მაგრამ თუ მკითხველს ორ ავტორს შორის მსგავსების დანახვა სურს, ხელს არ შევუშლი. მისი ნებაა... მას უყვარს კლიშე, სტერეოტიპები – „ნახეთ, ახალი გალაკტიონი მოვევლინა ქვეყნიერებას, ეს რილკეს ნააგავს, მიაიკოვსკია.“ არ შევედავები. მხოლოდ ვურჩევ, აიღოს პირველად.



ილუსტრაცია იენ ჯეფრის ნიგნიდან „გურამ ნიბახაშვილის ფოტოგრაფიები“

ვდა. უცნაურია, მაგრამ ის ძალი მიაიკოვსკისას ძალიან ჰგავდა.

და გამეორდა მიაიკოვსკი-როდჩენკოს „ტანდემი“. შეიქმნა ნიგნი, როგორც კონცეფცია.

„გურამთან ყველაფერი მარტივად იყო. „ასე ხომ არ ჯობს? მართალია. აი, აი, ზუსტად მანდ ვარ,“ – ნახევარი სიტყვა, მინიშნებაც ჰყოფნიდა აზრის, განწყობის ამოსაცნობად... ვფიქრობ, ძალიან ჩვეულებრივი, ბანალური ობიექტი, სწორი კონტექსტის შერჩევითა და პატარა შტრიხის დამატებით, პოეზიის რანგში აჰყავს. ხელოვნების ბაზას, ტექნოლოგიურ მხარესა და მხატვრულ ოსტატობას სცილდება. პარალელურ სივრცეებს ეძებს, სადაც ბევრი შრეა და საგამოფენო, ვიზუალური პოეზიები იკვეთება,“ – ამბობს ზურა.



ილუსტრაცია ზურაბ ქარუმიძის ნიგნიდან „Opera“

დი სინჯი, შეხედოს, დააკვირდეს, შეადაროს და აუცილებლად აღმოაჩენს განსხვავებას.“

რთველიაშვილ-ნიბახაშვილის ექსპერიმენტი სახალისო თამაშს დაემსგავსა: ზურა თითქოს მიაიკოვსკი იყო, გურამი – მისი პირადი ფოტოგრაფი როდჩენკო. როდჩენკო ახალი კრებულისთვის მიაიკოვსკის პორტრეტებს იღებდა. დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებდათ. აგიტპლაკატებს, საგაზეთო პუბლიკაციებს, ნიგნებს აფორმებდნენ.

გადაღებები როდჩენკოს (ნიბახაშვილის) სტუდიაში მიმდინარეობდა. მხოლოდ წითელვარსკვლავიანი დროშის ასაფრიალებლად ავიდნენ მიაიკოვსკის (რთველიაშვილის) სახლის სახურავზე.

შესაბამისი კოსტიუმების მოძებნა არ გასჭირვებიათ. ზურამ ტანსაცმლის კარადიდან სამხედრო უნიფორმა გადმოიღო. ავანგარდი ჯარისკაცის აღკაზმულობა ახალ საუკუნეში, ოდესღაც მინიჭებული დადა-მეფე-პრეზიდენტის ტიტული-სადმი პროტესტის ნიშნად შეიძინა და „ჩაცმულობა, როგორც კონცეფცია“ უწოდა. წითელარმიელის ქუდი ნიბახას კოლექციიდან, „ბუდიონოვკას“, პანამას, ჩალმას, ბერეტს, მეხანძრის ჩაჩქანს შორის ამოარჩიეს (მოგვიანებით გურამმა ჟურნალ „ამარტასთვის“ საკოლექციო ქუდებში მწერალ ბესო ხვედელიძის 50-მდე ფოტო გადაიღო).

მუქ ფონზე, რეტროს სტილში შესრულებული ნამუშევრებიდან მეშვიდე – „ანარქი“ ძალღით – კრებულში ვერ მოხ-

\*\*\*

პარალელური სივრცეები. რამდენიმე სამყაროს თანაარსებობა. რეალობის მრავალმაგი შრეები... .

პოსტმოდერნისტული ხედვის თვალსაზრისით, გურამის მეწყვილე მწერალი ზურაბ ქარუმიძეა. ნიბახამ მისი „opera“ და „თხა და გიგო“ გააფორმა. ნიმუში: გადაშლილი რვეულისა თუ თაბახის ფურცლის ფონზე ბეტონის კედელი ჩანს. კედელიც ფონია ნახატისათვის, ხოლო თეთრი ჩარჩო – ლანდშაფტისათვის. ანუ გავლილია საფეხურები: ფურცელზე – კედელი; კედელზე – ტილო; ტილოზე – პეიზაჟი. ლანდშაფტი, ოთახის კუთხისა და თეთრით შავზე ნაწერი ტექსტის მსგავსად, პარალელური რეალობაა. აქაც მრავალი პლასტია, უსასრულობისკენ, უხილავი ნერტილისკენ გაჭრილი თუ ჩალრმავებული მზერა – სამყაროს უქიდეგანობის აღქმის მცდელობა.

„ნიბახა მოვლენებს ცენტრიდან კი არა, პერიფერიიდან, თითქოს შეტრიალებული თვალთ უყურებს – სიბქვაზე განაბული ხელიკის თვალთ. მის ფოტოებში ვიზუალური შთაბეჭდილებები ცნობიერების სპონტანურ ფოტონაკადად მოედინება, იერარქიული წყობა, ერთიანი სისტემის შემადგენელი ლერძი არ ჩანს და ყოველივე თანასწორია ყოველივეს ნინაშე. დეტალი ბატონობს, როგორც მთელი,“ – მიაჩნია ზურაბ ქარუმიძეს, ხოლო ნიბახა, თავის მხრივ, ფიქრობს:

„ზურას მოთხრობების კითხვისას შეიძლება, სხვადასხვაგვარად იაზროვნო, ერთი და იგივე ნაწარმოები სხვადასხვაგვარად აღიქვა: ან, როგორც თვითმყოფადი და არა რალაც ფაქტის ამსახველი ტექსტი, ან, როგორც კონკრეტული სოციალური მოვლენის აღგორია, ან – განსაზღვრულ დროს, განსაზღვრულ ადგილას, განსაზღვრულ ადამიანებს თავს გადამხდარი კარგად აღწერილი სცენა, ან – მწერლის ფანტაზია. მსგავსი ნიგნისთვის ფოტოების შერჩევა იოლი არ არის, დიდ დროს და ფიქრს მოითხოვს, მაგრამ ძალიან საინტერესო კია.“

მწერლისა და ფოტოხელოვანის ესთეტიკური პრინციპების თანხვედრა „opera“-ში გამოიკვეთა.

პოსტმოდერნისტულ მანიფესტად წოდებული „პროლოგის“ ილუსტრაცია ერთ სიბრტყეზე თავმოყრილი ფოტოების უცნაურ ნაკრებს ქმნის. აქ გვერდიგვერდ თანაარსებობენ: დამბაჩა, სახაზავი, მიაიკოვსკი, ატომური აფეთქება, მთიანი ლანდშაფტი, ოჯახური პორტრეტი. . .

საზოგადოების გაგიჟებას „პაროდოსში“ სირაქლემაზე ამხედრებული შიშველი, გადარეული ქალი გვატყობინებს.

ლუის კეროლის ცნობილი ნაწარმოების მიხედვით შექმნილ „გიჟების ჩაისმას“ გაუქმებული კარუსელისა და საოცრებათა ქვეყანაში ჰოლივუდური თვალებით მომზირალი „აღისას“ ფოტოები აფორმებს.

გარეკანზე გამოსახულ ძველი გაზეთების დასტას კი ავტორი თვითირონიად აღიქვამს:

„ხომ შესაძლებელია, მოთხრობების ეს კრებულები – „opera“ – ოდესმე მაკულატურად იქცეს?“

\*\*\*

გურამ ნიბახაშვილის ფოტოექსპერიმენტი ბესო ხვედელიძისა და მკა მიქელაძის „რისკიან ავანტიურაში“ მონაწილეობით გაგრძელდა. მორიგი ლიტერატურული ტრიუკი მისგან ორი ავტორის ერთობლივი რომანის, „იხვის ტოლმის“, ილუსტრირებას მოითხოვდა, რაც იოლი არ ჩანდა: ნიგნში მოთხრობილ დაუფერებელ თავგადასავალს, ისტორიული მოვლენების ამოყირავებისა და აბსურდული უკუსვლის წყალობით, მკითხველი ქვის ხანამდე, წარღვნამდე, ადამ და ევამდე მიჰყავდა. ერთგან დინოზავრებიც კი იყო ნახსენები. ამ უცნაურობებით აღსავსე მოგზაურობას დროსა და სივრცეში სამქვეთავიანი ნიგნის შუა ნაწილი ასახავდა. ამბავს ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტი (ბესო ხვედელიძის გმირი) ყვებოდა. შესაბამისად, სურათებიც ექიმის (მკა მიქელაძის გმირი) თავსართ-ბოლოსართსა თუ პროლოგ-ეპილოგში „იხვის ტოლმასავით“ შეფუთულ, ზემოთ ნახსენებ ისტორიას უნდა დართოდა. ანუ გათამაშებულიყო ბლეფი: ფსიქიატრი გამოცემელს უკვე განერილი ავადმყოფის ფანტასტიკურ ავტობიოგრაფიას სთავაზობს, ავადმყოფისავე გადაღებული, აღწე-



ილუსტრაცია ბესო ხვედელიძისა და მკა მიქელაძის რომანისათვის „იხვის ტოლმა“

რილი ფაქტების დოკუმენტურობის დამადასტურებელი ფოტოებითურთ.

„თხრობის რიტმულობამ – დინამიური, ხოლო ნიგნის შინაარსმა ამსახველი, ასოციაციური და ე.წ. დეტალების ფოტოები მოითხოვა. ფოტომ ილუსტრირების ფუნქცია, მხატვრული ღირებულება დაკარგა, ზოგან მხოლოდ ირიბი მინიშნებით, რალაც ნიუანსით დაუკავშირდა ნაწარმოებს და თავად იქცა ტექსტად, მის დამხმარედ და მოკავშირედ, განუყოფელ ნაწილად, ხოლო ნაწარმოები – სურათის ნაკითხვის საშუალებად,“ – ამბობს ბესო ხვედელიძე.

მამ ასე: თხრობა რიტმულია. თითქოს ნამზომივით ჩართეს რევი. იწყებ კითხვას და, საბაზუზე ადგილების მიუხედავად (ტექსტი მუხლებად არის დაყოფილი), შეუსვენებლად გადიხარ ბოლოში. ხედავ, ანუ ვიზუალურად აღიქვამ ფრაზას და ფრაზასავით კითხულობ ფოტოს. ფოტო კვალში მიყვება სიტყვას. ზოგან იყოფა და მომდევნო გვერდზე გადადის. შუაზე გაჭრილი სახე. განყვეტილი და სხვა ფურცელზე გაგრძელებული მოძრაობა, რომელიც ხშირად არც იკითხება. რა ვუყოთ? ფოტოტექსტად ქცევის შემდეგ ილუსტრაციები მთავარი გმირის, ამბის მოთხრობელის, მიერ საკუთარ ნივთებს შორის აღმოჩენილი „იუნოსტი“ ან „სმენათი“ გადაღებულს დაემსგავსა.

„გვინდოდა, ნიგნი „სიესტაში“ გამოგვეცა, მაგრამ, ერთი მიზეზის გამო, გადავიფიქრეთ: „სიესტა“ „პრიალა“ ფოტოებს ბექდავს, ჩვენ კი სამოყვარულო სურათები გვჭირდებოდა, რომ ზედმეტი სიპრიალით სიყალბისათვის არ გაგვესვა ხაზი,“ – გვიხსნის ბესო.

აი, რატომ არ იზრუნეს ავტორებმა გამოსახულების ხარისხზე და რატომ მიაწერეს რომანის შიდა გვერდზე ორჭოფულად: „ნაწარმოებში გამოყენებული ფოტოლოკუმენტაცია დაცულია გურამ ნიბახაშვილის პირად არქივში.“

ექსპერიმენტის მიზანია, ჯერ დავიჯეროთ, რომ ნიბახას პირად არქივში, რალაც ხრიკებით, ნიგნის გმირის მიერ გადაღებული სურათებიც მოხვდა, მერე ვიგემოთ „იხვის ტოლმა“ და იოტისოდენადაც არ შეგვეპაროს ეჭვი მის სიმართლეში.

ბესოს კი ეჭვი არ ეპარება, რომ „ტრიუმფირატის“ შეკვრის პრინციპმა გაამართლა. მკა მიქელაძე ერთდროულად მწერალიც არის და ფსიქიატრიც. გურამს მდიდარი და მრავალფეროვანი არქივი აქვს, ექსპერიმენტები უყვარს. მასზე უკეთ, ალბათ, ვერავინ ჩაებმებოდა აზარტულ და თამამ ლიტერატურულ თამაშში.

\*\*\*

„თამაში“ გრძელდება. გურამ ნიბახაშვილს, წერილში მითითებული მწერლების გარდა, სხვა თანამეწყვილებიც ჰყავს: შოთა იათაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, ალექო შულაძე, ალექო ცქიტიშვილი. . . ვფიქრობთ, ჩამონათვალი მომავალში ახალი გვარებით შეივსება.

საბა სულხანიშვილი

# გზა გვირაბითა შემოვა

\*

ნესტან კვინიკაძის  
ნოველების კრებული

თუ გზა გვირაბითა შემოვა, მაშ ციხეც ეზომ მალალი უნდა იყოს, თვალნი ძლივს გარდასწვდებოდე.

არა, იქ არავითარი ციხე არ არის, მითუმეტეს თვალძლივს გარდასაწვდენი.

თუ გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მაინც უნდა ზედა დგებოდნენ და მათთა შემბმელთა დახოცდნენ.

არა, მცველნი იქ ისე არა დგებიან, რომ სისხლის სუნი ტრიალებდეს.

თავაზიანად შეგეგებება კარისკაცი, მომეტებული თავაზითაც კი, და ერთ-ორ ნაბიჯზეც გაგაცილებს, ვიდრე გვირაბს გაუყვებოდე.

თუ გზა გვირაბითა შემოვა, ნესტანი მაინც უნდა იყოს ახლომახლო.

თუ ესეც არა, ხელი ავიღოთ ვეფხისტყაოსნურ ასოციაციებზე და უფრო დღეისდღეის ცნებანი მოვიმარჯვოთ, იქნებ ის მაინც წაგვადგეს.

მაგრამ... ნესტანი კი ნამდვილადაა ახლომახლო და ამაოდ არ ჩაგვიარა ეპოსის იმ სტროფის გარსში ტრიალმა. ახლომახლოც და... სულაც მისი გულისათვის აღმოჩენილვართ ამ დარბაზში, სადაც გვირაბით შემოდის გზა ნახევარსიბნელებში, იღვრება მეტალის მუსიკა („რკინის“? „ინდუსტრიალის“?) და ნოეს კიდობანივით ატორტმანებულა იქაურობა.

ჩამოსაჯდომად კიბე ასდევს გვერდით, თუ რაიმეა გადმონეული, ახალგაზრდა შეხონხლილა ზედ, უფრო კი ტრიალი, გასვლა-გამოსვლა, რწევა ურჩევნიათ და, თუ წამიერად ნესტან კვინიკაძე მოიმარჯვებს მიკროფონს, მუსიკის ხმაურში ერთი რა არის, ერთი სიტყვაც არ ისმის.

მისი ნოველების კრებულები დაფრიალებს დარბაზში, რატომღაც ინგლისური სახელწოდებით – „Herself“, და გული გიგრძნობს, რომ პრეზენტაცია დაწყებული უკვე და ავტორი თავის ამ ახალ წიგნს წარადგენს.

„ისპაჰანის ბულბულებმა“ ერთბაშად მოუპოვა სახელი, „ამარგისა“ და ცალკეული სტატიების შემდეგ, იმედით რომ შეხედავდი ახალბედას გამოჩენას სამწერლო ასპარეზზე, ეს რომანი იმედის დადასტურებად გამოჩნდებოდა, ჩვენი ბელეტრისტიკის სრულყოფილებიან ნაწილად და ახალთაობის კიდევ ერთ წარმატებულ ნაბიჯად.

ნოველები კიდევ უკეთესიაო, – ზოგი მკითხველი ამის მტკიცებასაც მოჰყვება, თუმცა მე მაინც რომანი მირჩევნია და „ისპაჰანის ბულბულებს“ შემდეგ კიდევ უფრო შთამბეჭდავ კრებულს ველოდი ქვეშეცნეულად. არა, კი არ ვინუნებ, ეგაა, თვითონ ნესტანმა გაგვხადა უფრო მომთხოვნე მის მიმართ, ისეთი სიმძაფრით წარმოსახა რომანში სულიერი ჭიდილი და მიწყდომ-მონყდომა იმ ახალგაზრდებისა, რომელნიც თუ რაიმეს ვერ შეეგუებიან, უპირველესად გაქვავებულ ნორმებს, სიცოცხლემოკლებულთ და ინერტულობისაკენ წამქე-

ზებელთ. არ არსებობს სამყარო თავისთავად, თუკი შენ თვითონ არ აღმოაჩენ მის ყოველ განზომილებას, მხარესა თუ შრეს – შესაძლოა ასეც დაინუროს რომანის მხატვრული მრწამსი, რომელიც დრამატულ სიუჟეტურ ქარგად გაშლილა.

ნოველებშიც ეს ნატეხები გამოსჩანს და თუ არაერთი ეპიზოდი თუ სურათი გხიბლავს მწერლური ხელოვნებით, მთლიანი ციკლი „ისპაჰანის ბულბულების“ შთამბეჭდაობას ვერ შესტოლებია.

დასაბუთებაა საჭირო?

მოდი ამჯერად იმ გზას ვაგვხედოთ, გვირაბით რომ შემოვა და თუნდ იმ ნოველაზეც ნურაფერს ვიტყვი, თან ნაცნობი და თან ორიგინალური სათაური რომ დარქმევია – „მე, ზურა, ქალბატონი, მოჩვენება, ანგელოზები, ნაირა და მთელი სამყარო“ – და მგონი პირდაპირ გადაუტანია ფურცლებზე თავისი განცდები, დღიურისა არ იყოს.

ნოველიდან ვიგებთ, თუ როგორ შეჰყვარებია პერსონაჟს, ავტორის ალტერ ეგოს, ზურა მესხი – უნახავად, ზღაპრული სიუჟეტების გმირივით, ალტაცებულა მისი მოთხრობით „სპაზმები“ და რომანით „... ჩვენი უცოდველობა, მამაც...“ – მოხიბლულა მისი ფოტოსურათითაც, ბიოგრაფიითაც... დაბოლოს, ხელთ ლიტერატურული მისტიფიკაცია შერჩენია საინცვლოდ იმედისა დიდისა.

მართლა ლიტერატურული მისტიფიკაციაა თუ არა ზურა მესხი და თვით ამ ორი ნიმუშის გამოჩენა ჩვენს სინამდვილეში, ისევე, როგორც ის მღელვარე გამოხმაურებანი, რაც ამ სახელის ირგვლივ დაგროვდა, იქნებ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების თემადაც გამოდგეს, ერთგვარი დეტექტიური ცდისა, და იქ ნესტან კვინიკაძის ნოველაც ძალდაუტანებლად ჩაერთვის.

ახლა კი იგი სათქმელს ერთბაშად მოათავებს და სცენიდან ჩამოდის. ხან ვისთან შეჩერდება, ხან ვისთან, და ტორტმანსა და ორომტრიალში ჩვენც უნდა გადავანყდეთ ერთმანეთს.

– თუ მოისმინეთ, რა ვილაპარაკე?

– სიტყვები ვერ აღწევდა.

– ყველა ამას მეუბნება. რა ვთქვი და: გამომცემლობა დავარსე და ჩემი ამ კრებულით ვავხსენი. გადანყვეტილი მაქვს, ვის წიგნსაც გამოვცემ, მთელი შემოსავალი მასვე დავუტოვო, საგამომცემლო ხარჯებს სპონსორები გაისტუმრებენ და ასე მოვახერხებთ არსებობას, მწერლებს კი შემოსავალი გაუჩნდებათ, თორემ რა გამოდის, როდემდე შეიძლება უსასყიდლოდ გამოდიოდეს წიგნები. რას იტყვი?

– კარგად მოგიფიქრებია.

– თავი თუ მოვაბი.

და გამომეშვიდობება თუ არა, მაშინვე სხვებს გამოელაპარაკება:

– თუ მოისმინეთ?

– იცი, სიტყვები არ აღწევდა.

– რა ვთქვი და...

გამაყრუებელი ხმაურია.

ეს ალბათ მომავლის მუსიკაა.

და მომავლის პრეზენტაციები.

– თუ მოისმინეთ? – ახლა სხვას შეუჩერებია ნესტანი და, ამ შეკითხვისას ისიც უხერხულად რომ იშმუშნება, ნოველების ავტორი სასწრაფოდ დაამშვიდება: ახლავე გეტყვი, რაც ვილაპარაკეო.

არსადაა ეზომ მალალი და თვალგადაუნდენელი ციხე, არც მცველნი ჩამწკრივებულან, ავად მომზირალნი, ადამიანთა ძვლებიანად მშთანთქმელნი და მხოლოდ მათ სამთა გმირთა მნათობთა წინაშე შემდრკალნი.

ნესტანია. მარტოდენ ნესტანი.

ისიც რომ არ იყოს?

მამ... მამ გზა გვირაბითა რატომ შემოდის.

თამარ მიქაძე

# სურთომოდვარი

\*

**დიმიტრი ყიფიანი  
და მისი შთამომავლობა**

**დიმიტრი იყო ჩვენი სურთომოდვარი  
და ჩვენ კი მისი კალატოზები.**

*ილია ქავჭავაძე*

დიმიტრი ბაბუ, დიდი დიმიტრი, მისი სახელი სულ ასე იხსენიებოდა ჩვენს სახლში, ამას პატარაობიდანვე შეჩვეული ვიყავი, მაგრამ... ერთ ზაფხულს, როცა ქვიშხეთში ვისვენებდით (საერთოდ ზაფხულს იქ ვატარებთ ხოლმე) ბებიამ გახსნა სკივრი, იქიდან სათუთად შენახული დიმიტრი ყიფიანის პორტრეტი ამოიღო (მის სიცოცხლეშივე შესრულებული უცნობი მხატვრის მიერ) და, ალბათ, როგორც უფროს შვილიშვილს გადმომცა – შენ უნდა დაგიტოვო ეს სურათიო! მაშინ, რა თქმა უნდა, ვერა, მაგრამ როცა წამოვიზარდე, გავაცნობიერე რას ნიშნავდა ეს ყოველივე... უნდა გავრძელებულიყო ყველა ის ტრადიცია, რომელიც არსებობდა ჩვენს ოჯახში.

იმ დღიდან მოყოლებული რაღაც ფარულ სიამაყესაც ვატარებ, თუნდაც იმიტომ, რომ მეექვსე თაობა ვარ დიმიტრი ყიფიანისა, თან იმ თაობის წარმომადგენელი, რომელსაც ხმამაღლა, ყოველგვარი მალვის გარეშე შეუძლია განაცხადოს ვისი შთამომავალია.

დედაჩემი ბებიის, ვეტა ყიფიანის გაზრდილია, ვეტა ყიფიანს კი უშუალოდ დიმიტრი ბაბუა ზრდიდა. მისი ხმამაღალი სიტყვა იშვითად თუ ახსოვდათ, ამის მიუხედავად, უდიდესი მოკრძალებით ექცეოდა ოჯახის თითოეული წევრი. ძალიან თბილი ადამიანი იყო, ყველას მოფერებითი სახელებით მიმართავდა, რაშიც ჩვენს ხელთ არსებული მეუღლისადმი მიწერილ ყველაზე მცირე ტექსტის კითხვისასაც ვრწმუნდებით:

*ტფილისის სატელეგრაფო სტანცია  
გაგ ზავნილია გორიდან  
27 ივნისი  
დეკემბა*

*ნინო ყიფიანს*

*მშვიდობიანად ჩავედით ქვიშხეთში, შუადღის 2 საათზე. აქ ცივა. ლოლა (საუბარია მის ქალიშვილ ელენეზე – თ.მ.) ტიროდა, რომ დააშორეს დედიკოს, ლამის ფეხით უნდოდა უკან დაბრუნება. ახლა თამაშობს, დარბის, ბანაობს.*

*უსმენოდ მოწყენილი ვარ.*

*დიმიტრი ყიფიანი*

დედა გულისტკივილით იხსენებდა – როცა მასწავლებელი აკაკის „განთიადს“ გვიხსნიდა, ოჯახში მკაცრად ვიყავი გაფ-

რთილებული, დამემალა, რომ დიმიტრი ყიფიანი, ვისაც პოეტმა უძღვნა ლექსი, ჩემი დიდი ბაბუა იყო.

შეიძლება ითქვას, მოღვაწეთა არსებობა გვარში ჩემს წინაპრებს უბედურებად ექცათ. იყო რეპრესიები, პერიოდულად მინის ჩამორთმევა და პიროვნული ტრაგედიები, რისი ნათელი მაგალითიცაა თამარ ბაგრატიონის ცხოვრება. 8 წლის გოგონა ძონძებით შემოსეს და როგორც ლატაკს, იძულებით დაატოვებინეს სამშობლო, რადგან დედით დიმიტრის შვილთაშვილი იყო, მამით კი – ბაგრატიონი.

არადა, მთელი ცხოვრება ელოდნენ მას ბებიები, ეძებდა ბიძაჩემი კინორეჟისორი გურამ პატარაია უცხოეთში გადაღებისას. თვით ექვთიმე თაყაიშვილსაც მიუღია მონაწილეობა მის ძებნაში, მაგრამ ამაოდ.

რამდენიმე წლის წინათ გაზეთ „ახალი ეპოქის“ საშუალებით მივაკვლიეთ ქალბატონ თამარს (როგორც სახლში ეძახდნენ – ჯოიას), რომელიც შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობდა.

თბილისში ჩამოსული ქართველი ნაცნობის ხელით ქ-ნ თამარს გავუგზავნეთ ჩვენს საოჯახო არქივში დაცული მასალების და ფოტოების ასლები, რამაც იგი ძალიან გაახარა. ტელეფონით საუბრისას კი ქვითინით ამბობდა, რომ თუ ჯანმრთელობამ ხელი შეუწყო, სიამოვნებით წამოვიდოდა საქართველოში, ძალიან უნდოდა დედის საფლავის ნახვა ქვიშხეთში და ვინაიდან იქ სულ მარტოა, დარჩენილი წლების ნათესავებთან ერთად გატარება.

მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ თამარ ბაგრატიონი, ლოზანაში, მოხუცთა თავშესაფარში 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქალბატონი, რომელსაც 80 წელი ელოდა ჩვენი ოჯახი და რომელიც წარმოადგენს ყიფიანების ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო და სევდიან ფურცელს.

\*\*\*

დიმიტრი ყიფიანისა და მისი შთამომავლების შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ ჩვენი მიზანია დღის სინათლეზე გამოვიტანოთ წლების განმავლობაში, არაერთ ავბეთში პერიოდს გადაარჩენილი საოჯახო არქივის მასალები და ამით გარკვეული წვლილი შევიტანოთ სამომავლოდ დიმიტრი ყიფიანზე სრული მონოგრაფიის შექმნის საქმეში, ხოლო ფართო საზოგადოებას, მომავალ თაობებს შევასხენოთ ერთ დროს გამიზნულად მივიწყებული ეროვნული მოღვაწე და მისი შთამომავლები.

აღნიშნული არქივი შეიცავს სხვადასხვა ენაზე მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან უამრავ მიმოწერას, მაშინდელი ცნობილი პირების ფოტოსურათებს, ოფიციალურ საბუთებს, ღია ბარათებზე დაბეჭდილ ხედებს, ავტოგრაფებიან ნაჩუქარ სურათებს და სხვა...

საყურადღებოა საოჯახო არქივში დაცული რუსულად დაწერილი კერძო ბარათი, დათარიღებული 1882 წლით.

ტექსტი ბოლონაკლულია, შეიცავს 4 მცირე გვერდს. ავტორია ნიკოლოზ ყიფიანი, ხოლო ადრესატი – მისი მამა დიმიტრი ყიფიანი. წერილი გაგზავნილია თბილისიდან პეტერბურგს, სადაც იმჟამად იმყოფებოდა დიმიტრი.

აღნიშნული წერილი წარმოადგენს პირველწყაროს 1882 წლის მასში ჩატარებული საადგილმამულო ბანკის ყრილო-



ბის შესახებ. ნიკოლოზი ყრილობის უშუალო მონაწილე და თვითმხილველია. იგი მთელი სიზუსტით და ობიექტურობით გადმოგვცემს საქმის ვითარებას, ამდენად, დასახელებული ნერილი მნიშვნელოვანია საადგილმამულო ბანკის ისტორიის და ბანკში ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის შესახებ.

ნიკო ყიფიანი გულწრფელად აღუწერს მამას ილია ჭავჭავაძის დიდ პოლიემისტურ ნიჭსა და ორატორულ ხელოვნებას, აგრეთვე, არჩევნებთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებს.

ამასთან, იკვეთება ნიკოლოზ ყიფიანის კეთილშობილება და სამართლიანი მიდგომა ეროვნული საქმიანობის მიმართ.

\*\*\*

1882 წლის 5 მაისი. ტფილისი ძვირფასო, საყვარელო მამა!

ჩემს ბოლო ტელეგრამაში გწერდი, რომ ბანკის არჩევნების შესახებ შეგატყობინებდი წერილობით. ახლა მოგახსენებ დანვრილებით.

ყრილობა ჩატარდა თეატრში. როგორც კი მივედი იქ, გალერეაში შემომხვივნენ: ალექსი კვალიევი, დიმიტრი აბაშიძე, რატიევი, გაბაევი, მაგალოვი, ანდრონიკოვი – სულ 40-მდე კაცი და დამაყარეს კითხვები შენზე. აინტერესებდათ, სად იყავი და დათანხმდებოდი თუ არა ბანკის მმართველად წარდგენის კენჭისყრაზე. მაიძულეს გამომეგზავნა შენთან ტელეგრამა, თან ყველანი გამომყვნენ ტელეგრაფთან, რომელიც იქვე, გალერეაში იყო მოთავსებული. მეორე დღეს, ვერ მივიღეთ რა შენგან პასუხი, ალექსი კვალიევმა ხელმეორედ გამომიგზავნა ტელეგრამა.

თავადაზნაურობიდან იყო 175 ადამიანი. შეიმჩნეოდა აშკარა აღელვება ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ერთნი ბრალს სდებდნენ მას ფულის გაფლანგვასა და გაყალბებაში, მეორენი, მესამენი – სხვაში და სხვაში...

ნახევარი დღე გავიდა დაძაბულ კამათში. სამეთვალყურეო კომიტეტი ბრალს სდებდა ჭავჭავაძეს კოტე ტატიევის მამულთან დაკავშირებულ საბანკო დოკუმენტების გაყალბებაში.

შემდგომად ამისა, თავადაზნაურებმა ერთხმად მოითხოვეს ამ საქმის ახსნა თვითონ ტატიევისგან. ტატიევი გამართულ ქართულ ენაზე ნახევარი საათი ბრალს სდებდა ჭავჭავაძეს, ასევე დავით აბალოვს და ანტონ ფურცელაძეს, რამეთუ მათ შეცდომა დაუშვეს და გააყალბეს ტატიევის დოკუმენტები, რის შედეგადაც, ჭავჭავაძემ დირექტორატის და სამეთვალყურეო კომიტეტის გვერდის ავლით უარი უთხრა ტატიევს ფულის გაცემაზე.

ამ გამოსვლის შემდეგ, იქ მსხდომთა უმრავლესობა დაეჭვდა ჭავჭავაძის მხრიდან ბანკის საქმეების მიმართ ზერელე მიდგომაში. ხალხი ახმაურდა. დარბაზი სავსე იყო, თუმცა ბანკის



ნიკოლოზ ყიფიანი ქალიშვილებთან ერთად

ხმის უფლება ჰქონდა მხოლოდ 175 ადამიანს.

ადგა რა ტატიევის საპასუხოდ, ილია ჭავჭავაძემ, თავისი სიმართლის დასამტკიცებლად, ისაუბრა შეუჩერებლად, ზუსტად 4 სთ და 10 წ, მისთვის ჩვეული მჭევრმეტყველებით, ბრწყინვალე ქართულ ენაზე. მან გაამტყუნა სამეთვალყურეო კომიტეტის წევრები. დაამთავრა რა სიტყვა, დაიმსახურა მქუხარე ტაში, რითიც დაამარცხა მომჩივანნი და შეიძლება ითქვას – „სუფთა გამოვიდა წყლიდან“.

ყოველივე ამის მერე, მეორე დღეს იყო თავმჯდომარის არჩევა. ჭავჭავაძის ამ ბრწყინვალე სიტყვის მოსმენით აღფრთოვანებულმა, ვთხოვე დავით სუმბათოვს, არ წაეკითხათ შენი და ვასო მაჩაბლის ტელეგრამა, რომ არ გამოცხადებულიყო შენი კანდიდატურა. ყველა ერთხმად ყვიროდა: ჭავჭავაძე, ჭავჭავაძე... მან მადლობა გადაუხადა საზოგადოებას არჩევის გამო.

სამეთვალყურეო კომიტეტმა გაასაჩივრა ეს არჩევნები და შემდგომ გაუგზავნა ფინანსთა მინისტრს.

ამის შემდეგ გავრცელდა ხმა იმის თაობაზე, რომ შენი კანდიდატურაც უნდა გამოცხადებულიყო. შეიქნა საშინელი აღელვება და ითქვა, რომ ახლო მომავალში ჭავჭავაძეს მოუწევდა მმართველის ადგილის გაყოფა. ასე იყო ეს ყველაფერი.

ახლა იქნება არჩევნები გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზე, დასახელებულია ილია ჭავჭავაძე, რომელიც უკვე 2-ჯერ მოითხოვეს. დასახელებულია ასევე ივანე მუხრანსკი და დავით სუმბათოვი. გუბერნიის კრება ამგვარად იყოფა 3 პარტიად. ეს არჩევნები...

(წერილი წყდება – თ.მ.)

\*\*\*

ჩვენ შემდგომ პუბლიკაციებში განვაგრძობთ მასალების ბეჭდვას ყიფიანების არქივიდან, ამასთან, ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ეს ყველაფერი კრებულის სახეს მიიღებს, რითიც სამწუხაროდ, იმთავითვე არ ყოფილა ოჯახი განვითარებული.

წერილში, რომელიც 1893 წლის 28 მაისითაა დათარიღებული, ვკითხულობთ:


ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა

ტფილისი

28 მაისი 1893 წ.


უუპატივცემულებს ქ. ყიფიანისა 27 მაისს განხილულ იქმნა თქვენი

წინადადება პატივცემულ დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიის გამოცემის შესახებ და დაადგინა: რადგან საეჭვოა, რომ ცალკე გამოცემული ბიოგრაფია მალე გაიყიდოს და დაბრუნდეს დანახარჯი, ამისთვის შეერთებულმა კრებამ გამგეობისამ და სარედაქციო კომისიამ მოუხერხებლად სცნო შექმნა და გამოცემა ბ.დ. ყიფიანის ბიოგრაფიისა,



ნიკოლოზ ყიფიანის შვილიშვილები: ქეთევანი, ელისაბედი, დიმიტრი, ბიანკა

დღივითი ყოფიანის შთამომავლობა და მათი ოჯახები



ამასთანავე გადასწყვიტა, თუ ჟურნალის ნებართვა მიიღო ამ-  
ხანაგობამ ზემოთაღნიშნული ბიოგრაფია დაიბეჭდოს ჟურ-  
ნალში და მიეცეს შესაფერი ჯილდო. გაუნყებთ რა ამას,  
გთხოვთ მიიღოთ ჩემი თქვენდამი პატივისცემა.

ალ. ჯაბადარი

ჩვენთვის უცნობია, შემდგომ რა გადაწყვეტილება მიიღო  
ჟურნალის ამხანაგობამ, მაგრამ დღემდე ამ ეროვნული მოლ-  
ვანის ყველაზე დიდ ჯილდოდ ხალხის მისდამი სიყვარული და  
პატივისცემა რჩება.

\*\*\*

დღესდღეობით დიმიტრი ყიფიანის უშუალო შთამომავა-  
ლია სამი ოჯახი: დედაჩემის (ან. გარდაცვლილი) დალი პატა-

რიას ოჯახი. კინორეჟისორ გურამ პატარაიას ოჯახი და  
პროფესორ ნელი სავანელის ოჯახი შვილებით და შვილიშვი-  
ლებით.

აქვე გავიხსენოთ დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და  
მოღვაწეობის ცნობილი მკვლევარის პროფესორ თამაზ ჯო-  
ლოგუას აზრი:

„დიმიტრი ყიფიანის ოჯახური წრე თვალსაჩინო საგანმა-  
ნათლებო კერა იყო და იშვიათია სხვა ასეთი ოჯახი XIX საუკუ-  
ნის საქართველოში, რომელსაც ამდენი უანგარო მოღვაწე მიე-  
ცეს ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისათვის“.

ვითვალისწინებთ რა საზოგადოების ინტერესს ამ საკით-  
ხისადმი, შევეცადეთ შეძლებისდაგვარად სრულად მოგვეწო-  
დებინა მკითხველთათვის დიმიტრი ყიფიანის შთამომავლე-  
ბის და მათი ოჯახების შტო.

ეპისტოლე

# ცხოვრებამ თარგმანში თუ თარგმანმა ცხოვრებაში

„ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე ცნობილი მთარგმნელისა  
და მეცნიერის ქალბატონი დალი ფანჯიკიძის გამოჩენამ ძალიან  
გამახარა. არავისთვის საკამათო არ არის, რომ თანამედროვე  
ქართულ მთარგმნელობით სკოლას სული ამ ქალბატონის წყა-  
ლობითაც უდგას და მის სახელს ისეთი რანგის თხზულებათა  
შესანიშნავად თარგმან უკავშირდება, ურომლისობაც ნებისმიე-  
რი ერის ლიტერატურას გააღარებდა კი არა, უბრალოდ, ასეთ  
მწერლობას კულტურულსაც ვეღარ უწოდებდი.

ამ თარგმანთა შორის, რა თქმა უნდა, პირველობა თომას მა-  
ნის „ჯადოსნურ მთასა“ და „ბუდენბროკებს“ ეკუთვნის, მაგრამ  
უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანი არც მაქს ფრიშის „ჰომო  
ფაბერი“ და „ვიქნები თუნდაც განტენბაინი“ ან ულრიხ პლენ-  
ცდორფის „ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებანი“ თუ ჰერმან ჰესეს  
მცირე პროზა ყოფილა.

ქალბატონი დალის დიდი დამსახურება ისაა, რომ ყველა ამ  
მწერალს ქართულად თავისებური, განსაკუთრებული ტონა-  
ლობა შეურჩია და ამით მშობლიური ლიტერატურის განვითარ-  
ებაშიც, მისი ახალ-ახალი ელფერი და ნიუანსებით გამდიდ-  
რებაშიც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა.

დალი ფანჯიკიძე, ამ სიტყვის საუკეთესო და სხვათა შო-  
რის ძალიან შემოქმედებითი გაგებით, „ზუსტი“ მთარგმნელია.  
იგი ყველა შემთხვევაში ერთგულად მისდევს დედანს და ცდი-  
ლობს სათარგმნელად შერჩეულ მწერალს მისხალიც კი არაფე-  
რი დაუკარგოს, თავის თავი კი არა, ავტორი გამოკვეთოს და  
მისით აღგვაფრთოვანოს. არ ვიცი, მისი ხასიათის ეს თვისება  
თარგმანმა განაპირობა ცხოვრებაში თუ ცხოვრებამ თარგმან-  
ში, მაგრამ ფაქტია, რომ მან მთელი ცხოვრება ისევე უერთგუ-  
ლა „თავის“ მწერალს, როგორც სათარგმნად შერჩეულ ავტო-  
რებს ერთგულობდა.

ამის ხაზგასმა იქნებ აუცილებელი არც კი ყოფილიყო, რომ  
არა ერთი გარემოება: ლიტერატურული მოღვაწეობა ყოფაზე

თუ სრულად არა, დიდწილად უარისთქმას მოითხოვს და ქალი-  
სათვის ეს ორმაგად მძიმეა, მით უფრო თუ თვითონ შემოქმედ  
ქალს მეორე შემოქმედის გვერდით ცხოვრება უხდება.

დალი ფანჯიკიძე ნიმუშია იმისა, როგორ შეიძლება ადამიან-  
მა ენერგია ისე გადაანაწილოს, რომ არც ცხოვრებასა და არც  
შემოქმედებას ერთმანეთის ხარჯზე არაფერი დააკლოს. რომ  
გვეკითხა, იქნებ ეპასუხა კიდევ, რომ ეს დიდი სიყვარულის წყა-  
ლობით მოახერხა.

სწორედ სიყვარული იგრძნობა მის ყველა თარგმანში, სიყ-  
ვარული და საქმიანი დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ,  
რაზედაც კი ადამიანურ პასუხისმგებლობას აიღებს. ამის გამო  
მისი თეორიული ნაშრომებიც ტოლს არ უდებს მისსავე თარგმა-  
ნებს, რადგან ეს ნიგნები განყენებულ თეორიათა მოშველიებით  
შექმნილი ტრაქტატები კი არა, საკუთარ დიდ გამოცდილებაზე  
დაყრდნობით დანერგილი შესანიშნავი მონოგრაფიებია.

ამდენი საქებარი სიტყვის შემდეგ ალბათ გაგიკვირდებათ,  
როცა გეტყვით, რომ ვიდრე „ჩვენს მწერლობაში“ მის მიერ თარ-  
გმნილ ფელიქს ბრაუნის ლექსებს ნავიკითხავდი, წინასწარ ერ-  
თგვარმა შიშმა თუ რაღაც უამურმა გრძნობამ დამრია ხელი.  
ვფიქრობდი, დალი ფანჯიკიძე პროზის მთარგმნელია და ამიტო-  
მაც ახლა ეგებ მთლიანად დაიმსხვრეს ჩემთვის ის ავტორიტეტი,  
რასაც წლების მანძილზე მისი ნაშუქვერები მიყალიბებდა-მეთქი.

პირველივე ლექსის ნაკითხვის შემდეგ ჩემს წინასწარ აკვირ-  
ტებულ განწყობას ყოველგვარი საფუძველი გამოეცალა. მთე-  
ლი პუბლიკაცია სულმოუთქმელად ჩავათავე და, დიდ სიამოვნ-  
ებასთან ერთად, იმაშიაც დავრწმუნდი, რომ პროფესიონალი  
მთარგმნელისათვის ჟანრი თავისთავად დაბრკოლებას არ წარ-  
მოადგენს და პროზაც და პოეზიაც მის გემოვნებასა თუ ნიჭიე-  
რებას ერთნაირად ემორჩილება.

შეიძლება თომას მანისა და მაქს ფრიშის შემდეგ ვინმეს ჩე-  
მი შეფასება გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ მაინც ფე-  
ლიქს ბრაუნის ლექსთა ეს თარგმანები დალი ფანჯიკიძის ახა-  
ლი, საეტაპო გამარჯვება მგონია. ამ გამარჯვებას კი მასთან  
ერთად, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციასაც ვულოცავ  
და ბარემ ერთ მოკრძალებულ თხოვნასაც გაახლებთ:

ეგებ კიდევ დაგებეჭდათ ფელიქს ბრაუნის ანდა სხვა რომე-  
ლიმე პოეტის დალი ფანჯიკიძისეული თარგმანები, რაკილა უკ-  
ვე დაზუსტებით ვიცი: ყველაფერი კარგი იქნება, რასაც ქვემოთ  
„გერმანულიდან თარგმან დალი ფანჯიკიძემ“ აწერია.

ირაკლე ხატისკაცი

თელავი

როსტომ ჩხეიძე

# „გალაკტიონოლოგიის“ ორი გამოქაჩილი

**როცა საუბარი  
იღვარა კოჩეხა**

ამას ყველა ვგრძნობდით, განა არა:  
გალაკტიონ ტაბიძის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ მხოლოდ ერთი ტაძრის დითირამბად რომ არ ყოფილა განზრახული.

ასე რომ იყოს, ნიკორწმინდა ყველა ჩვენებურ ტაძარს უნდა აღემატებოდეს, თანაც საკმაოდ.

პირველი ორი სტრიქონიც ამოვარდნილივით გვეჩვენებოდა ლექსის თემატიკიდან:

მაქვს მკერდს მიდებული  
ქნარი, როგორც მინდა!

ეს სტრიქონები ეპიგრაფად დაშვენებოდა გალაკტიონის რჩეული ლირიკის გამოცემას, და გაცილებით ბუნებრივად გამოჩნდებოდა ლექსების იმ ციკლში, რომელშიც გენიის სითამამითაა ხოტბაშესხმული საკუთარი მხატვრული მიღწევანი – უშუალოდ თუ გამჭვირვალე მეტაფორების მოშველიებით, მაგრამ აქ?..

არა, რაღაც ლოგიკას მაინც ვპოულობდით ამ სტრიქონებიდან ნიკორწმინდის დითირამბზე გადასვლისას – რაკილა სრულყოფილების მწვერვალისათვის მიუღწევია („როგორც მინდა“), ამიტომაც შეიძლება ამ სულიერი საგანის შესაფერის ამეტყველებას პოეზიის ენაზეო, მაგრამ ეს „რაღაც ლოგიკა“ არა კმარა – ან ამოვარდნილივით უნდა გამოჩენილიყო, ანდა რაღაც სხვაც იგულისხმებოდა მიძღვნის მთელს ამ იდუმალ სიმღონიაში, ნიკორწმინდა თავისთავად ქმნილებადც შენარჩუნდებოდა ლექსში, მაგრამ მეტაფორულ მნიშვნელობასაც შეიძენდა.

და როდესაც თეიმურაზ დოიაშვილის ლიტერატურულ ნარკვევს – „ფრთები და დიადემა“ – გადავიკითხავთ „გალაკტიონოლოგიის“ მესამე ტომში, კვლევა-ძიების ორიგინალური და მახვილგონივრული წარმართვით მოხიბლული მაინც ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩება, რომ ეს ყოველივე ისედაც ვიცოდით. ცოდნით თუ არა, გრძნობით ვგრძნობდით შორეულად და სახელი კი ვერაფრისდიდებით ვერ დაგვირქმევია.

სხვის მიერ ამოხსნილი ამოცანა მუდამ ისეთი იოლი გვეჩვენება, ველარ ვარკვევთ, ჩვენ თავს რატომ ვიმტვრევდით მის ამოსახსნელად და სწორი გზისთვის ვერა და ვერ მიგვეგონო. თანაც მტკიცების ლოგიკა კლასიკური უბრალოებითაა აგებული და ისეთი კომპოზიციური ქარგაში მოქცეული, კვლევა-ძიების უშუალო მონაწილეებად განვიცდით თავს.

ლიტერატურული დეტექტივი რასაც გულისხმობს.

ლიტერატურისმცოდნეობაშიც არსებობს ასეთი ჟანრი, არა ისეთი პოპულარული, როგორც კერძო დეტექტივთა და მაძებარ პოლიციელთა თავგადასავლები, აუცილებლად მკვლევლობასა თუ სულაც მკვლევლობათა სერიას რომ გულისხმობს და ყოველი ფენის ნაბიჯზე კი ხიფათი ჩასაფრებუ-

ლა, მაგრამ არანაკლებ მიმზიდველი, არანაკლებ ფათერაკიანი და მძაფრსიუჟეტიანი, მცდარი კვალიც ხშირად რომ შეგიტყუებს, და არანაკლებ მოულოდნელი ფინალით – ხელახლა და სულ სხვაგვარად რომ დაგილაგებს თვალწინ მოვლენებს და ფარდასაც იოლად ჩამოხსნის.

თურმე რა უბრალო ყოფილა ყველაფერი.

თითქოს მანამდე ის ფარდა რკინისა არ გეგონა.

ანდა – ფარდას საერთოდაც ვერ ამჩნევდი.

ერთადერთი განსხვავება – ლიტერატურულ დეტექტივში ჩვეულებრივ სისხლი არ იღვრება. თუმცა ზოგჯერ ლიტერატურული თუ ისტორიულ-დოკუმენტური ეპიზოდების სიღრმეში შეღწევისას შესაძლოა სისხლიც მოჟონავდეს და მკვლელის ვინაობის დადგენაც აუცილებელი ხდებოდეს.

ლიტერატურული კვლევა-ძიება რაღაცით ისედაც ნააგავს დეტექტივს, და თუ მკვლევარს მიმზიდველი სიუჟეტური ქარგის აგების ის უნარი შესწევს, რომელიც ხელოვნებას უტოლდება, გამოკვლევა დეტექტივს ძალდაუტანებლად ემსგავსება – ის, რაც სხვა შემთხვევაში ნარკვევის მიღმა დარჩებოდა, როგორც ნაგულისხმევი, და მკითხველს მხოლოდ საბოლოო შედეგი მიენოდებოდა, ამჯერად ხელისგულზეა გადამლილი და ძიების პროცესის აღდგენა თვითონვეა შთამბეჭდავი დაფარულ ნიუანსთა წარმოჩენითა და ლოგიკური თანმიმდევრობით.

დეტექტივი, როგორც თავისებური ჟანრი, ვერ გასცილებოდა ედგარ პოს მიერ დადგენილ კომპოზიციურ ჩარჩოსა და შინაგან აღნაგობას – იმას იმთავითვე კლასიკური სტრუქტურა შეექმნა და „მკვლევლობა მორგის ქუჩაზე“ ამიტომაც იგულისხმებდა და მიაწინებდა ყველა იმ შესაძლო ვარიაციას, იმ მრავალგვარ განშტოებას, რაც ყოველთვის მიბმული დარჩებოდა ედგარ პოსეულ ლერძთან.

კერძო დეტექტივის სილუეტსაც იმ ოსტატობითა და სიხასისით მოხაზავდა, რომ ეს სახე ისევე განმეორდებოდა სხვათა მოთხრობებსა და რომანებში, როგორც მისი პოეტური ასოციაციები თუ ალუზიები, მისი გავლენა-მიბაძვანი მოედებოდა უსაზღვრო სივრცეს. ეს მხატვრული სამყარო ფრანგულ სიმბოლიზმსაც დააჩნევდა დიდ კვალს და გალაკტიონ ტაბიძესაც გადმონვდებოდა.

ის ხომ ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელოდა, როცა საუბარი ედგარ პოზე გახლდათ.

განსაკუთრებული სისათუთით ეპყრობოდა ამ სახელს.

და სახელს მისი პოეზიის მუხისაც – ლენორა, ტრაგიკულსა და საბედისწეროს, გალაკტიონის ხილველშიც რომ გადმოსახლდებოდა და საშველს ესეც მას შესთხოვდა, რაღაც გარდასულსაც მოაგონებდა, მხოლოდ მათთვის, ამ სამთათვის გასაგებს: და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა, რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარიო.

ამ ლექსსაც – „ედგარი მესამედ“ – ისეთი ბლონდებით შემოსავდა, იდუმალი პერსონაჟის ვინაობასაც ისე ჩამიფრავდა, თან თითქოს ხვდებოდი და თან ვერც ვერაფერი გაგერკვია, რომ ძალაუნებურად გინვევდა სწორედ ლიტერატურული დეტექტივის შესაქმნელად.

ისე თვით ეს ნაირსახეობაც – ლიტერატურული დეტექტივი – ედგარ პოს შეექმნა, ბელეტრისტიკას თუ აღმოუჩენდა ახალ მატერიკს, კრიტიკულ აზროვნებასაც და მეცნიერებასაც ახალ გზას გაუჭრიდა „კომპოზიციის ფილოსოფიით“.

არამცტუ „კომპოზიციის ფილოსოფიით“, არამედ თვით ნოველების მიხედვითაც დღევანდელ პერბერტ ლორენსს ედგარ პო მეცნიერად უფრო წარმოუდგება, ვიდრე შემოქმედად.

ასეთი შეხედულების გამოსათქმელად მას სულ სხვა მოტივი უბიძგებს, კერძოდ, მიაჩნია, რომ პო საკუთარ სულს ისე აღნობს, როგორც მარილს ტიგელში და მისი შემოქმედება თითქმის სულისა და ცნობიერების ქიმიურ ანალიზს წარმოადგენს („ჭეშმარიტი ხელოვნება კი მუდამ შემოქმედებისა და განადგურების ორმაგი ძალით საზრდოობს“).

მაგრამ ამჯერად თვითონ დაკვირვებაა საგულისხმო და დამაფიქრებელი: მეცნიერი უფროა, ვიდრე შემოქმედო.

ჩვენი მხრივ ამ ფრაზაში დავინახოთ ჭეშმარიტების მარცვალ და დეტექტიური ჟანრის აღმოჩენა მსოფლიოსათვის მეცნიერული და შემოქმედებითი მისწრაფებების საუკეთესო შერწყმის ნაყოფად ჩამოვართვათ.

„უფრო მეცნიერი“ კი ისე გავიგოთ, რომ მკაცრი მეცნიერული მეთოდი მთავარი დასაყრდენია გამოძიებლისათვის.

ნოველების შექმნისას თუ დაისაჭიროებდა ამ მეთოდს, მითუფრო აუცილებელი გახდებოდა მისი მომარჯვება ესეისტიკაში.

შემდგომი დროის ლიტერატურისმცოდნეობითი კვლევა-ძიება ზედაპირზე თუ ამოვიდოდა, მკვლევარები ორჭოფობას აღარ დაიწყებდნენ: ნეტა ლირს თუ არა, მკითხველი ჩვენს ძიებათა უშუალო მონაწილე გახდება, ზედმეტი და უსარგებლო ხომ არ იქნება კვლევის პროცესის ნაბიჯ-ნაბიჯ აღდგენა.

ედგარ პოს შემოქმედება ეჭვშეუტანლად ადასტურებდა კვლევა-ძიების პროცესის აღდგენის შემეცნებითსა და ესთეტიკურ მნიშვნელობას.

კრიტიკულ აზროვნებასაც და მეცნიერებასაც ახალ გზას გაუჭრიდა „კომპოზიციის ფილოსოფიით“...

ტომას ელიოტი ხელოვნურობად და სიყალბედ ჩათვლიდა ამ მცდელობასაც, ისევე, როგორც ყველაფერს, რასაც ედგარ პოს ტვიფარი აჩნდა; მაგრამ ცალკე რჩებოდა ეს კილვა და ცალკე მიიკვლევდა გზას ლიტერატურული დეტექტივი. და შეუძლებელი გახლდათ, ადრე თუ გვიან გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ სამყაროში შესაღწევადაც არ მოემარჯვებინათ ეს ჟანრი – არა ცალკეულ ხერხებზე თუ ელემენტებზე დაქუცმაცებული, არამედ იმ კლასიკური აღნაგობითა და სიუჟეტური სიმძაფრით, ედგარ პოს მიერ დადგენილი კალაპოტი რომ ითვალისწინებდა.

კლასიკური სტრუქტურა ქართულ სინამდვილეშიც უკვე არსებობდა და ჯერ კიდევ როდის – პავლე ინგოროყვას მონოგრაფია რომ შეიქმნებოდა „ჩახრუხაძე. პოეტი. მოგზაური“ XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს.

ლიტერატურული დეტექტივი აქ მთელი თავისი მიმზიდველობითა და შთამბეჭდაობით გადაიშლებოდა მკითხველის თვალწინ. ანალიტიკური კვლევის ეს მანერა ნიშანდობლივი გახლდათ მისი სულიერი ნყოფისათვის და ამიტომაც გვხვდება ამ ყაიდის მონაკვეთები თუ ეპიზოდები „რუსთველიანაშიც“, „გიორგი მერჩულეშიც“... ასეთია ილია ჭავჭავაძისა და ოლღა გურამიშვილის სიყვარულის ამბავი – ამოშიფრული პირადი მიმოწერიდან, ასეთია ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ეკატერინე ჭავჭავაძის სატრფიალო თავგადასავალი – ამოშიფრული ლექსების ერთი რკალიდან, ასეთია ანტიკური ხანის ქართული დამწერლობის ძეგლებისა თუ ამავე ეპოქის იბერიის მეფეთა სიის დასადგენად წარმართული ძიებანი...

ედგარ პოს ლირიკისა და ბელეტრისტიკის ქართულად ამეტყველებისათვის ძალიან რომ ზრუნავდა, როგორც ჟურნალ „კავკასიონის“ რედაქტორი, ეტყობა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფრანგულ სიმბოლიზმს ფარზე აეხიდა მისი სახელი და ახალი დროის წინამორბედად დაესახათ, მიზეზი ესეც უნდა იყოს – სულიერი ნათესაობა, რაც ძიების დეტექტიურ მანერას, დეტექტივის ნიჭის თავისებურებას გულისხმობს.


და თვით ძიების გზა – თავისი სიუჟეტური განვითარებით, მოულოდნელობებით, წინააღმდეგობათა მარჯვე გადალახვით, ნიუანსობრივი ჩხრეკვით, ლოგიკური იმპიკციითა და ინტუიციის არაჩვეულებრივი სიმახვილით – ამიტომაც გვევლინება ესთეტიკურ ფასეულობად.

ასეა თუ ისე, „ჩახრუხაძე. პოეტი. მოგზაური“ წარმოგვიდგება პირველ ქართულ ლიტერატურულ დეტექტივად, და იქნებ საერთოდაც პირველი ნიმუში ყოფილიყო დეტექტიური ჟანრისა ჩვენში, რომ არა... სულხან-საბა ორბელიანის „გრძნული ცოლის პატრონი“, როგორც ლევან ბრეგაძე ამტკიცებს, ანდა ალექსანდრე ყაზბეგის რომანი „მომღვარი“, რომლის დეტექტიური აღნაგობა და შინაარსი დღემდე შეუმჩნეველი დარჩებოდა.

კვლევის ეს მანერა თვალსაჩინოდ გამოიკვეთებოდა თამაზ ნატროშვილის ისტორიულ ესეისტიკაშიც, ძიების გზა აქაც მთელი თავისი მიმზიდველობით ამოდიოდა დღის სინათლეზე და ერთხელ კიდევ გვიდასტურებდა, თითქოსდა „მავი მასალა“, „გადასაყრელად“ გასამეტებელი, დეტექტიური ნიჭის რეალობითა და სიუჟეტური ხელოვნებით როგორი ეფექტური შეიძლება ყოფილიყო.

ამიტომაც მოინდომებდა ლუარსაბ მეორის მკვლელობის გარემოებათა გამოძიებასაც. კრიმინალისტიკის ნიჭი ძალაუნებურად მოსთხოვდა იმ საბედისწერო მოვლენის არსის აღდგენასა და მკვლელობის თაოსნის ვინაობის გამოაშკარავებას.

ეს სწორედ იმ შემთხვევათაგანია, როდესაც ლიტერატურულ დეტექტივში სისხლმაც შეიძლება გამოჟონოს და უკვე აღარაფრით განსხვავდებოდეს სამძებრო ნოველისა თუ რომანისაგან. ეგაა, სამხილები თუ მტკიცებულებანი ასეთ დროს, ისტორიისა და მატთანის სიღრმეში შეღწევისას, გაცილებით მწირია; და ამიტომაც იყო, ისტორიკოსებსა და მწერლებს ხელი რომ ჩაექნიათ: ძნელია ეჭმიუტანლად დაამტკიცო ან უარყო, ლუარსაბ მეორე მართლა გიორგი სააკაძის ინ-



ედგარ პო  
გალაკტიონის ნახატი

ტრიგების წყალობით დაიღუპა თუ არაო. და გვერდის ავლა ერჩივნათ.

თამაზ ნატროშვილი არ შეეპუებოდა საისტორიო წყაროთა – ქრონიკებისა და ეპიკურ მონათხრობთა – სხვადასხვაობასა თუ ბუნდოვანებას ლუარსაბ მეფის მონამებრივი აღსასრულის ირგვლივ, და იმ მწირ მასალას, იმ ცალკეულ სტრიქონებს ისე გამოწურავდა, ისე ჩაჰყვებოდა ბოლომდე თვითნებულ ნიუანსს, ისე მარჯვენდ და სახიერად აღადგენდა საერთო ფონს, რომ ეს იდუმალებაში ჩაძირული მკვლევლობაც გაიხსნებოდა იმ გადამწყვეტ წუთამდე, როდესაც შაჰ-აბასს გიორგი სააკაძე ჩაანვეთებდა ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზს, თუ რატომ გამხდარიყო აუცილებელი, ქართლის მეფე რაც შეიძლება სასწრაფოდ მოეშორებინა თავიდან.

ზოგადეთიკური შეგონება – არაფერია დაფარული, რომელიც არ გამოიმუქვანდეს – თავისთავად, ცხადია, ვერ ჰპოვებს სამართალს, რომ არა ის პიროვნებანი, რომელთაც უნდა ითავონ ამა თუ იმ ბუნდოვანების გაფანტვა და დამნაშავის მიგნება.

და რაოდენ შთამბეჭდავია, თვით ძიების გზაც თუ ხელის-გულზე გადაგეშლება.

ადრე თუ გვიან გალაკტიონ ტაბიძესაც უნდა გამოსჩენოდა თავისი დეტექტივი – მის ტრაგიკულ ბიოგრაფიასაც, მის უჩვეულო, უაღრესად ხელხვავიან შემოქმედებასაც. ძიების გზის აღდგენა თუკი ვინმეს სახელს დაშვენებოდა, მათ შორის სწორედაც გალაკტიონ ტაბიძისას, და თეიმურაზ დოიაშვილი ახალ დისციპლინას რომ შეგვიქმნიდა, დეტექტივობასაც მოსინჯავდა იმ წარმატებით, მისი რანგის მკვლევარს რომ სჩვევია.

ლიტერატურული დეტექტივის ფორმას „გალაკტიონოლოგიის“ მეორე ნიგნში უკვე გამოიყენებდა და მის ქარვაზე გაშლიდა ანალიზს „არტისტული ყვავილების“ პროლოგის მისაგნებლად. ქართული სიმბოლიზმის სახარებად მონათლული ლირიკული კრებული უპროლოგოდ გამოცემულიყო და პირველი ნიმუში „შემოდგომა“ „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ შესაფერისი ნომრითაც აღბეჭდილიყო, მაშინ, როდესაც პროლოგი აუცილებლად ნუმერაციის მიღმა უნდა რჩებოდეს, ვთქვათ, ბოდლერის „ბოროტების ყვავილებისა“ არ იყოს.

და მაინც, ეს ლექსი აღმოჩნდებოდა „არტისტული ყვავილების“ საიდუმლო პროლოგი, ლირიკული მანიფესტი, რაც შარლ ბოდლერისა და თეოფილე გოტიეს პოეტურ ხილვებთან გადაძახილს უნდა გამოერევიდა. მათგან მომდინარე ალუზიები თუ ასოციაციები ამ და სხვა ლექსთა ცალკეულ სტრიქონებსა თუ მეტაფორებსაც აზუსტებდა, და დეტექტივის ალლო და დამკვირვებლობა ამჯერადაც შეუმცდარად პოულობდა გამჭვირვალე თუ ნისლით შემოპურვილ მინიშნებებს.

ერთგან გალაკტიონი „მინანქრებსა და კამეებს“ აღტაცებით რომ მოიხსენიებდა, საგანგებოდ ჩაინიშნავდა: გოტიე არ კმაყოფილდება წინასიტყვაობით და მშვენიერი ლექსით ამთავრებს მთელს ნიგნს. ამნაირად – მთელი ნიგნი ჩასმულია საუკეთესო ლექსის მშვენიერ ხელოვნურ ყდაში. უკანასკნელი ლექსი ამთავრებს პირველს, პირველი დანყებაა უკანასკნელისაო.

ამ დაკვირვებაში საკუთარი ჩანაფიქრიცაა მინიშნებული და თეიმურაზ დოიაშვილიც მიუხედავად: „არტისტული ყვავილებიც“ ორი საუკეთესო ლექსის ყდაშია ჩასმული. „შემოდგომა“ „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ იწყებს უკანასკნელ ლექსს, ხოლო უკანასკნელი ლექსი როგორ ამთავრებს პირველს და მთელს ნიგნსაც, გასარკვევია. გაცხადებას ელის ერთი საიდუმლოც: „არტისტული ყვავილების“ ეპილოგიო.

რასაკვირველია, ამავე სტილით, როგორც პროლოგი, ოღონდ ვიდრე ეს ლიტერატურული დეტექტივიც შეიქმნებოდეს, ეს ჟანრი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ საიდუმლო შინაარსის ამოცნობას მოერგებოდა. ამ ესთეტიკურ საიდუმლოს ჯერ კიდევ გრიგოლ რობაქიძე შეამჩნევდა, ლექსში კერძო ტაძარი კი არ აღინერება, არამედ მორწმუნე პოეტის ართქმული გულისთქმა, მისი რელიგიური გრძნობა, რომელიც შაირის გაშლისას ატმოსფეროდ იფინებოა.

მის მიხედვრას დეტექტივის ავტორი ასე შეაფასებს: გრიგოლ რობაქიძე პირველი და ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც „ნიკორწმინდა“ კონკრეტულ-მატერიალური გააზრებისაგან იხსნა და, ტაძრის სიმბოლიკის გავლენით, უმაღლეს სულიერ აღმავრენას – რელიგიურ განცდას დაუკავშირაო.

მაგრამ ეს ლექსი-სფინქსი მაინც დახშული რჩებოდა, გორგალის წვერის მოპოვება ლაბირინთში შესასვლელად ჯერ არ კმაროდა და ასევე გაგრძელდებოდა მის კარიბჭესთან ტრიალი, დეტექტივის მცდელობა რომ არა, ვინც „ნიკორწმინდაზე“ საუბარს უცნაური კითხვით დაიწყებდა:

რას ამკობს ეს ლექსი-ზმანება?

თუ სივრცე არ დაირღვა გარეგნული პარადოქსით, მოულოდნელობითა და ალოგიკურობით, ერთიადერთი გვეცოდინებოდა, ლექსში ისაა ნაგულისხმევი, რაც სათაურადაცაა გატანილი და ტექსტიც თავიდან ბოლომდე რომ აღწერა-ხოტბადაც წარმოგვიდგებო – ანუ ნიკორწმინდა.

სტილისტიკით ანტიკური მწერლობის ისეთ ჟანრს რომ უახლოვდებოდა, ეკფრასისი რისთვისაც დაერქმიათ, მაშ რატომ იცვლებოდა გალაკტიონის ხელში ამ ჟანრის აღნაგობის საფუძველი – ლექსი გულისხმობდა არა ხედვასა და მაცურებელს, არამედ სმენასა და მსმენელს? ეს ხომ წინააღმდეგობას ქმნიდა ასახვის მატერიალურ სავანასა და გამოსახვის აბსტრაქტულ-მუსიკალურ სტილს შორის; და რა ხდებოდა – გალაკტიონს მოუვიდა უხეში ესთეტიკური ლაფსუსი თუ ქების ფარული სავანია რაღაც სხვა, თავისი არსით მუსიკის მონათესავე?

მთავარი აღმოჩენა უკვე მკაფიოა:

„ქებათა ქება ნიკორწმინდას“ ორპლანიანი ლექსია, ერთდროულად რომ მოიცავს ორ შინაარსობრივ პლასტს: ხილვადს – უღამაზესი ჩუქურთმებით შემკულ ხუროთმოძღვრულ ტაძარს, და უხილავს – „შუქურთმებით“ ნაგებ, ხელთუქმნელ პოეზიას გალაკტიონისა. და ისტორიული ტაძარი წარმოგვიდგება გარე-სახეად გამოსახვის ეგზისტენციური სავანისა, „შინა-ტაძრისა“, სინამდვილეთი რასაც შემოხაზავს პოეზიის ვირტუალური ტაძრის ზოგადი კონტურები.

დეტექტიური ძიებისას ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარიც“ უნდა გამოჩნდეს, რომლის ერთ თავშიც დეტალურად წარმოსახებოდა ნოტრ-დამის გარეგნობა და გოტიკური სტილის თავისებურებანი, და აღწერის ხელოვნება ისეთ შთაბეჭდილებას განაცდევინებდა გალაკტიონს, ნოტრ-დამის აბრისსა და სტილისტიკაში საკუთარი პოეზიის შესაძლო სიმბოლოსა და ესთეტიკურ ანალოგს იპოვინდა.

თუნდაც სიმბოლურ-მონუმენტური სახე: ტაძარი-ნიგნი.

თუნდაც გამოთქმა: უზარმაზარი ქვის სიმფონია.

და ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში ჯერ სწორედ „ქვის სიმფონიას“ გაიმეორებდა, ვიდრე საბოლოო ვერსიაში „ქვის ჰარმონიით“ შეანაცვლებდა.

და ნიკორწმინდის დითირამბად მოვლენილ ლექსში აღწერილი ქართული ტაძარი ამიტომაც ინვევდა გოტიკის სტილის ასოციაციას და ნოტრ-დამის ცყუპისცალად უფრო წარმოსდგებოდა, ვიდრე ნატურის ერთგულებით შესრულებულ ეკფრასისად.

პოეზიის ვირტუალური ტაძრის ზოგადი კონტურებიო...

გალაკტიონი პარადიგმულ სახეთა მწკრივს რომ გამოიყენებდა საკუთარი პოეზიის მატერიალურ-საგნობრივ სიმბოლოებად, მათ შორის: სახლს, კოშკს, სასახლეს, ტაძარს... და რაკილა ასეა, იგი ჰორაციუსის „მონუმენტისა“ და მის უამრავ მიმბაძველთა გზასაც გაჰყვებოდა, უშუალო გავლენითაც შექმნიდა ერთ ლექსს, მისი რემინისცენცია სხვა ნიმუშშიც გაისმოდა, „ქებათა ქება ნიკორწმინდა“ კი არაერთი ფარული ძაფით დაუკავშირდებოდა რომაელი პოეტის შედევრს.

იმას შესანიღბი არაფერი სჭირდებოდა, იმპერატორის მიერ დაფინით შემკობილი ამაყად და ხმამაღლა განაცხადებდა თავისი პოეზიის უკვდავების რწმენას.

გალაკტიონი?

და დეტექტივის ავტორი პოეზიისა და ნიკორწმინდის ტაძრის შენაცვლებას ამ ახსნას უძებნის: იმ რეჟიმის პირობებში შეშლილობის ტოლფასი იქნებოდა საკუთარ „ხელთუქმნელ ძეგლსა“ და სიდიადეზე ზვიადი საუბარი, და ამიტომაც მოარგო ჰორაციუსის ტრადიციას სიმბოლური ფორმა, რომელიც გარეგნულად ხელოვნების მარადიულობის იდეას განაიდებდა, რეალურად კი მიფერი იყო იდუმალი, გასაიდუმლოებული შინაარსისაო.

და ამიტომაც აღარ შეიძლება ამოვარდნილი მოგვეჩვენოს ლექსის პირველივე სტრიქონები, მართლაც ორფეოსის შესაფერი: მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდაო.

ესეც ის სიუჟეტური ბირთვები, საყრდენს რომ უქმნის მიზიდველ თხრობას, რომელიც ათასგვარ დანაშრევს, თითქოსდა დაშორებულ მოვლენებს ერთ მონოლითურ ძარღვში მოაქცევს, და ამ მახვილგონივრულად წარმართული დეტექტიური ძიების ავტორს ის დეტალიც არ გამოორჩება: „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ გალაკტიონის ძეგლი და ანდერძია და ამ ტაძარს მისი ხელრთვაც ამშვენებსო.

ხელრთვა – ყოველ სტროფში იდუმალად რომ მიმოფანტულა ბგერები: გ ლ კ ტ ნ! და სახელი „გალაკტიონ“ ანაგრამულად ისევე განფენილა ლექსში, როგორც პოეტის სული მისივე პოეზიაში.

და კიდევ ერთი რელიაც – იქნებ ბგერათა ეს განმეორება (გ ტ კ) პირველჩანაფიქრის – „გოტიკის“ ხსოვნასაც – ინახავდესო.

მართლაც მისტიკური ბგერწერით შეუღლებულს მოგვაგონებს სიტყვები – „გალაკტიონი“ და „გოტიკა“, როგორც ბედისწერის ტვიფრი, სამუდამოდ დაჭდებული ნიკორწმინდის ქებათა ქებაზე.

ასეთი და მსგავსი ძიებანი „შავ მასალად“, მკვლევარის ფიქრებად როგორ უნდა რჩებოდეს და ლიტერატურული დეტექტივის მოხდენილ ქარგაში არ ექცეოდეს?! მაგრამ როგორ მოექცეოდა, ედგარ პოს რომ არ გაეჭრა კალაპოტი და მეცნიერის, მკვლევარის ძიებაც ხელოვნებისათვის არ გაეტოლებინა. საბრალო ედგარ პოს, სიცოცხლემოზურებულ ედგარ პოს, ქუჩის ლოთივითა და გლახასავით რომ დაასრულებდა განამებულ არსებობას და არც არანაირი კილვა და დამცირებაც არ მოაკლდებოდა.

გალაკტიონი სულიერ სიახლოვეს რომ განიცდიდა მისადმი და პოს ხილვებსა და ასოციაციებს თავის ლირიკულ პანორამაში ჩააბნევედა, და მის პოეტურ მიღწევებშიც გამოანართობდა თავის ხელოვნებას, თურმე სხვაგვარადაც უნდა შეშველებოდა ტრაგიკული ამერიკელი და გალაკტიონის ფარულ ჩანაფიქრთა ამოსაცნობადაც ყველაზე მარჯვე, ყველაზე მახვილგონივრული გზა მას დაესახა – „ყორანის“ შემოქმედს.

... და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა, რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი.

### რელიკვიად – სახელის ინიციალი

გალაკტიონ ტაბიძე და მიხეილ ვადბოლსკი სტელას ბალიდან ეშვებიან დაღმართზე.

სულხან-საბას ქუჩას რომ მიუახლოვდებიან, გალაკტიონი იქ შეხვევას შესთავაზებს: ბარემ იმ სახლს გაჩვენებთ, სადაც ჩემი მუზეუმის გახსნა იგეგმებაო.

რაკილა უნებლიეთ აქ მოხვედრილან, მართლაც „ბარემ“ შეავლონ თვალი პოეტის ოცნების შენობას.

და მიხეილ ვადბოლსკიმაც „ბარემ“:

– კეთილი, მეც არ დაგრჩებით ვალში, ერთ საინტერესო, ბევრისთვის უცნობ ისტორიულ ძეგლს გიჩვენებთ.

სულხან-საბას ქუჩაზე განა რა ისტორიული ძეგლი დგას, ერთი პატარა შესახვევია და თუ რაიმეა იქ ისტორიული, ადვილად უნდა ხვდებოდეს თვალში გამვლელს. ბოლოსდაბოლოს, ქალაქის შუაგულია. ეტყობა, არც გალაკტიონს მიექცია ყურადღება რაღაც გამოჩენილისათვის, თორემ აქ ხშირი მისვლა-მოსვლისას (ხუმრობა ხომ არაა – მისი მუზეუმი უნდა დაარსდეს!) ერთხელ მაინც შეამჩნევდა. ამიტომაც დაინტერესდება ძალიან.

არადა, ეს ძეგლი იქვეა, სტელას ბალიდან თუ წამოხვალ, მარცხენა კუთხეში.

არცთუ დიდი შენობაა.

თანაც, არაფრით გამოორჩეული, თუ არ ვიგულისხმებთ კარზე რკინის მოჩუქურთმებულ გისოსებს.

რა ისეთი მოჩუქურთმებული გისოსებია?

გისოსებში ვენზელი შემორჩენილა, ლათინურ „H“-ს რომ მოგვაგონებს და სიმეტრიულად მოხდენილია, მაგრამ განა ეს კმარა მისი ისტორიულობისათვის?

თავის დროზე არც ვადბოლსკისათვის გამოჩნდებოდა აქ რაიმე ისტორიული, ვიდრე მსცოვანი მხატვარი გიგო ზაზი-აშვილი არ აუხსნიდა: ამ სახლში ოდესღაც ცხოვრობდა ქართველი ბატონიშვილი ირაკლი ალექსანდრეს ძე, ერეკლე II-ის შვილიშვილი, და ეს ვენზელი, კარის გისოსებში, ლათინური „H“-ია, ჰერაკლეს რომ გულისხმობსო.

საგანგებოდ წაყვანილს არა ჰგავს, ამ ადგილას უნებლიეთ უნდა გადაყროდნენ ერთმანეთს და მხატვარს ხელიდან არ გაუშვია შემთხვევა, ამ სახლის ისტორიულობა სხვისთვისაც გაენდო. თვითონ საიდან იცოდა?

– აქ ჯერ კიდევ ჩემს პატარა ბიჭობაში დავდიოდი სამუშაოდ. მამჩემი ბატონიშვილს შემას უხერხავდაო.



ირაკლი ბატონიშვილის კარის ვენზილი



შემთხვევითობათა ჯაჭვში მოგვიანებით მიხილ ვად-ბოლსკის მემუარული ჩანაწერებიც უნდა გაჩნდეს – „შეხვედრები გალაკტიონ ტაბიძესთან (1942-1959)“, გამოქვეყნებული „გალაკტიონოლოგიის“ მეორე და მესამე წიგნებში, და აღარც ამ შენობის ისტორიულობა დარჩეს დაფარული და აღარც ვენზელის წარმომავლობა.

გალაკტიონს უთუოდ გაეგონა ირაკლი ბატონიშვილის სახელი, ლეგენდასავით რომ გადმოდიოდა. მამისა და პაპის შარავანძიც გადმოჰფენოდა მის დრამატულ სახეს, მაგრამ თვითონაც ზნეობრივ გმირად ამალღებულყო თანამედროვეთა თვალში, რადგანაც არაფრის გულისათვის, არანაირი აღმატების საფასურად არ შეურიგდებოდა რუსთა მმართველობას და ყველგან და ყოველთვის წინააღმდეგობის სულს აღვივებდა. მისი დაკრძალვა ამიტომაც გადაიქცეოდა ეროვნულ-საპროტესტო მანიფესტაციად, წინამორბედად ამ ყაიდის მანიფესტაციათა ციკლისა – ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენება, დიმიტრი ყიფიანისა და ალექსანდრე ყაზბეგის ცხედართა მიბარება ძვალშესალაგისათვის.

ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემული წიგნაკიც – ბიოგრაფია და სამგლოვიარო გამოსვლები – მის სსოვნას ინახავდა, ჯერჯერობით მაინც იფარავდა გაცრეცივსაგან. და კიდევ ემატებოდა ავსტრიელ მწერალ ქალთან – ბერტა ფონ ზუტნერთან – რომანტიკული სიყვარულის ამბავი, და კიდევ – დიდ მთავარს უსალმოდ რომ აუვლიდა გვერდს და ამ საქციელით დაზაფრავდა პირფერთა და რუსეთუმეთა არმიას, თითქოს ყველასთვის სილა გაეწინას...

მემკვიდრეობად ბაბნოლა რგებოდა.

პირველდანწყობით სკოლას თვითონვე შექმნიდა.

აღარაფერს შემორჩენოდა მისი ანაბეჭდი, მისი კვალი თანდათან ბურუსით იფარებოდა და მხოლოდ ვენზელი გამოჭიატდებოდა სიმრუმეში – მისი შეკვეთით დამზადებული, მისი ხელმონაკიდი, მისი სახელის ლათინური ინიციალი, ვენზელიცა და რკინის ჩუქურთმა მის ესთეტიზმს ასე თვალნათლივ რომ აირეკლავდა.

გალაკტიონი ყმანვილივით აღტაცდებოდა, სწორედ იმიტომ, რომ ლეგენდა მასაც სმენოდა და, ზაქარია ჭიჭინაძის გამოცემათა მოყვარულს, ის წიგნაკიც ეფურცლა და იმ სტრიქონებში ეძებნა ირაკლი ბატონიშვილის სახება.

ასე რომ არა, არც დიდხანს დააკვირდებოდა ვენზელს, არც ხელს მოჰკიდებდა, არც კარებში შეიხედავდა.

კარგად მოეხსენება – ეს რაღაც სხვაა, მოულოდნელი შეხვედრა ამალღებულთან, ეს უბრალო ტვიფარი რომ ასხივებს.

და ვინ შემოინახავდა ამ შენობის ისტორიულობის ხსოვნას, გიგო ზაზიაშვილი რომ არა, ვისი სახელიც ამ მემუარებში სხვა ეპიზოდშიც გამოჩნდება, ეს მაშინ, გალაკტიონ ტაბიძე და მიხილ ვადბოლსკი რიყეზე რომ გადაეყრებიან ერთმანეთს, იმ სახლის სიახლოვეს, სადაც ოდესღაც ამ მხატვარს ეცხოვრა, და გალაკტიონი შესთავაზებდა, შევიდეთ ეზოში და ის ადგილი ვნახოთ, სადაც ბოლო დროს ბინადრობდა, ავადმყოფობდა და გარდაიცვალაო. თურმე – შიგ ეკლესიაში,

პატარა გადატიხრულ ოთახში, რომელსაც დიქტის კარი ჰქონდა შებმული, ვინრო ფანჯარა მტკვარზე გადიოდა, კედლებში კი წარწერიანი საფლავის ქვები მოჩანდა.

ესენი ცარიელი, მიტოვებული სენაკის ბოქლომდადებულ ხის კართან შეჩერდებოდნენ და გალაკტიონს სევდიანი მოგონებები აეშლებოდა. მას ხომ თავისი თვალთ ეხილა, როგორ გამოასვენეს აქედან გიგოს ცხედარი. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მოენახულებინა და სამიწელ მოგონებად ჩარჩებოდა უბრალო რკინის საწოლი, პანია ბალიში და მასზე გალეული, თეთრულვაშა ცვილისფერი სახე. უღვაშებსა და პირის გარშემო წამლის მწვანე ლაქები ეცხო. ცნობით კი ცნობდა გალაკტიონს, მაგრამ სიტყვის დაძვრა გაუჭირდებოდა.

შინ იმიტომ არ გაეჩერებინათ და ეკლესიის სენაკში გამოესტუმრებინათ, აქ სივინროვეა და საღებავებით იატაკს სვრიო.

და გალაკტიონი ნუხილს გამოთქვამდა, გიგო ზაზიაშვილმა მისი პორტრეტის დამთავრება რომ ვერ მოასწრო: არ გამოდიოდა ცუდი, საინტერესოა, რომ ეს ჩემი ადრინდელი პორტრეტი, ამ პორტრეტზე ჯერ ახალგაზრდა ვარ, თითქმის ყმანვილიო.

იქიდან წამოსულებს, რა გასაკვირია, სევდა შემოანვეთ და გალაკტიონი ცხოვრების ამაოებაზე ალაპარაკდეს, ბუნების კანონებზე, რაზედაც სჯობს სულ არ იფიქრო:

– აი, ჩვენი გიგო – ცხოვრობდა, ქმნიდა, ეძინა, ჭამდა, როგორც ყოველი ჩვენთაგანი, როგორც საწყალი შალვა (კაშმაძე) და სხვები. ეხლა ისინი მხოლოდ ჩვენს ხსოვნაში არიან... ისინი ჩვენგან სამუდამოდ წავიდნენ. წავიდნენ მათი საცხოვრებლის მიღმა კი არაფერი შეცვლილა...

მიხილ ვადბოლსკი მის ნუგეშისცემას, მტანჯველ ფიქრთაგან გამორკვევას შეეცდებოდა:

– სიცოცხლეზე იფიქრეთ, იმაზე, რაც ჩვენს გარშემო არსებობს.

და გალაკტიონიც:

– დიან, დიან, უნდა იფიქრო და წერო სიცოცხლეზე...

იქ კი, იმ პატარა ქუჩაზე ვენზელი ჩაბნეულიყო კარის მოჩუქურთმებულ გისოსებში.

ირაკლი ბატონიშვილის ხელმონაკიდი.

ახლა უკვე გალაკტიონ ტაბიძის ხელმეწაველებიც.

აქ ხშირად დადიოდა გიგო ზაზიაშვილის მამა შუშის სახერხად და პატარა ბიჭიც დაჰყავდა, ვისაც მთელი ცხოვრება რელიკვიად ეგულებოდა ეს ლათინური ასო-ტვიფარი: H – ჰერაკლე, ლეგენდის იდუმალი ნამსხვრევი.

ნასულიყვენენ აქაური ბინადარნიც და არაფერი შეცვლილიყო ამ საცხოვრისის მიღმაც.

გამოკეტილიყო ათასწლოვანი დინასტიის კარი.

ნუთისოფელს არ ენაღვლებოდა დინასტიები, არც მათი ბრწყინვალეობა და არც მათი ტრაგიზმი, მაგრამ ნამსხვრევეები ისე არ მიმოიფანტებოდა, სადმე და ოდესმე არ გამოენათებინა.

... ბევრისთვის უცნობ ისტორიულ ძეგლს გიჩვენებთო, – გახარებულიყო მიხილ ვადბოლსკი, საიდუმლოს გამჟღავნების შემთხვევა რომ მისცემოდა.



გიგო ზაზიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, მიხილ ვადბოლსკი

ხვთისო მამისიმედიშვილი

# მზის სხივი – სულ ერთი ნუთით

ზეპირსიტყვიერების ზოგიერთი უანრი ცოცხალ ყოფაში დღემდე არსებობს. ღვთისადმი აღვლენილი საგალობლები, ხმით ნატირლები, ანდრეზული ამბები და სხვა ტიპის გადმოცემები კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ქართველი ხალხის სიყვარულს უფლისა და სიტყვისადმი.

მანკიერებათა სამხილებლად, ზარმაცთა და დამნაშავეთა გასაკიცხად ქართველმა ხალხმა შექმნა ორიგინალური პოეტური უანრი კაფია. კაფია ლექსებით საუბარია, რომელიც უმეტესად სუფრასთან ღიღინით სრულდება. მოკაფიავები იგაფური შინაარსის პოეტური სიტყვებით წინასწარი მომზადების გარეშე ეპაექრებიან ერთმანეთს. დიალოგურ სალექსო სტრიქონებში შენარჩუნებულია მარცვალთა თანაბარი რაოდენობა, დაცულია რიტმი და რითმა. დამარცხებულად ითვლება ის მოკაფიავე, რომელიც ვერ გამოძენის შესაბამისი პოეტური საზომით განყოფილ პასუხს.

კაფიაში, როგორც ზეპირ ტექსტში, ირეკლება ხალხის რწმენა-წარმოდგენები, წეს-ჩვეულებები, სამეურნეო საქმიანობა და მორალი.

კაფია ყველაზე მეტად ფშავში განვითარდა, კაფიობის ტრადიცია დასტურდება მთიულეთ-გუდამაყარსა და ხევსურეთში. კაფიას იცნობენ მეზობელი ვაინახებიც. ქისტურად მას იაფფარიშ ჰქვია.

ხალხის მესხიერებამ შემოგვინახა კაფიები და ამ ტექსტების სახელოვან შემქმნელთა ვინაობაც, როგორებიც იყვნენ: მერცხალა, ყრუვ გიორგი, ფრუშკა, მუშტათ ჭრელა და სხვანი.

ამას წინათ გამოქვეყნდა მოსე მახაურის ლექს-კაფიების კრებული „მოსემ თქვა“.

მოსე მახაური (1917-2003 წწ.) ფშაური ტრადიციული თემის ღირსეული წარმომადგენელი იყო. მან, როგორც რელიგიური „საყმოს“ წევრმა, ჩვენამდე მოიტანა მითოსური საზოგადოების მრავალი ღირსება. შობიდან შობამდე, ხატობიდან ხატობამდე ის წმინდად მსახურებდა უფალს, ჯვარხატებსა და თემის მამაპაპურ ტრადიციებს. განგებისგან მინიჭებული ჰქონდა გარესამყაროს პოეტური ალქმის უნარი, მაღალი ადამიანური თვისებები და კეთილშობილება.

რამდენჯერმე ვიყავი სტუმრად გომენარში, მოსე მახაურის ოჯახში, მისგან მდიდარი ზეპირსიტყვიერი მასალაც ჩავინერე.

მადლიანი საუბარი იცოდა მოსე მახაურმა. გარდასული დროის ამბებს პოეტური სიტყვებით აცოცხლებდა. ზოგჯერ ნათქვამში მოხდენილ იუმორსაც გაურევდა. თავისი ყოფითა და მსოფლმხედველობით ის იყო „საყმოს“ მითიური წარმომადგენელი – გადმოსული ახალ რეალობაში. მის მონაყოლს, მართლაც, დიდი მადლი ჰქონდა, განუცდელისა და გაუგონარის საზიარებლად იდუმალეზაში შევყავდით. უჩვეულოსა და, ერთი შეხედვით, დაუჯერებელსაც რწმენით, სიცხადითა და სიზუსტით გადმოგვცემდა. ყვებოდა დაწვრილებითა და გატაცებით, განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთის ტრადიციული საზოგადოების შესახებ, ხევისბრობისა და ჯვარ-ხატების ინსტიტუტზე, მათზე, ვისაც კი ოდესმე ფშავში კეთილი საქმე აღუსრულებია და გმირობა ჩაუდენია ან საკუთარი ქედმაღლობისა და ამპარტავნობის მსხვერპლი გამხდარა.

კრებულში „მოსემ თქვა“ მოსე მახაურის ლექს-კაფიების მხოლოდ გადარჩენილი ნიმუშები გამოქვეყნდა. სამწუხაროდ, ჩვენამდე მისი ზეპირი შემოქმედების ნაწილმა მოაღწია. წიგნში შესული ლექს-კაფიები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მოსე მახაურის განვილ ცხოვრებაზე. ტექსტებში არეკლილია ავტორის შრომით საქმიანობა, ურთიერთობა მეზობლებთან, მთის თემური ტრადიციები, ფშავის ღირსშესანიშნავი ამბები. კაფიები გამოირჩევა აზრის სიმახვილითა და მდიდარი, მოსწრებული ენით. ამის საილუსტრაციოდ არაერთი ნიმუშის მოყვანა შეიძლება. თავისი პოეტური ნიჭის წყალობით მოსე მახაურს მრავალი მეტოქე დაუწოქებია ლექსობაში. ცნობილი ფშაველი მოკაფიავეები თავიანთი სიტყვის ძალასა და ოსტატობას მოსესთან პაექრობაში ცდიდნენ.

ერთხელ თურმე სიძე-სიმამრი, სიკო თადიაური და მოსე მახაური, ქეიფობდნენ. მოსეს ორჯერ დაუღევია მძახლის შესანდობარი. სიკოს უთქვამს:

- მამაჩემისგან რა გინდა, ორ-სამჯერ უთხარ შანდობა.
  - იმითა, მოსე გენაცვლოს, წელან არ მითხარ მადლობა.
- უპასუხია მოსეს.

მოსე მახაურის კაფიებში შენარჩუნებულია დარბაისლური ტონი. ამ უანრის ტექსტების სხვა ავტორებისაგან განსხვავებით იგი ყოველთვის ინარჩუნებს ტაქტსა და ზომიერებას. პოეტურ სტრიქონებში იკითხება მისი ავტორის თავმდაბლობა და მაღალი მორალი. თუმცა მოსე მახაურის სიტყვა ბასრია და მახვილი.

ძველ მოკაფიავეთაგან დღეს თითქმის აღარავინ შემორჩა. გარდაიცვალა მოსე მახაურიც. იგი 2003 წლის 18 დეკემბერს გომენრის სასაფლაოზე დაიკრძალა. მახსოვს, მაშინ ზამთრის ცივი და ღრუბლიანი დღე იყო. როდესაც მიცვალეზულს სამარეში ვასვენებდით, ცაზე ღრუბელი გაიხსნა და მოსეს საფლავზე სულ ერთი ნუთით მზის სხივი გადმოვიდა...

სამშაბათს, 27 ივნისს  
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“  
დარბაზში გაიმართება

**გიორგი ერისთავის**  
ხსოვნის საღამო

მომხსენებელი  
**ნინო ვახანია**

დასაწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის №41

ნესტან მჟავანაძე

# უბრალო ჭრახი

ამ ცოტა ხნის წინათ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა საინტერესო მემუარული ცნობები აკაკის ეპოქის ყველაზე პოპულარული პოეტის გრიშა აბაშიძის შესახებ.

ვინ იცის, გრიშა აბაშიძე რომ არა, იქნებ უნაყოფოდაც ჩაველო „პატარა ქართველის“ ავტორისთვის კალმის პირველად აღების მცდელობას, სწორედ გრიშა აბაშიძის მეგობრულმა ურთიერთობამა და თანადგომამ შემატა დუტუ მეგრელის გაურინდავ სტრიქონებს მეტი გამბედაობა და სითამამე, ხოლო ქართველ საზოგადოებას – ისეთი შემოქმედი, რომლის ყოველ ლექსსა თუ მოთხრობას მოუთმენლად დაელოდებოდნენ.

გაივლის დრო და 1903 წლის გაზეთ „ივერიაში“ დუტუ მეგრელი დაბეჭდავს წერილს მისი გიმნაზიის მეგობრის პოეტ გრიშა აბაშიძის გარდაცვალების გამო და არაერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს გაიხსენებს მათი ურთიერთობიდან:

„მე და გრიშა გიმნაზიის მეორე კლასიდან ვიცნობდით ერთმანეთს. ოთხი თუ ხუთი წელიწადი თითქმის სულ ერთ „სკამზე“ ვისხედით და ვეჯიბრებოდით ერთმანეთს ლექსების წერაში (ჯერ ისევ მესამე კლასში ჩვენ ხელნაწერ გაზეთსაც ვსცემდით, რომელსაც „სხივი“ ერქვა, შემდეგ „თარი“-ს გამოცემა დავიწყეთ, რომელიც სულ ლექსებისაგან შესდგებოდა) თუმცა ის მჯობნიდა კიდევ: მაშინდელს გაზეთ „თეატრში“ ბევრი მისი ლექსი დაიბეჭდა „ე. თირელის“ ფსევდონიმით, მე კი მხოლოდ მერვე კლასში ვიყავი, როცა ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა „თეატრშივე“...

დიად, მე და გრიშა ჯერ ისევ გიმნაზიის მეორე კლასში დავუახლოვდით ერთმანეთს და დავმეგობრდით. გრიშა უფროსი იყო ჩემზე და უფრო ნაკითხი და განვითარებულიც. ქართული მშვენივრად იცოდა და ლექსების წერაც მაშინვე ემარჯვებოდა, მე კი მხოლოდ მაშინ ვცდიდი პირველად ჩემს კალამს და გრიშას მადლობელი უნდა ვიყო, თუ ამ ცდამ უნაყოფოდ არ ჩამიარა“...

დუტუ მეგრელის ჭაბუკობისდროინდელი ლექსები ჯერ კიდევ ვერ ავლენენ სრულყოფილად მგოსნის ლიტერატურულ შესაძლებლობებს, მაგრამ გამოირჩევიან სამყაროს საინტერესოდ აღქმის უნარით, წუთისოფლის რაობაზე დაფიქრებული ახალგაზრდა შემოქმედის გულწრფელობით.

დუტუ მეგრელის შეხედულება ხელოვნების დანიშნულების შესახებ, გამომხატურება იყო ილიასა და აკაკის იმ უმთავრესი პრინციპებისა, რომლის თანახმად ლიტერატურის საფუძველი სინამდვილის პიროვნული ასახვა, ქვეყნის სამსახურში მზადყოფნა და დამონებული ერის სულიერი წინამძღოლობა გახლდათ.

დუტუ მეგრელის შემოქმედებითი კრედიო ნათლად იყო გამოსატყულები ლექსში „პოეტი“:

**პოეტია მხოლოდ იგი, ვინც ტანჯულა,  
ერის წყლულით, წმინდა გრძნობით გამსჭვალულა**

**და მისთვის მღერს, რომ ჩაჰქოლოს ბოროტება  
ან დაჩაგრულთ გულს მოჰფინოს სასოება!**

უპოეზოდ დუტუ მეგრელს ვერ წარმოედგინა არსებობა. მას მტკიცედ სწამდა:

**პოეტი ლექსს რისხვითა სწერს, ცრემლით ალბობს  
და ის ლექსი აცოცხლებს მას, კი არ ართობს.**

დუტუ მეგრელის აზრით, მხოლოდ მას ჰქონდა უფლება გაცნობოდა მგოსნის ნათქვამ სიმართლეს, ვინც გრძნობით გამსჭვალულ აზრს დაეძებდა, ვინც თანაუგრძნობდა ჩაგრულსა და ტანჯულს, ვინც საც სჯეროდა, რომ პოეტის ნათქვამი სიტყვა სიკეთესთან, სიყვარულთან, თავისუფლებასთან იყო წილნაყარი.

ძნელია გამოაფხიზლო, ააღვლო, ააბოროტო საღათას ძილს მიცემული ხალხი, რომელთაც მხოლოდ ანმყო ადარდებთ და არა – მომავალი, თუმცა სამშობლოს ხსნის რწმენით გამსჭვალული პოეტი იმედოვნებდა, რომ მხოლოდ ერთობით, ერთმანეთის ძალისხმევით იქნებოდა შესაძლებელი მონობისგან დახშული სულის გაღვივება, ეროვნული თავისუფლების მოპოვება და სამართლიანობის აღდგენა.

დუტუ მეგრელის ცეცხლოვანი თვალები და მჭექარე ხმა უმალ იქცევდა ყურადღებას, რადგან ამ ელვარე მზერაში ილექებოდა წინეობრივ საყრდენს გამოცლილი ხალხის სულიერი ამაღლების სურვილი. მქუხარე ხმით გამოჰქედით სიტყვებში კი იძერწებოდა თავისუფლება-დაკარგული ქვეყნის გადარჩენის გზა. ღვთიური ნაპერწკალი ანათებდა თვალებს და ერის ჭირისუფლობა ამძაფრებდა ხმას. მგოსანი სიკვდილსაც არ უშინდებოდა და პირუტყვულ ყოფას ყოველთვის ღირსეულ თავგანწირვას ამჯობინებდა:

**მოკვდები? მოკვდე! – ვერ დაიჭერსო  
სიკვდილს გზა ვინრო, ვერცა კლდოვანი!  
განა პირუტყვულ სიცოცხლეს არ სჯობს  
კაცურად მოკვდეს ადამიანი?!**

მწერალი და საზოგადო მოღვაწე შალვა დადიანი დუტუ მეგრელის შესახებ დასძენს:

„საქართველოს ბედნიერ მწერალთა შორის, ჰყავს აგრეთვე ცხოვრებისაგან განანამები შემოქმედნი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ განანამებულეებში ურევია დუტუ მეგრელიც, მისი გარდაცვალების შემდეგაც ერთი ხეირიანი და საფუძვლიანი გამოკვლევაც კი არ არსებობს მისი შემოქმედებისა.

უსამართლობაა!  
მაგრამ მე მგონი ეს უსამართლობა მალე გამოსწორდება, რადგან უკვე გამოჩნდნენ ახალგაზრდა მკვლევარები და ისინი გამოაჩენენ საჯაროდ იმ ხალხის გულში ჩამარხულ წმინდა ხსოვნას დუტუ მეგრელისას, რომელიც ამჟამად, როგორც ცაცხვის ძირს წვიმაში შეფარებული ბელურები, მიყუჟული არის და უცვდის გამოდარებას“.

მას შემდეგ საკმაოდ დრო გავიდა, დუტუ მეგრელის დაფასებისათვის არაერთი რამ გაკეთდა. დაინერა არაერთი საინტერესო გამოკვლევა. პასუხი გაცეცა მრავალ კითხვას, რომელიც მწერლის მხატვრულმა მემკვიდრეობამ წარმოშვა, თუმცა სათქმელიც დარჩა.



დუტუ მეგრელი

## გამოსაშრება

დუტუ მეგრელი იყო პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი, მეიგავე, პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე.

ყველას, დიდსა თუ პატარას დუტუ მეგრელის ნაწარმოებები ხიბლავდა სამშობლოსადმი სიყვარულით, თავისუფლებისაკენ ლტოლვით, სამართლიანობითა და კაცთმოყვარეობით.

თვით მწერალი კი მეტად მოკრძალებული აფასებდა საკუთარ ნიჭსა და ღვაწლს:

**ორბელიანის სამხატვრო ნიჭი  
არ მოუცია ჩემთვის განგებას, –  
ვერ ავწერ მისებრ მე საქართველოს  
სიდიადეს და მშვენიერებას.**

უფრო მეტიც, მან ისიც იცოდა, რომ არც ბარათაშვილის „სულისკვეთება“ მიმადლებია და არც აკაკისებრ „სუბუქ ფრთითა აღმაფრენ“ ლექსთა წერა ძალუძს, მაგრამ

**... რა ვუყოთ, განა ბნელაში  
უბრალო ჭრაქიც არ სწევს სანთლობას?  
განა იმისი ოდნავ მბჟუტავი  
სინათლე არ სჯობს სულ არაობას?**

მართალია, „ზეგარდმო მაღლი“ არ უბოძებია განგებას დუტუ მეგრელისთვის, მაგრამ წრფელი გრძნობით აღფრთოვანებული გული მაინც ახერხებდა გარშემორტყმულ ბნელს ნათელი მოჰფენოდა:

**მეც იმ ჭრაქს ვგეგვარ და, თუმც არა ვარ  
ზეგარდმო მაღლით უხვად ცხებული,  
გარსშემორტყმულ ბნელს ვფენ მცირე ნათელს  
მზინდა წრფელ გრძნობით აღფრთოვანებული.**

ამ უბრალო ჭრაქის მცირე ნათელიც ბრწყინავდა სახელოვან მამულიშვილთა, გამორჩეულ მოღვაწეთა შარავანდედით მოსილ სახეთა გვერდით.

თავისი უბრალოებითა და თავმდაბლობით დუტუ მეგრელი საკუთარ გულისთქმას უერთებდა მელნის წვეთს, რომელიც მოკრძალებით აღებული კალმის წვერიდან გამუდმებით უონავდა.

\*\*\*

გრიშასი მაღლობელი უნდა ვიყოო...  
მართლაც, გრიშა აბაშიძე რომ არა, ვინ იცის...

## ლიტერატურული ცხოვრება

თამარ ბლიაძე

# ლიტერატურული პროფესიონალიზმის შესახებ

სკეპტიკოსთა ქირქილი, „ლიტერატურის დრო წავიდა“, არც ამ თხუთმეტობდე წლის წინათ იყო მართალი, როცა პოლიტიკოს-ლიტერატორებზე გაბრაზებულმა მკითხველთა ჯგუფმა ცეცხლს მისცა იმ მწერალთა წიგნები, და ახლა, მითუმეტეს, ამ ეჭვს საფუძველი არ გააჩნია.

საქართველოში ლიტერატურისადმი ინტერესი არ შენელებულა. ეგ არის მხოლოდ, ცხოვრებამ დროებით ყოფითი პრაქტიციზმისკენ მიაბრუნა მასის გულისყური და ისიც მხოლოდ დროებით.

როცა იმპერიამ ტორტმანი დაიწყო, კოლონიური ცხოვრებით შენელებული დრო ერთბაშად აჩქარდა. რუსის ჩექმისგან თავის დახსნის შანსმა ერთბაშად პოლიტიკურ სიმებზე გადაგვანყო. მერე, როცა თავისუფლებასმიუჩვეველმა საზოგადოებამ ნება დართო ეროვნული ხელისუფლების დამხობას იმპერიული ძალებისა და შინამოღალატეთა ხელით, ერის ერთი ნაწილი არასრულფასოვნების განცდამ შეიპყრო, ხოლო მეორე ნაწილი აპათიამ მოიცვა იმ პიროვნებათა მიმართ, ვინც ზვიად გამსახურდიას ეროვნული მესიობა არ იწამა, ან ერთბაშად უფრო მეტს მოითხოვდა პირველი პრეზიდენტისგან, ვიდრე პრეზიდენტს შეეძლო მიეცა იმ ვითარებაში, როცა მსოფლიო ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა საქართველოში, ხოლო ეროვნული ხომალდი, რომ-

ლის ქიმზეც ზვიად გამსახურდია იდგა, ისტორიის დინებას აღმა მიარღვევდა.

მაშინ მწერალთა ერთ ნაწილზე გულგატეხილი მკითხველი წიგნით ხელში კოცონთან რომ შექუჩდა, იქნებ საერთოდ უფრო იმის მაჩვენებელი იყო, რომ მას, დიდაც, აინტერესებდა ლიტერატურა და ამით სურდა მწერლისთვის შეეხსენებინა: სიტყვის ოსტატი, რომელიც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საგულშაფოზე არ დგას, მე არ მჭირდება.

რა ხდება ახლა?

არასოდეს საქართველოში იმდენი სალიტერატურო ყურნალ-გაზეთი არ გამოდიოდა, რამდენიც დღეს გამოდის. რა მიმართულების და სახელწოდების ლიტერატურულ პრესას არ ნააწყდებით მასმედიის ბაზარზე. ბულვარულმა ლიტერატურულმა ორგანიზებმა ხომ ლამის წარყვანა მკითხველის გემოვნება.

არასოდეს იმდენი ლიტერატურული დაჯგუფება და ასოციაცია არ არსებულა საქართველოში, რამდენიც დღეს არსებობს. „ლიტერატურული საძმოები“ სოკოებივით მრავლდება და ზოგჯერ კონკრეტული ესთეტიკური მრწამსის უქონლობის გამო ეს „საძმოები“ სოკოსავით უდღეურია, მაგრამ მათი დაბადება ფაქტად ხომ მაინც რჩება ლიტერატურის ქრელ პანორამაზე.

ადრე, ოციან წლებში, ლიტერატურული დაჯგუფება სამწერლო ერთფეროვნებას იმით გამოეყოფოდა, რომ თავის მანიფესტს გამოაქვეყნებდა, თავის კრედოს საცნაურს გახდიდა მკითხველისათვის. ახლა მსგავსი რამ არ ხდება. „მოდი, შევექმნათ ახალი ასოციაცია (სკოლა) და დავირქვათ „ლიტერატურული ჭუჭულები“ – ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ XXI საუკუნის გადაულახავი პრობლემებით დაღლილი მკითხველი გულისკარს გაგიდებს.

დააკვირდით, როგორ დაიცალა იმ ტრადიციული კდემამონივნებისგან მწერლის ტიტული, რაც მას ილიამ და აკაკიმ მოუპოვეს საერთოდ, საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ფაქტობრივად ლიტერატურის ქვეყანა ვართ, საქართველოში ლიტერატურული პროფესიონალიზმი, ანუ მწერლობის ქცევა ხელობად, პროფესიად ტრადიციულად თითქმის არ არსებობდა.

პირველად პროფესიული ლიტერატურისკენ ილიამ და აკაკიმ მიახედეს ქართველი მკითხველი. დიდხანს (თუ ახლაც არა) სიტყვა მწერალთან ილიას და აკაკის სახელი ასოცირდებოდა.

ჭეშმარიტი პროფესიონალი პოეტი ვაჟა-ფშაველაც კი თავის თავს ხალხური მოლექსის დონეზე განიხილავდა და, თუ გულში არა, სხვის გასაგონად მაინც ამბობდა – „ჩემისთანები ბავაზე აუი, ათასი აბაო“. აკაკი წერეთელი თავს ლიტერატურის დღიურ მუშად თვლიდა და მომავლის მკითხველს სთხოვდა, მისი ლექსებისთვის ისე არ შეეხედა, როგორც „სახელოვნო და საპოეზიო ნიმუშებისთვის“. ალექსანდრე ყაზბეგს ვერ წამოაცდენინებდი, რომ მწერალი გახლდათ. იგი თავს მოლექსურედ და მოხეტიალედ დასის ნევრად ასალებდა, ხოლო შიო არაგვისპირელს მთელი სიცოცხლის მანძილზე თავის მთავარ საქმედ საქონლის ექიმობა, ბეთილობა მიაჩნდა...

ახლა? არასოდეს იმდენი დებოუტანტი და გრაფომანი არ უწოდებდა თავს „მწერალს“, რამდენიც ახლა უწოდებს. არც თუ იშვიათად ტელევიზიის ეკრანზე თვალს მოჰკრავთ პოლიტიკაში ჩაბმულ ახალგაზრდა კაცს, რომელიც რომელიმე ქუჩის აქციაში მონაწილეობს, ხელთ ტრანსპარანტი უჭირავს და ტელეკორესპონდენტს მისეულ, სახელდახელო სიბრძნეს ანვდის. ეკრანზე ჩნდება ტიტრი – ექცის მონაწილის გვარი და ქვემოთ წარწერა „მწერალი“.

ტელევიზია არ დაგიდევთ, გაუგონია თუ არა იმ „მწერლის“ გვარი საქართველოს. მას რესპონდენტმა უთხრა – მწერალი ვარო, და მორჩა და გათავდა.

და ამის შემდეგ განა სერიოზულად შეიძლება იმის „მტკიცება“, რომ „ლიტერატურის დრო წავიდა“?

არამც და არამც.

ახლა ღირებულებათა გადაფასების, გემოვნების კრიზისის, ჟანრთა კანონიკის რღვევის, მწერლის საზოგადოებრივი ფუნქციის დაზუსტება-დადგენის, ჭეშმარიტი მწერლობისგან ლიტერატურის სუროგატის გამოყვანის ურთულესი გარდამავალი ეპოქაა, ხოლო, რაც შეეხება წამდვილ კაზმულ სიტყვას, მისი დრო არსად წასულა და არც არასოდეს წავა.

ჩინოვნიკებთან ესთეტიკაზე კამათი ძნელია ისევე ისე, როგორც მაიაკოვსკის უჭირდა ფინისსპექტორთან კამათი პოეზიაზე.

ლიტერატურის მაღალ დანიშნულებაში გაურკვეველ მოქალაქეს ვერა და ვერ გააგებინებ, რაში მდგომარეობს ის „საიდუმლო“, რომ საეჭვო მხატვრული ღირებულების, ნახევრად-სექსუალური „ლიტერატურული ორგანოები“ იმარჯვებენ პრესის ბაზარზე, უძლებენ „კონკურენციას“, ხოლო წმინდა ლიტერატურის ჟურნალ-გაზეთები დიდხანს რჩებიან ჯიხურებში და მაღალხაზით თაროებზე.

როგორ გინდა აუხსნა საბაზროდ ტვინმონყობილ ახალი დროის „გმირს“, რომ დღეს გალაკტიონ ტაბიძის ლექსები განა იმიტომ არ იყიდება, რომ „მერი“ ჩამოუვარდება პოსტმოდერნიზმის წარმომადგენლის რომელიმე მხატვრულ უსუსურობას, არამედ სწორედ იმიტომ არ ეტანება მასობრივი მკითხველი ჭეშმარიტ შედევრს, რომ მოხდა გემოვნების დევალვაცია, რეჟოლუციების გამო საზოგადოებას გამოჩნა ერთი თაობის ესთეტიკური აღზრდა და ახლა დიდი ძალისხმევაა საჭირო, ნვიმის რეჟოლუციებზე და სამოქალაქო ომზე ორიენტირებული ახალგაზრდობა მაღალი მატერიალუბისკენ მიაბრუნო.

გემოვნების აღზრდის ნაცვლად გემოვნების გარყვნის პროცესი გრძელდება.

გამოდის ტელევიზიით მავანი პატივცემული გვამი და სერიოზულად აცხადებს; ილია ჭავჭავაძეს – ასეთ მწერალს არ ვიცნობო, ან გამოდის „პოეტ-კუპლეტისტი“ და ასეთ „სიბრძნეს“ გვთავაზობს: „გალაკტიონი ბანძია“, ხოლო „ილია და აკაკი...“ უბედურება ის გახლავთ, რომ იაფ ეფექტებზე ორიენტირებული ტელევიზია ამ ფრაზების ეთერში გასვლის შემდეგ

უფლებას აღარავის აძლევს, თქვას, მავანმა რომ ილია და აკაკი უკადრისად რომ მოიხსენია, ეს აზრი მთლად მართებული არ უნდა იყოსო.

ჭეშმარიტ ლიტერატურას ანუ პროფესიონალიზმს ლიტერატურაში სამიშროება მაშინ ექმნება, როცა ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ ბრძოლა ღირსების, ნიჭიერების, გამორჩეულობის დამაკინებელ ფორმებს ეძებს. როცა ცდილობენ შთაბეჭდილება შექმნან იმისა, რომ „ყველანი ერთი დონისანი ბრძანდებიან“, „ვარსკვლავებს არავინ კრეფს“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი არავინაა“. ეს მკითხველის დამაბნეველი, ინდივიდუალობის დამთრგუნველი ტენდენციაა. ამის შემდეგ ადვილია მწერლობა ისეთ იოლ საბურჭალო (სათამაშო) საქმედ მიიჩნიო, რომ შეიძლება, კონკურსი გამოაცხადო სწრაფწერაში – გონიომი ჩაიყვანო სულსწრაფი მწერლები და შეაჯიბრო ერთმანეთს – ვინ დაწერს ერთ დღეში რომანს. სახელის იოლად შოვნის მსურველს რა დაღვეს ჩვენში და ეს კონკურსიც ტარდება. იმაზე არავინ ფიქრობს, რომ ამით გამასხრდა მწერლის შრომა და მწერლის სახელი, რომ ამით შეურაცხყოფა მივაყვეს ანუ ყველა პროფესიონალ მწერალს დედამინაზე. აბა, ჩაგებათ ასეთ მარათონულ სწრაფწერაში მიხელო ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და პოლიკარპე კაკაბაძე? ხომ დაახვედნენ თავზე გონიოს კონკურსის მესვეურებს საკონკურსო სქემას, ხომ დაიფრენდნენ „ასპარეზიდან“ ყოვლისმცოდნე ყიუთის ნევრებს.

პროფესიონალიზმი, რა თქმა უნდა, დღედაღამ მაგიდასთან ჯდომასა და სიტყვასთან ჭიდილს ან ლიტერატურულ „პროდუქტულობას“ არ ნიშნავს. პროფესიონალიზმი ლიტერატურაში ის გახლავთ, ვისაც მწერლობა თავის უპირველეს, უმთავრეს საქმედ მიაჩნია და ვისაც არა მარტო ძალუქს მკითხველის გულისა და გონების დიადი მიზნებისკენ წარმართვა, მილიონთა გაყოლობა, არამედ აქვს ეპოქის შეცნობის უტყუარი ალლო, „დროის ჟანრში“ გარკვევის უნარი.

მწერლური პროფესიონალიზმის მაღალი დონე და ეპოქის ხასიათის შეცნობის უნარი დიდებულად გამოამჟღავნა ბატონმა ოთარ ჩხეიძემ ოდენ აქტუალურ თემაზე მართლად და მიუკერძოებლად წერით კი არა, იმიტაც, რომ მწერლური გუმანიტი მიხვდა ერთ უტყუარ ჭეშმარიტებას: მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე მკითხველს ნაკლებად აინტერესებს მოგონილი, განყენებული ამბები და კლასიკური სიუჟეტების ლიტერატურული ვარიაციები, ახლა სწორედ ის დროა, მკითხველს დოკუმენტურობასთან შეზავებული მხატვრული სინამდვილე შევთავაზოო... და მისი გუმანი მართალი აღმოჩნდა. ამ ჟანრული პრინციპით დაწერილი რომანები „არტისტული გადატრიალება“ თუ „2001 წელი“, დიახაც, ჩვენი ცხოვრების უტყუარ მხატვრულ მატრიანებს წარმოადგენენ.

დოკუმენტური ავტობიოგრაფიულობით გამოირჩა ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალი“. მკითხველი უამრავ ნაცნობ ცხოვრებისეულ პასაჟს ნაანყდება ოთარ ჭილაძის „აველუმში“, ოტია იოსელიანის ვრცელ ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „საიდან მოვდივარ“. რევაზ მიშველაძემ გარდა დროის უტყუარი სურათებისა, იმიტაც დაიკავა სწორი ჟანრული პოზიცია, რომ თავის ნოველებს ირონიის საფანელი ჩააყოლა და მკითხველის ყურადღება ჩვენს ყვარყვარულ დროზე ამით უფრო გამახვილა...

ჭეშმარიტი ლიტერატურა მხატვრული სიტყვის მძიმე არტილერიას. იგი ლიტერატურულ აცუნდრუკებას, სამწერლო-საორდლისო მოდას არ დაგიდევთ. იგი მომთმენია და შორსგამხედავი. კლასიკური მწერლობა სასწორზე არასოდეს დადებს ისეთ ურყევ მოდელს, როგორცაა „ღმერთი და სამშობლო“, ამჩატებულ ესთეტ-ფილოსოფოსს არ გაჰყვება ელემენტარულ კამათში იმის შესახებ, უნდა უმშვენებდეს თუ არა მხრებს მწერალს ერის მსახურის მანტია.

# ღვთის სადიდებლები

ეფრემ ასური (306-373)

**სამოთხის საგალობელი  
ანუ  
სხაულისგან განმორჩეული  
სულის შესახებ**

ჩემს ყურთასმენას მისწვდა სიტყვა განსაკვირველი,  
წმინდა წერილში ამბავია ავაზაკისა,  
იგი ჯვარს აცვეს მაცხოვრის გვერდით.  
ჩემი მრავალი შეცოდების და დაცემის ჟამს  
მე ნუგეშს მგვრიდა ეს ამბავი,  
რამეთუ იგი, ავაზაკი ვინც შეინწყალა,  
მეც მომიტევეს, მეც მაცხოვრებს და შემინწყალებს;  
ვესავ, აღმადგენს, შემიძღვება ედემის ბაღში.  
საღვთო წალკოტის ხსენებაც კი ნეტარებაა...  
და სული ჩემი ბორკილებს გლეჯს,  
საკრველთაგან თავისუფლდება  
და მიელტვის სამოთხის ხილვას...  
შენ დაგვიფარე, უფალო ჩვენო.  
და ღირს გვყავ შენი სასუფეველისა.

ვუმზერ სავანეს, სამკვიდრებელს,  
ნათელით მოსილს,  
და ხმა ჩამესმის:  
„ცხონდა ავაზაკი!  
მადლი მიტევებისა გარდამოვიდა,  
ბჭენი სამოთხისანი განეხვნა ავაზაკს!“  
მწამს, ავაზაკმა დაივანა სასუფეველში,  
ხოლო მაფიქრებს, სხეულისგან გაყრილმა სულმა,  
სულმა, თანამგზავრს დაცილებულმა,  
თავის იარაღს და თავის ქნარს მომწყდარმა სულმა,  
ვით განიცადოს, ვით იხილოს სასუფეველი?  
და, ეჰა, ესე სასწაული განსაკვირველი!  
შენ დაგვიფარე, უფალო ჩვენო,  
და ღირსგვყავ შენი სასუფეველისა!

გრიგოლ ღვთისმეტყველი (325-389)

**აპოფატიკური საგალობელი**

ჰოი, ყოველთა უზეშთაესო!  
ქება ვით გკადრო!  
ვით გადიდოს ენამ,  
ენით უთქმელო!  
ვით შეგნვდეს გონება,  
გონებაშიუნვდომელო!

შენ ერთადერთი ვერ დაგიტია სიტყვამ,  
რამეთუ თვით ხარ დასაბამი ყოველი სიტყვის.  
ერთადერთი ხარ შეუცნობელი,  
რამეთუ წყარო ხარ შემეცნების.  
და შენ გადიდებს სიტყვა თქმული,  
შენვე გადიდებს სიტყვა უთქმელი;  
შენ გადიდებენ აზრით,  
გინდა გაუაზრებლად;  
შენდა ისწრაფვის  
ყოველი ლტოლვა სიყვარულისა,  
ყოველი სწრაფვა  
შემფოთებული სულისა.  
სამყარო მარად მოილტვის შენდა,  
შენგან მოვლენილ საბოძვარს განჭვრეტს  
და მდუმარებით გიძღვნის დიდებას.  
შენ ხარ ყოველში  
და ყოველი არსი შენშია,  
დაუსაზღვრელო,  
დამსაზღვრელო ყოველთა ზღვართა!  
შენ ყოველისაგან ხარ არარა,  
და შენვე შეგფერს ყველა სახელი,  
არ არს სახელი შენი საკადრი,  
როგორ მოგმართო?  
ზეცის ძალთაგან ვინ შეაღწევს  
დიად ნათელში,  
შენს დამფარავში?  
წყალობა გვიყავ, უზეშთაესო!  
ვით გადიდო,  
ქება ვით გკადრო?!

რომანოზ მელოდოსი (VI ს.)

**ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის  
დაუჯდომიდან**

უფლის ანგელოზი გარდამოხდა ზეცით,  
უბინო ქალწულს ამცნო: „გიხაროდენ!“  
სულისა თვალთ უფლის განკაცების მხილველმა  
ხმაჰყო და ლალადჰყო განსაკვირველად:  
„გიხაროდენ, შენით სიხარული განეფინება;  
გიხაროდენ, შენით გასაჭირი განქარდება;  
გიხაროდენ, ნუგეშო ადამის სატანჯველისაო;  
გიხაროდენ, ევას ცრემლთა წარმხოცელო;  
გიხაროდენ, გონებით მიუნვდომელო სიმაღლეო;  
გიხაროდენ, ანგელოზთაგან თვალშეუდგამო

სიღრმეო;

გიხაროდენ, რამეთუ დაიტიე ცათა დაუტევნელი;  
გიხაროდენ, რამეთუ მოიცავი ყოველისმომცველი;  
გიხაროდენ, ვარსკვლავო ცისკრისაო;  
გიხაროდენ, დედაო, ღვთის მზრდელი;  
გიხაროდენ, შენით განათლდეს სოფელი;  
გიხაროდენ, შენით არს თაყვანისცემა ღვთისა;  
გიხაროდენ, სძალო უსძლოო!

ფრანჩესკო ასინელი (1188-1226)

მზის ჰიმნი

დიდება შენდა, უფალო ჩვენო, დიდება შენდა!  
შენ ერთს გიგალობთ, გადიდებთ და მადლს  
შემოგწირავთ,  
ქვეყნად არცერთი სულიერი არ არის ღირსი  
შენი სახელის ხსენებისა, შენი ხმოვისა!

ვაქებდეთ უფალს, უსასრულოს, დაუსაბამოს!  
ვაქებდეთ მზისთვის – ჩემი ძმისთვის!  
მზის ბრწყინვალეობა –

ნათელი დღის გამთენებელი –  
ოდენ ჩრდილია თავად უფლისა.  
ჰე, მზეთა მზეო, უფალო ჩემო,  
ოდენ ჩრდილია თვალშეუდგამი შენი ხატისა!  
აქებდეთ უფალს და-ძმანი ჩემნი:  
მთვარე – მეუფე უკუნი ღამის –

და ვარსკვლავები – უფლის ღამურები,  
იდუმალი ნეტარებით მოციმციმენი.

აქებდეს უფალს სიჩუმე ღამის,  
აქონ უფალი ჩემმა ძმებმა:

სეტყვამ და ქარმა,  
ავდრის ღრუბლებმა,  
ქარიშხლის ბორგვამ და ამოხვნეშამ.  
აქებდეს უფალს ლაჟვარდი დილის,  
აქებდეს უფალს და ჩემი – წყალი, –  
ჩუმი, ანკარა, უბინო და უძვირფასესი.

აქებდეს უფალს ძმა ჩემი – ცეცხლი, –  
მოკიაფე, მარად ლალი, დაუდეგარი,  
მუყაითი გარჯის თანამზლები,  
მოცალეობის თანამდევნი.

აქებდეს უფალს დედამინა –  
ჩვენი დედა, ჩვენი მშობელი.  
საყვარელ მის მკერდს – ნოტიო მინდვრებს –  
ღრმა ხნულებად სერავს სახნისი.  
მინა სანაცვლოდ თავის შვილებს წყალობად

გვიძღვის

უთვალავ ნაყოფს,  
ოქროსფერ თავთავს,  
ცისარტყელას ფერთა სიუხვეს!

სიკვდილისთვისაც ვაქებდეთ უფალს!  
სიკვდილი – ჩემი ძვირფასი და,  
ღვიძლი ჩემი, და დიადი, და ძალმოსილი!  
მან, ვინც იარა სიკეთის გზით,  
ვინც სიკვდილამდე დიდსულოვნად შეუწდო თავის  
მტერს,

სიკვდილი მისთვის სიცოცხლე მარადიული,  
ბნელი სამარე მისთვის არის ნათელი ღვთისა.

აქებდეს უფალს მორჩილებით მთელი სამყარო!  
ჰე, მზეთა მზეო, დიდება შენდა  
და ქება შენდა ან და მარადის!

ხუან დე ლა კრუსი (1542-1591)

ღვთაებრივი სიყვარულის ცეცხლი

ჰოი, ჩაუქრობელო ცეცხლო ღვთაებრივი  
სიყვარულისა!  
ნეტარებამ წამლეკა და სიხარულმა აღმიტაცა,  
ოდეს შემოაღწიე ჩემი სულის იდუმალ სიღრმეში.  
შენ არ ნელდები, არ ილევი, არ იღველფები.  
ბარემ ინებე და ჩაფერვლე ის დაბრკოლება,  
შენთან ბედნიერ შეერთებას რომ აფერხებს, რიდით  
რომ გფარავს.

ჰოი, სიამე ღვთაებრივი სიყვარულისა!  
ჰოი, სიტკბოება სახმილისა!  
ჰოი, ნეტარების მომგვრელი წყლული!  
მზრუნველი ხელის ფრთხილი შეხება,  
მარადიული სიცოცხლის ტოკვა,  
თვით სიკვდილს რომ დაჯანის და სიცოცხლედ  
აქცევს!

ჰოი, ჩაუქრობელო ლამპარო ღვთაებრივი  
ცეცხლისაო!  
გამცისკროვნებელო ცნობიერების სიღრმეთა!  
ბნელსა მყოფს, თვალისჩინწართმეულს  
შენ გამოარჩევ,  
უბოძებ ნათელს, განცდას ფერისას.

ჩემს მკერდში მკვიდრობ,  
აქ გაქვს ბინა სათნოს, საყვარელს  
და მომინოდებ სიფხიზლისკენ, მღვიძარებისკენ,  
აღმავსებ ტრფობით, ნეტარებით მარადიულით.

ფრიდრიხ ჰოლდერლინი (1770-1843)

ბიჭი რომ ვიყავ

ბიჭი რომ ვიყავ,  
უფალი ღმერთი მიცავდა ხოლმე  
ადამიანთა ყვირილისგან, ძალადობისგან;  
და ტყე-ჭალებში უდარდელად  
ყვავილებთან მე ვთამაშობდი,  
და სიოც, ზეცით მონაბერი,  
თავს იქცევდა ჩემთან თამაშით.

მზეო, ჰელიოს!  
შენ გულს უხარებ მცენარეებს  
და მოქნილ ხელებს ინვდიან შენკენ.  
ჰე, მთვარე, მთვარე, წმინდაო ლუნა,  
შენ შემეყვარე, ვით ენდიმიონ,  
და მე შენი რჩეული ვიყავ.

ჩემო შემწენო,  
მეგობარო ჩემო ღმერთებო,



ნეტა იცოდეთ,  
ჩემი სული როგორ გეტროფოდათ!

თუმცა სახელით არ მოგმართავდით,  
არც თქვენ მიხმობდით ჩემი სახელით.  
ასე ხომ კაცნი უხმობენ ერთურთს,  
თითქოს ერთმანეთს მართლა იცნობდნენ.

მე კი თქვენ უკეთ გიცნობდით მაშინ,  
ვიდრე ვიცნობდი ადამიანებს.  
უკეთ მესმოდა მდუმარება მე ეთერისა  
და არ მესმოდა სიტყვები კაცთა.

მე მოვინიფე ხმაშეწყობით  
ტყეთა შრიალში  
და სიყვარული შევისწავლე ყვავილებისგან.  
მე გავიზარდე ღმერთების ხელში.

**უოლტ უიტმენი (1819-1892)**

**ყველა დროის მეტაფიზიკის საფუძველი**

ახლა, ჯენტლმენებო,  
სიტყვას გეტყვით,  
გონებაში ჩაიტოვეთ, დაიმახსოვრეთ!  
საფუძველს გეტყვით ყველა დროის მეტაფიზიკის.

აქვე მივმართავ უამრავ სტუდენტს,  
მხცოვან სწავლულთა გულდასმით მსმენელთ:  
მე შევისწავლე სიბრძნე ძველების,  
ახალი დროის ფილოსოფიაც,  
ბერძნულ-გერმანული სისტემები;  
წავიკითხე კანტი, შელინგი,  
დავამუშავე ფიხტე, ჰეგელი,  
დავენაფე პლატონის სიბრძნეს.  
პლატონზე დიდცი შევისწავლე:  
სოკრატეს ჩავსწვდი.  
და მე ვეძებდი  
უდიადესს თვით სოკრატეზე,  
და ვეზიარე ქრისტეს მოძღვრებას.

დღეს მახსენდება ყველა დროის ფილოსოფია,  
ბერძნული და გერმანული თეორიები,  
ქრისტიანული მოძღვრების მრწამსი,  
და უფრო ნათლად მესმის სოკრატე,  
და ქრისტეს მიღმა ღმერთს უკეთ ვხედავ,  
ეს ყველაფერი მე უკეთ მსჭვალავს,  
როცა მოწმე ვარ მე მოყვასის სიყვარულისა,  
მეგობართა ერთგულებისა,  
ბედნიერი ცოლ-ქმრის ტროფობისა,  
დედა-შვილის სიყვარულისა,  
როცა ვხედავ, როგორ უყვარს ქალაქს ქალაქი,  
როცა ვხედავ, რომ ქვეყანას უყვარს ქვეყანა.

**ემინ რეიჰანი (1876-1940)**

**უცნობი**

ფერად-ფერადი ყვავილებით შეამკეს ჯვარი,  
საკმეველის კვამლი აიბოლქვა საკურთხეველიდან,  
ჩაქრა სანთლები და შეაშრათ ცრემლი ღვთისმოსავთ.  
ტაძრიდან ორნი გამოვედით: მე და უცნობი.  
და სული ჩემი უცხო ყარებს უმალ გაენდო,  
და ქალაქგარეთ ზეთისხილის ბაღში შევედით.  
ჩრდილს მივაშურე და უცნობიც ხის ძირს ჩამოჯდა.  
ერთურთს ვუჭვრეტდით უჩუმრად და იდუმალებით.  
ჩვენ მოყვასნი ვართ, გვაშორებდა ერთმანეთის

უნახაობა,

სიყვარული და თანაგრძნობა ჩვენ გვეერთებდა.  
ასეთ ჟამს სიტყვა უძღურია, სული ჭვრეტს უკეთ.  
გაოცებული და შემკრთალი ვკითხავდი ჩემს თავს:  
„ვინ უნდა იყოს ეს უცნობი, უცხო, ყარობი?“  
და გაოგნებულს წინ აღმიდგა ზმანებასავით,  
ვინც ვერ ვიცანი კაცის ხატი... და შევიცანი...  
და სულით შეძრულს ეს აღმომხდა: „უფალო ჩემო,  
ძმაო ჩემო და თანამგზავრო, ძეო ღვთისაო!  
აჰა, მიიღე გული ჩემი და მკლავი ჩემი.  
ჩემთა ძმათათვის ვერ საცნობო უფლისა სუნთქეავ,  
დააყურებდი შენს მოსავთა მოთქმა-გოდებას,  
შენს ხატს ემთხვევა კაცთა მოდგმა, შენ კი გაგირბის.  
უფალო ჩემო, ნება მომეც შენს მკერდს მივეყრდნო  
და გავინელო სევდა ჩემი, ვარამი ჩემი.  
და აღმავსე მე ჭეშმარიტი თავისუფლებით,  
რომ ძმა შევიტკბო, შევიყვარო ყველა სულდგმული.“

**ტომას სტერნზ ელიოტი (1888-1965)**

კაცის სულს მართებს, ააჩქაროს შემოქმედება  
და შემწე გახდეს თვით შემოქმედის.  
უფორმო ქვას რომ საკუთარი არსებით ერწყმის,  
სიცოცხლის ახალ ფორმას ბადებს ადამიანი;  
სული კაცისა უტყვ და უსმ ქვას  
აძლევს სიცოცხლეს.  
რაც ცოცხალია, ან – უსიცოცხლო,  
რაც უფორმოა, ანდა თითქოს აზრს მოკლებული,  
ყველაფერს ამას მხატვრის მზერა რომ შეერწყმება,  
ჩნდება ახალი სიცოცხლე და ახალი ფორმა,  
ახალი თრთოლა, ახალი ფერი.  
აბორგენული ბგერების ზღვიდან  
სიცოცხლით ფეთქვას ინყებს მუსიკა.  
და ერთმანეთში აზელილ სიტყვებს,  
თოვლჭყაპივით ამთხვლეულ გროვას,  
ადამიანის დაალაგებს აზრი და გრძნობა,  
ადგის მიუჩენს ყოველ ბგერას,  
და გადმოსკდება სიტყვათა ჩქერი –  
მშვენიერი, მომჯადოები.

თარგმნა  
მანანა გივინიძე

IV საუკუნის დიდი ღვთისმეტყველი ათანასი ალექსანდრიელი ამბობდა, ღვთის ქებას რომ წარმოთქვამს, „კაცი

ღმერთსა ჰზრახავნ თვისით გონებით“, ე.ი. ადამიანი გონებით ღმერთს ესაუბრებო. ღვთის დიდება თურმე ყოფილა „მოყვანებაი სულისაი სიმართლედ“. ღვთისადმი გულწრფელი მიმართვის სურვილი ადამიანს ყველა ეპოქისა და ყველა კულტურის ნიაღში ჰქონდა. აქ გამოქვეყნებული ნიმუშები მცირე ნაწილია ჩემს მიერ ამ ბოლო ხანს თარგმნილი ჰიმნებისა, რომლებიც კრებულად გამოქვეყნდება სათაურით – „დიდება შენდა!“ კრე-

მთარგმნელისაგან

ბულში თავს მოიყრის ძველი ეგვიპტური, ტიბეტური, ყუმრანის ესეველთა ჰიმნები, ბიზანტიელი ჰიმნოგრაფები, ეს-

პანელი, ფრანგი, გერმანელი და ინგლისელი-ამერიკელი ავტორების ჰიმნები შუა საუკუნეებიდან ლამის ჩვენი დრომდე.

აქ წარმოდგენილ ავტორთაგან ეფრემ ასური, გრიგოლ ღვთისმეტყველი და რომანოზ მელოდოსი თარგმნილია ლათინური თარგმანის მიხედვით სირიულისა და ძველი ბერძნულის არცოდნის გამო, დანარჩენები ორიგინალებიდანაა თარგმნილი.

გამოსმაურება

ნინო ვახანია

საგვარეულო გერბის ერთგულება

ანამყო, შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა

ლეიბნიცი

ყოველი ადამიანი ცალკე, დამოუკიდებელი სამყაროა, ამავე დროს უხილავი, მაგრამ მტკიცე ძაფებით არის გადაბმული სხვა ადამიანებთან, ყველაზე მეტად კი – წინაპრებთან. სულერთია, ვგრძობთ ამას თუ არა, გაცნობიერებული გვაქვს თუ არა. წარსული ჩვენია, ჩვენ ყველგან ვართ – წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც. არ არსებობს სამი, ერთმანეთისგან გათიშული დრო, სამივე ერთადაა, ამისგან თავს ვერაფრით დავიხსნით. „რა იმალება იქ, ჩვენი სულისა და სხეულის სიღრმეებში?“ – კითხულობს თომას საულიუს კონდროტასი, რომლის მისტიკური ნოველა „კენტავრი საგვარეულო გერბზე“ (ჩინებულად თარგმნილი ნანა დევიდის მიერ), დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მე-11 ნომერში.

რა იმალება, ვინ ვართ, რატომ ვართ სწორედ ასეთები და არა სხვანაირები, რა ბედი გველის? გამუდმებული რატომ, საიდან, როგორ, რა – ის კითხვებია, რაც სულ გვანვალებს და გვღრღნის, მაგრამ თავი ვერაფრით დაგვიხივებია. მეტიც, რაც ბევრს ფიქრობ, უფრო და უფრო გითრევს, გიყოლიებს. ვერც პირდაპირ, გარკვეულ, ერთმნიშვნელოვან პასუხს გაიგებ, ვერც მოუშვები საკუთარი სულისა და სხეულის სიღრმეების ჩხრეკას. მას არც თავი აქვს და არც ბოლო, არც დასაწყისი და არც დასასრული.

მაშინაც ვერ მოისვენებ, თუ არც შენ, არც შენს ქვეყანას, არც შთამომავლობას არაფერი ეშუქრება, თუ „ცხიმიანი ხორციით სავსე ქვაბით“ მოთუხთუხე სამყარო შენგან შორსაა, თორემ მაშინ რაღა ვთქვით, თუ იმ ქვაბში სხვებთან ერთად შენც იხარებ?

აღბათ, ყველას ჰყავს თავისი ბრძენი „მსახური, რომელიც აღარ გვემსახურება“, გარშასი, თუ რეალურად არა, წარმოსახვით მაინც. იქნებ მან ამოხსნას საიდუმლო, გადაგვახედოს საზღვარს მიღმა, სულს ხომ ასე სწყურია ზოგჯერ უსაზღვროებას. ვერა, ვერც ვარშასი დაგვეხმარება, თვითონვე უნდა ჩავწვდეთ უმარტივესსა და ამავე დროს ურთულეს ქვეშაირტებას. რატომ ჰგავს, რატომ ჩვენი ლოდინი უბედურების მოლოდინს?

საკუთარი ფესვების მოჭრა, ჯიშის, გენის, წარმომავლობის, გვარის უარყოფა დიდი ცოდვაა. განგებას ასე უნებებია? აღზევების სანაცვლოდ საკუთარზე უარი უნდა თქვა და სხვად იქცე, გაუცხოვდე, გადასხვაფერდე? კი, ბატონო, ინებე, ოღონდ პასუხიც აგე. ისინი არსად წასულან, აქ, ჩვენთან არიან და გვიყურებენ,

როგორ ვიხდით საზღაურს. „საზღაური ძალზე მძიმე ხომ არ იქნება?“, „რა საშინელებას უნდა ველოდეთ?“ არა, ამაზე იუჩასი ვერ გაპასუხებთ, ვერც ყოვლისმცოდნე და ზებუნებურივი იერემფერდენი. ყველამ თვითონ უნდა იცოდეს, რომ ღმერთების გაცურება დანაშაულია და ყოველი დანაშაული კი ისჯება. განა არა? გვეყოფა კი ძალა და გონება სამყაროს საიდუმლოების შესაცნობად, საკუთარი თავის ამოსახსნელად?

როცა ყველაზე საყვარელ არსებას (სამშობლოს?) მოსაკლავად გაიმეტებ, რაღა შევებას მოგცემს ღმერთი? საზარელი ცხოველი (სხვისთვის საზარელი), ხვლიკი იკავებს უტინიასის ცხოვრებაში ყველაზე დიდ ადგილს. რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტ სიახლოვეს გრძნობს თავადი წინაპრებთან, დედასთან, რომელსაც ადრე ვერ უგებდა, მამასთან, რომლისაც ადრე ემინოდა და რაც მთავარია, ვისგალესთან, ვის აქნილ შიშველ ტანსა და მაღალ მკერდს თვალნათლივ ხედავს და უმოწყალოდ იტანჯება. მხოლოდ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ კაცს შეუძლია გაიგოს, რას ნიშნავს ადამიანთა და ცხოველთა ის უამრავი პატარა ფიგურა, ვარშასის ოთახში რომ ეწყობა, მათი, ვინც ვარშასმა გამოააღმა სიცოცხლეს და მერე თავყვანს სცემდა, როგორც კერპებს.

ნუთუ იმისათვის, რომ უბრალო ქვეშაირტება გაიგო, აუცილებლად უნდა მოკვდე? კვდება კენტავრის საგვარეულოს წარმომადგენელი და ხვდება, რომ იგი შიშმა დაამარცხა, ღრმა, ყოვლისმომცველმა, დაუძლეველმა შიშმა. მომავლის იმედი და რწმენა თუ არ გასულდგმულებს, საკუთარი თავისა და ძალის არ გჯერა, რაღამ უნდა გაცოცხლოს ამ უღმერთო, გულგრილ ნუთისოფელში? განწირული ხარ, ვერც წინაპარი გიშველის, ვერც საგვარეულო გერბის ერთგულება. რამ ჩავკინერგოს რწმენა, რამ მოგვცეს ძალა, რამ?

ადამიანს ყველაზე დიდი მტერი საკუთარ თავშივე ჰყავს. როცა ჭკვიანი, განათლებული, ჯანმრთელი და ღონიერი მამაკაცი საფრთხის, უბედურების მოლოდინში თრთის და კანკალებს, თეიმურაზ ხევისთავივით დუნე და დონდლო ხდება, მას უთუოდ ქვიშასავით გაუცურდება სიცოცხლე და ხალხიც დაიცვით იტყვის: „მაგათ გერბში ჭაკი კი არა, ფაშატია ჩახატულიო!“

მწარედ ზღეს ღვთის წინაშე სამაგიერო კენტავრების საგვარეულოს წარმომადგენლებმა, პონტოს სამეფოს უფლისწულის შთამომავლებმა, ორი ქარვისფერთავლება ხვლიკი ერთად გამოეხალმა სიცოცხლეს.

რა ელის შვიანტარაგის? დასძლევს თავზარდამცემ შიშს? შეძლებს წინაპართა ცოდვის გამოსყიდვას? ბედნიერი იყავ! – ბნელს გაუნათებს გულწრფელი ლოცვა ყოფიერების შეცნობის ურთულეს გზაზე. ჩვენ კი მაინც არ მოგვასვენებს სურვილი, გავიგოთ, ვინა ვართ, საიდან მოვედით.

ძალიან მინდოდა ნათლად და გასაგებად გამომეხატა ის სულიერი ერთობა, რაც ამ ნოველის ავტორთან, შორეულ კონდროტასთან ვიგრძენი (რა პატარაა სამყარო!), მაგრამ ამის სრულყოფილად გამოთქმას „სანერელ ზღვა“ უნდა, მე კი „კოდაზე მცირე ნყალი მიდგას“. ამიტომ წერას აქ მოვათავებ, ფიქრი გრძელდება.

ბ უ მ ე რ ა ნ ბ ი

1936 წლის 14 ოქტომბერს ამერიკელი მწერალი ტომას ვულფი თავის კოლეგას – ჰემილტონ ბასოს სწერდა:

„შენ სავსებით მართალი ხარ. სკოტი [იგულისხმება ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი] ლიტერატურულ თვითმკვლელობას სჩადის, მაგრამ თუკი ადამიანს ამგვარ მდგომარეობაში გა-

ნუზრახავს თავი გაინდგუროს, განა სულმოკლეობა და უნაამუსობა არ იქნება მის ირგვლივ მყოფთაგან, რომ ამ საქმეში ხელი შეუწყონ? როგორც მიაბზო მაქსმა [იგულისხმება მაქსუელ პერკინსი, გამომცემლობის რედაქტორი და ვულფის მეგობარი], სკოტთან გაზეთის რეპორტიორი მიბრძანებულა, მისი ნდობა მოუხვეჭია, მეგობრული საუბარი გაუბამს და იმდენი მოუხერხებია, რომ სკოტს გული გადაუშლია მისთვის – უთქვამს, გულდამძიმებული და დათრგუნული ვარ და, რაც ყველაზე უარესია, ზელდა [სკოტ ფიცჯერალდის მეუღლე] ისევ საავადმყოფოში წევსო... ამ ინტერვიუს ტონის მიხედვით ჩანს, თუ რა დღეში ყოფილა სკოტი იმ დროს, თავის სიტყვებს თავადაც არ უფიქრებოდა.

მთელი ეს სისაძაგლე და სიბინძურე გადმოფრქვეულ იქნა გაზეთის პირველსავე გვერდზე და, მსგავსად შენი ძმაკაცის შერეულ ანდერსონისა, მეც ვამბობ: „მინდა გავიგო – რატომ?“, ყოველივე ამის ბექტვას რა აზრი აქვს? საზოგადოებას რა სამსახურს გაუწევს? ნუთუ ავადმყოფობანი, ალკოჰოლიზმი, სულიერი დეპრესია მწერლისა და მისი ცოლის ფსიქიკური სწეულება ესოდენ მნიშვნელოვანია ამერიკული პუბლიკის გასანათლებლად?“

ერთი კი არა, ათასი ანალოგიური წერილი რომ დაეწერა ტომას ვულფს და თავისი აღმფოთება პრესაშიც გამოეთქვა, ამით ვერაფერს გააწყობდა. ერთი კი არა, ათასი ტომას ვულფი ვერ შეაჩერებდა ყვეთელი ნაკადის დინებას.

რას იზამ, მითქმა-მოთქმა, ქორები და ქექვა პოპულარულ ადამიანთა უსუფთაო თეთრეულში დიდად ეამება არაერთ მკითხველს და საბაზრო ეკონომიკა თავის კანონებს კარნახობს პრესასაც. სახელმოხვეჭილი პიროვნების განქიქება და ლაფში ამოსვრა – ეს ხომ უტკბილესი ნუგზარია სენსაციებს დახარბებულ ჟურნალისტთათვის.

მაგრამ ყვითელ პრესას როგორ უნდა მოსთხოვო თავშეკავება, როდესაც აგერ, ფრიად საინტერესო და სოლიდური წიგნის ავტორი წამოგებულა პიკანტურობის ანკესზე და გულდასმით იკვლევს ერნესტ ჰემინგუეის ცხოვრების უაღრესად ინტიმურ დეტალებს.

პერსონალი და პროტოტიპი – ძალზე მიმზიდველი თემაა როგორც ლიტერატურის მკვლევარისათვის, ასევე მოყვარულისთვისაც. მკითხველი, ალბათ, უკმაყოფილო არ დარჩებოდა ჩვენი ჟურნალის წინარე ნომრებში გამოქვეყნებული ორი ფრაგმენტით დენის ბრაიენის წიგნიდან („უტყუარი ცნობები: ერნესტ ჰემინგუეის ინტიმური პორტრეტი“) – წარმოჩინდება, ერთი მხრივ, ჰემინგუეის რომანის „მშვიდობით, იარაღო!“ მთავარი გმირი ქეთრინ ბარკლი და, მეორე მხრივ, აგნეს ფონ კუროვსკი, რეალური პიროვნება, პირველი სიყვარული მწერლისა; რომანში აღწერილი ამბების შეფარდება ცხოვრებისეულ სინამდვილესთან – რამდენიმე მოწმის მონაწილეობით – თავისთავად ორიგინალური



ტომას ვულფი



ერნესტ ჰემინგუეი



სკოტ ფიცჯერალდი

ხერხია და თუმცა ამომწურავი პასუხი არ გაცემულა, ეს გარემოება სრულიადაც არ აკნინებს ჩატარებული კვლევაციების ღირებულებას.

არანაკლები ინტერესი უნდა გამოიწვიოს „ფიცეტას“ პერსონაჟთა პროტოტიპების შესახებ შექმნილ რეპორტაჟს (საინტერესო პარალელებია: ბრეტ ეშ-

ლი – დაფ ტვისდენი, რობერტ კონი – ჰაროლდ ლეზი, ჯეიკ ბარნსი – ერნესტ ჰემინგუეი).

მაგრამ იმ ფრაგმენტმა, რომელიც ეხება ჰემინგუეის მოგონებებს პარიზში ცხოვრებაზე, შესაძლოა, გააღიზიანოს კიდევ მკითხველი. ცოტა არ იყოს, ძნელია აღტაცება გამოიწვიოს ბრაიენის მიერ მოწოდებული „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეთა მსჯელობამ მავანის სხეულის ამა თუ იმ ნაწილის ზომ-წონის თაობაზე ანდა ჰომოსექსუალიზმითა და ლესბოსური სიყვარულით გატაცების ფაქტების დადგენამ.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მთავარი დამნაშავე დენის ბრაიენი როდი გახლავთ. მთავარი დამნაშავეა მისი წიგნის მთავარი გმირი, ე.ი. თავად ერნესტ ჰემინგუეი.

სხვას რა უნდა მოჰკითხო და უსაყვედურო, როდესაც ჰემინგუეიმ „განუყრელ დღესასწაულში“ მოურიდებლად გამოიტანა დღის სინათლეზე ის ერთგვარად საჩოთირო ინფორმაცია, რომელიც მას გულახდილად გაანდო თავისი პირადი ცხოვრების ზოგიერთი მომენტით შემოფოთებულმა სკოტ ფიცჯერალდმა, ერნესტის უახლოეს მეგობრად და მფარველადაც რომ ითვლებოდა. ჩვენ არ ვიცით, გააფრთხილა თუ არა ფიცჯერალდმა ჰემინგუეი, ყველაფერი, რაც გითხარი, ჩვენს შორის დარჩესო. მაგრამ ნუთუ გაუფრთხილებლად არ უნდა სცოდნოდა, რომ ფიცჯერალდს, რასაკვირველია, არაფრად ეჭაშნიკებოდა თავისი მტკივნეული აღსარების სამარადისოდ აღბექტვა ჰემინგუეის თხზულების ფურცლებზე? მართალია, ჰემინგუეის თავად არ გამოუქვეყნებია „განუყრელი დღესასწაული“, მაგრამ განა ვერ ხვდებოდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ გამომცემელნი, დასაბეჭდად გამზადებული მასალა რა სათქმელია, მწერლის არქივში აღმოჩენილ ქალაქის ნაგლეჯსაც კი ნაეპოტინებოდნენ?

ბუმერანგით დაუბრუნდა თავისი მოურიდებლობა. თუ შეიძლება ასე ითქვას, „პაციენტის“ სკამზე ჰემინგუეიც დასვეს და გულმოდგინედ შეუდგნენ გამოკვლევას ირონიული რეპლიკების თანხლებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ისინი გაცილებით უღმობელნი გამოდგნენ ჰემინგუეის მიმართ, ვიდრე თავად ჰემინგუეი – ფიცჯერალდის მიმართ.

ასე მაგალითად, ვინმე ბარნები კონრადი, რომელსაც ბრაიენი წარმოგვიდგენს კორიდას მოყვარულ მწერლად, კმაყოფილებით იმომბებს ჰემინგუეის მეგობრის, ტორეადორ სიდნი ფრანკლინის სათუო ინფორმაციას ჰემინგუეის სექსუალური იარაღის თაობაზე და გვამცნობს, ეს ჩემს წიგნში შევიტანე და ამით სამაგიეროდ გადავუხადე ჰემინგუეის, „განუყრელ დღესასწაულში“ ფიცჯერალდი რომ გააბიაბრუაო.

და ასე შემდეგ, და ამის მსგავსი...

მომაზნადა  
თამაზ ნატროპილიძე

ცისანა კვინტრაძე-გოძიაშვილი

# „ჩემო კედლებო, ისევ მიყვარხართ...“

არის მოგონება, შენი ცხოვრების ნაწილად რომ ქცეულა. ასეთია ჩემთვის შეხვედრები დიდ მსახიობთან, ვასო გოძიაშვილთან.

ყოველთვის განსხვავებული ზეიმი იყო ახალი წელი, რადგან მე და ჩემი მეუღლე (ან განსვენებული, გეოლოგი ბადრი გოძიაშვილი, ვასოს ბიძაშვილის შვილი) ვულოცავდით დაბადების დღეს, ანუ წმინდა ბასილიობას, ქართველი ხალხის საყვარელ შვილსა და დიდ მსახიობს ვასო გოძიაშვილს.

ამ სახლში გვეგებებოდა ხალისიანი დიასახლისი ბატონი ვასოს მეუღლე, შესანიშნავი პიანისტი, ქალბატონი ევგენია. იგი აღმერთებდა თავის მეუღლეს. ძალიან ადრე წავიდა ამქვეყნიდან. ვასომ მტკივნეულად განიცადა მისი გარდაცვალება.

ამ ოჯახს სტუმრობდნენ ცნობილი რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი, ჟურნალისტი დავით მელუხა, მშვენიერ მეუღლესთან, მირა ფიჩხაძესთან ერთად, ქართველი ხალხის საყვარელი კომპოზიტორის, არჩილ კერესელიძის მეუღლე – ქალბატონი ნაზი – ძალიან სასიამოვნო ქალი.

ყველაფერი ისე დამამახსოვრდა, როგორც ერთი მშვენიერი სპექტაკლი, რომლის მთავარი მოქმედი გმირი, თეთრ ჩოხაში გამოწყობილი, დიდი არტისტი ვასო გოძიაშვილი იყო. თეატრი ხომ ბავშვობიდან მის ნამდვილ და შეუცვლელ საყვარულად იქცა.

ვასო ხშირად იგონებდა თავის პირველ მასწავლებლებს, ცნობილ მწიგნობარს ზაქარია ჭიჭინაძეს. მან შეაყვარა ყმანვილს ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია. სიონის ტაძარშიც მიიყვანა აბსოლუტური სმენის მქონე ბავშვი და კოტე ჩარკვიანის მაგალობელთა გუნდში ჩარიცხა. რვა წლის ყოფილა ვასო გოძიაშვილი, საზეინკლო სახელოსნოში რომ მიუბარებიათ. შიკრიკადაც უმუშავია. გაჭირვებამ საოპერო თეატრის ხალმრავალ ეპიზოდშიც ჩააყენა. აქ ოპერაში „აბესალომ და ეთერი“ მოუსმინა ვანო სარაჯიშვილსა და სანდრო ინაშვილს. ერთგულად შეიყვარა სიმღერა. აკი თვითონაც ჩინებულად მღეროდა.

ვასომ თავისი სასცენო მოღვაწეობა მოკარნახეობით დაიწყო. „ერთ დღეს, – იგონებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი პავლე ფრანგიშვილი, – ჩემთან მოვიდა ემხიანი, შავთვალწარბა, ქოჩორა ჭაბუკი ვასო გოძიაშვილი და თანამშრომლობა მთხოვა. გამოცდების შემდეგ იგი დროებით მოკარნახედ მივიღე. ქართული კითხვა ვასომ შესანიშნავად იცოდა. მისი მეტყველება და სიცოცხლით აღსავსე თვალები სულ ნაპერკვლებს აფრქვევდა“.

როცა ვასო მოკარნახის ჯიხურიდან კარნახობდა, თურმე ერთ რამედ ღირდა მისთვის თვალისდევნება. იგი ცალკეული მსახიობის მაგივრად თვითონ თამაშობდა. ისე განიცდიდა, გეგონებოდათ, საცაა ამოხტება კოშკურიდან და თვითონ მოინადინებს ამა თუ იმ როლის განსახიერებასო. როცა მსახიობს რაიმე შეეშლებოდა, ვასო სიმწრისაგან სულ თავის ღამაზ ქოჩორს იგლეჯდა და კოშკურიდან ხან ერთს, ხან მეორეს გადასძახებდა: „ნუ გავიწყდება! დაჯექი, ადექი, გადი...“

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ კი ქანცგამოლეული ამოლასლასდებოდა თურმე თავისი კოშკურიდან სვენებ-სვენებით და იტყოდა: „პავლე, მოვეკვდი, ძარღვები დამაწყდა მაგ მსახიობების გადაძკიდეს“.

ცხადია, ბატონი პავლე ჭაბუკს დაამშვიდებდა, აუხსნიდა, მოკარნახეობა რომ ასე არ შეიძლებოდა... ყველა როლს შენ თამაშობ, თვითონ განიცდი და ამიტომაც შენი კარნახი უშედეგოა, რადგან მსახიობები იბნევიანო. ვასო გაიცინებდა თურმე და უპასუხებდა: „რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია“.

... აკაკი ფალავას სტუდიაში მიმღებ კომისიას კოტე მარჯანიშვილი თავმჯდომარეობდა. ჯარისკაცის ფარაჯაში გამოწყობილმა თმახუჭუჭა ახალგაზრდამ ნაიკითხა იოსებ გრიშაშვილის ლექსი „ახალი ღმერთი“. დიდმა რეჟისორმა რატომაც გაამეორებინა ლექსი. ეტყობოდა, რალაცის შემონმება ისურვა. ალ. იმედაშვილს კი, რომედაშვილს ასევე კომისიის წევრი იყო, თავისი მეგობრისათვის მიუწერია: „გამორწინა ერთი ბიჭი, რომელიც, ჩემი აზრით, ქართული თეატრის მომავალი ვარსკვლავი იქნება“.

ვასო ერთი პირველთაგანი მიუღიათ სტუდიაში და მისთვის ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის სტიპენდია დაუნიშნა. მალე რუსთაველის თეატრმა იგი თავის დასში ჩარიცხა.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში კოტე მარჯანიშვილი სინთეზური თეატრის დაარსებაზე ოცნებობდა. იგი სანთლით ეძებდა ვასოსნაირ აქტიორებს. მართლაც, მან მიიწვია ვასო თავის მიერ დაარსებულ მეორე სახელმწიფო თეატრში.

სეზონი გაიხსნა სპექტაკლით, რომელშიც მოხუცი დარაჯის ეპიზოდურ როლს ასრულებდა ვასო. პრემიერის წინ, როგორც ყოველთვის, ღელავენ აქტიორები. სცენა მზად არის. გაისმა პირველი ზარი. რეჟისორის თანაშემწემ დაიძახა „გონგი“. ის იყო მუშა მოემზადა გონგის დასაკრავად, რომ გაისმა კოტეს ხმა – მომიყვანეთ ვასო გოძიაშვილი. გრიმაკეთებული ეახლა ვასო კოტე მარჯანიშვილს, მოლოდინით, თუ რას ეტყვის დიდი ხელოვანი.

– პირველი გონგი შენ უნდა მისცე. ყველაზე ბედნიერი მსახიობი ხარ. ძველ თეატრებში ასე იქცეოდნენ. სეზონის გახსნისას ყველაზე იღბლიან მსახიობს ევალებოდა პირველი ზარის დარეკვა. ვასომ რეჟისორის ბრძანება შეასრულა.

ამავე სეზონში ვასო იხილეს აგრეთვე სპექტაკლში „მზის დაბნელება საქართველოში“ ჩემშაკივის როლში. „არსენას ლექსში“ ვასომ ფარსადანის დაუფინყარი სახე შექმნა.

ვასო გოძიაშვილის მდიდარი ფანტაზია, მახვილი სიტყვა და პლასტიკა მთელი ძალით გამობრწყინდა ბომარშეს უკვდავ „ფიგაროს ქორწინებაში“. თეატრალურ სამყაროში ფიგაროს სახეს დიდი ისტორია აქვს. თავისებური, სხვათაგან განსხვავებული ყოფილა ვასო. იგი არ ჰგავდა ყველა ფიგაროს იმით, რომ სიცოცხლე და ჯანსაღი სული შექმნიდა სცენაზე, იმით, რომ უპირისპირდებოდა დახვეწილ, მაგრამ შინაგანად დაცარიელებულ არისტოკრატებს. განსხვავდებოდა იმითაც, რომ მისი ფიგარო სასიამოვნო, მომბიბლავი და გონიერი ყოფილა. ვასოს გამოუყენებია ბალაგანში მიღებული გაკვეთილები მსუბუქი კომედიის ვოდევილისა და თბილისური ბოჰემის გავლენით ფიგარო მრქეფარე და ცხოვრებისეული ყოფილა.

ვასო გოძიაშვილს პირველი ნამდვილი გამარჯვება ერგო სანდრო ახმეტელის სპექტაკლში „ანზორი“, ახმას როლის შესრულებით. იგი ყველგან და ყოველთვის ქართველ მსახიობად რჩებოდა.

ვასო დიდი შთაგონებით გვიამბობდა თავის პირველ მასწავლებლებზე – სანდრო ახმეტელსა და კოტე მარჯანიშვილზე. „ღამაზი, ტემპერამენტიათი კაცი იყო დიდი რეჟისორი ახმეტელი. მისი რეპეტიცია ღამაზი, დაუფინყარ დღესასწაულს ჰგავდა. ხმაურიანი იყო დიდი კოტე. გაბრაზებისას მისი ყვირი-

ლი გრგვინვა-ქუხილს ჰგავდა. მსახიობის ფასი იცოდა. ნიჭსა და უნარს უთუოდ შენიშნავდა, გამოარჩევდა და სათანადო პირობებსაც შეუქმნიდა – იგონებდა ბატონი ვასო.

ასე გამოარჩია უნიჭიერესი ვასო, რომლის დიაპაზონიც მართლაც რომ საოცარი იყო. ამ დიდ შემოქმედთა ერთობლივმა მუშაობამ თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა თეატრის ისტორიაში. ამ ორი დიდოსტატის ჰარმონიული თანამშრომლობის შედეგი იყო მრავალი ახალი დადგმა. ამ სპექტაკლების მუსიკალური და აზრობრივი დიაპაზონი შთამბეჭდავია.

ვასო გოძიაშვილი დიდი სიყვარულით იხსენებდა აგრეთვე რეჟისორ ვასო ყუშიტაშვილს, რომელმაც ხიბლი შეასხა მის მიერ განსახიერებულ ლუარსაბ თათქარიძეს. მას ალაფრთოვანებდა, რომ დაბადების სამოც წლისთავთან დაკავშირებით ქართველმა მწერლებმა უსახსოვრეს ილიას პორტრეტი. მსახიობი აღმერთებდა ილიას. ეს მისთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იყო.

დაბადების სამოც წლისთავთან დაკავშირებული იუბილე ნამდვილი ზეიმი იყო საქართველოში. საიუბილეო საღამოს რეჟისორი და სულისჩამდგმელი თავად იუბილარი იყო. უსაზღვრო და უშრეტი ფანტაზიით დაიხარჯა. თითქოს გულმა უგრძნო, რომ შემდეგ იუბილეს ვეღარ მოეხსნებოდა.

ვის არ ახსოვს ცეცილია წუნუნავასა და ვასო გოძიაშვილის მიერ დახატული დარეჯანისა და ლუარსაბის პორტრეტები.

ზუსტად ილიასეული მანერით იყო შექმნილი მსახიობის მიერ სცენური სახე – სატირული სიმძაფრით, გროტესკული ტალანტით, უდიდესი სოციალური განზოგადებით გამოკვეთილი.

ლუარსაბის სახე მსახიობის შემოქმედების გვირგვინია.

ვასო გოძიაშვილის ხელოვნებაში ჰარმონიულად იყო გაერთიანებული ფერმწერი, მუსიკოსი, მოცეკვავე. იგი გასაოცარი აღლოთი სწვდებოდა ცეკვის საიდუმლოებას, მის მექანიზმს, ზუსტად გრძნობდა ცეკვის უმცირეს ნიუანსებსაც კი. დაუვიწყარია მისი ცეკვა ელენე ყიფშიძესთან ერთად „ძველ ვოდევინლებში“.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს, როგორ „ჯადოქრობდა“ ბატონი ვასო რეპეტიციებზე, რა გატაცებით აგებდა საცეკვაო სივრცეს, როგორ ანაწილებდა ფერადოვან ლაქებს მინიატურულ მოდელში, იგრძნობდა, რომ მსახიობი ამ დროს იმყოფებოდა სულ სხვა სამყაროში, სადაც ყველაფერი მისი ნიჭით შექმნილ კანონებს ექვემდებარებოდა, სადაც მას ყველაფერი ხელენიფებოდა.

ვის არ ახსოვს ვასო გოძიაშვილის საქო ფილმიდან „ქეთო და კოტე“? ისიც ძველი თბილისელია, ოღონდ მუსიკალური ფილმის პერსონაჟია, ამიტომ სიმღერაც მოეთხოვება და ცეკვაც. განა შეიძლება დაგავინყდე ეს წყვილი – საქო (ვ. გოძიაშვილი) და სიკო (გ. შავგულაძე)?

ჩემი თაობის თეატრის მოყვარულებს არასოდეს დაავიწყდებათ ვასო გოძიაშვილის მხატვრულ სახეთა მთელი გალერეა – ლუარსაბ თათქარიძის ფაფუკი ლაბაბი, ქონგადაფარებული თვალების გუგები და ალაჟღაყებული ლოყები; მამაცი მთიელი ახმას კეთილშობილი სული და ვეფხვივით ბრიალა, ვნებიანი თვალეები; მეფე ერეკლე – გამჭრიახი ადამიანი – აზიდული წარბებით; ზურია ხარატელის დარბაისლური, ლამაზი

და ძლიერი ბუნება; კონტრეველუციონერი კობზარი – მხრებში ჩაჯარდნილი, ქაჩალი თავი; გაბუშტული ცხვირი; ბესოს დათოვლილი, თეთრი წვერ-ულვაში და კეთილი მზერა; რიჩარდის ბოროტი გამოხედვა; მუდამ მოლიმარი კირილ სერგევიჩის მზრუნველი თვალეები და კლოუნისათვის დამახასიათებელი ცხვირი; ბოლოს ტიგრან ჰოპოპიანცის განუმეორებელი სახე.

სპექტაკლში „ძველი ვოდევინლები“ ვასო გოძიაშვილი სამ პერსონაჟს ასახიერებდა: მოხუც მსახიობს, არშაკ მიკირტუშოვსა და ტიგრან ჰოპოპიანცს. ამ სამ პერსონაჟს არაფერი აქვს მსგავსი.

მსახიობ ჯემალ მონიავას მოგონებიდან: „იშვითად თუ შემხვედრია ვასო გოძიაშვილზე უფრო არტისტიკული არტისტი. იგი ინვოდა, ყოველთვის ტოვებდა სცენაზე რაღაც ნაწილს თავისი სიცოცხლისა, თავისი ჯანისა“.

ვასო ოცნებობდა, რომ დაედგა „ახალი ვოდევინლები“, ოცნებობდა ჰამლეტის როლზე. ალბათ, შინაგანად ეჯიბრებოდა უშანგი ჩხეიძეს. ღირსეულ მეტოქედ თვლიდა სერგო ზაქარიაძეს. ერთხელ მიუტანეს ამბავი, სერგოს უთქვამს მასზე: „ასეთი ნიჭიერი მსახიობი არ მინახავსო“. ძალიან ესიამოვნა.

ვასო ყოველთვის მთელი გატაცებით, უდიდესი კრძალვით საუბრობდა სათაყვანებელ თბილისზე, მის განუმეორებელ კოლორიტზე, საქართველოს ისტორიაზე, მეტეხსა და ნარიყალაზე, რიყეზე და „ოქროს უბანზე“ – მეფაეტონებზე, მენაღეებზე, მძღოლებზე, ღურგლებზე – ყველაზე, ვინც ხელოვნებას, საოცნებო თბილისს თავის ეშხსა და სილამაზეს მატებდა.

ვასო ძალზე პოპულარული იყო, ყოველთვის სცნობდნენ, ბაზარსა თუ სასტუმროში, ტაქსის რიგში არ დააყოვნებდნენ, თავაზიანად ესაუბრებოდნენ, ეცნობოდნენ, ეფერებოდნენ. ასეთ დროს მუდამ უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ ბავშვივით ხარობდა. ეთაყვანებოდა დედის ხსოვნას და მშობლიურ კახეთს.

იუმორის დიდი ნიჭი გააჩნდა.

სამკურნალო კომბინატში ვინახულეთ. სიცოცხლის დღეები უკვე დათვლილი ჰქონდა. ხელისუფლებამ დააჯილდოვა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. მივულოცეთ და მან სევდიანი ღიმილით გვიპასუხა: „რომელი ძერჟინსკი მე მნახეს, რად მინდოდა ეს ორდენი“.

პარტნიორებიდან მარინე თბილელი და ელენე ყიფშიძე მოსწონდა ძალიან. მარინე თბილელი იგონებდა: „ყველაფერი, რაც მისგან ვისწავლე, მუდამ კეთილ მეგზურად წარმიძღვება ხელოვნებაში“.

ელენე ყიფშიძემ ხომ „ძველი ვოდევინლების“ განახლებული წარმოდგენით კიდევ ერთხელ გაიხსენა თავისი დიდი მასწავლებელი.

ვასო გოძიაშვილი თითქოს „ძველი ვოდევინლებით“ გამოეთხოვა თეატრს, მაგრამ სიმბოლური იყო ეს გამოთხოვება. იგი ნავიდა ქართული თეატრიდან და თან წაიღო განუმეორებელი არტისტიზმი, აქ რომ არ დაავიწყდებათ.

**მერე რაა, რომ წლები გავიდნენ,  
ბზარი გამიჩნდა ხმაში.  
ჩემო კედლებო, ისევ მიყვარხართ,  
როგორც მიყვარდით მაშინ...**



ვასო გოძიაშვილი  
ერეკლე მეორის როლში  
(ლევან გოთუას  
„მეფე ერეკლე“. 1942)

გოფრედო პარიზე

# ორი ნოველა

## „ბურძგლა“

– კეთილი და პატიოსანი, ამის შემდეგ ერთ სიტყვასაც აღარ გეტყვი, რაც გინდა, ისა ქენი, გინდა მოიჭერი ეგ ფაფარი, გინდა არა, იყავი ასე და იარე, მაგრამ ის მაინც თქვი, რატომ გაიზარდე ამსიგრძე თმა?

– მამაჩემო, ბოლოს და ბოლოს რით ვერ გაიგე, რომ მოდას ვერსად გაექცევი? მე, ამ ოცი წლის კაცს, გრძელი თმაც რომ არ გამაჩნდეს, იტყვიან, მოდას ჩამორჩაო. ჩვენს დროში კი, თუ ცხოვრებას ფეხდაფეხ არ მიჰყვები, ძალადაც არავინ ჩაგაგდებს, სულ ამოგშლიან ცოცხლების სიიდან და იყავი მერე შენთვის. რაკი ეს არ გესმის, ვერც გრძელთმიანებს გაუგებ რასმე და ვერც თანამედროვეობას.

– მოდა ხომ მუდამ იყო, არის და იქნება, მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, ვილაცხას ან რალაცხას მაინც ხომ უნდა გაუნიო ანგარიში; ესეც არ იყოს, არსებობს კიდეც მორიდებისა თუ უხერხულობის გრძნობაც, წესიერება, ჰიგიენა, კარგი გემოვნება, ოჯახიშვილობა და სხვა ათასი რამ.

– მამა, კაცი ერთბაშად მიხვდება, რომ არაფრის აზრზე არა ხარ! შენ რა გგონია, ამისთანა მაინც რა არის ეს მოდა? დამიგდე ყური და სულ უბრალოდ და მარტივად აგისანი; მოდა სწორედ ისაა, როცა ანგარიშს არ უწევს მაგ შენ წესიერებას, თუ რალაც მორიდებისა და უხერხულობის გრძნობას, ეგრეთწოდებულ კარგ გემოვნებას და რალაც ამისთანებს! ერთი სიტყვით, უფრო გასაგებად რომ გითხრა, მოდა გახლავს ერთგვარი ამბოხი თუ ჯიბრი, მოკლედ, თუ მოდას მიჰყვები, ბოლომდე უნდა მიჰყვე, სხვანაირად არ არსებობს!

– მერედა რატომ?..

– იმიტომ, მამიკო, რომ იცხოვრო! შენ რა, მოდა ასე უბრალო რამ ხომ არ გგონია, რალაც უვნებელი, ელეგანტური, ჰიგიენური? ამას ანაქრონიზმი ჰქვია! შენს ახალგაზრდობაში მოდა ჯანჯალით მიდიოდა, ლამის ერთი წე-

ლი ბოგინობდა, ჩვენს დროში კი დიდი-დიდი ერთი კვირა გაძლოს. რა უნდა იმის გაგებას, რომ მოდას თუ მისდევ, შუაგზაზე ველარ შეჩერდები; თუკი მიჰყვები, მაშინ კიდეც უნდა დაემშვიდობო მაგ შენს წესიერებას და პირდაპირ განხეთქილებასა და ამბოხზე ნახვიდე. ასეთია ცხოვრება!

– მერე, რა ასეთი სავალდებულოა, მოდას რომ აჰყვე? განა რა ასეთი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს?

– მამა, ნუთუ ვერ მიმხვდარხარ, რომ სხვანაირად ცხოვრება მოსაბეზრებელია? ესეც არ იყოს, მოდას წინ ვერაფერი დაუდგება; თუ გინდა, შენი მაგალითი ავიღოთ; შპალერით რომ ვაჭრობ, მოდა და მობეზრება რომ არა, განა ასეთ ქონებას ელირსებოდი ცხოვრებაში? რა გაჭირვებაშიც იყავი, ისევე დარჩებოდი. ახლა მითხარი, რატომ გახდა ეგ შენი საქმიანობა ასეთი სარფიანი?


– იმიტომ, რომ დროთა განმავლობაში ადამიანებს სურვილი უჩნდებათ რალაც მაინც შეცვალონ თავიანთ ცხოვრებაში, თუნდაც ახალი შპალერი გააკრან კედლებზე!

– ჰოოო, ბოლოს და ბოლოს მიხვდი! ახლა ავდგეთ და შენი შვილისაც ვთქვათ – იგი ახალგაზრდაა და, ბუნებრივია, სურს ცხოვრებას ფეხდაფეხ მიჰყვეს, გრძელი თმა შემოვიდა მოდაში, ყველა ჩვენ გვიყურებს, ჩვენზე ლაპარაკობს, დიახ, ჩვენზე, გრძელთმიან ყმანვილებზე ანუ „ბურძგლებზე“ და მეც, მომწონს თუ არ მომწონს, მოდას ვერ გამოვაკლდები!

– ბურძგლა! გაჩეჩილი! მარტო ეს ერთი სიტყვა რად ღირს! პირდაპირ ყურს მჭრის!

– ვთქვათ, ასეცაა! აბა, ახლა დაფიქრდი და თქვი, ასე მაინც რატომ გალიზიანებს ეს სიტყვები, ბურძგლა თუ გაჩეჩილი!

– ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთი სიტყვა ჩემს ცხოვრებაში არა მსმენია, თან სასაცილოა, თან გულისამაჩყუებელი, ასე ხომ ძალღებს ეძახიან და არა კაცებს, მერე, ინდივიდსა თუ პიროვნებას სულ არ შეშვენის, გარდა ამისა, თვითონ სიტყვა „ბურძგლა“ უფრო იმიტომ მიშლის ნერ-



„ჩემი მოთხრობების კრებული „ადამიანი – ნივთი“ გახლავთ ფსიქოლოგიური ჩანახატების სერია, რომელშიც მინდოდა წარმოგჩინა იტალიაში გამეფებული იდეური, სულიერი და პოლიტიკური სიცარიელის ატმოსფერო... ბევრს მიაჩნია, რომ მეტიხმეტად ვამუქებ ფერებს, მაგრამ ვინ არის ეს „ბევრი“? ისევ ის ბურჟუაზია, რომელიც თვითონვეა დამნაშავე შექმნილ ვითარებაში, ისევ ის მაგნატები, რომელთა წყალობითაც მოხმარების საგნებმა ლამის წალეკოს მთელი დასავლეთის სამყარო, იმდენად, რომ ბოლო წლებში ადამიანი მთლიანად დაინთქა და ჩაიძირა ნივთების ზღვაში. ცხოვრების რიტმი ერთიანად დაირღვა, ხელოვნური და მექანიკური გახდა და ადამიანიც საბოლოოდ გადაიქცა ნივთად, დიახ, ნივთად, ნივთთა შორის“... – წერს თანამედროვე იტალიელი მწერალი გოფრედო პარიზე, რომლის თვალსაზრისითაც კაცობრიობის ისტორია და მით უფრო თანამედროვე ცხოვრება უნდა გავიაზროთ და შევაფასოთ, როგორც სახეობათა ბრძოლა, როდესაც იმარჯვებენ ძლიერები. მისი ცნობილი რომანებია „ლამაზი მღვდელი“, „პატრონი“ (თარგმნილია ქართულადაც), მოთხრობები, რომლებშიც განსაკუთრებული სიმძაფრითაა წარმოდგენილი ადამიანის გაუცხოების თემა, შიშის, სისასტიკის, უიმედობის განცდა; ასეთ გაუსახურებულ ადამიანებს მწერალი ხშირად სახელებითაც კი არ მოიხსენებს, პერსონაჟები არიან X, K და ა.შ., რადგან პარიზე ასე ხსნის „მე თვითონ ვხედავ და კიდეც მჯერა, რომ ცხოვრებაში გაცილებით მეტი ჩრდილია, ვიდრე სინათლე“, სწორედ ამ ჩრდილშია დანახული მისი უსახო და უსახელო პერსონაჟები.

გებს, რომ ზედსართავი სახელი მგონია და ამ დროს არსებითია.

– სწორედ ასეა! „ბურძგლა“! – მართლაც არ არის ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი გახლავს, თანაც კრებითი და ზედგამოჭრილია ჩვენზე, ჩემზე, დიახ, ყველაზე, ვისაც გრძელი თმა გვაქვს! მაშასადამე, შენ უკვე აღიარებ, რომ სიტყვის მნიშვნელობა უფრო გაღიზიანებს, რადგან ეს სახელი ძალს უფრო შეეფერება, ვიდრე კაცს! ერთი მხრივ შენც მართალი ხარ, მაგრამ ვერც იმას უარყოფ, რომ ასეთი მსჯელობა სრულიად მოკლებულია საფუძველს, ხოლო თუ კიდევ უფრო ღრმად ჩაუფიქრდები და გააანალიზებ, იმასაც მიხვდები, რატომ ბრაზდები და იბოლმები; იმიტომ, რომ შენს შვილს ეძახიან ამ სახელს, არა? არც არის გასაკვირი, როცა ახალ რამეს გაიგებ, მითუმეტეს უცხოთა და უცნაურს, ყოველთვის ბრაზდები და იბოლმები კაცს!

– მაინც რა ასეთი გაუგებარი და შეუსმენელი მე მნახე!

– არა, მამა, მაგრამ, ეს რომ გაიგო, ოცი წლისა უნდა იყო – ჩემსავით, არაფერი არ უნდა გამძიმებდეს და გბორკავდეს, ესე იგი, რაღაც ცოდნის ზღვარზე არ უნდა იდგე და, რაც მთავარია, თმა უნდა გქონდეს, შენ კი მელოტი ბრძანდები უკვე!

– გამოდის, რომ შენ გესმის სიტყვის აზრი, მე – არა, ამის თქმა გინდა, ხომ?

– არა, არა, შენც გესმის, ან რა არის აქ გაუგებარი, აკი მშვენივრად განმარტე კიდევ – ამ სიტყვას კრებითი მნიშვნელობა აქვს და თან ძალღური რაღაცა იგულისხმებო; ესე იგი, სიტყვის აზრი კი გესმის, მაგრამ ამის მიღმა ჩემისთანა აჩაჩულ-დაჩაჩული და გაბურძგნული ჩემი ტოლები რომ დგანან, ეს ვერ გაგიგია, მამიკო! ისიც კარგად მოგეხსენება, რომ ახალგაზრდები მეამბოხეები ვართ, ლობე-ყორეს ვედებით, მოგზაურობაზე ვგიჟდებით (აკი შენ თვითონ გამაგზავნე ევროპაში სამი თვით?), სულ ცვდილობთ სხვანაირები ვიყოთ, ჩვენი მამა-პაპისაგან, უფროსი თაობისაგან ცოტა მაინც განვსხვავდებოდეთ! ეს რა ძნელი გასაგებია, მაგრამ იმ აზრს, რომ ასეთი ვინმე სწორედ შენი შვილია, „ბურძგლა“ და გაჩეჩილი, ვერ ეგუები!

– ვერც შევეგუები!

– ახლა მოდი და ვთქვათ ყველაფერი, რაც სათქმელია! როგორც ვხვდები, შენ ერთი ძალზე მარტივი და უბრალო რამ განვალებს და, აი, რა – ჩვენ, „ბურძგლებს“ თუ გაჩეჩილებს, სინამდვილეში არაფერი გვინდა, არაფერს ვთხოულობთ და არც არაფრისკენ მივისწრაფით, სურვილიც არ გავგაჩნია! ერთადერთი, რაც ვიცით, ერთგულებაა და მეტი არაფერი! სულ არაფერი! აი, რა გაბრაზებს! შენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი სახით შენ ხედავ ერთ ფეხსუბს, თმააჩეჩილ, ულაზათო, აჩაჩულ-დაჩაჩულ ადამიანს, რომელსაც ღირსების გრძნობისა არაფერი გაეგება და, რაც მთავარია, მას უყურებ, როგორც სრულიად ახალი, ძალისმსგავსი ჯიშის არსებას, ვინც ისიც კი არ იცის, რა არის იდეალი! მართალს ვამბობ თუ არა?

– არ შეგედავები, სრული სიმართლეა! მაგრამ ერთი რამ მაინც გამოგჩა, თუ ამას მნიშვნელობა აქვს, ამბოხიო, რომ ამბობ, მაშინ რაღაც შედეგი ხომ უნდა მოჰყვეს ამ ამბოხს, რაღაც ხომ უნდა შეიცვალოს, საამისოდ კი, მე მგონია, ძალიან ახალგაზრდები ხართ; თქვენთვის მთავა-

რია ამბოხი და მეტი არაფერი, იმას კი აღარა ფიქრობთ, რომ ეგ თქვენი ამბოხი ამბოხისვე იდეას უპირისპირდება! მე კი გეტყვი, რომ ყოველგვარ ამბოხს რაღაც მოსდევს და უნინ საფუძველების მორყევა, რაღაც ისეთისა, რასაც შენ თვითონვე ვერ შეურიგდებოდი.

– მაპატიე, მამა, სიტყვას რომ განყვეტინებ, შენ ამბობ, ყოველგვარი ამბოხი საფუძველებს არყვესო, ამას კი გარკვეული ცვლილებები უნდა მოჰყვესო, ანდა, სხვანაირი წყობის წინაპირობა მაინც უნდა შეიქმნასო! ვთქვათ, ავუჯანყდით რომელიმე კანონს და მის გაუქმებასაც მივალნიეთ, ძველი კანონის მაგივრად ახალს ხომ მაინც შექმნიან, ეს ახალი კანონი კი ისევ ისე მძიმედ დაანგება ხალხს! მართალს გეუბნები? თუ აქამდე ხალხი არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ აწყობდა ამბოხებებს, ამისთანა ამბოხებები იმდენია ისტორიაში, ვერც დათვლი...

– არ მესმის, რისი თქმა გინდა!

– იმისი, რომ მე კაცობრიობის ისტორიასთან ხელი არა მაქვს, მე ვაღიარებ ერთადერთს – მოდას, მორჩა და გათავდა!

– მაშასადამე...

– მაშასადამე ის, რომ ისტორიას მაშინ ჰქონდა ფასი და აზრი, როცა მას ხალხი ქმნიდა, ახლა კი საქმე სხვანაირად მიდის...

– შენ რა გგონია, ახლა ვილა ქმნის?

– ვინ და, ისევ და ისევ მოდა!

– მაგრამ მოდა ხომ მიდის, ისტორია კი რჩება!

– არაფერიც! ისტორიაც ისევე მიდის, როგორც მოდა!

– არ მესმის!

– მაშინ, მოდი და შენი ცხოვრების ერთი დღე გავარჩიოთ და ვნახოთ, როგორ იქმნება შენი საკუთარი ისტორია – დილით იღვიძებ, დგები, საუზნობ და მაშინვე ფირმაში გარბიხარ, შუადღისას მოდიხარ შინ, ისადილებ და უკანვე ბრუნდები, საღამოს ისევ მოდიხარ, ვახშობ და მალევე იძინებ. იგივე მეორდება ხვალ, ზეგ, ყოველდღე და თანაც მეორდება ავტომატურად; ავტომატურადვე ბრძანდები საზოგადოების წევრი, შენ, პიროვნულად, საზოგადოების სწორედ ისეთ წევრად ითვლები, ვისაც რაღაც ძალა გააჩნია; ხოლო რაკი შენს არსებობას განაპირობებს ე.წ. „ავტომატიზმი“ და ისიც კარგად მოგეხსენება, რომ მას თავს ვერ დააღწევ, ამდენად, ამქვეყნაზე, შენი აზრით, ყველაფერი ავტომატურად უნდა მოხდეს, ამბოხების ჩათვლით. მართალი, გითხრა, საკმაოდ გონიერი კაცი ხარ, ვერაფერს დაგაბრალებს გონებაშეზღუდულობას და ძალიან კარგად გამიგებდი, თუკი მეც მოვანყობდი ამბოხს, ოღონდ იმ მიზნით, რომ მე თვითონვე შემიქმნა მეორე, ასეთივე ავტომატური ვითარება, თუნდაც ჩემი და არა შენი სურვილისა თუ გემოვნების მიხედვით, მაგრამ შენს არ გესმის და ვერც გაუგებ „ბურძგლებს“, რადგან მათი ამბოხი სწორედ ის არის, რომ არ ემორჩილებიან მაგ შენ ავტომატიზმს და არც არასდროს დაემორჩილებიან!

– ერთი დამიხედეთ, რა ჭკვიანურად მსჯელობს ეს მართლა „ბურძგლა“! მაგრამ მე მაინც გეტყვი ჩემს სათქმელს – აი, ნახავ, გაივლის ერთი წელი, ორი, ეგებ სამიც და, რომ დაკაცდები, მაგ ფაფარს ისე მოიჭრი, როგორც კარგი, გამგონი ბიჭი, ამ შენს საძულველ ავტომატიზმსაც, – დღეს რომ ასე გამაგებს, – მშვენივრად შეეგუები, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის იქნება, რომ შეჭრიო

ხომ შეიჭრი, ოღონდ შეიჭრი არა ჩემი დაჟინებით, არამედ საზოგადოების ნებითა და მოთხოვნით, დიახ, ამ შენი სა-  
ძულველი ავტომატიზმის მოთხოვნით! რას იზამ, ასეთია  
ცხოვრება!

– მამა, ერთ რამეში მეც უნდა გამოგიტყდე, მეცა მაქვს  
ჩემი პრობლემები, დიახ, მეც „ბურძღლას“ თუ გაჩეჩილს!

– მაინც რა?..



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

– როგორ გითხრა... ამბოხისა თუ რაღაც ასეთის...  
შენც ხომ კარგად იცი, რომ მე შემიძლია ხალხი დავშო-  
კო და ამის მონმეც ხარ, რაკი იცი, რომ თვითონ გახ-  
ლდით ამ „ბურძღლებისა“ თუ გაჩეჩილების თავი და თავი.  
ახლა კი, ჩემი გულკეთილობის წყალობით, იძულებ-  
ული ვარ ვითმინო ასობით ჩემივე მსგავსთა შორის  
ყოფნა და ტრიალი; ეს კი ნიშნავს, რომ ამბოხი თანდა-  
თან იძენს მასობრივ ხასიათს. მაგრამ ამაზე უარესი  
ისაა, რომ იძულებული ვარ ავითანო ჩვენთან მოტმასნი-  
ლი პარიკიანების მთელი ჯგრო, ეს კი მართლა დამამცი-  
რებელი და შეურაცხმყოფელია... უკვე აღარ ვიცი, რა  
ვქნა!..

– მაშასადამე, შენ იმას ჩივი, რომ თქვენს შორის არსე-  
ბობს „ბურძღლების“ ელიტა?!

– არა, რას ამბობ! ჩვენში ასეთი რამ არ მოდის, პირი-  
ქით, ეს ჩვენს წესებს კიდევ ეწინააღმდეგება, ჩვენ „ბურ-  
ძღლები“ ხომ ბუნებით ერთობისა და თანასწორობის მომ-  
ხრენი ვართ!

– მაშინ გამოდის, რომ გეშინია, ბუნებრივი და ხელოვ-  
ნური „ბურძღლების“ ზემოქმედებით ამბოხმა მასობრივი  
ხასიათი არ მიიღოს და თავისი ეფექტი არ დაკარგოსო?

– არა, მამა, მე სხვა რამ მაღონებს, „ბურძღლები“ ის-  
ტორიაში შედიან!

## ფილოსოფოსი

– სულ არ არის რთული ჩემი ფილოსოფია – არსებობენ  
ადამიანები და ნივთები, ერთ მხარეს ერთი, მეორე მხარეს  
– მეორე, შუაში კი... ფული, ანუ ურთიერთობის საშუალებ-  
ა, ანდა კიდევ უფრო გასაგებად რომ ვთქვა, საერთო ენა.  
ეს არის და ეს!

– მეტისმეტად ამარტივებ და აუბრალოებ!

– ცდები! რაკი ამბობ, „ამარტივებო“, მაშასადამე, რა-  
ღაც გარკვეულ აზრს მაინც აყალიბებ, მაგრამ ტყუილად  
ირჯები! განა შეიძლება ადამიანისა და ნივთის ურთიერ-  
თდამოკიდებულება მსჯელობის საგნად ვაქციოთ? არამც  
და არამც! შეგეძლო კი ვთქვა, რომ ჩემი ფილოსოფია, რო-  
მელიც წარმოადგენს სინთეზს თუ არა სხვადასხვა ფილო-  
სოფიის კვინტესენციას, თუ მაინც ამარტივებს, ამით კი-  
დეც უფრო გასაგებს ხდის ნივთისა და ადამიანის ქეშმარიტ  
მნიშვნელობას, ანდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უბ-  
რუნდება სანყისს. ჩემი აზრით, ეს მარტივზე მარტივი  
პრობლემა ჯერ კიდევ წინაისტორიული ადამიანის წინა-  
შეცდვად იდგა; მაშინაც ხომ ჰქონდა ადამიანს რაღაც ურთიერ-  
ობა ნივთთან, რაკი სჭირდებოდა, ან ეგონა, მჭირდებოდა.  
ოღონდ ეგ არის, მაშინ ნივთის დაუფლების საშუალება,  
ანუ ფული არ არსებობდა, სამაგიეროდ, უფრო უშუალო და  
მარტივი გზა და ხერხი იცოდნენ – პირდაპირი მიტაცება-  
დასაკუთრება. სულ ეს არის თანამედროვეობასა და შორე-  
ულ წარსულს შორის სხვაობა! მაგრამ რაც უნდა დაუჯე-  
რებელი და წინააღმდეგობრივი გეჩვენოს ეს, სხვაობა თან-  
დათან იშლება და ადამიანი კვლავ უბრუნდება ადრინდელ,  
ნაცად გზას – პირდაპირ მიტაცება-დასაკუთრებას.

– მაშინ მოდი ჯერ ისა ვთქვათ, რა მნიშვნელობას ვანი-  
ჭებთ ცნებას „ნივთი“, ან რას გულისხმობ, როცა ამბობ  
„არსებობენ ადამიანები და ნივთებიო?“

– ყველაფერს.

– რას ნიშნავს „ყველაფერს“?

– ყველაფერს, რასაც თვალი მისწვდება; ვთქვათ, თუნ-  
დაც შენ ჩემთან მიმართებით ხარ ნივთი, რომელიც დიდად  
არ განსხვავდება იმ ტაქსისგან, აი, იქ, მოსახვევში რომ  
დგას, ანდა იმ სიტყვებისაგან, რომლებსაც წარმოვთქვამთ,  
იმ ცნებებისაგან, რომლითაც ვსარგებლობთ და კიდევ  
ათასი სხვა რამისაგან.

– მაგრამ შენ ჩემთან მიმართებით სულაც არა ხარ ნივ-  
თი, შენ ხომ ზუსტად ჩემნაირი ხარ, ჩემი მსგავსი და...

– ცდები! არც მიკვირს, ასეთი შეცდომები ხშირად მოგ-  
ვდის ნებით თუ უნებლიეთ, შენთვის მე სწორედ რომ ნივთი  
ვარ და სულ მალე დარწმუნდები!

– ვერ დაგეთანხმები! შენ ხარ ადამიანი და თან ისე  
მგავხარ, რომ ზოგჯერ მეჩვენება კიდევ, თითქოს შენც,  
მეც და საერთოდ ყველა ადამიანი, სულ ერთმანეთს ვგა-  
ვართ, ვგავართ კი არა, ერთნაირები ვართ, თითქოს ჩვენ  
ყველა ერთ უშველებელ გოლიათს წარმოვადგენთ, რაღაც  
ლევიათანის მსგავსს, რომელიც იმდენივე უჯრედს შეი-  
ცავს, რამდენი ადამიანიც დადის დედამიწის ზურგზე!

– შენ, ძმაო, მეტისმეტად გაუტყე, რომ იტყვიან, ეშმაკსაც  
კისერს მოატყეხინებ! ჩემი ფილოსოფია უფრო მარტივია. ყუ-  
რი დამიგდე და კარგად დაიმახსოვრე – უსოვარი დროიდან  
იყვნენ, არიან და იქნებიან ადამიანებიც და ნივთებიც; არც  
მათი ურთიერთდამოკიდებულება შეცვლილა, ყოველთვის



ერთნაირი იყო მაშინაც კი, როცა ადამიანი გახლდათ ამება, თევზი, მსოხავი თუ მაიმუნი, ხოლო ნივთები – მინერალები თუ მცენარეები; ერთი სიტყვით, როცა ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო ადამიანი, ხოლო ნივთებს სულ ვერ მიაგვანებდით იმას, რასაც დღეს მალაზიაში ხედავ. უკვე იმდროიდანვე, როცა ისინი წარმოიქმნენ და, ასე ვთქვათ, თანადროულად ჩამოყალიბდნენ, ეს ფორმულაც შევიდა ძალაში: არსებობენ ადამიანები და ნივთები, ანუ ცოცხალი სამყარო და არაცოცხალი სამყარო; მორჩა და გათავდა. ხოლო მათ შორის ურთიერთობა, როგორც უკვე გითხარი, გამოიხატებოდა ერთადერთი სიტყვით – ფლობა, ე.ი. რომელი რომელს ფლობდა.

– რა ფლობა, ვისი ფლობა, რისი ფლობა?! ვინ რას ფლობდა, ადამიანი ნივთებს თუ ნივთები ადამიანებს?!

– მაინც რა ჯიუტი ხარ? განა ვერ ვხვდები, საით უმიზნებ? შენ გინდა დამიმტკიცო, რომ ადრე თუ ადამიანი ფლობდა ნივთებს, ახლა ნივთები ფლობენ ადამიანებს, ეს გინდოდა გეთქვა, არა?

– გამოიცანი!

– მე ვფიქრობ, მეტისმეტად ართულებ ყველაფერს, პირიქით, უნდა გაამარტივო, ხოლო თუ გაამარტივებ, დაინახავ, რომ ჩემი ფორმულა ყველა შემთხვევას მშვენივრად მოერგება! აბა, ახლა ისიც ვთქვათ, ვინა ქმნის ამ ნივთებს, რომლებიც ადამიანებს ეუფლებიანო, როგორც თვითონ ბრძანებ! ისევ და ისევ ადამიანი! ერთი ქმნის ნივთებს, მეორე ყიდულობს და, შენივე სიტყვებს გავიმეორებ, ხდება კიდევ მისი მონა, მაგრამ რაკი ეს ნივთები მისი მწარმოებლის საკუთრებაა, მაშასადამე, პირველი ისევე ეუფლება მეორეს, როგორც თვითონ იგი ფლობს ნივთს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ: ამქვეყნაზე არსებობენ მხოლოდ ადამიანები და ნივთები!

– მაშინ ამ კითხვაზეც მიპასუხე: რა განსხვავებაა ადამიანებსა და ნივთებს შორის, თუ ადამიანი, თავის მხრივ, შეიძლება გადაიქცეს ასეთივე ნივთად?

– არავითარი!

– მაშასადამე... ამიხსენი ერთი ეგ შენი არავითარი! ფილოსოფოსობა მოგინდა ხომ, კეთილი და პატიოსანი, არც მე ვარ ამის წინააღმდეგი, მაგრამ როგორც გატყობ, მასხრად მიგდებ! თუ ასეა, მაშინ მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს!..

– რა კარგ გუნებაზე დამაყენე!.. ჰო, კარგი, მე ვთქვი, ადამიანებსა და ნივთებს შორის არავითარი განსხვავება არ არის-მეთქი. ადამიანი არის ნივთი, ხოლო ნივთი – ადამიანი... ჰა, ჰა, ჰა...

– გასაგებია! შენ ჩემი მასხრად აგდება მოინდომე და ეგ არის! მაშინ მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს!

– რა გაბრაზებს, განა მართლა ისე არ არის სინამდვილეში, როგორც მე ვამბობ? არსებობენ ადამიანები და ნივთები... ის, ვინც ფლობს ნივთებს, ადამიანია, ყველა დანარჩენი – ნივთი... ეს არის და ეს მთელი ფილოსოფია!..

– ეს რა, თავსატეხია?

– ჰო, რალაც ამის მსგავსი... ადამიანი არის ის, ვინც ფლობს ნივთებს, ხოლო ყველაფერი დანარჩენი – ნივთი. ნივთებს შორის ხშირად ადამიანებიც აღმოჩნდებიან, ეს ბუნებრივიცაა, თუკი ისინი, თავის მხრივ, სხვა ადამიანების საკუთრებად ითვლებიან. ერთი სიტყვით, ადამიანი შეიძლება ერთიც იყოს და მეორეც. ვთქვათ, შევდივარ მალაზიაში და ვყიდულობ რაიმე ნივთს, თუნდაც, აი, ამას, რა არის ეს?

– კალამი.

– კეთილი. ვინ ვარ მე ამ წუთას, უფრო სწორად, ამ თანაფარდობისას, ადამიანი თუ ნივთი?

– შენივე თეორიის თანახმად, ადამიანიც ხარ და ნივთიც ერთდროულად. რაკი „ფულის ენის“ მეშვეობით ხდება კალმის მფლობელი, მაშასადამე, ხარ ადამიანი, მაგრამ ამავე დროს ხარ ნივთიც, რაკი იმავე „ფულის ენის“ ძალით მალაზია თუ მისი პატრონი ხდება შენი მფლობელი.

– გენიალურია! ყოჩაღ! ახლა მიყურე!..

– ხომ არ გაგიჟდი! შეიძლება დაგინახონ!.. დადე ახლავე თავის ადგილზე!.. ეს ხომ ქურდობაა!

– ფრთხილად, ეგ სიტყვა არ ახსენო მეორედ, სხვა ათასისა არ იყოს, ამასაც შემოაქვს ახალი ცნება, რასაც ჩვენს საუბართან არავითარი საერთო არ გააჩნია... მაშასადამე, რა არის ეს?

– გუუბნები, დამალე-მეთქი, ან საიდანაც აიღე, იქვე დადე!

– აზრადაც არ მომივა! ჯერ ის მითხარი, რა არის ეს?

– სანთებელა!

– ნივთია, არა?

– ვთქვათ, არის!

– მაშინ მე ვილა ვარ?

– ადამიანი!

– რატომ?

– იმიტომ, რომ შენ დაეუფლე ან მისაკუთრე ნივთი!

– მაგრამ ეს ხომ პირველად არ ჩამიდენია?

– არა, მაგრამ ადრე ხომ საფასურს იხდდი, ახლა კი კალამი მიითვისე, დაისაკუთრე არა პირდაპირ, არამედ, როგორც იტყვიან, შემოვლით... იმ წუთში შეიძლება კიდევ იყავი ნივთი, მალაზია კი – ადამიანი!.. ვაიმე, რალაც ავურიე... რალაც ძალიან...

– არა, მართლაც დიდი ახირებული კაცი ხარ! თუმცა უკვე იწყებ აზროვნებას!.. აბა, აბა, ცოტა თავს ძალა დაატანე და...

– ერთი სიტყვით, შენი თეორიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როცა ადრე კალამს ყიდულობდი, ხან ადამიანი იყავი, ხან ნივთი, ახლა კი მხოლოდ ადამიანი ხარ! მაშასადამე, ადამიანს ნივთად გადააქცევს ფული და მხოლოდ ფული! ასეა თუ არა?

– აბა, აბა, უფრო თამამად! ახლა უკვე დასკვნაც გამოიტანე!

– ესე იგი, ადამიანი შეიძლება ვუნდოთ იმას, ვინც დაეუფლება ან დაესაკუთრება ნივთს... უფულოდ!..

– აჰა, ხომ ხედავ რა დიდებულად ამოხსენი ამოცანა! რასაკვირველია, შენს მსჯელობას ცოტა სიზუსტე აკლია, მაგრამ ძირითადად სწორ გზაზე დგახარ... ახლა ნივთებიც განვიხილოთ. აბა, იქით გაიხედე, ვინ არის ის?

– გამვლელი.

– ეს არ არის განსაზღვრება. შენ ის მითხარი, ადამიანია თუ ნივთი? ნუ ყოყმანობ, პირდაპირ თქვი, მიპასუხე, სწრაფად, „სინთეტურად“!.. აბა...

– არ ვიცი... ჩემი აზრით, ადამიანი უნდა იყოს...

– რატომ?

– როგორ თუ რატომ?

– ჰო, რატომაა ადამიანი და არა ნივთი?

– ყველა ნიშან-თვისების მიხედვით...

– მაინც რა ნიშან-თვისებები?

– ... რომ მასაც აქვს თვალები, ცხვირი, პირი, ხელები, ფეხები... მოკლედ, ყველა ის ნიშან-თვისება, რაც ჩვენცა გვაქვს... ორივეს...

– შენ ასე გგონია?

– არა, კი არ გგონია, ობიექტურადაც ასეა... ღმერთო დამიფარე... ეს რას სჩადი? დაანებე თავი!.. რა უბედურებაა!.. შეჩერდი!.. გონზე მოდი!.. მოკალი?!.. თავი ქვით გაუჩიქე? ღმერთო, დამიფარე... რამდენი სისხლია!..

– მორჩი! თქვი ახლა, ეს ადამიანია თუ ნივთი!

– შენ გაგიჟდი!.. მკვლელობა ჩაიდინე?! კაცი მოკალი?!..

– რა საჭიროა ამდენი სიტყვები!.. რა მნიშვნელობა აქვს სიტყვებს, ან რა კავშირი აქვს ჩვენს საუბართან? სხვათა შორის, ვერც ვერაფერი გაიგებს, ჩვენ ხომ ახლა პარკში ვართ და საღამომობით კი აქ კაცის ჭაჭანება არ არის! თუ ენას კბილს არ დააჭერ, შენც მაგას მიგაყოლებ!.. გირჩევნია ამ მარტივ კითხვაზე მიპასუხო, ეს ადამიანია ახლა თუ ნივთი?

– ვერაფერი გამიგია... არ ვიცი... ცახცახმა ამიტანა!.. რა საშინელებაა!..

– აი, თუ გინახავთ იდიოტი!.. მართლა ყეყეჩი ყოფილხარ! „ცახცახმა ამიტანაო!“ „რა საშინელებააო!..“ სიტყვები, სიტყვები, რომელთაც არავითარი კავშირი არ გააჩნიათ მარტივ ფორმულასთან: არსებობენ ადამიანები და ნივთები!

– მთლად აგერია ჭკუა-გონება!

– არც ამას აქვს რაიმე კავშირი!.. ძალიან კარგ ჭკუაზე გახლავარ! სხვათა შორის, არც „ჭკუა-გონების“ არევას აქვს რაიმე კავშირი ამ მარტივ ფორმულასთან...

– ჰო, კარგი, კარგი, კმარა, გვეყოფა, მართალი ხარ. ეს გვამი ადამიანი აღარ არის... ეს არის ნივთი... ახლა კი გავიქცეთ!..

– რატომ?

– იმიტომ, რომ კაცი მოკალი!.. პოლიცია...

– მერედა, სად გვეჩქარება? მომანებს თუ არა პოლიცია, ეს კიდევ საკითხავია. ყოველ შემთხვევაში, ახლა არსადაც არ მეჩქარება. თუ დამიჭერენ და ციხეში ჩამსვამენ, მეც ხომ ნივთად გადავიქცევი და ამჯერად უკვე პოლიციის მეშვეობით ხელისუფლება დამსჯის. მაგრამ თუ ვერ დამიჭერენ, ისევ ისე განვაგრძობ ცხოვრებას, როგორც აქამდე მიცხოვრია, ჩვენს საზოგადოებაში, ხან ადამიანი ვიქნები და ხანაც ნივთი, ვიდრე მივალწევდეთ მაქსიმალურ ნონასწორობას, ვიდრე მცირე ხნით – კარგად მომისმინე! – მცირე ხნით აღარც ერთი ვიქნები და აღარც მეორე, ვიდრე აღდგებოდეს წარმოების ციკლი!.. მაგრამ სად იჩენს ეს თავს კონკრეტულად, სამწუხაროდ, ამის თქმა ძნელია, ჩემი ფილოსოფია ასე შორს ვერ სწვდება... გაჩერდი, რას ჩადიხარ? ხომ არ გაგიჟდი? გადააგდე ეგ რევოლვერი, თორემ, ავდგები და მეც...

– ფეხი არ მოიცვალო! მართლა მხეცი ყოფილხარ! არ გაინძრე-მეთქი, გეუბნები!.. გამოყევი... იარაღის წართმევა არც კი ეცადო... მაშინვე გესვრი... შეჩერდი... მეგობარო...

– აი, თუ გინდა, სიგიჟე!.. რამდენი უაზრო სიტყვაა... მაგრამ ჭკუა ხომ მაინც გასწავლე!.. ახლა მე ვარ ნივთი, შენ კი – ადამიანი! მაშ იცოცხლე, ჩემო მეგობარო, და შენც ასწავლე სხვებს ჭკუა ისე, როგორც მე შენ გასწავლე! აბა, ახლა გაიმეორე კიდევ ერთხელ ჩემთან ერთად... ოჰ, ვკვდები!.. არსებობენ მხოლოდ ადამიანები და...

– არსებობენ მხოლოდ ადამიანები და ნივთები!..

იტალიურიდან თარგმნა  
მერი ტიტჰინიკა

ქრონიკა

12 ივნისს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა მასპინძლობდა ნიკოლო მინიშვილისა და მისი ოჯახის პატივისმცემელთ, რომელთაც თავი მოიყარეს ამ ტრავიკული ბედის მწერლის ერთბაშად ოთხი ნიგნის წარდგინებაზე: ლექსების კრებული „წმინდანია“, დოკუმენტური პროზის ნიმუშები – „თებერვალი“ და „ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან“ (ამ ნიგნში შესულია კიდევ ერთი დოკუმენტური თხზულებაც „ახალგაზრდობა“) და ორიგინალური კრებული პუბლიცისტური და ესეისტური სტატიებისა „ფიქრები საქართველოზე“.

ეს კრებული გამოიწვია ნიკოლო მინიშვილის სკეპტიკურმა, მღელვარე და ტკივილიანმა წერილმა, რომელიც პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ქართული მწერლობის“ ფურცლებზე 1928 წელს და მაშინვე მოჰყვა საკმაოდ მწვავე დისკუსია (მონაწილეთა შორის იყვნენ გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, სიმონ ჩიქოვანი...); განახლებით კი განახლდა საუკუნის მიწურულს გაზეთ „კავკასიონის“ ლიტერატურულ ჩანართში „არილი“ თეიმურაზ მაღლაფერიძის თაოსნობით (მონაწილენი ახლა იყვნენ გივი მაღულარია, რევაზ თვარაძე, თამაზ ჩხენკელი, ნიკო ჭავჭავაძე, როინ მეტრეველი, თამაზ ნატროშვილი, თამაზ ვასაძე...).

დისკუსია ტრიალებდა საქართველოს ბედისწერის, სულიერი ენერჯისა და პოლიტიკური და კულტურული არჩევანის ირგვლივ და ამ უმწვავეს ფონზე არაერთი მნიშვნელოვანი თუ საგულისხმო მოსაზრებაც გამოითქვა, რისი ჩაკარგვაც პერიოდიკასა თუ ცალკეულ ავტორთა ნიგნებში გაუმართლებელი იქნებოდა, ახლა კი მკითხველს ხელთ აქვს ერთად თავმოყრილი მრავალმხრივ ფასეული მასალა, რომელიც სიმძაფრესა და აქტუალობას კვლავაც ინარჩუნებს.

შეხვედრას უძღვებოდა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ზაზა აბაშიძე, მწერლის ვაჟმა ილამაზ მინიშვილმა კი არამართო მამის ბიოგრაფიული პორტრეტი წარმოადგინა, არამედ უშუალო წინაპართა, მინიშვილთა და ბაგრატიონთა (ნიკოლოს მუღლვე ბაგრატიონი გახლდათ) ოჯახთა ზოგადი სილუეტიც. სიტყვით გამოვიდნენ: გამომცემელი კახა კუდავა, კრიტიკოსი და მკვლევარი ლევან ბრეგაძე, ხელოვნებათმცოდნე ნინო ზალიშვილი, ისტორიკოსი გურამ ყორანაშვილი, პირველი რესპუბლიკის მინისტრის გრიგოლ ლორთქიფანიძის ვაჟი თეიმურაზ ლორთქიფანიძე.

ითქვა, რომ ნიკოლო მინიშვილის ნამდვილი რეაბილიტაცია მხოლოდ დღეს მოხდა, რადგანაც 50-იანი წლების რეაბილიტაციისას კიდევ არ შეიძლებოდა მისი ზოგიერთი თხზულების გამოქვეყნება.

ცხადია, საგანგებოდ აღინიშნა იმ ორი გამომცემლობის – „არტანუჯი“ და „ინტელექტი“ – წვლილი, რომელთაც სხვა სასიკეთო საქმეებთან ერთად ეს პოლიგრაფიულადაც ჩინებულად მომზადებული ოთხნიგნეულიც უძღვნეს მკითხველს, ოღონდ არაფერი თქმულა და ამ მოკლე ცნობებში მაინც ჩაერთოს, რომ მაინცდამაინც ხშირად არა ვართ შემსწრე ისეთი საზოგადოებისა, რომელიც ნიკოლო მინიშვილის ნიგნების წარდგინებაზე იმყოფებოდა — ეს გახლდათ, დღესდღეობით ჩვენში მიჩქმალული ცნების, ოჯახიშვილთა გარემო, იმ პიროვნებათა შთამომავალნი, რომელნიც შეეწირნენ ავბედით თებერვალსა და აგვისტო-სექტემბერს და კავშირით კი მაინც გვაკავშირებენ იმ ფესვებთან და სულიერებასთან, ურომლისოდაც, დაგვეთანხმებით, არც ღირს არსებობა.

ოჯახიშვილობა კვლავაც ხიღია ხსნისა და გადარჩენის მეორე ნაპირისაკენ, ოღონდ აუცილებელია სულ არ გაგვიქრეს ხელიდან ღირსებისა და სულიერების ეს კერა.

\* \* \*

გიორგი ლეონიძეს ტელეფონის ნომრები არ ავინყდებოდა.

არ ჩაინერდა.

არ ავინყდებოდა და რისთვის უნდა ჩაენერა.

მისი მეხსიერება არ უკვირდათ, მაგრამ ეს მაინც აოცებდათ – ერთიც რომ არ შეეშლებოდა.

მასთანაც გამოთქვამდნენ გამოცებას. თანაც დასძენდნენ: რაიმე მათემატიკური ხერხი ხომ არ იციო.

რა მათემატიკური ხერხი უნდაო, – გიორგი ლეონიძეს ამათი გაუკვირდებოდა, – პირველ ციფრს რა დამახსოვრება უნდა, ყველამ ვიცით, დანარჩენს კი რომელიმე ისტორიულ თარიღს დაუკავშირებთ, ან დიდგორის ბრძოლას, ან შამქორისა, ან მარაბდის, ან კრწანისის... თარიღების მეტი რა არის. და აღარც წაგეშლებათ გონებიდანო.

ასეთ რჩევას რა სჯობს, მაგრამ მაშინ ისტორიის განცდაც და შენი ქვეყნის ბედისწერის ტრაგიზმიც იმ უკიდურესობამდე, იმ სიმწვავემდე უნდა გიბრუნავდეს არსებაში, „ნინონმინ-



დის ლამის“ შემოქმედს რომ სჩვეოდა.

გამოვვარდები, ხან თუ აღარაო – განა რამდენ პოეტს შეეძლო ამ სიმძაფრით მიემართა თავისი მამულისათვის.

ან თემურ-ლენგის სახელის წამოტივტივებას ის ხილვა გამოენვია:

თითქოს მან ქართლი ამ წამს გასრისა და ერთი ფეხით ვერ მოვუსწარიო.

სიმძაფრითა და... სინრფელით.

სინრფელით, თორემ!..

აიღებდა ყურმილს და წამოეშლებოდა ისტორიული ხილვები, თითქოს „ქართლის ცხოვრებას“ ფურცლავსო.

აგერ ბასიანი, აგერ კონტისთავი, აგერ ბახტრიონი, აგერ ასპინძა...

ისინი კი:

რაიმე მათემატიკური ხერხი ხომ არ იციო.

მათემატიკაც ეს გახლდათ მისთვის, ასტრონომიაც, ფიზიკაც, ფილოლოგიაც, ფილოსოფიაც, ბელეტრისტიკაც... და პოეზიაც... პოეზიაც...

ტრიალებდა ციფერბლატი და მოჰყავდა და მიჰყავდა ისტორიული ლანდები.

\* \* \*

ნიკა აგიაშვილს ბუნებითაც მოსდევდა მახვილი სიტყვა, მაგრამ ახალგაზრდა პოეტებთან, თავისი მომავალი წიგნის – „ჭაბუკები დარჩნენ მარად“ – გმირებთან ურთიერთობა კიდევ უფრო აუღესდა იუმორის ნიჭს და კალამბურებსაც აღარ მოერიდებოდა – ეს ლაღო ასათიანიო, ეს ალექსანდრე საჯაიაო, ეს მირზა გელოვანო... რომც არ სდომებოდა მახვილსიტყვაობაში გააპექრება, მაინც ჩაითრევდნენ და კიდევ დაჩაგრავდნენ.

თუმც დაჩაგრად არც ითქმის.

ნიკა აგიაშვილი მასალებად აგროვებდა იმათ ეპიგრამებსა თუ ფრთიან ფრაზებს და ოდესმე რომ ფიქრობდა მათ გამოყენებას, თურმე ძალზე ნაადრევად მოუწევდა...

აბა, რა ეღონა – ისინი ჭაბუკებად დარჩებოდნენ.

იმათსავით დაეძებდა სახალისო სიტუაციებს და მაკვარანცხული თვალით რომ გადახედავდა თუნდ „ვეფხისტყაოსანს“, ერთხელაც პავლე ინგოროყვას დიდად სერიოზული სახით ეტყოდა: პურის რუსული სახელი „ხლებ“ ჩვენს მწერლობაში პირველად დავით გურამიშვილმა კი არა, რუსთველმა ახსენაო. – შენ სახეიროს არაფერს იტყვიო, – პავლე მიუგებდა, – მაგრამ მაინც გამავგონე, სად და როდისო. და ესეც 1095-ე სტრიქონს დაიმონებდა (ავთანდილისაგან ფატმან-ხათუნის პასუხად მიწერილი წიგ-



მეგობრული შარყები ვახტანგ ბერიძისა

ნიდან: შენცა გინდა, მეცა მინდა გაუწყვეტლად შენი ხლებაო).

ვერ აიტანა ასეთი გახუმრება „ვეფხისტყაოსანზეო“, მოგვიანებით გაიხსენებდა „სერვანტესის ცხოვრების“ ავტორი, უხალისოდ, პაუზებიანი მშრალი ხარხარი აუტყვდა, მერე შუბლი შეიკრა და მდუმარედ მომაჩერდაო.

აქ საგულისხმო ისაა, რომ წინასწარვე იცის, გავანაწყენებო, თან ძალიან დიდი ხათრი და რიდი აქვს პავლე ინგოროყვასი, მაგრამ ყელში რომ მოაწვება იუმორი, დაიხრჩობა, თუ არ ამოთქვა.

მაშინ კი, მარგო თომაძესთან სტუმრობისას წყნეთში, ვინმე გაენაწყენებინა კი არა, ოჯახურ რელიკვიასავით შემორჩებოდა მისი კალამბური.

ბოსტანში მარწყვი ლაღანებდა წითლად და გულს რომ იჯერებდა მისი ჩაკოკლოზინებით, ავიანზე ავიდოდა, მაგრამ ისევ მოუნდებოდა, თავისკენ მძლავრად დაქაჩავდა ახალშემოსული მარწყვი და მასპინძლებთან თითქოს თავს იმართლებსო:

– რომ არ ჩაგბრუნდე, არ იქნება, ისე მეძახის: ხლუპ ნიკა, ხლუპ ნიკაო!..

ეგ მე უნდა მეთქვაო, – უთუოდ გული დანყდებოდა ლაღო ასათიანს, ამ ეპიზოდს რომ შესწრებოდა.

\* \* \*

მორის ფოცხიშვილი ლამის აკაკი წერეთელივით გახდებოდა. ან რაღა ლამის – მისი იმდენი ლექსი ექციათ სასიმღერო ტექსტად. მაინც არ გაბეზრებულყვენ კომპოზიტორები, არ აპირებდნენ სხვა პოეტის შემოქმედებაში ასე ჩაძირვას. სხვებისას რამდენიმესაც კმარობდნენ, ეს კი უზღვავე სალაროდ ეგულებოდათ. ხან შინ აკითხავდნენ, ხან სამსახურში, იქვეც ამუშავებდნენ და ხვდნენ.

ძალიან ემადლიერებოდა მორის ფოცხიშვილი კომპოზიტორებს:

– მათთვის მთავარია სიმღერის ტექსტი შენარჩუნდეს უცვლელად, მელოდიას არ შენირავენ არცერთ სახეს, არცერთ მეტაფორას, არაფერს ჩაგასწორებინებენ და



მეგობრული შარყი თენგიზ გოგოლაძისა

მხოლოდ ის სურთ, რომ ყოველი აკორდი შესწორებულს მოარგონ.

და შთამაგონებლად დასძენდა:

– ამიტომაც მეხალისება და მიყვარს მათთან ურთიერთობაო.

ძალიან ემადლიერებოდნენ კომპოზიტორები მორის ფოცხიშვილს:

– მისთვის მთავარია სიმღერა იყოს საუკეთესო და ტექსტს სრულიად არ დაგიდევს, მელოდიას შენირავს ნებისმიერ სახეს, ნებისმიერ მეტაფორას, სულ მზად არის ჩასასწორებლად და შესაცვლელად, ოღონდაც მელოდიას უკეთ მოერგოსო.

და შთამაგონებლად დასძენდნენ:

– ამიტომაც გვეხალისება და გვიყვარს მასთან ურთიერთობაო.

\* \* \*

ალექსი ჭინჭარაულის კაფიები და ეპიგრამები ლეგენდის საბურველში გაეხვეოდა. თვითონ თავს არ გამოიდებდა: ისეთივე არაფერიყო, – და ექსპრომტების ოსტატებად სხვებს დაასახელებდა, – აი, შეთე იყო თუ იყო, მე იმასთან რას მოვიდოდი, როგორც უნდოდა, ისე დაგვიჩილოვებოდაო. რამდენიმე კაცის სახელსაც მოადევნებდა, მაგრამ გარშემო იოლად ვერავის შეებედა. ვახუშტი კოტეტიშვილი და ზეზვა მედულაშვილი თუ გამოინვევდნენ და უფრო ხშირად მარცხს ინვენდნენ, ერთი-ორჯერ თუ ტოლს არ დაუდებდნენ, სატრაბახოდ ჰქონდათ.

ლეგენდა ლეგენდაა.


და ამ ლეგენდაში ზეზვა მედულაშვილიც შემოიჭრებოდა თავისი ლეგენდით – ლექსო პაპას დამმარცხებელი მარტო მე ვარო.

კანალებეში მოეყარათ თავი თბილისელ მეცნიერებს, ეპიგრამის თხზვა ძალიან რომ ესახელებოდათ, და სუფრაზე მსხდომ ფშავლებს თამამად გაუმართავდნენ მუშაირას. ზეზვა მედულაშვილი სხვაზე მეტს იტვირთავდა და ფშავლებს რომ მირეგვ-მორეგვავდა, მოულოდნელად ხვთისო ზარიძე გამოიდებდა თავს, ერთი-ორჯერ თბილისშიც რომ შეებედა მისთვის და მწარედაც ენანა.

ახლა კი რა ხდებოდა ამისთანა – ველარ მოისამხრევებდა სიტყვას ზეზვა მედულაშვილი, ისე მახვილი ველარ გამოუვიდოდა კაფია და მოპაექრე ერთიერთმანეთზე უკეთეს შაირებს რომ შეაგებებდა, მერე სულაც იერიშზე გადმოვიდოდა.

ველარ გაუძლებდა ზეზვა.

გაოგნებული შეჰყურებდა ყველა პოეტური დუელის ამ აუხსნელ მსვლელობას, მაგრამ, სხვა რა გზა დარჩენო-



მეგობრული შარყი კარლო ფაჩულიასი

დათ, უნდა ერწმუნათ საკუთარი ყურისაც და საკუთარი თვალისაც.

ზეზვა მედულაშვილი თავს დამარცხებულად სცნობდა.

რა იყო ესო, – ეკითხებოდნენ ხვთისო ზარიძეს.

ისიც არანაკლებ გაცოცხლებული იჩენდა მხრებს: რა მოგახსენოთო.

არ შემორჩენილა იმ პოეტური შერკინების მასალები, თუმც საბოლოო შედეგი მაინც აღინერებოდა იუმორისტულ მინიატურაში და თავისი ადგილიც მიეჩინებოდა პოეტური ექსპრომტების რუკაზე.

ალექსი ჭინჭარაული ამ ეპიგრამის შექმნით მოიონებდა გულს, რაც ზეზვასაგან ზოგიერთი სიმწარე ახსოვდა:

**შენ არც კი გახსოვს, შენ არც კი იცი,  
მე გულზე მანევს, როგორც იარა,  
კანალებეში ხვთისო ზარიძემ  
კატოკივით რომ გადაგაიარა.**

ეს კატოკით გადავლა მაინც რა არის!..

იქნებ აჭარბებდა ლექსო პაპა, როგორც დაინტერესებული პირი?

მართლა ასე იყო, – იფიცებოდა, – სხვა შთაბეჭდილება არც თქვენ დაგრჩებოდათ, იქ რომ შესწრებოდიოთო.

წაუგიათ დიდოსტატებს ოსტატობის კანდიდატებთან, მსოფლიო ჩემპიონებს – რიგით მოჭადრაკეებთან.

ლექსო პაპასაც თანაგრძნობა უკეთესად როგორ გამოეთქვა: მე გულზე მანევს როგორ იარაო.

ინგლისი  
კუნძულ სკიროსზე

„მე დავბრუნდები, – ეუბნებოდა რუპერტ ბრუკი თავის სატრფოს, – შეიძლება დამჭრან, მაგრამ მე უსათუოდ დავბრუნდები“.

ჯერ არავინ უწყის, განგება კეთილი თვალით გადმოხედავს ამ ოპტიმისტურ რწმენას თუ გამართლებდა ავი წინათგრძობა პოეტისა, მის საყოველთაოდ ცნობილ ლექსში „ჯარისკაცი“ რომ აჟღერებულა:

„თუკი მოვკვდები, იცოდეთ და დაიმახსოვრეთ, რომ სადღაც არის ერთი გოჯი უცხო მიწისა – ამიერიდან საუკუნოდ ინგლისი ჰქვია. მდიდარი მიწა მიიბარებს უფრო მდიდარ ნემსს, რომელიც შობა მშობლიური ინგლისის მიწამ, გამოძერწა და ჩაუმქრალი სული ჩაუდგა. და უწყალობა ყვეაილები სიყვარულისთვის, თავისი გზები უწყალობა სახეტილოდ, მერე ინგლისის უწყალობა მთელი სხეული – გაგრძელებული ინგლისური ნიავის სუნთქვით, მდინარეებით განზანდილი, მზისგან ნაკურთხი. იცოდეთ, გნამდეთ, რომ ეს გული გადაკარგული ჩამორიერცხავს უგულობას, ყველა სიავს და თქვენს სსოვნაში სამუდამოდ რომ დაბინავდეს, თქვენ დაგიბრუნებთ ინგლისისგან ნაბოძებ ფიქრებს, ფერებს და ბგერებს, ინგლისივით ბედნიერ სიზმრებს, მეგობართაგან ნასწავლ სიცილს და სათნოებას – რათა მშვიდობა მოგანიჭოთ ინგლისის ცის ქვეშ“.

ინგლისის სამეფო საზღვაო დივიზიამ, რომელშიც ჩარიცხული იყო ოცდარვა წლის უმცროსი ლეიტენანტი და უკვე სახელგანთქმული პოეტი რუპერტ ბრუკი, 1915 წლის 28 თებერვალს დატოვა ინგლისი.

დივიზია, ხმელთაშუა ზღვის გავლით, მიემართებოდა დარდანელის სრუტისაკენ. დაიგემა შეტევა გალიპოლის კლდოვან ნახევარკუნძულზე, ხოლო საბოლოო მიზანი იყო, სხვა სამხედრო შენაერთებთან ერთად, აღება კონსტანტინოპოლისა; რუპერტ ბრუკი მეგობარს სწერდა: „წარმოგიდგენია, წმ. სოფიას ტაძარში 1453 წლის შემდეგ პირველად ჩატარდება წირვა!“

გადასხდნენ კუნძულ სკიროსზე.

რუპერტმა წერილი მიიღო ინგლისიდან. ამცნობდნენ, რომ წმ. პავლეს ტაძრის წინამძღვარმა საადგომო ქადაგებაში ჯერ დაიმოწმა ტექსტი ესაია წინასწარმეტყველისა (26, 19): „გაცოცხლდებიან მკვდრები, აღდგებიან გვამები: გაიღვიძეთ და იყიყინეთ მტკვარში დავანებულნი!“ და მერე კი დაიმოწმა ლექსი ამ თემაზე, მისი სიტყვით, „ახალგაზრდა ავტორისა, რომელიც, გავებდავ ვიფიქრო, მალე გაუტოლდება ჩვენს დიდ პოეტებს“.

წინამძღვარს მთლიანად წარმოუთქვამს ზემოთ მოტანილი ლექსი და დასასრულ განუცხადებია, წმინდა და ამალელებული პატრიოტიზმის სულისკვეთებას არასოდეს უპოვია ესოდენ კეთილშობილი გამოხატულება, როგორც ამ ლექსში ჰპოვაო.



რუპერტ ბრუკის საფლავი

ამ საოცრად ლამაზ ადგილას, რომელიც გადააჭყურებდა გამშრალი ნაკადულის კალაპოტს. რუპერტს ძალიან მოსწონებია იქაურობა და სამი დღის შემდეგ სწორედ იქ შეურჩიეს სამარე.

რუპერტ ბრუკი ბრძოლის ველზე არ დაღუპულა. „მშვიდობიანმა“ სნეულებამ გამოასალმა წუთისოფელს. ექიმის დიაგნოზით, ეს იყო მწვავე სისხლის მონამვლა. და ვერაფერი უშველეს.

23 აპრილს დაკრძალეს იმ ზეთისხილის ჭალაში, სამი დღის წინათ საღ-სალამათს რომ მოეწონა.

ინგლისში დევიდ ლორენსმა და ამერიკაში ჰენრი ჯეიმზმა გულწრფელად დაიტირეს რუპერტ ბრუკი – იმედი ინგლისური პოეზიისა. სულ მალე იგი გადაიქცევა XX საუკუნის ლეგენდად, ხოლო ლექსი „ჯარისკაცი“ საპატიო ადგილს დაიჭერს ინგლისისა თუ ამერიკის სასკოლო ქრესტომათეებში.

ლონდონის გაზეთ „ტიმსში“ გამოქვეყნდა სამხედრო-საზღვაო მინისტრის უინსტონ ჩერჩილის გამოსათხოვარი. მომავალი მესაჭე ინგლისისა უაღრესი მწუხარებით ეთხოვებოდა რუპერტ ბრუკს: „მას ჰქონდა მკაფიო ხმა, ძალზე უდროოდ რომ ჩაწყდა. და დარჩა მარტოოდენ ექო და ხსოვნა, რომელსაც დასასრული არ უნერია... ის ელოდა სიკვდილს; ის მზად იყო, რომ მომკვდარიყო თავისი ძვირფასი ინგლისისათვის, რომლის მშვენიება და დიდება კარგად იცოდა“.

გაივლის ოცდაათი წელიწადი და 1945 წლის თებერვალში „დიდი სამეულის“ კონფერენცია რომ დამთავრდება იალტაში, უინსტონ ჩერჩილი ყირიმიდან თვითმფრინავით სულმოუთქმელად მიემშრება ათენს, სადაც სამოქალაქო ომი გაჩაღებულა, იღვრება სისხლი და ინგლისის ჯარები ლამობენ ვითარების მონესრიგებას; ჩერჩილს ძალიანაც ეჩქარება, მაგრამ გზად შეუხვევს კუნძულ სკიროსზე, რათა მოინახულოს რუპერტ ბრუკის საფლავი ანუ „ერთი გოჯი უცხო მიწისა“, რომელსაც საუკუნოდ ინგლისი ჰქვია.

გაივლის კიდევ ოციოდე წელიწადი და ზემოხსენებულ სტრიქონი რუპერტ ბრუკის ლექსიდან გახმიანდება თანამედროვე ინგლისურ პროზაში. ფრენსის კინგი დანერს მშვენიერ მოთხრობას „ერთი გოჯი უცხო მიწისა“. ეს სათაური ჩინებულად მოერგო ინგლისელი მწერლის საკმაოდ ორიგინალურ ქმნილებას, სადაც გადმოცემულია ამბავი იაპონელი პროფესორისა, რომელსაც თავდავიწყებით, ფანატიკურად შეჰყვარებია საკუთარი თვალით ჯერაც უნახავი ინგლისი და რუპერტ ბრუკის პოპულარულ ლექსს მის მესხიერებაში, რასაკვირველია, გამორჩეული ადგილი უჭირავს.

1922 წლის ოქტომბერში ცნობილი რუსი ისტორიკოსი სერგეი მელგუნოვი, სხვა არანაკლებ ცნობილ მეცნიერებთან ერთად, საბჭოთა რუსეთიდან გააძევეს. მაღლობა უნდა ეთქვა, რომ ეს აკმარეს.

უკან დარჩა ხუთწლიანი მოღვაწეობა სახალხო-სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილედ; უკან დარჩა გატანჯული ცხოვრება, რომელიც მოიცავდა დევნას საბჭოთა ხელისუფლებისგან და სიკვდილის ყოველდღიურ მოლოდინს; უკან დარჩა 23 ჩხრეკა, 5 დაპატიმრება, დასასრულ – დახვერტის განა-

ჩეკა ილიჩეზოდა  
თხილისში

ჩენი, 10-წლიანი პატიმრობით რომ შეუცვალეს; საბოლოოდ კი მოულოდნელი მოწყალება მოიღეს და სამეცნიერო ინტელიგენციის იმ ჯგუფში ჩარიცხეს,

რომელიც საბჭოეთიდან უნდა გაესახლებინათ.

მელგუნოვი არაფრად სჭირდებოდათ ახალ რუსეთში. დამკვრელური ტემპით მოამზადებდნენ ნაფიც ისტორიკოსებს და თავის ჭკუაზე ააჭიკჭიკებდნენ.

ბერლინის მიმავალი მელგუნოვი ცოტა ხნით დაყოვნდა ვარშავაში. ერთ მშვენიერ დღეს ესტუმრა კაფეს, რომელიც ეკუთ-

## მონაიპა

ვნოდა პოლონელ ინტელიგენტ ქალთა ჯგუფს. ერთ-ერთმა მე-პატრონემ ყავა მიაართვა სტუმარს და უეცრად ჰკითხა:

– თქვენ რუსი ბრძანდებით და რუსეთიდან ახლახან ჩამოხვედით?

– დიახ.

– მითხარით გეთაყვა, რუსეთში რატომ არ გამოჩნდა კაცი, ვინც მოკლავდა ლენინს და ტროცკის?

ესოდენ მოულოდნელად და ჯიქურ დასმულმა შეკითხვამ, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა მეღვინოვი. არც არის გასაკვირი, ვინაიდან ახალ რუსეთში ადამიანები გადააჩვიეს თავიანთ შეხედულებათა გულახდილად გამოთქმას.

მეღვინოვმა ასე უპასუხა მასპინძელს: პირადად მე, ოდითგანვე, ტერორისტული აქტებისა და მკვლელობის მონააღმდეგე ვიყავი; ამგვარი ქმედება დასახულ მიზანს ვერ აღწევს.

პოლონელი ქალბატონი თავისაზე იდგა:

– ერთი კაცის მკვლელობამ შეიძლება გადაარჩინოს სიცოცხლე ათასებისა, ჯალათთა დღევანდელში რომ იღუპებოდნენ. მეფის დროს სოციალისტთა შორის ხომ იყვნენ ისინი, მოყვასის გადასარჩენად თავს რომ სწირავდნენ ანდა ძალადობის გამო შურისგებისათვის ტერორისტულ აქტს ახორციელებდნენ. ახლა რატომ აღარ არიან, სად გაქრნენ ეს შურისმგებელნი? რატომ არავინ აღმართავს ხელს ხელისუფლების წინააღმდეგ?

მეღვინოვის სიტყვით, მან განზე გადადო მსჯელობა მორალის თაობაზე და გულახდილად უპასუხა, რომ ამგვარი პასიურობის მიზეზი, მისი აზრით, ისაა, რომ არსებული ვითარებისას, როდესაც რუსეთში კაცის სიცოცხლეს კაპიკის ფასიც არა აქვს, ყველას აბრკოლებს ის გარემოება, რომ ტერორისტული აქტი, პირადად შურისძიებით იქნება ნაკარნახევი თუ სამშობლოს ინტერესებით, გამოიწვევს ათასობით უდანაშაულო მსხვერპლს. უნინ იღუპებოდა ან უშუალო დამნაშავე ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ჯგუფი მისი თანამებრძოლებისა. ახლა კი საქმე სხვაგვარად არის.

მეღვინოვმა პოლონელ ქალბატონს ამცნო, რომ 1918 წლის აგვისტოში პეტროგრადის ჩეკას ხელმძღვანელის ურიცკის მკვლელობას და იმავე თვეში თავდასხმას ლენინზე მოჰყვა გაუგონარი და არნახული „ნითელი ტერორი“, როდესაც განუკითხავად ხვრეტდნენ აურაცხელ მძევლებს.

სერგეი მეღვინოვის წიგნი „ნითელი ტერორი რუსეთში: 1918-1923“ პირველად გამოიცა ბერლინში 1923 წელს. მოსკოვში გამოსცეს 1990 წელს.

ყურადღება შევაჩეროთ ამ წიგნის მხოლოდ იმ ფრაგმენტებზე, სადაც საქართველოს ამბებია გაშუქებული.

მეღვინოვი ბოლშევიკთა მიერ თბილისის დაკავებასთან დაკავშირებით იმონებს ბათუმიდან კონსტანტინოპოლს ჩასული ლტოლვილის ნაამბობს.

ამ მოწმეს, ბოლშევიკთა შემოსვლის პირველსავე ღამეს, თავისი თვალთ უნახავს საზარელ გროვად დაყრილი სამასამდე გვამი ტაძრის მოედანთან. ირგვლივ ყველა კედელი სისხლით ყო-

ფილა მოსვრილი. ეტყობა, სიკვდილით დასჯა იქვე ჩაეტარებინათ. დახოცილთა შორის იყვნენ ქალებიც და კაცებიც, მოხუცებიც და ბავშვებიც, სამოქალაქო პირნიც და ოფიცრებიც, ქართველებიც და რუსებიც, მუშებიც და მდიდრებიც.

მეღვინოვის სიტყვით, თბილისში „ნითელ ტერორს“ სათავეში ჩაუდგნენ ავადსახელგანთქმული პეტერსი, მოადგილე ძერჟინსკისა; ათარბეგოვი, რომელმაც „დაამოწმინა ჩრდილოეთ კავკასია“, და არანაკლებ სახელმწიფო მატროსი პანკრატოვი, რომელმაც ბაქოში ასობით მუშა და ინტელიგენტი გაჟლიტა.

ამ სამეულიდან ყველაზე წარჩინებული ჩეკისტი მაინც პეტერსი იყო. ეს ის პეტერსია, რომელმაც 1918 წლის შემოდგომაზე გამოაცხადა: „მიუხედავად გავრცელებული ხმებისა, მე სრულიადაც არა ვარ ისეთი სისხლისმსმელი, როგორც ფიქრობენ... მე ვაცხადებ, რომ რუსეთის ბურჟუაზიის ყველანაირ ცდას – კიდევ ერთხელ წამოჰყოს თავი – საკადრის პასუხს გავცემთ და ისე გავუსწორებთ, რომ გახუნდება ყველაფერი, რასაც კი გულისხმობდნენ ნითელ ტერორში“.

მისი მტკიცებით საჭირო არ იყო გამოძიება იმისა, გამოდიოდა თუ არა ბრალდებული, სიტყვით ან საქმით, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. უნდა გაერკვიათ მისი კლასობრივი კუთვნილება, სოციალური წარმოშობა, განათლება ან პროფესია – მორჩა და გათავდა! ჩვენ ცალკეულ ადამიანებს როდი ვეომებოთ, ჩვენ ბურჟუაზიას, როგორც კლასს, ვანადგურებთო.

ეს ის პეტერსია, რომელმაც სისხლის კალო დაატრიალა დონის როსტოვში. ძალზე ხშირად თვითონაც ესწრებოდა დახვრეტებს. ნითელარმიელთა გადმოცემით, პეტერსს კუდში დასდევდა მისი შვილი, რვა-ცხრა წლის ბიჭუნა, და გამუდმებით ეხვეწებოდა მამას: მამიკო, მოიტა მე...!

მეღვინოვი წერს: „მხოლოდ სადისტი, რომელიც სწადის თავის სისხლიან საქმეს, შეიძლება დატკბეს კიდევ ამ სისხლით და უგალობოს ლექსებში, როგორც ეს გააკეთა ალექსანდრ ეიდუკმა, რომელმაც თბილისში გამოსცა სამარადისოდ სახელგანთქმული კრებული „ჩეკას ლიმოლი“.

მეღვინოვი იმონებს ნანყვეტს ეიდუკის ერთ-ერთი ლექსიდან:

Нет больше радости, нет лучших музык,  
Как хруст ломаемых жизней и костей,  
Вот отчего, когда томятся наши взоры,  
И начинается буйно страсть в груди вскипать,  
Черкнуть мне хочется на вашем приговоре  
Одно бестрепетное: „К стенке! Расстрелять!“

პოეტი ეიდუკი სიკვდილმისჯილებს საკუთარი ხელით ხვრეტდაო.

მისი დაბადების თარიღია 1888, გარდაცვალებისა – 1938. საფიქრებელია, რომ იგი შეენირა ლიმოლიანი ჩეკას კადრების მორიგ „წმენდას“.

## ქრონიკა

5 ივნისს წიგნის მალაზიაში „სანტა ესპერანსა“ გაიმართა წარდგინება შოთა იათაშვილის ახალი პოეტური კრებულისა „სანამ დროა“ (გამომცემლობა „სიესტა“). შეხვედრას უძღვებოდა გამომცემელი ქეთი კილურაძე, ვინც გარეგნულადაც ორიგინალურად გააფორმა წიგნი, რომელშიც თავი მოიყარა მხოლოდ ბოლო ხანს გამოქვეყნებულმა ლექსებმა. არაერთი პოეტური ნიმუში კრებულში პირველად დაიბეჭდა.

სიტყვით გამოვიდნენ: ლია სტურუა, ლევან ბრეგაძე, ზვიად რატიანი, ზურაბ რთველიაშვილი, დავით აკრიანი, როსტომ ჩხეიძე, მავა მიქელაძე, რომელთაც ახალი წიგნიც შეაფასეს და ავტორის სილუეტიც გამოჰკვეთეს — მისი მრავალმხრივი ლიტერატურული ინტერესები — პროზა, ესეისტიკა, რედაქტორული მოღვაწეობა... მისი ცხოვრების სტილი — უანგარობა მწერლობის წინაშე და ახალ და მნიშვნელოვან მოვლენათა შუაგულში ტრიალი, რათა დამკვირვებელი კი არ იყოს, არამედ გარკვეული ნაკადის განმსაზღვრავიც. მისი სტილისტიკა კი, ამ ახალ წიგნშიც ხელშესახებად გამოკვეთილი, დახასიათდა, როგორც ტრაგიკომიკური ჟანრის ნაირსახეობა — თავისი ტკივილებითა და ირონიული მზერით.

შეხვედრის დასასრულს შოთა იათაშვილმა ცალკეული ლექსები წაიკითხა დეკლამაციური ოსტატობით.

შეხვედრის დასასრულს შოთა იათაშვილმა ცალკეული ლექსები წაიკითხა დეკლამაციური ოსტატობით.